ჯუმბერ პატიაშვილი:

დრო გვაჩვენა, რომ ვცდებოდი!

7

მერაბ ბლადაძე:

საქართველო მისეილისა და მისი «ნარჩენებისგან» დროზე უნდა გათავისუფლდეს!

8

ოტია იოსელიანი:

ეროვნული გამოთაყვანება გვჭირს

10

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

www.geworld.net

info@geworld.net

№21 (64)

9 – 15 ივნისი, 2010

თავბრუდასხვეული პრეზიდენტი, ბრძენი მაიმუნი და გასარჭებული ლარი

2

საკაშვილმა ობამას იდიოტი უწოდა

3

ნავთობის წვეთები კავკასიის რუკაზე

4

არნო ხიდირბეგიშვილი:

ენა, რომელიც დღეს თბილისამდე ვერ მიგვიყვანს, ანუ „ეტ ინჩეს ასუმ, რუსეცკი-ჯან?!“

12

ზურაბ გაგნიძე:

ბაჩო ახალაია სიხარულით და მარჯვედ ასრულებს დანაშაულებრივ შეკვეთებს

15

მუსლიმანური საფრთხე აგრესიული ისლამით გარშემორტყმული საქართველოსთვის

4

აშშ-ში სტალინის ძეგლი დაიდგა

5

11

მიირთვით ჰალსტუხი, ბატონო პრეზიდენტო!

«Club-K» — სიკვდილის კონტეინერები

22

კარლო კოპალიანი:

არჩევნებზე «მრეწველების» ლუსტრაცია მოხდა, ისინი იგივე «ნაციონალები» არიან!

19

რეზინის ხელკეტიდან «ბიულეტენთა მბრძანებლამდე»

6

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

თავბრუდასხვეული პრეზიდენტი, ბრძენი მაიმუნი და გასარჭებული ლარი

გასული კვირა მიხეილ სააკაშვილისთვის ასე თუ ისე იღბლიანი გამოდგა. მისი პარტია არჩევნებში გამარჯვების აღნიშვნას განაგრძობდა, შემდეგ, როგორც იქნა, მიიღეს რუმინეთში, სადაც ერთი თვის წინათ ჩასვლისგან თავის შეკავება სთხოვეს. მეტიც, მან პარიზშიც ჩააღწია და შეხვედრები იქაც გამართა. მძიმე გამოცდილებაზე დაფუძნებული გამოცდილება ცხადყოფს: მსგავს პერიოდებს, როგორც წესი, „წარმატებისგან თავბრუსხვევა“ მოსდევს, რაც ქვეყანას, საბოლოო ჯამში, საკმაოდ ძვირი უჯდება. თანაც ყოველივე ამას „წარმატებას“ ხელისუფლების კოორდინატთა სისტემაში თუ ვუწოდებთ. ის, რომ „ელისეს სასახლის“ შვეიცარმა სააკაშვილი არ გააგდო, დიდი მიღწევა სულაც არ არის — მთავარი მოლაპარაკებების შედეგია. „არჩევნებში“ „გამარჯვებამ“ კი (ბრჭყალები, ყოველი შემთხვევისთვის, ორივეგან დავტოვოთ) პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას, სავარაუდოდ, ფართო გზა გაუხსნა, რაც ხელისუფლებისთვის არცთუ საზეიმო უნდა იყოს.

ორმაგი დარტყმა

იმ ადამიანთა გადასახედიდან, რომელთა აზრითაც, საქართველოს დამოკიდებულება შეერთებულ შტატებზე გაცილებით მცირე უნდა იყოს, ვიდრე დღეს არის — 30 მაისს ტრაგიკული არაფერი მომხდარა. პრომამერიკული პოლიტიკური გაერთიანება „ალიანსი საქართველოსთვის“ დამარცხდა ასევე ვაშინგტონზე მიბმულ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ბრძოლაში (წესების გარეშე). თანაც პროცესები ისე განვითარდა, რომ ორივე ამ ძალის პოლიტიკურ რეპუტაციას, საზოგადოების თვალში, სავარაუდოდ, საკმაოდ დიდი ზიანი მიადგა. ისე, ცხონებულ მაო ძედუნს კი უყვარდა ისტორია ბრძენი მაიმუნის შესახებ, რომელიც ხეზე ზის და ორი ვეფხვის (ჩვენს შემთხვევაში, ალბათ, უფრო ორი გაქუცული კატის) ბრძოლას თვალს ადევნებს, ელოდება რა დროს, როდესაც მოჩხუბარნი ერთმანეთს მაქსიმალურ ზიანს მიაყენებენ. ამ მიდგომაზე დაფუძნებულმა სტრატეგიამ ჩინეთი XXI საუკუნის ზესახელმწიფოდ აქცია. ჩვენი შიდაპოლიტიკური მასშტაბები გაცილებით მოკრძალებულია, თუმცა კითხვა: ვინ (რომელი ბრძენი მაიმუნი) ისარგებლებს მოხერხებულად ამღვრეული პოსტსაარჩევნო სიტუაციით, უახლოეს თვეებში, ალბათ, ერთერთი მთავარი გახდება.

საპროტესტო ელექტორატის იმ ნაწილმა, რომელიც საქართველოში მიმდინარე მოვლენების გეოპოლიტიკურ ქვეტექსტს განმსაზღვრელ მნიშვნელობას არ ანიჭებს (და შეიძლება ცდება კიდეც) რეალობა შეიძლება საკმაოდ დრამატულად აღიქვას. ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ მათი თვალთახედვით, იმ წერტილში იმყოფება, რომელზეც რომაელები ამბობდნენ — „საქმე ტრიარიებამდე მივიდა“, მარტივად რომ ვთქვათ, ბოლო რეზერვამდე. ამ როლში, როგორც ჩანს, მოგვევლინებიან „ეროვნული ფორუმი“ და ნინო ბურჯანაძის პარტია ახალ მოკავშირეებთან ერთად, რომელთაც, სავარაუდოდ, მალე შეიძენს.

შესაძლოა, ვინმეს ეწყინა ჩამონათვალში „ლეიბორისტების“ არმოხვედრამ, თუმცა მათი სამომავლო მოქმედების ვექტორი მკაფიოდ ჯერაც არ გამოკვეთილა. ასე რომ, მათზე სხვა დროს ვისაუბროთ ან ჩავთვალოთ, რომ ეს ჩასაფრებული (თეთრ სპილოებზე ამხედრებული) კავალერისტების რაზმია.

„ეროვნული ფორუმი“ და „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ დასახული მიზნისკენ ორი კოლონით, სხვადასხვა გზებით მიდიან. ერთი კოლონა მიდის (გერმანელი მეგობრების თქმის არ იყოს — „Die erste Kolonne marschiert“) მარჯვნივ. მისი გზა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ბრძოლაზე გადის და, დიდი ალბათობით, ხელისუფლებისთვის ულტიმატუმის წაყენებითა და მოქმედების რადიკალიზაციით დასრულდება. „Die zweite Kolonne marschiert“ (უკაცრავად) მეორე კოლონა, თავის მხრივ, მიდის მარცხნივ, „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ მოწვევის გზით და, როგორც ჩანს, საბოლოო ჯამში, ვადამდელი არჩევნების სასწრაფო დანიშვნას მოითხოვს. ნაკლებად სავარაუდოა, ხელისუფლებამ ამ ტაქტიკურ სხვაობებში დაინახოს რაიმე სხვა, ესკალაციისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი საბაბის ძიების გარდა. მისთვის, მთავარი ინტრიგა, ალბათ, ისაა, ჩააღწევს თუ არა ოპოზიციის ორივე კოლონა უვნებლად დროისა და სივრცის იმ წერტილში, სადაც გადამწყვეტ მომენტში მათი პოტენციალი შეიძლება გაერთიანდეს. იმავე მიმართულებით სხვა, მცირე რაზმები და პოლიტიკური მარადიორების ბანდები მიემართებიან, თუმცა **ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი მონახაზი და, გენერალ-ფელდმარშალი ჰელმუტ მოლტკე (უფროსი) ნაბახუსევზე რომ იტყოდა, „მთავარი ძალების შეუფერხებელი წინსვლის შესაძლებლობები“ გვაინტერესებს.**

ერთის მხრივ, ასეთი მანევრი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების ფართო მობილიზაციის შესაძლებლობას იძლევა; ვისაც, მიზეზთა გამო, ერთი ძალა არ მოსწონს, დანიშნულების ადგილამდე მეორეს გაჰყვება; მეორე: ორივე პარტია (ყოველ შემთხვევაში, — დღეს) არ გეგმავს ჩართვას არანაირი გაერთიანებული მმართველი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში, რომელმაც შეიძლება იგი გადაწყვეტილებებში შეზრუდოს.

ბოლო წლების გამოცდილებამ ცხადად აჩვენა, რომ ოპოზიციური კოალიციების შექმნა მხოლოდ „დიდი ერთობისთვის“ საკმაოდ ცუდად მთავრდება. პოლიტიკური ლიდერები (თანამოაზრეთა ჯგუფები), სავარაუდოდ, შეეცდებიან შეძლებისდაგვარად დიდხანს მაქსიმალური დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ, ხოლო სხვა პარტიებთან ურთიერთობაში, მხოლოდ ზოგადი კოორდინაციით შემოიფარგლონ.

კიდევ ერთი სიახლე: „ახალ ტალღის“ აგორებაში ჩართული ძალები „რესპუბლიკელებს“, ალბათ, სათოფეზე არ გაიკარებენ; ყოველ შემთხვევაში, დღეს კონფრონტაცია ოპოზიციის შიგნით სხვა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა.

როგორც ნინო ბურჯანაძის, ისე „ფორუმელების“ დღევანდელი განცხადებები იმაზე მიანიშნებს, რომ ორივე ძალა, საპროტესტო გამოსვლების დროს, წინანდელისგან განსხვავებულ (ლეგიტიმურ) ტაქტიკურ ნაბიჯებს მიმართავს, შესაბამისად, საუბარი შეიძლება უფრო სერიოზულ მოქმედებებს შეეხოს, ვიდრე პარლამენტთან დგომა და „წადი!“-ს მონოტონური ძახილია.

თუმცა იქამდე ჯერ კიდევ შორია, მთავარი საკითხი კი, რომელიც ამ ეტაპზე გვაინტერესებს შემდეგია: შეძლებს თუ არა ეს ორი ძალა საკმაო რაოდენობის მხარდამჭერების აყოლიებას? ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხომ საკმაოდ იმედგაცრუებული ჩანს და ნებისმიერი ოპოზიციური პარტიის წამოწყებას ფრიად სკეპტიკურად უყურებს.

ალბათ, ვერ ვიტყვით, რომ ამ ორი პარტიის გააქტიურება, მხოლოდ არჩევნების (ასეთ) დასრულებას უკავშირდება. ცვლილებებმა საერთაშორისო არენა- ▶

მოკლედ

განწირული პრეზიდენტი

„მიხეილ სააკაშვილის ჩანაცვლების პროცედურა უკვე დაწყებულია“. ეს სასიხარულო ამბავი „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გაამხილა. მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე ბურჯანაძემაც გაიგო, ეს ოპოზიცია არავის ჩამნაცვლებელი რომ არაა და იქვე დააკონკრეტა: „სააკაშვილმა ახლა უკვე საკუთარ თავზე უნდა იფიქროს, რადგან მისმა რეჟიმმა მისი ჩანაცვლების პროცედურა დაიწყო და ეს ფაქტია. სააკაშვილი მისმა გარემოცვამ უკვე გაწირა“.

ვის უნდა ალასანია?

„ალიანსი სააკაშვილის ხელისუფლებას აუცილებლად შეცვლის, მაგრამ მხოლოდ არჩევნების გზით“. ეს ბოლო არჩევნებზე ჩაფლავებული კიდევ ერთი ოპოზიციური პარტიის „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრმა გია ცაგარეიშვილმა მას შემდეგ განაცხადა, რაც სათანადო დრო და ენერგია უშედეგოდ შეალია იმის გარკვევას, ალასანიას წინააღმდეგ პავლე კუბლაშვილი საუბრობს ხოლმე თუ ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელი. რა ქნას მარტო ერთმა ცაგარეიშვილმა, თუ ალასანია მის მეტს არავის უნდა?

საიდუმლო დავალებით

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოიწონა მსოფლიოს 75 ქვეყანაში „ალ-ქაიდასთან“ ბრძოლის მოტივით ამერიკული სპეცრაზმის განთავსების გეგმა. აქამდე ამერიკული სპეცნაზის საიდუმლო ოპერაციები მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში იყო სანქცირებული, ახლა ამ ქვეყნების რაოდენობა ძირითადად აღმოსავლეთ აფრიკის, ახლოა აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და იემენის ხარჯზე გაფართოვდა. გეგმის განხორციელებას 5 წელიწადში 100 მილიონი დოლარი მოხმარდება.

ახალი მთავარი მზვერავი

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ნაციონალური დაზვერვის სამსახურის უფროსად აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების გენერალსა და ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს ჯეიმს კლაპერს ნიშნავს. ჯერჯერობით კლაპერი აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის სამსახურის დირექტორის ადმინისტრაციაში კონტრდაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელია. თანამდებობა მას შემდეგ გათავისუფლდა, რაც ის მთელი რიგი ოპერაციების ჩავარდნის შემდეგ დისკრედიტირებულმა დენის ბლერმა დატოვა.

ან ცოლი, ან სამშობლო

ეგვიპტის მოქალაქეები, რომლებიც ცოლად ისრაელის მოქალაქეებს შეირთავენ, ავტომატურად დაკარგავენ თავიანთი ქვეყნის მოქალაქეობას. ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, იმოქმედოს მოქალაქეობის შესახებ 1976 წლის კანონის შესაბამისად და ქვეყნის მოქალაქეობა დაატოვებინოს ეგვიპტელს, რომელიც ისრაელის ჯარში მომსახურესთან ან სიონიზმის იდეოლოგიის მიმდევართან შექმნის ოჯახს. ვერდიქტი ისრაელის მოქალაქეებზე დაქორწინებულ 30 ათასამდე ეგვიპტელს შეეხება.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ზე მათთვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობები შექმნა. მკვეთრად პრო-ამერიკული ძალებისგან განსხვავებით ეს ორი (სხვამხრივ ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავებული) პარტია საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით უფრო დიდ მოქნილობას ავლენს. ეს, გარკვეული თვალთახედვით, მესამე გზაა, რომელსაც კლასიკური „პროამერიკულისგან“ და „პრორუსულისგან“ განსხვავებით, უფრო „ფინური მოდელისკენ“ მივყავართ; **საუბარია ქვეყნის განვითარება-გამთლიანებისთვის ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფაზე, რაც რუსეთთან დიალოგისა და ნატოში პირწავარდნილ ინტეგრაციაზე უარის თქმის გარეშე, როგორც ჩანს, შეუძლებელი იქნება. რამდენად მისაღები აღმოჩნდება საზოგადოებისთვის მათი შეხედულებები და ხელისუფლებასთან ბრძოლის შემოთავაზებული მეთოდები, მომავალი 3-4 თვე გვიჩვენებს.**

მანჯურიის კანდიდატი

„ჩვენთვის სასიამოვნო მოვლენა გახდა, რომ საქართველო აშშ-ის შიდა პოლიტიკის ნაწილად იქცა. პარტიები ერთმანეთს ჩვენთვის მხარდაჭერის გამოხატვაში ეჯიბრებიან“, — განუცხადა მიხეილ სააკაშვილმა “Berliner Zeitung-ს. თავი დავანებოთ სააკაშვილის მოწადინებას, ყოველივე მისთვის სასურველი რეალობად გამოაცხადოს და უფრო სერიოზულ საკითხზე დავფიქრდეთ: რამდენად კარგია პატარა ქვეყნისთვის აშშ-ის ყურადღების ცენტრში მოქცევა? ამასთანავე, სხვა პრობლემებსაც შევეხოთ; ვინაიდან, ლარის კურსის კონვულსიების ფონზე (ჯერ სად ვართ, გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვთ) ინტერესი გლობალური ფინანსური პროცესების მიმართ ერთობ გაიზარდა და ყველა კითხულობს, რა ხდება ევრო-ზონაში, სად მიიწევს დოლარი და ა.შ., შტატების საგარეო პოლიტიკა ფინანსურ საკითხებთან ერთად განვიხილოთ. იდეაში, ამ ქვეყანასთან მიმართებაში მხოლოდ ეს მეთოდი უნდა გამოვიყენოთ.

ზოგადად, საკუთარი თავის ციტირება მოსაწონი რამ არ არის, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში იგი დაგვჭირდება. გასული წლის სექტემბერი, „საქართველო და მსოფლიო“, წერილი „Back in the USSR?“, ციტატა:

„მთავარი ამოცანები, რომელიც აშშ-ის ხელისუფლების წინაშე დგას:

ა) საფინანსო სისტემის გადატვირთვა, ვალების იმ წარმოუდგენლად დიდი წნეხის ლიკვიდაცია, რომელიც აშშ-ის ეკონომიკის ყველა სუბიექტს (მომხმარებლებს, ბანკებს, კორპორაციებს, ფონდებს, მთავრობას) დაუგროვდა; ყოველ შემთხვევაში, მისი შემცირება იმ ნიშნულამდე, რომელიც სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას შესაძლებელს გახდის;

ბ) ეროვნული ეკონომიკის ბირთვის შენარჩუნება; მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

გ) შტატების მიერ გლობალური ლიდერის პოზიციის შენარჩუნება და გამყარება.

პირველი ორი პუნქტი, სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით, ჰიპერინფლაციის მექანიზმის ამოქმედებას მოითხოვს. მაგრამ მისი წინდაუხედავი ამუშავება მესამე ამოცანის გადაწყვეტას ხელს შეუშლის. თუ სხვა ეკონომიკური ცენტრები სტაბილურობას შეინარჩუნებენ, ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების სისტემიდან ამოვარდება. შესაბამისად, ჰიპერინფლაცია ისეთ პირობებში უნდა დაიწყოს, რომ დოლარსა და მის სამშობლოს, იზოლირების ნაცვლად, გავლენის გაზრდა მოუტანოს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობის შესრულების შემთხვევაში: თუ გარდამავალ პერიოდში შტატებში მდგომარეობა ცუდი იქნება, სხვაგან იგი გაცილებით უარესი უნდა იყოს. აქედან გამომდინარეობს კონკურენტების (ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები, ჩინეთი, რუსეთი, ლათინური ამერიკისა და აზიის ლიდერები) ეკონომიკების დესტაბილიზაციის აუცილებლობა; მეტიც, უშუალოდ ჰიპერინფლაციის დაწყების წინ ისეთი ვითარების შექმნა, როდესაც კაპიტალი ქაოსმოდებული მსოფლიოდან შეერთებულ შტატებში „გაიქცევა“. ამ ეფექტის მიღწევა შესაძლებელია ყველა სახის აქტივებზე ფასების დაწევისა და დოლარის ხელოვნური, მოკლევადიანი რევალვაციის შემთხვევაში, შიდაპოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების რესურსი კი შეერთებულ შტატებს ნამდვილად გააჩნია. კონკურენტი ეკონომიკების დესტაბილიზაცია რამდენიმე ხერხითაა შესაძლებელი, იდეალურ შემთხვევაში, — მათი კომბინაციით: ენერგომომარაგების კრიზისი, გადაზიდვების შეფერხება, შიდა არეულობა, ომი და ა.შ. თუმცა იმისათვის, რომ ჯინი ბოთლიდან ამოვიდეს, საჭიროა საცობის ახდა, კერძოდ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ნაწილობრივი მოშლა, მისი დინამიურ მდგომარეობაში გადაყვანა“ (ციტატის დასასრული).

რა მივიღეთ ამ ვარაუდების გამოთქმიდან ცხრა თვეში, რა ვითარება გვაქვს დღეს? — კრიზისი ევრო-ზონაში, რამდენიმე მწვავე კონფლიქტის კერა (ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, სამკუთხედი თურქეთი-ისრაელი-ირანი), ბენზინზე გამოკიდებული სიტუაცია გლობალური ენერგო-მომარაგებისთვის უმნიშვნელოვანეს რეგიონში — სპარსეთის ყურეში, სირთულეები ჩინეთის ინტერესების ზონაში (ტაივანი, ტაილანდი), მზარდი ქაოსი ავღანეთსა და პაკისტანში და ყოველივე ამასთან ერთად, დოლარის პოზიციების გამყარება და ერთობ გაზრდილი ინტერესი ამერიკული სახაზინო ვალდებულებების მიმართ.

თუ ამ სქემის ფარგლებში დავრჩებით, იოლად გამოსათვლელია, რა გველოდება შემდეგ ეტაპზე, „აშშ-ის გადატვირთვის“ განხილულ (ჰიპოტეტურ) სცენარს ხელს მხოლოდ ის უშლის, რომ სხვა ქვეყნები ყველა ღონეს ხმარობენ მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის და ცდილობენ, კონფლიქტებში არ შეტოპონ. რამდენადაც არ უნდა იყოს დამოკიდებული ესა თუ ის ქვეყანა აშშ-ზე, საკუთარი თავის მტერი არავინაა, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით...

ამას წინათ, ერთი კარგი ფილმი „მანჯურიის კანდიდატი“ (1962-ში გადაღებული, ფრენკ სინატრას მონაწილეობით; 2004 წლის რიმეიკი კი არა) ხელახლა ვნახე. ზედაპირულ კონსპიროლოგიასთან ერთად, ამ ფილმში ბევრი შენიღბული ქვეტექსტია, მთავარი ხაზი კი შემდეგია: ერთი ახალგაზრდა კაცი ფსიქოლოგიური მანიპულაციის მსხვერპლი ხდება და გარკვეულ პირობებში მზად არის, სხვისი ბრძანებები შეასრულოს, მათ შორის, ადამიანები დახოცოს; ამასთანავე, ჰგონია, რომ საჭირო საქმეს აკეთებს.

მიხეილ სააკაშვილსაც ჰგონია, რომ დასავლეთის წინაშე რაღაც განსაკუთრებულ, ლამის ზებუნებრივ მისიას ასრულებს და „აშშ-ის შიდა პოლიტიკის ნაწილიც გახდა“ (სხვათა შორის, ამ აზრს პირველად არ გამოთქვამს). **თანაც,** ფილმის გმირისგან განსხვავებით, რომლის მართვისთვის მთელი შეთქმულების ორგანიზება გახდა საჭირო, **იგი თავს საკუთარი მოქმედებების სისწორეში თავადვე არწმუნებს; ისიც შეუძლია, რომ ნებისმიერი სიგნალი შტატებიდან ისე გაშიფროს, თითქოს იგი მისთვის დადებითი იყოს** (თუ არ ვცდები, მსგავსი პროცესების აღწერისას ფსიქოლოგები სიტყვა **„თვითჰიპნოზს“** ან **„თვითთაგონებას“** იყენებენ).

ეს ზემოთ განხილული სქემის ფარგლებში ფრიად მოსახერხებელია, რადგან საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება რეგიონში დესტაბილიზაციის გამოწვევისკენ ძალიან იოლად უბიძგონ. შეძლებს თუ არა იგი ასეთ შემოთავაზებაზე (თუ გნებავთ, ინსტრუქცია დავარქვათ) **უარის თქმას?** „მანჯურიის კანდიდატს“ ცნობილი ფილმიდან მანიპულატორებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, უბრალოდ, არ შეეძლო.

დიმიტრი მონიავა

საავტორო სვეტი

სააკაშვილმა ბარაკ ობამას იდიოტი უწოდა

„ყველაფერი არის ძლიერ ცუდად“... — ნუ იჩქარებთ და ნუ იტყვით, რომ „ყველაფერი ძლიერ კარგად არის“. მართლა ცუდად არის ჩვენი ქვეყნის საქმე, როცა პრეზიდენტად ისეთი ადამიანი გყავს, „თავკონტროლს“ რომ ვერ უწევს. ასე ხშირად ემართება უადეკვატურეს უავგუსტესს. ამჯერად კი დასტურ გადააჭარბა — მიხეილ სააკაშვილმა აშშ პრეზიდენტს ბარაკ ობამას იდიოტი უწოდა.

პრეზიდენტ სააკაშვილის თვითშთაგონებით „იდიოტური“ გამონათქვამი, რომ სიტუაცია საქართველოში აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას აშშ-ის რუსეთთან ბირთვული თანამშრომლობისთვის, არა ბარაკ ობამას, არამედ რომელიმე ბიუროკრატს ეკუთვნის.

ამის შესახებ სააკაშვილმა თავის „ფისტონჩიკის“ ჟურნალისტებს კი არ უთხრა, გერმანულ ავტორიტეტულ „Berliner Zeitung“-თან ინტერვიუში განაცხადა.

მოდით ჯერ ციტატა ვნახოთ:

„ეს, ალბათ, ბიუროკრატები იყვნენ, რომლებმაც იდიოტური წინადადება (იგულისხმება ბარაკ ჰუსეინ ობამას ზემომოყვანილი განცხადება. — **ავტ.**) **რომელიღაც დოკუმენტში ჩასვეს...“**

იქვე პრეზიდენტი სააკაშვილი იმასაც აცხადებს, რომ აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობაში ცვლილებები არ მომხდარა და დღეს უფრო მეტი თანხმობა არსებობს, ვიდრე წინა ადმინისტრაციის დროს.

ეს ყველაფერი კარგია, კარგი დაგემართოს, მაგრამ პრეზიდენტმა ობამამ 10 მაისს სიტყვასიტყვით ასე ჩაწერა იმ მიმართვაში, რომელიც რუსეთთან ბირთვული ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებასთან ერთად კონგრესს გაუგზავნა:

„ვფიქრობ, რომ სიტუაცია საქართველოში აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას ამ შეთანხმების წინ წაწევისთვის“.

დიახ, ზუსტად ასე — **„აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას“.**

პრეზიდენტი სააკაშვილი იმ **„ბიუროკრატებს“** კი უწოდებს იდიოტებს, რომლებმაც ეს **„იდიოტური წინადადება რომელიღაც დოკუმენტში ჩასვეს“,** მაგრამ ფაქტია, რომ ამ **„რომელიღაც დოკუმენტს“,** ანუ **აშშ კონგრესისადმი მიმართვას ხელს აწერს აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა.** როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტი თავის ამერიკელ კოლეგას, უღრმესი პატივისცემის ნიშნად, „თქვენობით“ მიმართავს და მრავლობითში გულისხმობს.

იქნებ პრეზიდენტ სააკაშვილს ჰგონია, რომ ისეთ სისტემატიზებულ ქვეყანას, როგორიც შეერთებული შტატებია, ერთი ადამიანი მართავს? **სინამდვილეში ბიუროკრატია ყველაფერს წყვეტს და შედეგიც მივიღეთ — სააკაშვილის ინტერვიუს ჯერ კიდევ ოხშივარი ასდიოდა, როცა შევიტყვეთ, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა არასაემიგრაციო ვიზებზე ახალი მოსაკრებელი დააწესა.**

აშშ-ის საელჩოს ინფორმაციით, ყველა სავიზო განმცხადებელს, რომელთაც გასაუბრება 4 ივნისის შემდგომ აქვთ დანიშნული, გასაუბრებაზე გამოცხადებამდე გაზრდილი სავიზო საფასურის გადახდა მოეთხოვებათ.

მოსაკრებლის ოდენობა ვიზის კატეგორიის მიხედვითაა განსაზღვრული — 150-დან 350 დოლარამდე.

საელჩოსავე ინფორმაციით, არასაემიგრაციო ვიზის გაცემის ხარჯები უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებებსა და ტრეფიკინგის აღსაკვეთად მიღებულ დამატებით ზომებთან დაკავშირებით იზრდება. ახალი მოსაკრებლის ოდენობა მომსახურების ღირებულების შესახებ 2009 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზეა დადგენილი. ასეთი რა საოცარი შედეგები მიიღეს ამ „კვლევის საფუძველზე“, რომ „დემოკრატიის შუქურის“ თვალისმომჭრელი ნათებაც არად ჩააგდეს?

აი, ასე, პრეზიდენტი სააკაშვილი პრეზიდენტ ობამას იდიოტს უწოდებს, აშშ-ის ხელისუფლება კი, ვიზების საფასურს გვიძვირებს.

გააძვიროს, თორემ ისე ხომ გაშლილი ხელით გველიან, ანდა ვიზებს უპრობლემოდ იძლევიან, საკონსულოსთან ვიზის მომლოდინე ქართველებს ქანცგაწყვეტამდე ალოდინებენ და მიზეზსაც არ ეუბნებიან, ისე ისტუმრებენ უკან.

თუმცა რაღა მიზეზი და ახსნა სჭირდება, როცა შენი ქვეყნის პრეზიდენტი მათ პრეზიდენტს იდიოტს უწოდებს, ისინიც იდიოტებად გვთვლიან.

ბონდო მჟინარაშვილი

მოკლედ

ეკონომიკის სამინისტრო გამოიჭირეს

პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში სახელმწიფომ სესხის სახით შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფას“ 17 662,5 ათასი ლარი, შპს „ურეხს“ კი 1 413 ათასი ლარი მისცა.

აღნიშნულ სესხებზე დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელება 2008 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა. მონიტორინგი არ განხორციელებულა — ხელშეკრულება დაირღვა, დამრღვევის მიმართ კი სანქციები არ გამოუყენებიათ.

ყველაფერი ალიანსის ბრალია

„მე არ ვითხოვდი გარანტირებულ გამარჯვებას, მაგრამ არასდროს გავხდები გარანტირებული დამარცხების მონაწილე“. „ალიანსი საქართველოსთვის“ უკვე ყოფილი წევრი **კოკა გუნცაძე** ალიანსს „მოდელირებული გამარჯვებისა“ და „გარანტირებული დამარცხების“ უზრუნველყოფას აბრალებს. ახლა ალიანსმა გუნცაძეს უნდა უთხრას, რატომ მოხდა ოპოზიციური თბილისის ხელისუფლებისთვის გადაბარება და რატომ ითვლება ეს არჩევნები დემოკრატიისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად.

ავღანეთის მთავრობა იპარება

ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰანიფ ატმარმა განაცხადა, რომ თალიბანთან მოლაპარაკებების უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ შეუძლია და თანამდებობიდან გადადგა. მინისტრის მსგავსად, გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა უშიშროების ეროვნული დირექტორატის — ავღანეთის შიდა დაზვერვის მეთაურმა ამრულა სალაჰმაც. ქვეყნის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ ორივე თხოვნა დააკმაყოფილა. 2 ივნისს ქაბულში დაწყებული მშვიდობიანი მოლაპარაკებების ჩაშლა თალიბანმა პირველივე დღეს სცადა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

საავტორო სვეტი

ნავთობის წვეთები კავკასიის რუკაზე

საკუთარი ბედი სხვის მილს არ უნდა მიაბა, — საკმაოდ ბანალური პოსტულატია, თუმცა ამავე დროს მეტად აქტუალური. წესით, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე, არანაირად არ უნდა აისახოს ის, რომ სადღაც შორს, მექსიკის ყურეში სანავთობო პლატფორმაზე აფეთქება მოხდა და მას (აშშ-ის ისტორიაში უდიდესი) ეკოლოგიური კატასტროფა მოჰყვა.

თუმცა ის პლატფორმა „British Petroleum“-ს ეკუთვნოდა, ეს კომპანია კი სხვა ავლადიდებასთან ერთად „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ კონსორციუმში 30,1%-იან წილს ფლობს, ხოლო შაჰდენიზის საბადოსა და „ბაქო-თბილისი-ერზრუმში“ — 25,5%-ს. ბოლო დროს „BP“-ს ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნა და გამორიცხული ნამდვილად არაა, ამ წილებმა მფლობელი შეიცვალონ. არა, რასაკვირველია, „BP“ შეიძლება ფენიქსივით ფერფლიდან აღდგეს, ხოლო ვარაუდები მისი მოსალოდნელი კრახის შესახებ მცდარი აღმოჩნდეს, თუმცა დღევანდელი მდგომარეობა ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში კომპანიამ საბაზრო კაპიტალიზაციის მესამედი დაკარგა, მისმა ზარალმა 60 მილიარდ დოლარს მიაღწია. ბანკ „Credit Suisse“-ს ექსპერტებმა გამოთვალეს, რომ ავარიის ლიკვიდაციისთვის 37 მილიარდი დოლარის მობილიზება დასჭირდება. ნავთობი მექსიკის ყურეში კი ისევ იღვრება და ყოველ ახალ დღეს მრავალმილიონნიანი ზარალი მოაქვს. „Fitch“-მა დაწია კომპანიის რეიტინგი „AA“-მდე ნეგატიური პროგნოზით. „Bloomberg“-ი ვარაუდობს, რომ „British Petroleum“-ს მოუწევს, გაყიდოს ზოგიერთი თავისი ყველაზე ღირებული აქტივი, მათ შორის — წილი უდიდეს ამერიკულ საბადო „Prudhoe Bay-ში ალასკაზე; ამასთან, „კონკურენტმა კომპანიებმა შეიძლება სამიზნეში ამოიღონ ის, რაც კომპანიას ეკუთვნის ნავთობით მდიდარ აზერბაიჯანსა და ანგოლაში“.

თეორიულად, მოვლენების უარყოფითი სცენარით განვითარების შემთხვევაში „BP”-ის ჩაყლაპვა „ExxonMobile”-ს, „Shell”-სა და „PetroChina-ს შეუძლია, თუმცა „Financial Times”-ი ვარაუდობს, რომ ამ უკანასკნელის (ჩინური სახელმწიფო კომპანიაა) გეგმებს წინ დახვდება სერიოზული პოლიტიკური წინააღმდეგობა ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში. აშშ-ის პოზიცია, გამოცემის აზრით, ასევე პრობლემებს შეუქმნის კომპანიის ორ ნაწილად გაყოფის სქემის განხორციელებას: (პირობითად) „კარგი BP” და „ცუდი BP”, რომელთაგან პირველი ჩვეულებრივ გააგრძელებს ბიზნესს, ხოლო მეორე მთელ ვადებულებებს აიკიდებს.

ჩვენ ამ პროცესებში, უპირველესად, სამხრეთ კავკასიის პროექტები გვაინტერესებს; დაიკავებენ თუ არა „British Petroleum-ის პოზიციებს (მისი კრახის შემთხვევაში) სხვა ანგლო-ამერიკული კომპანიები, თუ მისი „მემკვიდრეობის“ ამ ნაწილს ჩინური და რუსული კომპანიები დაეპატრონებიან.

ენერგომატარებლების ტრანზიტი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, რუსეთის გვერდის ავლით და მისი (ფორმალურს თუ არ ჩავთვლით) მონაწილეობის გარეშე აშშ-ბრიტანეთის მიერ რეგიონში განხორციელებული პროექტები სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა. შეცდომა იქნებოდა მათი განხილვა მხოლოდ სანავთობო ბიზნესის ჭრილში. ეს გეოპოლიტიკური პროექტებია; თანამედროვე საქართველოს ფუნქცია და მისი განვითარების მთელი ფილოსოფია მნიშვნელოვან წილად მათზეა მიბმული.

სიტუაციის პიკანტურობა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო დროს მომხდარი ცვლილებების ფონზე (იგულისხმება დასავლეთის უკან დახევა პოსტსაბჭოთა სივრციდან, თურქეთის მიმდინარე ტრანსფორმაცია, ახალი რუსული მილსადენები და ა.შ.) **ამერიკელებმა შეიძლება ფორმულაზე „ყველა მინუს რუსეთი“ დაფუძნებული სამხრეთკავკასიური პროექტები საერთოდ მიხურონ; ენერგეტიკულ ასპექტში „British Petroleum-ის სავარაუდო „მემკვიდრეობის“ პრობლემა ამის გაკეთებისთვის საკმაოდ ხელსაყრელ საბაბს იძლევა. ყიდვა-გაყიდვა, გაფორმება-გადაფორმება ამ შემთხვევაში მხოლოდ ტექნიკური დეტალებია, მთავარი გადაწყვეტილების მიღებაა. თუ „BP-ის პოზიციებს რეგიონში, არა ანგლო-ამერიკული, არამედ რუსული ან რუსულ-ევროპული კომპანია დაიკავებს** (ჩინურს თავი რამ დავანებოთ), რეგიონში ძალიან საინტერესო სიტუაცია შეიქმნება.

დღეს ეს ძნელი წარმოსადგენია, თუმცა ამ ბოლო დროს ბევრი ადრე წარმოუდგენელი რამ ხდება. თუ მსგავსი რამ მართლაც მოხდება, ეს საქართველოსთვის და მისი ახალი ელიტისთვის, რომელიც დასავლეთისთვის შესასრულებელი სატრანზიტო ფუნქციის იდეაზე (თუ მითოლოგიაზე?) აღმოცენდა, ისეთ ფუნდამენტურ ცვლილებებს მოასწავებს, რომელთა მასშტაბს დღეს, ალბათ, ვერც წარმოვიდგენთ.

დიმიტრი მონიავა

მუსლიმანური აგრესიული ისლამით გარშემორტყმული საქართველოსთვის

ამ ბოლო კვირაში ახლო აღმოსავლეთში სერიოზული მოვლენები განვითარდა. მათ, შესაძლოა, გამოძახილიც სერიოზული მოჰყვეს და არსებული მყიფე მსოფლიო ბალანსი დაარღვიოს. განსაკუთრებით ეს ეხება ამერიკის (და საქართველოს) ორ უახლოეს სამხედრო პარტნიორს ახლო აღმოსავლეთში, რომლებიც სერიოზული კონფრონტაციისკენ მიილტვიან.

როგორც ცნობილია, 29 მაისს ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული ექვსი გემი (სამი სატვირთო და სამი სამგზავრო), რომელთაც „თავისუფლების ფლოტილია“ ეწოდა, კვიპროსიდან ღაზას სექტორისკენ დაიძრა. სეპარატისტული პალესტინური ტერიტორია, უკვე რამდენიმე წელია, სამხედრო ორგანიზაცია „ჰამასის“ ხელშია, რომელიც არ სცნობს პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციას მაჰმუდ აბასის მეთაურობით და ისრაელთან ყოველდღიურ ომშია ჩართული. **ღაზადან, პრაქტიკულად, ყოველდღე უშვებდნენ რაკეტებს ისრაელის მიმართულებით, ხოლო ისრაელი ამაზე წერტილოვანი დარტყმებით პასუხობდა, რასაც ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.**

დღეს ეს ტერიტორია (ღაზა) თავისი მილიონნახევარი მოსახლეობით მთლიანად ბლოკირებული ჰყავს ისრაელს, ხოლო მისი დასავლეთი საზღვარი, საიდანაც აქ იარაღი შედიოდა, ეგვიპტეს ამ ინცინდენტამდე ჩაკეტილი ჰქონდა და მხოლოდ ისლამურ დღესასწაულებზე აღებდა რამდენიმე დღით. ამ ინცინდენტის შემდეგ კი ეგვიპტემ თავისი საზღვარი ღაზასთან უვადოთ გახსნა. უნდა აღინიშნოს, რომ ღაზა ყველაფერს ისრაელიდან იღებს, ვინაიდან იქ არაფერი იწარმოება; ბლოკადამდე მისი მოსახლეობა დილაობით ისრაელში გადადიოდა სამუშაოდ, ხოლო საღამოობით უკან ბრუნდებოდა.

სეპარატისტების ბლოკადა სულ უფრო მეტ აღშფოთებას იწვევს მსოფლიოში. ამაზე ისრაელი პასუხობს, რომ ის საკმარისად ამარაგებს ამ ტერიტორიას პირველი მოხმარების საგნებით, ელექტროენერგიითა და წყლით. მე კი ეს ბლოკადა მაგონებს სეპარატისტული აფხაზეთის ბლოკადას საქართველოს ხელისუფლების მიერ და რამდენიმე თურქული გემის ჩაძირვასა და დაპატიმრებას.

ამჯერად ფლოტილიას განზრახული ჰქონდა ისრაელის ბლოკადის გარღვევა და ღაზას სექტორში ტვირთის ჩატანა. ამაზე ისრაელის ხელისუფლებამ უპასუხა, რომ ეს ტვირთი ისრაელის რომელიმე პორტში ჩამოეტვირთათ და შემოწმების შემდეგ, თუ იქ იარაღი არ იქნებოდა, მას თვით ისრაელი შეიტანდა ღაზაში; ტერორისტებისა და სეპარატისტების ტერიტორიების ბლოკადის გარღვევას კი ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა.

ამ ფლოტილიის აქტივისტთა დაახლოებით ორ მესამედს თურქები შეადგენდნენ, დანარჩენები მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან იყვნენ. ყველაფერი ტრაგიკულად დამთავრდა – **ისრაელის სამხედროების მიერ ცეცხლის გახსნის შემდეგ ცხრა კაცი დაიღუპა და მრავალი დაიჭრა. დაახლოებით ხუთასამდე აქტივისტი (მათ შორის ოთხასი თურქია) ჯერ ისრაელის ციხეებში მოათავსეს, საიდანაც ისინი ამ დღეებში გაათავისუფლეს და სპეციალური თვითმფრინავებით სტამბულში გადაიყვანეს.**

ამაზე თურქეთმა ელჩის განვევით უპასუხა, ქვეყანაში კი გრანდიოზული დემონსტრაციები დაიწყო ისრაელის წინააღმდეგ. **ევროკავშირმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ისრაელი დაგმო, ხოლო ამერიკა საგონებელში ჩავარდა – ორივე ეს ქვეყანა, ისრაელიცა და თურქეთიც, მისი უახლოესი სამხედრო პარტნიორებია ახლო აღმოსავლეთში და არც ერთის დაკარგვა მას ხელს არ აძლევს, თუმცა ზოგიერთი მიმმოხილველი ობამას ატყობს სიმპატიებს ისლამური ქვეყნების მიმართ.** აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ობამამ ბავშვობა ისლამურ ქვეყნებში (პაკისტანსა და ინდონეზიაში) გაატარა, ხოლო მისი მტრები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ იგი მაჰმადიანია, ყოველ შემთხვევაში, დედამისის მეორე ქმარი ნამდვილად ისლამის მიმდევარი იყო.

ისრაელი პრაქტიკულად გარიყული აღმოჩნდა საერთაშორისო არენაზე და აქ ჩვენ ვამჩნევთ ზოგიერთების მიერ გამოყენებულ ორმაგ სტანდარტს — ის რომ ჰამასი ყოველდღე უშვებდა რაკეტებს ისრაელის მიმართულებით, ეს რაღაც განსაკუთრებულ რეაქციას არ იწვევდა ევროპაში.

მაგრამ მთავარი სენსაცია წინ გველოდა — სკანდალურად ცნობილმა არაბულმა ტელეკომპანია „ალ-ჯაზირამ“ გამოაქვეყნა მისი გადაღებული კადრები, რომელშიც ჩანს, რომ გემის ინსპექტირებისთვის მასზე ასულ ისრაელ მედესანტეებს „მშვიდობის“ აქტივისტებმა კეტებითა და ჯაჭვებით შეუტიეს და ისინი დაატყვევეს. მხოლოდ ამის შემდეგ გახსნეს ცეცხლი ისრაელმა მედესანტეებმა, რასაც ტრაგიკული შედეგები მოჰყვა.

დღეს ევროპისა და ამერიკის ხალხებისათვის ისლამი სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს. თავის საინაუგურაციო სიტყვაში პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოთქვა სურვილი, რომ „გამოინახოს წინსვლის ახალი გზა მუსლიმანი ხალხებისთვის.“ ამავე დროს მან თავდაცვისკენ მოუწოდა უდანაშაულო ხალხებს, რომლებშიც ისლამისტები შიშის დანერგვას და ამ გზით თავიანთი მიზნის მიღწევას ცდილობენ. ობამამ მიმართა იმ ლიდერებს, რომლებიც ცდილობენ კონფლიქტის გაღვივებას და ყველაფერში დასავლეთის საზოგადოებას ადანაშაულებენ.

ევროპასა და ამერიკაში ისლამის მომძლავრებას ექსპერტები ისლამური ქვეყნებიდან სულ უფრო მზარდი ემიგრაციით ხსნიან: თურქეთ-

ამოკლებ

ვადამდელი არჩევნების ოცნება

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხომ ისახელა თავი ჩვენმა ოპოზიციამ და ახლა ახალი იდეებიც აქვთ.

მაგალითად, „ეროვნული საბჭო“ ხელისუფლების შეცვლას ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებით გეგმავს და შემოდგომიდან აქციებს დაიწყებს. ეს საბჭო რომ პრაიმერის გამო შეიქმნა და ახლა კაცმა არ იცის, ვინ დარჩება მასში და ვინ — არა, ამაზე ჯერ არავის უფიქრია. არც იმის გარკვევით გაუცხელებია ვინეს ტვინი, აქციებზე ხელჩაქნეული ხალხი როგორ უნდა მიიტყუონ.

დემოკრატიაზე აგებული დემოკრატია

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვენეციის კომისიის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მონაწილეებს აუწყა, რომ „ქართველმა ხალხმა მტკიცედ გადაწყვიტა დემოკრატიული ქვეყნის აშენება, რომელიც დაფუძნებული იქნება დემოკრატიაზე“.

ახალი მხოლოდ ეს იყო, თორემ საქართველოში ეკონომიკური ზრდა რომ გრძელდება, კორუფციასთან ბრძოლის კუთხით პირველ ადგილზე რომ ვართ და ბიზნესის კეთების მხრივ ევროპაში პირველ ადგილი ჩვენია, ეს ისედაც იცოდნენ.

სასჯელი მკაცრდება

საქართველოს კონტროლის პალატაში მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო აუდიტის უმაღლესი ორგანოს – კონტროლის პალატის და მისი აუდიტორების მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობის ზომები უნდა გამკაცრდეს.

მეორე მოთხოვნის მიხედვით, კონტროლის პალატას კანონით უნდა მიენიჭოს უფლება, საჭიროების შემთხვევაში აუდიტის ჩასატარებლად საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე კომპანია ან კერძო აუდიტორი მოიწვიოს. შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე პარლამენტი იზრუნებს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საფრთხე

ბი — გერმანიაში, შვეიცარიასა და ჰოლანდიაში; მაროკოელები – საფრანგეთში, ესპანეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში; პაკისტანელები — ინგლისში; არაბები — კი ყველგან და ა.შ. კიდევ უფრო სერიოზული სიტუაციაა ამერიკაში — 5 ივნისს ამერიკულმა ტელეარხმა RTVI-მ თავისი მაყურებლების ინტერაქტიული გამოკითხვა მოაწყო და 97%-მა ღიად დაიფიქსირა, რომ ისლამის გავლენა ამერიკაში დღითიდღე იზრდება. და თუ აფროამერიკელების უდიდესი უმრავლესობა ჯერ კიდევ ბაპტისტია (ისინი მათმა ბატონებმა მონათმფლობელობის პერიოდში იძულებით მონათლეს), შავკანიან ახალგაზრდებში სულ უფრო ძლიერი ხდება ისლამისადმი მიდრეკილება.

> რატომ ხდება ეს — მარტო მასობრივი ემიგრაციის ბრალია თუ აგრესიული ისლამური სატელიტური ტელეარხების მაუწყებლობის შედეგია, რომლებიც ღიად მაუწყებლობენ ევროპასა და ამერიკაში — სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. აქ განსაკუთრებით გამოირჩევიან „ალ-მანარი“, რომელიც „ჰეზბოლაჰს“ ეკუთვნის და „ალ-აქსა“, რომელიც „ჰამასის“ საკუთრებაა. ეს ტელეარხები ყოველივე ქრისტიანული ღირებულებების მიმართ სიძულვილს თესენ და მაჰმადიანი იმიგრანტებისა და მათი შვილების რადიკალიზაციას ახდენენ.

ამის მრავალი მაგალითი არსებობს. **თუნდაც ინგლისში „ალ-ქაიდას“ წევრების დაპატიმრება ახალი ტერაქტების მზადებისას, რომლებიც ინგლისში დაბადებული და გაზრდილი პაკისტანური წარმოშობის ახალგაზრდები აღმოჩნდნენ. მაგრამ განსაკუთრებით ძლიერია ეს მუხტი მაროკოელ ემიგრანტებსა და მათ შვილებში; ევროპაში მომხდარი ტერაქტების უმეტესობა სწორედ მათზე მოდის. თუ ამას დავუმატებთ, რომ საფრანგეთის პარლამენტმა ამ დღეებში ბელგიასა და ჰოლანდიას მიბაძა და საზოგადოებრივ ადგილებში ჩადრის ტარება აკრძალა, ახალი დაპირისპირება გარდაუვალია.**

„ჰეზბოლაჰის“ სატელიტური ტელეარხი „ალ-მანარი“ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამანტმა 2006 წელს შეიტანა ტერორისტული ორგანიზაციების სიაში, როგორც **„ტერორისტული ტელეარხი, რომელიც ტერორისტების რეკრუტირებას ახდენს და შესაბამის ინსტრუქციებს გადასცემს“.** ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ტელეარხი ტერორიზმში დაადანაშაულეს. ევროპაში კი საფრანგეთისა და ჰოლანდიის მთავრობებმა თავიანთ პროვაიდერებს ჯერ კიდევ 2004 წელს აუკრძალეს ამ არხის ტრანსლირება, მაგრამ საუდის არაბეთში განთავსებული არაბთა ლიგის სატელიტური „ARABSAT“ და ეგვიპტური „ILESAT“ დღესაც „ალ-მანარის“ ტრანსლირებას ახდენენ და ევროპასა და ამერიკაში დაბადებულ მუსლიმან ახალგაზრდებს გონებას უწამლავენ. მაგალითად, **ბერლინელი ახალგაზრდა მუსლიმანები, რომელთა რაოდენობა, ზოგიერთის აზრით, ლამის მილიონს შეიძლება აღწევდეს, აღიარებენ, რომ, ძირითადად, სწორედ ამ ტელეარხს უცქერიან, მიუხედავად იმისა, რომ თეორიაში მისი ტრანსლირება გერმანიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 2006 წელს აიკრძალა.**

იმავე 2006 წელს, „ალ-მანარის“ წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიის დროს ეთერში გამოჩნდა კიდევ უფრო აგრესიული ფუნდამენტალისტური ისლამური სატელიტური ტელეარხი „ალ-აქსა“, რომლის ოფიციალურ დამფუძნებლად „ჰამასი“ ითვლება, თუმცა გაურკვეველია, რა ფულით და ვინ აფინანსებს მას. ჯერჯერობით ის არ აუკრძალავთ, ვერც ჩაახშობენ, ვინაიდან ზემოდასახელებული არაბული სატელიტების გავლით მაუწყებლობენ.

> კიდევ ერთი საინტერესო დეტალი – **ფრანგულ სატელიტურ ტელეკომპანია „TELSAT“-ს, რომელიც რამდენიმე კოსმოსური სატელიტის მფლობელია, როგორც ჩანს, დიდი ფული გადაუხადეს და ის „ალ-აქსას“ ტრანსლირებას ახდენს. საფრანგეთის მთავრობამ „EUTELSAT“-ს მაუწყებლობის შეწყვეტა უბრძანა, მაგრამ მან ის მხოლოდ ერთ-ერთი თავისი სატელიტიდან გათიშა, დანარჩენი ორი კი კვლავ აგრძელებს მის ტრანსლირებას. არ დაგავიწყდეთ, ეს ის „EUTELSAT“-ია, რომელმაც ჩრდილოეთ კავკასიაზე მიმართული ქართული ტელეარხი „პირველი კავკასიური“ დაბლოკა.**

1999 წელს კოსოვოს ომის დროს ნატოს თვითმფრინავებმა ბელგრადში დაბომბეს სერბეთის საზოგადოებრივი რადიოსა და ტელემაუწყებლობის შტაბ-ბინა. მიუხედავად 16 ჟურნალისტის დაღუპვისა, ნატომ თავისი ნაბიჯი გაამართლა, როგორც მუსლიმანთა წინააღმდეგ სლობოდან მილოშევიჩის პროპაგანდისა და მოწოდებების გასანეიტრალებელი აქცია. აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, თუ რა საშიშროებასა და იარაღს წარმოადგენს მაუწყებლობა ბევრი ხელისუფლების ხელში.

> **ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის შარშანდელი ვიზიტი თათარსტანში ადგილობრივმა ნაციონალისტებმა მათი სეპარატიზმის წახალისებად აღიქვეს. ბევრ ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ თათარსტანი შეიძლება გახდეს ცენტრი რუსეთის ვოლგისპირეთის ისლამიზაციისა და შესაძლო გამოყოფისა. აქ ავტონომიებში ნამდვილად არის ნაციონალისტური მუხტი, ისეთი, როგორიც ჩრდილოეთ კავკასიაში იყო ათიოდე წლის წინათ. მაგრამ, თუ ჩრდილოკავკასიური ნაციონალიზმი თანდათან გადაიზრდება ერთიანი ისლამური ემირატის შექმნის იდეაში, ასეთივე ბედს უწინასწარმეტყველებენ ვოლგისპირეთის ავტონომიებსაც, ანუ თათარსტანს, ბაშკირსტანს, მორდოვას, მარიი ელს, უდმურტეთს. და თუ ბაშკირი თათრები რუსი მეფეების მიერ თავის დროზე მოინათლნენ, მათი ისლამში დაბრუნება არც თუ ისე რთული იქნება. ანალოგიურ პოზიციაში აღმოჩნდებიან მოლდავეთში იქაური მონათლული თათრები – გაგაუზები. ყირიმი კი კვლავ თათრების ხელში გადადის, როგორც იყო საუკუნეების განმავლობაში, ვიდრე ეკატერინე მეორემ არ დაიპყრო ისინი. ხოლო ლუჟკოვის მიერ ყირიმის რუსეთის საკუთრებად გამოცხადება, ჯერჯერობით მხოლოდ რიტორიკის დონეზე რჩება.**

წლეულს არნახული წარმატება ხვდა წილად ფანტასტიკური ჟანრის ამერიკულ მხატრულ ფილმ „ავატარს“. ბრწყინვალე სპეცეფექტებს რომ თავი დავანებოთ, აქ მაინც მთავარი მისი უნიკალური შინაარსია: ამერიკული არმია რომელიღაც პლანეტაზე გადასხდა მის დასაპყრობად, ვინაიდან მისი წიაღისეული აინტერესებს. ხოლო ადგილობრივებთან მათ გეგმებში გასარკვევად აგენტად შეაგზავნიან ამერიკის ელიტარულ საზღვაო ქვეითთა რაზმის წარმომადგენელს. ეს ამერიკელი სულ მალე რწმუნდება, რომ ადგილობრივი ხალხი უფრო მაღალი პრინციპებითაა აღჭურვილი და სულ მალე მათ ააჯანყებს სწორედ ამერიკელების წინააღმდეგ! ისინი იმარჯვებენ და ამერიკელებს იმ პლანეტიდან აძევებენ!!! და ყოველივე ეს ჰოლივუდშია გადაღებული, რაც სულ ცოტა ხნის წინათაც კი წარმოუდგენელი იქნებოდა. საინტერესოა, ამ ადგილობრივ ტომებში ავტორები ავღანელებს გულისხმობენ თუ ერაყელებს?

> **ყველაფერ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, რომელიც ისლამურ სამყაროს ესაზღვრება და ადვილად შეიძლება გარშემორტყმულიც კი იყოს აგრესიული ისლამით. თუ იმასაც გავითვალისწინებით, რომ დღევანდელი რეჟიმის იდეოლოგები „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ განსაკუთრებული სიძულვილით არიან გამსჭვალულნი ქართული, და საერთოდ, მართლმადიდებლური ეკლესიებისადმი, ადვილად გასაგებია, ქართველი ხალხის ამ ერთადერთი დამცავი იდეოლოგიის დასუსტება ხელს თუ ვის აძლევს. აქ დავაზუსტოთ, რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“ იეღოველებს იმიტომ იცავდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია დაესუსტებინა, მაგრამ, როდესაც არაფერი გამოუვიდათ, პირდაპირ პატრიარქის ლანძღვაზე გადავიდნენ.**

თუ მოხდა, რომ ისლამური ქვეყნების რკალში მოქცეულ საქართველოში ჩვენი დედაეკლესია დასუსტდა, ამ შემთხვევაში, ვინაიდან ბუნება ვერ ითმენს სიცარიელეს, ხალხი რომელიმე ახალი სარწმუნოების ძებნას შეუდგება. ის კვლავ ათეიზმს ნამდვილად ვეღარ დაუბრუნდება, იეღოველობა და სხვა რომელიმე სექტა რომ მასიურად გავრცელდეს, ძალიან ძნელად წარმოსადგენია. ასე რომ, ქართველი ხალხის დაჩოქება მის ნამდვილ მტრებს, ალბათ, მისი ისლამიზაციით წარმოუდგენია. ხოლო ვინაიდან ყველაფერი ქართული, ცნობიერება იქნება, შეგნება თუ კულტურა, სწორედ მართლმადიდებლობაზეა დაფუძნებული, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა მომავალს გვიმზადებენ არა ჩრდილოეთიდან, არამედ — სამხრეთიდან.

რამაზ კლიმიაშვილი

აშშ-ში სტალინის ძეგლი დაიდგა

ამ დღეებში ამერიკაში, ვირჯინიის შტატში, ქ. ბედფორდში სტალინის ბიუსტი დადგეს. ამის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა ამერიკულ საიტებზე დაყრდნობით საინფორმაციო პორტალი kavkaz.ge ავრცელებს.



„ჩვენ ვერ შევძლებთ სტალინის ამოშლას ისტორიიდან, ის არ იყო კარგი ახალგაზრდა, მაგრამ ის ამ ყველაფრის ნაწილია,“ – განაცხადა 76 წლის ამერიკელმა უზიბერნ ნორფლიტმა ქ. ბედფორდში (ვირჯინიის შტატი) მდებარე სამხედრო მემორიალური კომპლექსის მონახულებისას, სადაც, აშშ-ში პირველად დაიდგა სტალინის ძეგლი.

> **ამერიკული ქალაქის მემორიალურ პარკში გენერალისიმუსის ბიუსტი მოკავშირეების ნორმანდიაში გადასხმის (ეს ფაქტი 1944 წლის 6 ივნისს მოხდა) წლისთავის წინ დაიდგა. რამდენიმე ვეტერანმა პროტესტი გამოხატა, მაგრამ მეორე ფრონტის ხსოვნის ნაციონალურ ფონდში გადაწყვიტეს, არ გადაეწერათ ისტორია. სტალინის ბიუსტმა ადგილი დაიკავა რუზველტის, ჩერჩილისა და ტრუმენის ბიუსტების გვერდით.**

„ყოველ შემთხვევაში, პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ადამიანი კაცობრიობის ისტორიაში, ვინც ატომური ბომბი ააფეთქა მშვიდობიან ქალაქში, იყო ტრუმენი. — შეგვახსენა ფორუმ.მსკ-ს რედაქტორმა ანატოლი ბარანოვმა, — **ხოლო „ცივი ომი“, რომლის დროსაც იმდენივე ადამიანი დაიღუპა, რამდენიც მეორე მსოფლიო ომის დროს, ოღონდ უფრო ხანგრძლვ პერიოდში, გამოაცხადა ჩერჩილმა. თუმცა ისინი „კარგი ახალგაზრდები“ არიან, სტალინმა კი რამდენიმე ვეტერანის პროტესტი გამოიწვია. ნუთუ ისინი „ესესის“ ვეტერანები არიან? ყოველ შემთხვევაში, აშშ-ის არმიის ვეტერანებს სტალინის მიმართ არანაირი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ, განსხვავებით საბჭოთა ვეტერანებისგან, რომლებსაც, შესაძლოა, რუზველტის მიმართ ჰქონდეთ პრეტენზიები მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურების გამო“,** — ნათქვამია ინფორმაციაში.

საქმე ისაა, რომ საქართველოში, სტალინის სამშობლოში, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია ქალაქ გორში მისი ძეგლის აღება, უარესიც — მის აფეთქებაზეც იყო საუბარი.

ამერიკელებს კი გაეხსნათ გონება, მაგრამ ამას ვერ ვიტყვი ქართველ ანტისტალინელებზე. ბევრიც რომ იხმაურონ, ამ კაცს ისტორიიდან ვერ ამოშლიან. იგი ისტორიის კუთვნილებაა და მისი ძეგლიც მუდმივად იქნება გორში აღმართული.

მაგრამ არის მეორე ვარიანტიც. საქართველო ხომ მოდას აყოლილი ქვეყანაა და, რახან ამერიკაში დადგეს სტალინის ძეგლი, შეიძლება ჩვენთანაც დადგან ახალი.

> **სტალინის ბიუსტი ამერიკელებმა ჰიტლერზე გამარჯვების პარკში დადგეს. იქვეა უინსტონ ჩერჩილის, ფრანკლინ რუზველტისა და ჰარი ტრუმენის ძეგლებიც.**

ტრუმენმა, კაცობრიობის ისტორიაში პირველმა და ერთადერთმა, გამოიყენა ატომური იარაღი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მაგრამ ამერიკელებს თავიანთ პრეზიდენტზე უარი არ უთქვამთ.

ხალხი ბრბოა, მაგრამ დარაზმული და ორგანიზებული ხალხი დიდი ძალაა. გადამწყვეტიც კი. ხალხს სჭირდება დამრაზმავი, წინამძღოლი, ლიდერი — პოლიტიკური ან სამხედრო. დიდი სამამულო ომის პერიოდში ასეთი იყო იოსებ სტალინი, დიდი ქართველი, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ომში გაიმარჯვა.

მაგდა კლდიაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

რეზინის ხელკეტიდან «ბიულეტენთა მბრძანებლამდე»

XX საუკუნის უდიდესი თურქი მწერლისა და პუბლიცისტის, აზიზ ნესინის ცნობილი ნოველა „მე — რეზინის ხელკეტი“ იმჟამინდელ თურქეთში გამეფებულ პოლიტიკურ შემგუებლობასა და სოციალურ მანკიერებებს ასახავს. ამავე ნაწარმოების მცირე თუ სრულად პერიფრაზირებული ვარიანტით კი (სათაურით „მე „ნაცმოელთა“ ბელადი ვარ“) თქვენთვის ავად თუ კარგად ნაცნობ იმ უძლეველ, უალტერნატივო „ლომჭაბუკზე“ მოგითხრობთ, რომლის დიქტატურის ქვეშ მგმინავმა ჩვენმა საზოგადოებამ, დიდი ხანია, იგივე ნესინის მიერ გაშარჟებულ პოლიტიკურ შემგუებლობაში, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, „ჩმორობაში“ ყველა დროის რეკორდი პირწმინდად მოხსნა... განსჯას, შეფასებებსა და იმას, თუ რამდენად შეესაბამება, თუნდაც ასოციაციურად, „ნაცმოძრაობის“ ბელადის კულტს „რეზინის ხელკეტი“ და ქართველობისთვის კარგად ნაცნობი მისი „საკაცობრიო მნიშვნელობა“, ბუნებრივია, თქვენვე მოგანდობთ, ძვირფასო მკითხველო. ასე რომ, მოემზადეთ, თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს ნაწარმოების ორი ვერსია, თვალსაჩინოებისა და მეტი დამაჯერებლობისათვის კი ჯერ, რა თქმა უნდა, ორიგინალურ ვარიანტს შემოგთავაზებთ, შემდეგ კი მეორე — „ვარდოსანთა“ მამამთავრისეულ ვარიანტს. მაშ ასე:

აზიზ ნესინი
მე — რეზინის ხელკეტი

მე რეზინის ხელკეტი ვარ! ამერიკელი. ჩემამდე ამერიკიდან აქ ჯერ დემოკრატია ჩამოვიდა, მერე — „ჯიპი“, შემდეგ კი — რეზინის ხელკეტი, ანუ მე. ჩვენ, ორივე, „ჯიპიც“ და მეც, აქ ჩამოტანილი დემოკრატიის მიერ გაკვალულ გზას მოვუყვებოდით.

მე რეზინის ხელკეტი ვარ! თქვენთან ამერიკულ დახმარებასთან ერთად შემოვაღწიე, ამერიკული ხელგაშლილობით! ახალ ადგილას მალე დავმკვიდრდი, ჯერ ქვეშევრდომი გავხდი, მერე მბრძანებლად ვიქეცი. სირთულეები ყველგანაა და ყოველთვის. შეიძლება ავტომანქანის საბურავი გაფუჭდეს ან სათადარიგო ნაწილი დაგჭირდეს. ჰოდა, მეც უმალ იქ გავჩნდები. ჩემთან დაბრკოლებები ნუ შეგაშინებს, მე ყოველთვის თავზესაყრელი ვარ.

მე რეზინის ხელკეტი ვარ! უწინ აქ კბილის ჯაგრისიც არ მოიძებნებოდა, მის ნაცვლად კბილის საწმენდ ჩხირს იყენებდნენ. ჩემს გამოჩენამდე სპილოს ძარღვით შოლტავდნენ, შემდეგ სპილოს ძარღვი აკრძალეს.

მე რეზინის ხელკეტი ვარ! ნახშირივით შავი, მაგრამ რბილზე რბილი, ოღონდ — მიფრთხილდით. ჩემამდე ხელისუფლება მუხისა და ასკილის ხელკეტებს იყენებდა, მსხვერპლს ისინიც კი თანაუგრძნობდნენ — იმტვრეოდნენ. მე ვერასდროს გამტეხ. გამოცდილი პოლიტიკოსივით შავი და რბილი ვარ, ვიხრები, ვიღუნები, მაგრამ არ ვტყდები.

მე რეზინის ხელკეტი ვარ! მათ, ვინც საკუთარ თავს არ იცნობს, ჩემი და საკუთარი თავის შეცნობის სიამოვნებას ვგვრი. პოლიციელი ხელში მათამაშებს, მის ქამარზე ვკონწიალებ. უმაქნისობისას კარის საგდულზე შავი, საზარელი მახრჩობელა გველივით ვკიდივარ.

მე რეზინის ხელკეტი ვარ! მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენა – დიახ, ეს მე ვარ. ამბობენ, არსებობს რაღაც ატომი, რაღაც წყალბადის ბომბზეც ლაპარაკობენ, მაგრამ ისინი ჩემთან რას მოვლენ. მე ხომ დამოკლეს მახვილივით დაგცქერით, თავისუფლება კი ჩემს ჩრდილში თვლემს!

მე რეზინის ხელკეტი ვარ. დარტყმისას განუმეორებელ ხმას გამოვცემ. ხალხებსა და ადამიანებს ვასევდიანებ. ჩემს დანახვაზე მუნჯიც კი ენას იდგამს, ყვავი თუთიყუშობს, ენაბრგვილი იადონივით გალობს. გამომძიებელზე ადრე დავკითხავ. ჩემ წინაშე გაწვრთნილი მაიმუნივით იმანჭებით. ლაპარაკს გიბრძანებთ და აჭიკჭიკდებით. გაჩუმებას გიბრძანებთ და დადუმდებით. ალაჰსაც რომ მოუხმოთ, თქვენს კვნესას ვერ გამაგონებთ. სხეული მაქვს, მაგრამ ბრმა, ყრუ-მუნჯი და უგულო ვარ.

მე რეზინის ხელკეტი ვარ! მე ვარბევ მათ, ვისაც თავშეყრა სურს. ეს მე შევაყენებ ყალყზე თავისუფლებას და მე ვიცავ დემოკრატიას. ჰეი, ადამიანებო, მე დასტურ რეზინის ხელკეტი ვარ! იცოდეთ და გახსოვდეთ: თუ დღეს თქვენს მეზობელს გადავეწნები ზურგზე, თქვენ კი ტკივილს ვერ იგრძნობთ, ხვალ თქვენი ჯერი დადგება! როცა დღეს ვინმეს ვურტყამ, თქვენ კი წამოიძახებთ: „იგი დაიღუპა!“, იცოდეთ, რომ ხვალ თქვენზეც იტყვიან: „ისინი დაიღუპნენ!“. ის, ვინც დღეს არხეინად ტკბება სიცოცხლით, ხვალ ჩემგან ცემა-ტყეპის პრივილეგიას მოიმკის. მე ვიცი, როგორ უნდა გამოგიბერტყოთ თავები. ასეთი დავიბადე და იმიტომ. მე რეზინის ხელკეტი ვარ!

მე, მიხეილ სააკაშვილი
აზიზ ნესინის ნოველის «მე — რეზინის ხელკეტი» მიხედვით

მე „ნაცმოძრაობის“ ბელადი ვარ, ამერიკიდან წლების წინათ რევოლუციონერი მხსნელის ნიღბით ჩამოსული... ჩემამდე იქიდან ჯერ დემოკრატია ჩამოვიდა, შემდეგ — ჭრელა-ჭრელა ბიულეტენები, დემოკრატიის სახელით არჩევნების ილუზიის შესაქმნელად, ჩვენ ორივე — საარჩევნო ბიულეტენებიც და მეც, აქ ჩვენი ოკეანისგაღმიდან ყურით ჩამოთრეული დემოკრატიის ნაკვალევს მოვუყვებოდით. ამან დიდ წარმატებამდე მიგვიყვანა ორივე.

მე „ნაცმოძრაობის“ ბელადი და საარჩევნო ბიულეტენების, მრისხანე მბრძანებელი ვარ. თქვენთან ამერიკულ დახმარებასთან — წყალთან და პამპერსებთან ერთად შემოვაღწიე. აქაურობას მალე შევეჩვიე, ჯერ ქვეშევრდომი გავხდი, შემდეგ კი ხეზე ასვლაც ვისწავლე და მალე იქიდან ჩემს მასწავლებელსაც სკუპი ვაქნევინე...

ვიცი, მაშინ ჩემს მომღიმარ პირისახეზე და სიცრუისგან მუგუზალივით ანთებულ თვალის გუგებში დიდი ასოებით ამოტვიფრულ სიტყვა „დემოკრატიას“ კითხულობდით, თუმცა, ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით. ის, რასაც ჩემგან მოელოდით, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ფუჭი ოცნება იყო და ამას, საბედნიეროდ, დღესაც ვერ აცნობიერებთ.

დღეს მე უკვე ბელადი და ბიულეტენების (იგივე ხმათა) მბრძანებელი ვარ. მთელი ძალაუფლება ჩემია და ქვეყანას ისე ვატრიალებ, როგორც მომეპრიანება.

აბა, სცადეთ და წამართვით ეს ძალაუფლება. გგონიათ, ადვილად დაგითმობთ?!

ნურას უკაცრავად, როგორც გითხარით, ყველაფერი ჩემს ნება-სურვილზეა დამოკიდებული და, თუ მომინდება, თბილისის მერად არათუ გიგი უგულავას, არამედ ავსტრალიიდან პირდაპირი რეისით ჩამოყვანილ კენგურუს ან სულაც პრჟევალსკის ცხენის მამინაცვალს „აბარჩევინებთ“.

დიახ, მე ეს შემიძლია, იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობის“ ბელადი ვარ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ უწინ აქ კბილის ჯაგრისიც არ მოიძებნებოდა, დღეს კი, როგორც არასდროს, ქვეყანა დღითიდღე ვითარდება და სულ უფრო ვუახლოვდებით ჩვენს საყვარელ ევრო-ამერიკულ სტრუქტურებს. სხვა ვინ შეძლებდა ამას, თუ არა ისევ მე — ნომერ პირველი „ბიულეტენთუხუცესი“ და ბელადი ბელადთა შორის?!

დაფიქრდით და ვინც დღეს ჩემს გვერდით დგომას უჭკუო ოპოზიციონერთა მხარდაჭერას ამჯობინებთ, მიხვდებით, რომ საქართველოს ერთადერთი მომავალი მე ვარ, ნათელი თუ ბნელი, რას დაეძებთ, მთავარია, რომ ერთადერთი და შეუცვლელი ვარ; თუმცა არა მხოლოდ თქვენთვის ვარ ასეთი, არამედ ზოგადად — კაცობრიობისთვის...

მე, როგორც „ნაცმოძრაობის“ ბელადი ადრე თუ გვიან ჩვენი საუკუნის უდიდეს აღმოჩენად ჩავითვლები, დიახ, აუცილებლად ჩავითვლები; იმიტომ, რომ ძალაუფლების სიმბოლო ვარ, იმიტომ, რომ განუსაზღვრელია ჩემი, როგორც „ნაცმოელთა“ თავკაცის, როლი ქვეყნისა და კაცთმოდგმის საერთო კეთილდღეობის საქმეში... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმას მაინც ხომ ხედავთ, რომ დამოკლეს მახვილივით მუდამ თქვენს თავზემოთ ვკიდივარ, თქვენი და თქვენი შვილების თავისუფლება კი, თქვენივე მომავალთან ერთად ჩემს უშველებელ ჩრდილში თვლემს?!

რა თქმა უნდა, თქვენ ამას ხედავთ, მაგრამ ხმას ვერ იღებთ, ვინაიდან, რაც უფრო მეტს იყაყანებთ, იყიყინებთ და იყროყინებთ, მით უფრო გავბრაზდები მე — „ნაცმოელთა“ ბელადი, მით უფრო მრისხანე იქნება აღტკინება ჩემი, შოლტი კი, რომელსაც თქვენი ტყავგამძვრალი ზურგები იგემებენ, უფრო და უფრო მწვავედ გაგრძნობინებთ შეწუხებული ბელადის ძალასა და უნიკალურობას.

მე „ნაცმოძრაობის“ ბელადი ვარ, ხალხებსა და ადამიანებს სამუდამოდ ვასევდიანებ, სიცოცხლის წყურვილს ვუკლავ და ვასუფთავებ ყოველგვარი ზნეობრივი ნორმებისგან. ჩემს დანახვაზე მუნჯიც კი ენას იდგამს, თუთიყუში იადონივით გალობას იწყებს. ჩემ წინაშე გაწვრთნილი მაიმუნივით იმანჭება ყველა და ყველაფერი, რადგან შიში და ძრწოლა მუდმივად თან სდევს ჩემს დიდ სახელს, რომლის უდიერად ხსენებაც სიკვდილს უქადის რიგით მოკვდავთ.

მე ისიც ვიცი, რომ ყოველივე ამის გამო უგულო და შეუბრალებელი გგონივართ, მაგრამ რა ვქნა, გულის სიღრმეში მაინც მჯერა იმ ძველი სიბრძნის, რომელიც გვასწავლის: „შიში შეიქმს სიყვარულსაო“. ამიტომაც ვარ ასეთი სასტიკი და ულმობელი, ამიტომაც არის, რომ, რაც უნდა იკვნესოთ, თუნდაც ქრისტე მაცხოვარს მოუხმოთ, თქვენს გასაჭირს ჩემს ყურებამდე ვერ მოიტანთ...

მე „ნაცმოძრაობის“ ბელადი ვარ! მე ვარბევ მათ, ვისაც თავშეყრა სურს, შევაყენებ და თითზე დავიხვევ თავისუფლებას, ბოლოს კი საერთოდ დაგივიწყებთ, რომ არსებობთ.

ჰეი, თქვენ, ადამიანებო, მე დასტურ „ნაცმოძრაობის“ ბელადი ვარ! სულ ცალ ფეხზე მკიდია, მოგწონვართ თუ არა. ასე რომ, იცოდეთ და გახსოვდეთ: თუ დღეს ჩემმა დამქაშებმა თქვენს მეზობელს თავყბა დაუნგრიეს, თქვენ კი ტკივილს ვერ გრძნობთ, ხვალ თქვენი ჯერი დადგება; ის, ვინც დღეს არხეინად ტკბება სიცოცხლით, ხვალ ჩემგან აუცილებლად ცემა-ტყეპის პრივილეგიას მოიმკის. მე ვიცი, როგორ უნდა გამოგიბერტყოთ თავები, ასეთი დავიბადე და იმიტომ.

მე „ნაცმოძრაობის“ ბელადი ვარ!..

მოამზადა **ჯაბა ჟვანიამ**

P.S. აზიზ ნესინი რომ XXI საუკუნის მწერალი ყოფილიყო, უსათუოდ ვიფიქრებდით, რომ ეს ნოველა („მე — რეზინის ხელკეტი“) მან ჩვენს ქვეყანას და დღესდღეობით აქ არსებულ პოლიტიკურ ვითარებას მიუძღვნა, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საქმე მხოლოდ ჩვეულებრივ დამთხვევასთან გვაქვს. დიახ, მწერლის მონოლოგი სრულიად შემთხვევით მოერგო ჩვენს დღევანდელ რეალობას, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არც აქვს, მთავარი და ჩვენთვის გულსაკლავი ის არის, რომ მის „რეზინის ხელკეტსა“ და „ნაცმოძრაობის“ ბელადს შორის მსგავსება უსაშველოდ დიდია, იმდენად დიდი, რომ საკმარისია, ნოველას თვალი გადაავლო, თვალწინ საცურაო აუზში ტანსაცმლიანად გადახტომის მსურველი ორმეტრიანი გიჟი დაგიდგება, რომელიც არც იმის თქმას თაკილობს, „ჭკუა კი არ დამიშლისო“...

აი, სწორედ ესაა ჩვენი მოთქმა-გოდების საფუძველი, რაც მარადჟამ გვაწუხებს, გვტკივა და რაზეც კიდევ ერთხელ მიგვანიშნა აზიზ ნესინის ამ უკვდავმა ნოველამ „მე — რეზინის ხელკეტი“...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ჯუმბერ პატიაშვილი:

დრო გვაჩვენა, რომ ვცდებოდი!

ჯუმბერ პატიაშვილი ისე წავიდა დიდი პოლიტიკიდან, რომ არც კარი გაუჯახუნებია და არც დაგვმუქრებია — უჩემოდ ჯოჯოხეთის გეენაში ჩავარდებითო. არადა, გვახსოვს ბევრისგან ასეთი „დალოცვის“ ხიბლი და შედეგი.

— რატომ, ბატონო ჯუმბერ? თითქოს ყველაფერი ხელს გიწყობდათ — სახელიც, გამოცდილებაც, პროფესიონალიზმიც, რწმენაც და პოზიციაც, წარმატებულ პოლიტიკოსად რომ დარჩენილიყავით. რატომ თქვით უარი ასეთ პერსპექტივაზე?

— თუ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობიდან ჩემს გადადგომაზე მეკითხებით, ეს განპირობებული იყო ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით.

არაერთხელ მითქვამს, რომ თანამდებობიდან წასვლა მანამდეც მინდოდა, რადგან ვხედავდი, რომ ჩვენი საზოგადოებრიობის გარკვეული ნაწილი, ის მოძრაობა, რომელიც მაშინ გააქტიურებული იყო, არ ითვალისწინებდა იმდროინდელ რეალიებს, არ ემორჩილებოდა საღ აზრს, არ აფასებდა იმ ძალას, რომელსაც უპირისპირდებოდა და რომელმაც 9 აპრილის ტრაგედია დაგვატეხა თავს.

9 აპრილის დილის ექვს საათზე შევკრიბე ცეკას ბიუროს წევრები და გამოვუცხადე, რომ ვტოვებ თანამდებობას.

9 აპრილის კვალზე თბილისში ჩამოსულმა შევარდნაძემ და რაზუმოვსკიმ განმიცხადეს, რომ ამის უფლება არ მქონდა.

მოკლედ რომ ვთქვა, რამდენიმე დღეში გამართულმა ცეკას პლენუმმა დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა გადადგომის თაობაზე.

> დღესაც მიმაჩნია, რომ დიდი პოლიტიკიდან ჩემი წასვლა ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო, რითაც ქვეყანა გამოვიდოდა ძნელი მდგომარეობიდან, ობიექტურად შეფასდებოდა პრობლემები და დაისახებოდა მშვიდობიანი გზა სსრ კავშირიდან საქართველოს გამოსასვლელად.

— მაგრამ შემდეგ თქვენ კვლავ ბრუნდებით პოლიტიკაში, ხდებით დეპუტატი — სამგზის, კენჭს იყრით პრეზიდენტობაზე და საბოლოოდ თავს ანებებთ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

— დეპუტატობა თვითმიზანი არ ყოფილა. გადავწყვიტე, ჩავრთულიყავი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან იმ ურთულეს პერიოდში განზე გადგომა ღალატი იქნებოდა.

— დღეს რა, უკეთესად გვაქვს საქმე?

— არა, რა თქმა უნდა.

— მაშ, რატომ არ იყარეთ კენჭი დეპუტატობაზე?

— იმიტომ, რომ საკმარისი გამოცდილება დამიგროვდა არჩევნებში მონაწილეობის და დავინახე, რომ ეს თავისთავად დემოკრატიული პროცესი, რომელიც ხალხის ნების გამოხატვის საშუალებაა, მმართველი პარტიის დამკვიდრების საშუალებად იქცა.

— შეიძლება, უფრო კონკრეტულად?

— პირველად გაყალბების პირისპირ 1995 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს აღმოვჩნდი. ეს იყო არნახული მასშტაბის გაყალბება. დღეს შეიძლება დაგვიანებულიც კია ამაზე საუბარი, მაგრამ ამ გაყალბების კონკრეტული მასალები — დეტალური, უბნების მიხედვით, პროკურატურისთვისაა გადაცემული და, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის თანდასწრებით პლენარულ სხდომაზე გადავეცი პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს, დღემდე რეაგირების გარეშეა დატოვებული.

იმდროინდელი სიყალბეების დადგენა და გამომზეურება ჩემს პერსპექტივას, ცხადია, არ წაადგებოდა, მაგრამ გარკვეულწილად ხელს შეუწყობდა საარჩევნო გარემოს დაწმენდას, არ გამეორდებოდა ის უხეში დარღვევები, რასაც ადამიანების დაყაჩაღებას ვუწოდებდი, ხმების წართმევა-წაგლეჯას.

არც ამ არჩევნებს, არც მომდევნოს შეფასება არ მიეცა, გამყალბებლებს პასუხი არ მოვთხოვეთ.

ამის გამოა, რომ დღეისთვის შექმნილია და მოქმედებს გაყალბების მყარი სისტემა. ხოლო მისი შემქმნელები შესანიშნავად გრძნობენ თავს...

— ოთხი წლის წინათ, როცა თქვენ ჯერ კიდევ დეპუტატი იყავით, გაზეთ „არგუმენტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვით, რომ გული აგიცრუვდათ ამ ხელისუფლებაზე, მის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაზე, კრიტიკულად ხართ განწყობილი მიხეილ სააკაშვილის მმართველობის მიმართ. მაგრამ როგორ მოხდა, რომ სწორედ „მის ტალღაზე“, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაუბრუნდით პარლამენტს?

ან რამ მოგხიბლათ, ან რატომ დაუპირისპირდით?

— 2003 წლის არჩევნების პერიოდში ჩვენს პოლიტიკურ გაერთიანებას — „ერთობას“ ჰქონდა კონტაქტები „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“, რაც განპირობებული იყო ყავლგასულ და კორუმპირებულ ხელისუფლებასთან ბრძოლის, შექმნილი სისტემის დემონტაჟის აუცილებლობით. ქვეყნის ეკონომიკა განადგურებული იყო, სოციალური პირობები — უმძიმესი.

მიხეილ სააკაშვილი, ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც არსებული რეჟიმის კრიტიკითა და გაბედულებით გამოირჩეოდა, ჩავთვალე, რომ შედეგიანად შეებრძოლებოდა კორუფციას, დამნაშავეობას, კრიმინალურ თარეშს და ამიტომ დავდექი მის მხარეს.

შევარდნაძის გადადგომის შემდეგ ჩვენს გაერთიანებაში იყო მსჯელობა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიმეღო მონაწილეობა. მე, რასაკვირველია, უარი განვაცხადე და პირველმა მხარი დავუჭირე სააკაშვილს.

> ამის გამო ძალიან დიდი უთანხმოება მომივიდა ჩვენს გაერთიანებაში. ჩემი მეგობრები, კოლეგები, ვისთანაც წლების განმავლობაში ვმუშაობდი, უკმაყოფილონი დარჩნენ ჩემი გადაწყვეტილებით. ბევრი მათგანი დავკარგე კიდეც, წავიდნენ პარტიიდან.

მათ შორის იყო ალექსანდრე ჭაჭია, ჩვენი გაერთიანების იდეოლოგი და შესანიშნავი ორგანიზატორი, საქმის ერთგული, ნათელი პიროვნება. მან საკმაოდ უარყოფითად შეაფასა ჩემი მოქმედება. სხვათაშორის მისი პრინციპულობა ამ ფაქტშიც გამოჩნდა.

იმ მომენტში მე ჩემი რწმენით ვხელმძღვანელობდი, იგი — თავისი პრინციპებით.

სააკაშვილის პოპულარობა იმხანად უმაღლეს ნიშნულამდე იყო ასული და მასთან ჭიდილი ჩემთვის უშედეგოდ რომ დამთავრდებოდა, აშკარა იყო.

კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა მას — ახალგაზრდა იყო, ენერგიით სავსე, რაც, მოგეხსენებათ, ასე აუცილებელია ბრძოლისთვის და რეფორმების განსახორციელებლად.

მაგრამ დრომ გვაჩვენა, რომ ვცდებოდი. და ყველაზე მკაფიოდ ეს გამოჩნდა ერთ უმთავრეს საკითხში, რომელიც არა მარტო უგულებელყო მან, არამედ აბსოლუტურად საწინააღმდეგო მიმართულებით იწყო სვლა.

> **1995 წლის საარჩევნო კამპანიის პერიოდში ჩემს პროგრამაში ჩაწერილი მქონდა, რომ საქართველო არ უნდა გადაიქცეს აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად.**

> **საქართველომ ყველასთან უნდა დაამყაროს ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, მათ შორის და უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ფედერაციასთან, მაგრამ არა — შეერთებულ შტატებთან დაპირისპირების ხარჯზე.**

სააკაშვილის წინასაარჩევნო პროგრამაშიც იყო ლაპარაკი რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ისე ცალმხრივად წარმართა საგარეო პოლიტიკა, რომ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მივიღეთ, ტრაგიკული შედეგი.

თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა, საქართველოს არაფერი ეშველება.

— გამოდის, რომ სააკაშვილის გამო თქვენთან დაპირისპირებული თანამებრძოლები მართლები აღმოჩნდნენ. რით დამთავრდა თქვენ შორის წარმოქმნილი განხეთქილება?

— განხეთქილება კი არა, ერთგვარი დაშორება იყო. ჩვენ შორის ნორმალური ურთიერთობაა — ადამიანური, მოქალაქეობრივი. ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება ამჟამად აქტიურობით არ გამოირჩევა. მიზეზი სხვადასხვაა, თუმცა არსებობს ყველა შესაძლებლობა, რათა ჩვენს საერთო პრინციპებზე ავაგოთ მომავალი საქმიანობა.

— მაგრამ ამ პრინციპებში უთუოდ არ იგულისხმება თანამშრომლობა სააკაშვილთან...

— რა თქმა უნდა, არა. გორში მაჟორიტარად რომ ამირჩიეს, იმ ფარგლებში, რის შესაძლებლობასაც ერთი რაიონი იძლევა, განვაგრძობდი მუშაობას მეზობელ რუსეთთან თანამშრომლობის ნორმალიზაციის მიმართულებით. თქვენი მკითხველები დამეთანხმებიან, რომ ისეთი დიდი და უნიკალური სივრცე — ბაზარი, როგორიც რუსეთია, მსოფლიოში არ არსებობს. ამ ბაზარში დაბრუნება შიდა ქართლის რეგიონისთვის, უპირველეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების თვალსაზრისით, აუცილებელზე აუცილებელი საქმეა.

> ჩვენი ხელისუფლების სიბეცე კიდევ ერთ საკითხში გაცხადდა — სტალინის პიროვნებისადმი დამოკიდებულების საკითხში. მაშინ, როცა ისეთი უდიდესი სახელმწიფო, როგორიც ჩინეთია, განსაკუთრებულადაა დაინტერესებული ამ მასშტაბური პიროვნების სამშობლოსთან დაახლოებით, ჩვენი ხელისუფლება მისი სახსენებლის ამოძირკვას ცდილობს. მჭიდრო კავშირი გვქონდა ჩინეთის ელჩთან საქართველოში, გადაწყვეტილი იყო მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის, ელექტროსადგურის მშენებლობა მათი დახმარებით, ბევრი სხვა სასიკეთო საქმე, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკიც არ არის.

— თქვენ ხშირად გეკითხებოდნენ, ნაციონალებისთვის მხარდაჭერა ხომ არ იყო ნაკარნახევი შევარდნაძეზე რევანშის აღების სურვილით?

ეს ერთი, და მეორე: განვლილმა დრომ, წლებმა, რომლებიც თქვენც და მასაც მოგემატათ, ხომ არ გაანელა ამ დაპირისპირების სიმწვავე?

— არ ვთვლი, რომ „ნაციონალებთან“ დაახლოება განპირობებული იყო რევანშის სურვილით. „ნაციონალები“ არ არსებობდნენ, როცა იძულებული გავხდი, დავპირისპირებოდი შევარდნაძეს, თანაც არა პიროვნულად, არამედ იმ მიუღებელი მმართველობის გამო, რომელმაც გაანადგა ქვეყანა, და რასაც, ისევე, როგორც თავის დროზე 9 აპრილს, სამოქალაქო ომს, შემდგომ ეტაპებს შეფასება არ მივეცით. პოლიტიკური პროცესების შეუფასებლობას, როგოც წესი, განუკითხაობამდე, ქაოსამდე მივყავართ.

შეუცდომელი არავინაა. მაგრამ პასუხი ყველას უნდა მოეკითხოს. მათ შორის, — მეც.

— როგორც ვიცი, 2007 წელს თქვენ განცხადებით მიმართეთ იმ დროს პარლამენტის თავმჯდომარეს — ნინო ბურჯანაძეს, რათა საარჩევნო პროცესში დაშვებული უზუსტობების, გაყალბებისა და, რიგ შემთხვევებში, ჩადენილი კრიმინალური ფაქტებისთვის შესაბამისი სამსახურებისგან სამართლებრივი შეფასება მოეთხოვა.

— ამით მინდოდა ფართო საზოგადოებრიობისთვის, საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის შემეხსენებინა ის დამახინჯებანი, რომლებმაც ფესვი გაიდგა ჩვენს საარჩევნო სისტემაში; შემეხსენებინა, რომ მათი აღმოფხვრის გარეშე წარმოუდგენელია საქართველოში დემოკრატიულ განვითარებაზე ფიქრიც კი. ვთხოვდი, რომ პარლამენტს მიეცა შეფასება ამგვარი ნეგატივიზმისთვის. პასუხი ვერ მივიღე. ამასობაში გაყალბების ეს მახინჯი სისტემა დახვეწეს, უფრო გააბინძურეს და რა?.. შედეგი, რომელიც მივიღეთ, დღეს ყველასთვის ნათელია.

— მიგაჩნიათ, რომ არჩევნების გაყალბების მექანიზმის შემქმნელებს ოდესმე მოეკითხებათ? სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ცხონებულმა ზურაბ ჟვანიამ აღიარა, რომ ყველა საარჩევნო კამპანია, რომელიც ახალ პირობებში ჩატარდა, გაყალბებული იყო.

აღიარა, მაგრამ არაფერი შეცვლილა.

— ჯერ იმას გეტყვით, რომ არ მჯერა, არჩევნებში დამკვირვებლად ჩამოსული უცხოელები ჩვენზე უფრო დიდი გულშემატკივრები იყვნენ საქართველოსი. მაგრამ ჩვენ მაინც იმათ შევციცინებთ თვალებში.

შეურაცხმყოფელია ეს ჩვენთვის.

არჩევნების გაყალბების სისტემამ გამოიწვია ჩვენი საზოგადოებრიობის არნახული დაპირისპირება, გახლეჩა. ყალიბდება ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ერთობა, რომელიც საზოგადოებრიობა, მით უფრო, ქართული არ არის. არა და იყო, მიუხედავად „ტოტალიტარული“ ისტორიისა.

ვითომ ესაა დემოკრატია?! ამისთვის ვზრდით და ვამზადებთ მომავალ თაობას?!

ასეთი გამხრწნელი სისტემის ავტორები, თანაავტორები, შემსრულებლები დღესაც ხელისუფლებაში რომ არიან, ვინ უნდა მოსთხოვოს მათ პასუხი?!

> ზურაბ ჟვანიამ აღიარა, მაგრამ მანამდე სააკაშვილმა მე და რამდენიმე ჩვენს მეგობარს სიტყვასიტყვით გვითხრა: „მე ზურაბ ჟვანიას ნავუყენე ასეთი პირობა, რომ პატიაშვილთან დაკავშირებით ჩადენილ სიყალბეს თუ არ გაარკვევთ, ჩვენ ვერ გავერთიანდებით“ (მაშინ ჯერ არ იყვნენ გაერთიანებულები).

ასე იყო კულისებს მიღმა.

— არ დაგიმალავთ, ყოველთვის მომწონდა თქვენი პოზიცია, რომელიც რამდენიმე წლის წინათ პრესაში დააფიქსირეთ: „რუსეთთან ურთიერთობა ამ ხელისუფლებას არ დაუწყია და ვერც დაასრულებს“. ამას ამბობდით 2008 წლის აგვისტოს ომამდე.

ახლა, როცა რუსეთთან ურთიერთობა ამ ხელისუფლებამ „დაამთავრა“, კვლავ თქვენს აზრზე რჩებით? არსებობს იმის რაიმე რეზერვი, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა მოწესრიგდეს?

— მოკლედ გეტყვით: რეზერვი ყოველთვის არსებობს არის ჩვენთანაც, არის რუსეთშიც და მისი ამოქმედება მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის პირობებში იქნება შესაძლებელი.

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე

ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ? ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ: 38-41-97, ᲐᲜ ᲛᲝᲒᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ: info@geworld.net

საქართველო

საპროტესტო წერილი, რომელიც «ქართველთა კავშირმა ბელგიაში» საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს მისწერა

„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „საქართველოს „დემოკრატიის შუქურა“ ევროპაში ჩაქრა“ უკვე გიამბეთ, თუ როგორ განვითარდა მოვლენები 25-26 მაისს ბრიუსელში, სასტუმრო „ქროუნ პლაზაში“ ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“, ასევე ფრანგული ჟურნალისტური ასოციაციის „ჟურნალისტები — ჟურნალისტებისათვის“ და ორგანიზაცია „ქართველთა კავშირი ბელგიაში“ წარმომადგენელთა მიერ გამართულ ღონისძიებაზე.

შეგახსენებთ, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, ფრანგი კოლეგების (ორგანიზაცია „ჟურნალისტები — ჟურნალისტებისათვის“) მიწვევით, ბრიუსელში საგანგებოდ ჩავედით ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ჟურნალისტები — **ნანა კაკაბაძე, ირმა ინაშვილი, ნინო ცხოიძე, ირაკლი კორძაია, ჯაბა ჯიშკარიანი და ამ სტრიქონების ავტორი.**

სასტუმრო „ქროუნ პლაზაში“ გაიმართა 8 დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია **(„ქალაქში მკვლელია“, „6 მაისი“, „დემოკრატიის გისოსები“, „ჩიხი“, „ტყვიის გარეშე“, „საქართველო არის ესე“, „შეთქმულების მისტიფიკაცია“, „15 ივნისის დარბევა“);** ასევე, წარმოდგენილი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის“** მიერ გამოცემული კრებული **„უუფლებობის ზონა“** (ინგლისურად) და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ სპეციალური ინგლისურენოვანი ნომერი. აღნიშნული ფილმები და კრებული განეკუთვნება საგამოძიებო, დოკუმენტური ჟურნალისტიკის ჟანრს და საქართველოში 2004-2009 წლებში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის ფაქტებს ასახავს.

საღამოზე მოწვეულები იყვნენ ევროპელი სტუმრები, ქართული დიასპორის, ასევე, ინგუშეთის, სომხეთისა და უკრაინის დიასპორების წარმომადგენლები.

ფილმების ჩვენებამდე (კრებული უკვე გავრცელებული იყო ევროკომისიაში, სადაც ევროკავშირის ეკონომიკური სამიტი იმართებოდა) საქართველოს კონსულმა ბენელუქსის ქვეყნებში, ქალბატონმა მაია ბართაიამ სატელეფონო გზავნილის სახით გაავრცელა შემდეგი შინაარსის მოწოდება: **„დღეს ბრიუსელში, სასტუმრო „ქროუნ პლაზაში“ 15-დან 19 საათამდე დაგეგმილია საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება, რომელიც ორგანიზებულია რუსეთის საელჩოს მიერ. მოგმართავთ თხოვნით, თავი შეიკავოთ აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობისაგან. საქართველოს საელჩოსა და ქართული დიასპორის სახელით, მაია ბართაია“.** ამ მოწოდების გავრცელების ფაქტი ქალბატონმა კონსულმა ვიდეოკამერის წინ აღიარა.

არადა, სიმართლე ის იყო, რომ ფილმებიცა და კრებულიც მხოლოდ იმას ადასტურებდა, თუ როგორ უსწორდება სააკაშვილის ტოტალიტარული რეჟიმი ჩვეულებრივ მოქალაქეებს, როგორ ართმევს კერძო საკუთრებას, როგორ განუკითხავად ხოცავს პოლიცია უდანაშაულო ახალგაზრდებს, როგორ იშორებს თავიდან პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს, როგორ ითვისებს ხელისუფლება ტელეკომპანიებს და სხვა მრავალი.

მოკლედ, ღონისძიებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თუმცა სკანდალსაც ვერ ავცდით, რაც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მესვეურთა, რბილად რომ ვთქვათ, უპასუხისმგებლობამ და ქვეყნის ინტერესებისადმი გულგრილობამ გამოიწვია.

„საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა ბრიუსელში გამართული ღონისძიების მონაწილეთა აზრით და, მიუხედავად იმისა, რომ რადიო „მონტე კარლოს“ ეთერში, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ გადაცემებში არაერთხელ ვისაუბრეთ, ვთხოვეთ, ჩვენი მკითხველისთვისაც გაეზიარებინათ თავიანთი თვალსაზრისი როგორც თვით ღონისძიების შესახებ, ასევე ქართულ ემიგრაციაში არსებულ მდგომარეობაზე.

ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ინიციატივით, ქართველი ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების ჯგუფმა ბრიუსელში საგამოძიებო დოკუმენტური ფილმების, ფოტოგამოფენისა და კრებულის პრეზენტაცია მოაწყო. ამ ღონისძიებას საქართველოს საელჩო ბელგიაში „საგანგებო“ სატელეფონო გზავნილებით გამოეხმაურა, სადაც პრეზენტაციის ორგანიზატორები და მონაწილეები საქართველოს მტრებად ვიყავით დასახელებულნი. თქვენი გაზეთი ამ სატელეფონო გზავნილს უცვლელად ბეჭდავს, ამიტომ ციტირებას აღარ მოვახდენ. ვიტყვი, რომ საქართველოს საელჩოს მხრიდან ეს იყო ჩვენი დისკრედიტაციის მიზანმიმართული მცდელობა და ჩვენს ჟურნალისტურ საქმიანობაში უხეშად ჩარევის ფაქტი, რასაც პრაქტიკულად მოჰყვა ღონისძიებისათვის ხელის შეშლა.

საელჩოს დავალებით, სასტუმრო „ქროუნ პლაზას“ დარბაზში გვესტუმრა რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც ფილმების ჩვენების ჩაშლა სცადეს. ჩვენ ჩავწერეთ ინტერვიუ ბრიუსელში საქართველოს კონსულთან, რომელმაც დაადასტურა, რომ ამ გზავნილების გავრცელების დირექტივა უშუალოდ ელჩისგან მიიღო... ეს ფაქტი ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივმა“ და მისმა ფრანგმა პარტნიორებმა, ორგანიზაციამ „ჟურნალისტები — ჟურნალისტებისათვის“ ჯერ ბრიუსელში, ხოლო შემდეგ თბილისში გავაპროტესტეთ, მივმართეთ რა საპროტესტო წერილებით საელჩოსაც და საგარეო საქმეთა სამინისტროსაც.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტმა გაავრცელა კომენტარი, რომელიც ცილისწამების, ტყუილისა და დეზინფორმაციის გაგრძელებაა, თავი რომ დავანებოთ გრამატიკის ორიანზე ცოდნას. „ობიექტივის“ სახელით მოგახსენებთ, რომ მიმდინარე კვირაში ჩვენი ადვოკატები სასამართლოში შეიტანენ სარჩელს ბრიუსელში საქართველოს ელჩისა და კონსულის წინააღმდეგ, ჩვენი საქმიანი რეპუტაციის შელახვისა და ჟურნალისტურ საქმიანობაში უხეშად ჩარევის გამო. პარალელურად, „ქართველთა კავშირს ბელგიაში“, ასევე, შეაქვს სარჩელი ბელგიის სასამართლოში.

ჩვენი დოკუმენტური მასალები, კონსულის მიერ გაგზავნილი სატელეფონო ცილისწამება და ვიდეომასალა ორგანიზაციის „ჟურნალისტები — ჟურნალისტებისათვის“ მიერ უკვე გადაეცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბერნარდ კუშნერს. ფრაგმა ჟურნალისტებმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სთხოვეს მკაცრი რეაგირება სააკაშვილთან შეხვედრის დროს, რადგან საქართველოს საელჩომ დისკრედიტაცია გაუწია ფრანგ ჟურნალისტებს. შეგახსენებთ, რომ ჩვენი მასპინძელი ორგანიზაცია დადანაშაულებული იყო რუსეთის საელჩოსთან ფინანსურ კავშირში. ჩვენ მიგვაჩვიეს ასეთ ბრალდებებს, მაგრამ ფრანგი ჟურნალისტებისთვის შოკის მომგვრელია ამგვარი ბრალდება.

— ირმა, ალბათ, მოულოდნელი არ ყოფილა მათი ამგვარი მოქმედება, თუმცა მე უფრო მეტად იმას ველოდი, რომ ისინი ფილმების ჩვენებას დაესწრებოდნენ და თავიანთ მოსაზრებასაც გამოთქვამდნენ...

— რა შემიძლია გითხრათ, ეს არის აღმაშფოთებელი ფაქტი. საქართველოს საელჩო მოიქცა ისე, როგორც სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი. სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოს დიპლომატია სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს, ნაცვლად იმისა, რომ უცხოეთში საკუთარი მოქალაქეები დაიცვას. ცნობილია, რომ ქართველ ემიგრანტებს, რომლებიც სააკაშვილს არ სწყალობენ, საელჩოები დეპორტაციით ემუქრებიან და არა მარტო ემუქრებიან, არამედ ასრულებენ ამ მუქარას. ბევრი გვეკითხება, — მივაღწიეთ თუ არა მიზანს... მე ვპასუხობ, რომ მიზანს მივაღწიეთ, რადგან ჩვენი სურვილი იყო ევროპაში საქართველოზე ობიექტური ინფორმაციის ჩატანა, ამ ინფორმაციის გავრცელება მედიით, ამ ფოტოებისა და ფილმების გავრცელება საერთაშორისო ორგანიზაციებში... ქართულ დიასპორასთან დიალოგის დაწყება.

კრებულის „უუფლებობის ზონა“ 100-ზე მეტი ეგზემპლარი ჩვენ პირდაპირ ევროკომისიაში გავავრცელეთ. ყველა ევროკომისარს მივაწოდეთ იმ 8 დოკუმენტური ფილმის ასლი, რომლებიც ბრიუსელში გვქონდა ჩატანილი. შევხვდით „ჰუმან რაითს ვოთჩისა“ და ჰააგის ტრიბუნალის სისხლის სამართლის კოლეგიის წარმომადგენლებს და, ასევე, გადავეცით ჩვენი მასალები.

ხელისუფლებას მინდა ვამცნო, რომ „ობიექტივი“ და მისი ფრანგი პარტნიორები აგრძელებენ ამ პროექტს. ჩვენ დოკუმენტური ფილმების ჩვენებას უახლოეს ხანში მოვაწყობთ სტრასბურგში, ჰაადაში, ევროპის სხვა ქალაქებში. ვიმეორებ: ჩვენი მიზანია, რეალური, ობიექტური ინფორმაცია გავიდეს ევროპაში საქართველოს შესახებ და მიხარია, რომ ეს პროექტი პირველად სწორედ „ობიექტივმა“ განახორციელა.

ბრიუსელში საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს მიერ მოწყობილი პროვოკაციის გამო, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ საპროტესტო განცხადებების პარალელურად, „ქართველთა კავშირმა ბელგიაში“ საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს საპროტესტო წერილით მიმართა, რომელშიც ნათქვამია:

„თქვენი დეპარტამენტის მტკიცებით, ბრიუსელში 25 მაისს რუსეთის საელჩოს ძალისხმევით, ჩატარდა ანტიქართული მიტინგი, რომლის დროსაც თურმე ანტიქართული პლაკატებით დარბოდნენ. ეს ინფორმაცია გადაამოწმა ჩვენი კავშირის შესაბამისმა სამსახურმა ქალაქ ბრიუსელის პოლიციაში. მათი მტკიცებით, მსგავს რამეს ადგილი არ ჰქონია, რადგან ზუსტად 25 და 26 მაისს ტარდებოდა ევროპის ეკონომიკური სამიტი და ასეთ აქციას ბრიუსელის პოლიცია არ დაუშვებდა, ვისი ორგანიზებითაც არ უნდა ყოფილიყო ეს გაკეთებული. თანაც, ეს გამორიცხული იყო იქ, სადაც პატივცემული ელჩი მიუთითებს — ევროკომისიის შენობის წინ...

თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ ერთ თვალსაჩინო ფაქტზე, რომ თქვენი დეპარტამენტი და ბრიუსელში თქვენი საელჩო თქვენს განცხადებაში მოგონილ ვითომ „ფაქტებსა“ და „მოვლენებს“ ერთმანეთში ურევს და ასევე ერევა თარიღებიც. იქნებ, ქრონოლოგიურად „კარგად“ დაალაგოთ ეს თქვენი სიცრუე და „დამაჯერებელად“ აგვიხვიოთ თვალი!

ხოლო ქართული საზოგადოებისთვის თვალის ახვევა რომ გჭირდებათ, ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ და აი, რატომ: ქალბატონ ელჩს აღნიშნული შეხვედრის თაობაზე არ გაუგია არც „დიასპორის“ წევრისგან, არც „საქართველოს აღშფოთებული მოქალაქისგან“ და არც „პლაკატებმოფრიალე“ რუსები დაულანდია ბრიუსელის ქუჩებში. სიმართლე ისაა, რომ მათ ეს აცნობა ელჩის მძღოლმა, რომელსაც ჩვენ გავუგზავნეთ ელექტრონული შეტყობინება, რადგან მას უნდოდა მოსვლა ამ შეხვედრაზე და ამდენად, იცოდა ამ შეხვედრის ჩატარების თაობაზე. ზუსტად ამის შემდეგ გამოგზავნეს შეხვედრის ჩასაშლელად რამდენიმე პიროვნება, რომელნიც არასწორად იყვნენ ინფორმირებულნი, რომ ეს იყო რუსების მიერ ორგანიზებული ღონისძიება, რომ ანტიქართველები და მოღალატეები ვიყავით და ასე შემდეგ. სიტუაციის გარკვევის შემდეგ, მათ ბოდიშის მოხდით დატოვეს შეხვედრის ადგილი. სწორედ ამ ქართველებით მანიპულირება და მათი გამოყენება მოხდა ბოროტი მიზნებით საელჩოს მხრიდან, რაშიც ისინი ჩვენ დაგვეთანხმნენ კიდეც...

ქართველთა კავშირი ბელგიაში კატეგორიულად მოითხოვს: ელჩისა და კონსულის გაწვევას ბელგიიდან, ვინაიდან ისინი ჩვენს სამშობლოს უქმნიან არასახარბიელო იმიჯს თავიანთი არასერიოზული მოქმედებებით; ასევე, მათი მხრიდან ჩვენი ორგანიზაციის შეურაცხყოფისთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდას; წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებულნი ვიქნებით, მივმართოთ შესაბამის უწყებებს, ვინაიდან შელახულია ჩვენი ღირსება და პროფესიული საქმიანობა. საელჩოს მაინც მოუწევს ჩვენს მოთხოვნებზე პასუხის გაცემა, რადგან იგი ვალდებული იქნება, დაამტკიცოს მათი მხრიდან ჩვენს მიმართ გამოთქმული ყველა ბრალდება.“

მიმართვას, რომლის ფრაგმენტებსაც ახლა გაეცანით, ბელგიის ქართველთა კავშირის სახელით ხელს აწერენ **მერაბ ბლადაძე, მარიამ ბარბაქაძე, რობერტ კოპპენსი და გიორგი ლაფანაშვილი.**

„საქართველო და მსოფლიო“ მათ ბელგიაში დაუკავშირდა და ინტერვიუ ჩამოართვა.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲚᲐᲓᲐᲫᲔ:

— ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების 7-კაციანი ჯგუფის მიერ ბრიუსელში, სასტუმრო „ქროუნ პლაზაში“ წარმოდგენილ კრებულს და დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც საქართველოში არსებულ რეალობას ასახავენ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ადგილობრივი ქართველების, ისე ევროსტრუქტურებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ოპოზიციური პარტია თუ არასამთავრობო ორგანიზაცია რეგულარულად უგზავნიან პეტიციებს ევროსტრუქტურებს, ეს მაინც არ არის საკმარისი. ვინაიდან ამ უწყებებში ყოველდღიურად ასეულობით ქვეყნიდან შედის ათასობით წერილი. რა თქმა უნდა, ეს წერილები მნიშვნელოვანია მათი ადრესატი ქვეყნებისთვის, ამიტომაც პასუხები ან რეაგირება ხშირად „ისეთი“ არ არის, როგორსაც ველოდებით, ან საერთოდ უპასუხოდ ტოვებენ, რაც ჩვენში შინაგანი პროტესტის გრძნობას იწვევს.

სწორედ ამისთვის იყო საჭირო, ამ ფილმების ჩვენება, ევროსტრუქტურების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს უფრო ახლოდან რომ დაენახათ ის საშინელებები, რაც ჩვენს თავს ხდება და ყოველივე ამან შედეგიც გამოიღო.

დიდი დაინტერესება მოჰყვა ევროსტრუქტურების წარმომადგენლების მხრიდან ამ ფილმების ჩვენებას, განსაკუთრებით, იმ მეტ-ნაკლებად „ცნობილი“ პროვოკაციის შემდეგ, რაც მოკლე სატელეფონო შეტყობინებისა და საელჩოსთან „მიბმული“ ეგრეთ წოდებული ქართული დიასპორის (თამარ მეფის სახელობის სათვისტომოს) „ვიცეპრეზიდენტმა“ მერაბ სურვილაძემ და მასთან ერთად მყოფმა ლაქიებმა ჩაიდინეს. თქვენმა მკითხველმა უკვე იცის და მე აღარ გავაგრძელებ ისედაც ცნობილი ინცინდენტის მოყოლას, მაგრამ ვიტყვი ერთს: რაოდენ უნდა იყოს ადამიანი მიჯაჭვული, შეყვარებული თავის სკამს, რომ საქართველოს ელჩმა ასეთი „მდაბალი“ მითითება მისცეს თავის „ფოვორიტებს“ და თანაც ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩასაშლელად.

— ბატონო მერაბ, თქვენთვის მოულოდნელი იყო საელჩოსა და საკონსულოს ასეთი ქმედება?

— მოულოდნელი ნამდვილად არ იყო და სწორედ ამიტომაც საქართველოს ელჩი ბელგიაში სალომე სამადაშვილი არის, მინიმუმ, ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მერაბ ბლადაძე:

საქართველო მისეილისა და მისი «ნარჩენებისგან» დროზე უნდა გათავისუფლდეს!

გასაწვევი. მაგ ქალბატონის ბრალია ბელგიაში ქართული დიასპორების დაყოფა პრინციპით „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“ და, სანამ ჩვენი საელჩოები არ შეწყვეტენ დიასპორების დაყოფას „ჩვენიანებად და არაჩვენიანებად“, მანამდე საზღვარგარეთ ჩვენი გაერთიანება ვერ მოხერხდება. თუნდაც ამიტომ უნდა დაუშვას პრეცენდენტი საქართველოს ხელისუფლებამ. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილის პირობებში ეს არ განხორციელდება.

— მიუხედავად ამ პროვოკაციისა, კრებული „უუფლებობის ზონა“ წარმატებით გავავრცელეთ და ფილმების პრეზენტაციაც არ ჩაშლილა, დიდი ინტერესით უყურებდნენ არამარტო ქართული, არამედ სხვა ქვეყნების დიასპორების წარმომადგენლები და ევროკომისიის თანამშრომლებიც.

— ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივმა“ ამ ნაბიჯით გააკეთა ის, რისი ნახევარიც კი ვერ შევძელით მე და ჩემმა მეგობრებმა (ახლა უკვე ორგანიზაცია „ქართველთა კავშირმა ბელგიაში“) ბოლო 3 წლის განმავლობაში.

მე იმედი მაქვს, რომ „ობიექტივის“ ეს ნაბიჯი სხვებისთვისაც მაგალითი იქნება და იქნებ ახლა მაინც მივხვდეთ, რომ ბრიუსელშია საჭირო „ძალების“ კონცენტრირება, საჭიროა ძლიერი საინფორმაციო ცენტის შექმნა. საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად, ასეთი ღონისძიებების ჩატარება, პრესკონფერენციები, შეხვედრები და მე გარწმუნებთ, რომ სულ მალე პოლიტპატიმრები აღარ გვეყოლება და სააკაშვილის ხელისუფლებაც მალევე დამთავრდება.

სამწუხაროდ, ჩვენ — „ქართველთა კავშირს ბელგიაში“ არ შეგვიძლია მთელი ჩვენი დრო დავუთმოთ პოლიტიკას, აქაური ცხოვრების წესისა და ოჯახების მიმართ ვალდებულების გამო. ჩვენ გვერდით დავუდგებით ყველა ეროვნულ ძალას, ვინც კი ასეთ საშვილიშვილო საქმეს მოჰკიდებს ხელს. ჩვენ ვიცით ერთი სიმართლე: საქართველო უნდა განთავისუფლდეს, უპირველესად, სააკაშვილისგან და შემდეგ მისი „ნარჩენებისგან“.

ბრიუსელში გამართული ღონისძიების მნიშვნელობაზე, ემიგრაციის პრობლემებზე — გათიშულობასა და დაპირისპირებაზე, საკონსულოსა და საელჩოს მცდელობაზე, ჩაეშალათ ღონისძიება, თავიანთ მოსაზრებებს გვიზიარებენ „ბელგიაში ქართველთა კავშირის“ წარმომადგენლები მარინე ბარბაქაძე და გიორგი ლაფანაშვილი.

მარინე ბარბაქაძე:

— ამ ღონისძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, უპირველესად, იმისთვის, რომ ევროპის პოლიტიკურ ცენტრში, ბრიუსელში, სადაც განთავსებულია ყველა მნიშვნელოვანი ევროსტრუქტურა, გამოაშკარავდეს და ფარდა აეხადოს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების უკანონო, არადემოკრატიული მმართველობის სინამდვილეს; სწორედ ამ აღმაშფოთებელი შინაარსის მქონე ფილმებმა უდიდესი რეზონანსი გამოიწვია მაყურებელთა შორის; უამრავმა ევროპელმა თუ ბელგიაში აკრედიტებულმა მედიის თანამშრომელმა სწრაფად გაავრცელა ქართული სინამდვილე და ევროპას სააკაშვილის ნამდვილი სახე დაანახა. 25-26 მაისის აქციას შეიძლება მივანიჭოთ უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა, ქართველი ემიგრანტების, ასე ვთქვათ, გამოფხიზლებაში, რადგან, როგორც ქართული საზოგადოების უმეტესი ნაწილი, ისე უცხოეთში მყოფი ქართველებიც დამოკიდებულები არიან მხოლოდ სახელმწიფო ტელეარხების (როგორიცაა „რუსთავი 2“, „იმედი“ და სხვ.) მიერ გადმოცემულ ცრუ ინფორმაციებზე ან, საქართველოში დატოვებული ოჯახების უსაფრთხოების მიზნით, არ ინტერესდებიან სინამდვილით, რაც მათ ქვეყანაში ხდება. რაც შეეხება ჩვენს ორგანიზაციას „ქართველთა კავშირი ბელგიაში“, ყოველთვის აქტიურად ვიქნებით ჩართული საქართველოს კეთილდღეობის, მთლიანობისა და დემოკრატიზაციის საქმეში.

გიორგი ლაფანაშვილი:

— არამარტო ფილმების ჩვენება და ფოტომასალის გამოფენაა კარგი, არამედ აუცილებელია ჟურნალისტური ასოციაციების გამოსვლა საქართველოს ფარგლებს გარეთ, უფრო აქტიური მოქმედება, თანამშრომლობა ერთობლივ პროექტებში; მაგალითად, ჟურნალისტების, არასამთავროების, უფლებადამცველებისა აქაურ არასამთავროებთან და უფლებადამცველებთან ერთად, ვინაიდან საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამინდი ამათი ხელითა და ამათი მონაწილეობით იქმნება ევროპულ ქვეყნებში...

25 და 26 მაისის ვიზიტი ევროპაში მნიშვნელოვანი იყო, უპირველესად, ჩვენთვის, ემიგრანტი ქართველებისათვის. მე პირადად მეგონა რომ ბევრი რამე ვიცოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უამრავი დეტალია, უამრავი მასალაა, რაც პირველად ვნახე ამ ფილმების ჩვენების დროს და ჩემთვის, ისე როგორც ბევრი ჩემი მეგობრისათვის და აქაური ქართველისათვის, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ყოველივე ეს!

ჩვენ ჩვენი ორგანიზაციით მზად ვართ, გავაღრმავოთ ურთიერთთანამშრომლობა ნებისმიერ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რათა უფრო ფართოდ იქნას წარმოდგენილი ნებისმიერი პრობლემა, რომელიც ლახავს ადამიანის უფლებას, სიტყვის, აზრის გამოთქმის თავისუფლებას, საკუთრების უფლებას და ასე შემდეგ. ჩვენ ვთავაზობთ ქართულ არასამთავრობო სექტორს და ასევე ნებისმიერ ჟურნალისტურ ასოციაციას ან პიროვნულად ნებისმიერ ჟურნალისტს თანამშრომლობას, თუნდაც მემორანდუმის დონეზე გაფორმებულს, რათა უფრო ადვილად და გარკვეული ფორმებით განვსაზღვროთ სამოქმედო გეგმა, რომელიც იქნება გათვლილი შედეგებზე და არა ერთჯერად ეფექტებზე...

— ამ შემთხვევაში ერთგვარ ბარიერს ქმნის თვით ქართულ ემიგრაციაში არსებული გათიშულობა და დაპირისპირება, რაც ბრიუსელში ჩვენი ყოფნისას კიდევ ერთხელ გამოვლინდა.

მარინე ბარბაქაძე: — ბელგიაში არსებული ქართული დიასპორა უკვე ათ და მეტ წელს ითვლის, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მათგან დამოუკიდებლად საქართველოში ორი რევოლუცია მოხდა. სამწუხაროდ, არც ერთმა მათგანმა ქართველ ემიგრანტებს არ მოუტანა ის ბედნიერება, რასაც შინ დაბრუნება ჰქვია. უარესი, ახალი თაობა დეზინფორმირებულია — ან საერთოდ არ იცის ქართული სინამდვილე, ხედავს მხოლოდ თავის სამშობლოს სადღაც ტელევიზიით, რომელიც ათასგვარ ზღაპრებს უამბობს საქართველოს უღრუბლო ცის, მოწესრიგებული შიდაპოლიტიკის, საგარეო პოლიტიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეკონომიკური აღმავლობისა და სხვა ამგვარი მითების შესახებ.

სინამდვილე კი არავინ იცის ან იცის, მაგრამ ჩუმად ყოფნას ამჯობინებს, რადგან საქართველოში დატოვებული ოჯახის წევრების საფრთხეში ჩაგდებას ერიდება. დაუფიქრებლად შეასრულებს თავისი ქვეყნის დიპლომატიური სამსახურების მითითებას, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ემსახურება ხელისუფლების დიქტატორულ მმართველობას.

მაგრამ არის ადამიანთა ჯგუფი, და მე ვფიქრობ ეს ყველა ქვეყნის დიასპორაში ასეა, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული ქართული სინამდვილის და დღევანდელობის გამოაშკარავებაში. ემიგრანტთა სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ჯგუფები უპირისპირდებიან ერთმანეთს. სწორედ ამის მაგალითი იყო 25 და 26 მაისს ბრიუსელში ჩატარებულ ღონისძიებაზე სტუმრად მოსულ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც აცხადებდა, რომ იყო ქართული სათვისტომოს „ოფიციალური“ წარმომადგენელი და სხვები, ვინც ასე ვთქვათ „ოფიციალურად“ არ იყვნენ რეგისტრირებულნი „ბრიუსელის ეკლესიასთან არსებულ, თამარ მეფის სახელობის ქართულ დიასპორაში“, არ ირიცხებიან ქართველთა უდიდესი დიასპორის წარმომადგენლებად; მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ მათი ეგრეთ წოდებული, „დიასპორის“ შემადგენლობაში არ ირიცხება ანტვერპენში ან ბელგიის სხვა, რომელიმე ქალაქში მცხოვრები ქართველი.

სწორედ ბრიუსელის ეს დიასპორა უხმოდ ასრულებს საკაშვილის მიერ დანიშნული, არაკომპეტენტური კონსულისა და ელჩის განკარგულებებს. სწორედ მათი მოქმედების შედეგია ქართველთა ურთიერთდაპირისპირება. რაც შეეხება მთელი ბელგიის ტერიტორიაზე განსახლებულ ქართველთა სათვისტომოს, არ არსებობს. აქ ბევრი ქართველია, მაგრამ არ არსებობს ერთიანობა; ჯგუფებად დანაწევრებული ქართველი საზოგადოება საჭიროებს ურთიერთთანადგომას, ხშირ შეხვედრებს და საქართველოს მდგომარეობაზე მსჯელობას, და არა გათიშულობას, როგორც თვითონ საქართველო, და მისი საზოგადოებაა.

გიორგი ლაფანაშვილი:

— მთლიანად ემიგრაციის ერთიან ჭრილში განხილვა შეუძლებელია. ვფიქრობ, რომ ქართული ემიგრაციის მთავარი პრობლემა ეს ურთიერთუნდობლობაა, რასაც ხელს შეგნებულად თუ უცოდინარობით, ანდა დაუკვირვებლობით ევროპულ ქვეყნებში არსებული საელჩოებიც უწყობენ. მაგალითად, ბელგიაში საქართველოს საკონსულო ლამისაა ქართველთა „დეპორტაციის ცენტრად“ იქცეს. საქართველოს ეგრეთ წოდებული დიპლომატიური წარმომადგენლობის დამოკიდებულება ქართული ემიგრაციისადმი ცინიკური და არასერიოზულია. საელჩოები ქართველებს ყოფენ ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, აქედან გამომდინარე ნებისმიერი შედეგითა და კურიოზული სიტუაციებით, რომლებიც ხანდახან (თუ ყოველთვის არა) ისეთ ამაზრზენ სახეს იღებს, რომ ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

ქართველთა უმეტესობა აქ საქართველოს გულისცემას გაფაციცებით უსმენს. ქართული პოლიტიკური ცხოვრება აქაც აისახება თავისი პლიუს-მინუსებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, „დაშინებებითაც“ კი. აღარ დავიწყებ საუბარს იმის შესახებ, რომ საელჩოებში ჩატარებული ნებისმიერი „არჩევნები“, რა თქმა უნდა, „ნაციონალების“ სასარგებლოდ ყალბდება. დიახ, ყალბდება, რადგან არავინაა იქ ამის მაკონტროლებელი და დამნახავი, რადგან არასასურველი ქართველებისთვის საკუთარი სამშობლოს წარმომადგენლობის კარი მყარადაა დაგმანული!

მე შემიძლია ვთქვა, რომ საელჩო გვევლინება ქართველთა ერთმანეთთან დაპირისპირებისა და გათიშულობის მთავარ ინიციატორად და ინსპირატორად. თუ ვინმეს ეს მოეჩვენება გადამეტებულად, ვურჩევ, კარგად გააანალიზოს არსებული სიტუაცია და ისე „გააბათილოს“ ეს მოსაზრება. რომ აღარაფერი ვთქვათ იქ არსებულ „კუდისმოქიცინეთა“ და „მოქეიფეთა“ ამალებზე, საელჩო-საკონსულოების გარშემო შეკრებილი „საზოგადოება“ არც თუ კეთილსინდისიერ ბიზნესზეც არ ამბობს უარს. ვეჭვობ, რომ გარკვეული წრეები შეიძლება გარეული იყვნენ ნარკობიზნესშიც!

— მართალი გითხრათ, ახლა უკვე აღარ მიკვირს საელჩოსა და საკონსულოს აქტიური მცდელობა, რამენაირად ჩაეშალათ ჩვენი ღონისძიება...

გიორგი ლაფანაშვილი:

— რა თქმა უნდა, ისინი ყველანაირად ეცდებოდნენ ამას და გადადგეს კიდეც ნაბიჯი შეხვედრის ჩასაშლელად. მაგრამ სხვა საკითხია, ამას რანაირად მიაღწიეს და, საერთოდ, მიაღწიეს კი? რა თქმა უნდა, თავიანთი დაუფიქრებელი და სპონტანური გადაწყვეტილებით, მათ უფრო გააძლიერეს ინტერესი აქაურ ქართველთა შორის უკვე ჩატარებული ღონისძიების მიმართ. თუნდაც ეს გამოხდომა მათი მხრიდან და უაზრო, უამრავი ტყუილი, შემდეგ ერთმანეთში რომ აერიათ და საკონსულო და საელჩო ერთმანეთს რომ აბრალებდნენ მათ მოგონებას, ორივე ერთად კი — „ეკლესიასთან არსებულ სათვისტომოს“, რომლის ფუნქციონირება გამოიხატება და იფარგლება მხოლოდ ბრიუსელის სამლოცველოში წირვის დროს მწვადების შეწვითა და ყოველი კვირა დღის ღრეობით დამთავრებით (თავისი ჩხუბებითა და გაწევ-გამოწევით)... კიდევ ვიმეორებ **საელჩო და საკონსულო თავისი შეგნებული მოქმედებით წინასწარგანზრახულად ხელს უწყობს ქართველთა ურთიერთდაპირისპირებას!**

„ბელგიის ქართველთა კავშირის“ ჯერ არარსებულ ორგანიზაციად, მერე რუსეთის საელჩოს მიერ დაფინანსებულ ძალად, ხოლო შემდეგ კი „შემთხვევითი ქართველების თავშესაყარად“ მოხსენიება სრულ კონტექსტში ჯდება ხელისუფლების „ლექსიკასთან“ და მიუთითებს იმაზე, რომ საელჩოებში, დიპლომატები კი არა, პოლიციის თანამშრომლები სხედან. სწორედ ამის გამოა, რომ საქართველოს საერთაშორისო დიპლომატიურ ფრონტზე ტოტალური ჩავარდნა აქვს.

მარინე ბარბაქაძე:

— ბელგიაში მყოფი ქართული დიპლომატიის „დედების“, ქალბატონების — სამადაშვილისა და ბართაიას მცდელობა, ხელი შეეშალათ აღნიშნული ინფორმაციული საღამოს გამართვისთვის, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ინსტანცია სააკაშვილის პირდაპირ დაქვემდებარებაშია, ანუ **ბელგიაში საქართველოს საელჩო უშუალოდ პრეზიდენტს ემსახურება და არა — თავის ხალხს**; ამის ნათელი მაგალითი იყო სწორედ იმ დეზინფორმაციის გავრცელება სმსების საშუალებით, რომ ეს ანტიქართული საღამო რუსეთის საელჩოს მიერ იყო დაფინანსებული.

ფრანგული მედიის ქართველმა წარმომადგენელმა გიორგი ფოფხაძემ, ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივმა“ და „ქართველთა კავშირმა ბელგიაში“ პროტესტი გამოთქვეს აღნიშნული ქმედების გამო. ქალბატონმა ირმა ინაშვილმა ვიდეოფირზე აღბეჭდა კონსულის, ქალბატონ მაია ბართაიას განცხადება იმის შესახებ, რომ სატელეფონო გზავნილების ავტორი არის ქალბატონი ელჩი და პასუხსაც ის გაგვცემდა.

იმავე საღამოს ბატონი გიორგი ფოფხაძე ქალბატონმა ელჩმა თავის რეზიდენციაში მიიწვია. შეხვედრისას ქალბატონმა სამადაშვილმა ბოდიში მოიხადა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების გამო და აღნიშნა, რომ ეს იყო გაუგებრობა. თუმცა მოგვიანებით მან პრესაში სულ სხვა შინაარსის ინფორმაცია გაავრცელა, ვითომდა ფრანგული ორგანიზაცია „ჟურნალისტები — ჟურნალიტებისათვის“ და „ქართველთა კავშირი ბელგიაში“ არ არსებობს.

საღამოს ორგანიზატორები მოვითხოვთ, სრულად განგვიმარტოს რუსეთის საელჩოსგან დაფინანსების ისტორია, დაგვისაბუთოს, თუ რა არაქართულ ან, უფრო სწორად, ანტიქართულ ქმედებას ჰქონდა ადგილი სასტუმრო „ქროუნ პლაზაში“ გამართულ ღონისძიებაში.

როგორც ხედავთ, მდგომარეობა იმაზე უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლებოდა წარმოგვედგინა. ბრიუსელში გამართულმა პრეზენტაციამ ერთგვარი ლაკმუსის როლი შეასრულა და ბევრი მანკიერება ზედაპირზე ამოატივტივა. ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები წუხან იმის გამო, რომ პრობლემების მოგვარების მაგივრად, საელჩოსა და საკონსულოს ხელმძღვანელები, პირიქით, დაპირისპირების გაღრმავებით არიან დაიტერესებულნი.

ქართული დიასპორის გააქტიურებაზე საქართველოში მდგომარეობის გამოსასწორებლად და, ზოგადად, დიასპორაში არსებულ პრობლემებზე მსჯელობას მომდევნო ნომერშიც განვაგრძობთ. ჩვენი სტუმრები კვლავ ქალბატონი მარინე ბარბაქაძე და ბატონი გიორგი ლაფანაშვილი იქნებიან; აგრეთვე, თავის მოსაზრებებს გაგვიზიარებს ჟურნალ „ემიგრანტების“ მთავარი რედაქტორი ნინო ცხოიძე, რომელიც, რამდენიმე წელია, სამშობლოდან დევნილი ჩვენი თანამემამულეების ცხოვრებას სწავლობს და ამ თემას არაერთი პუბლიკაციაც მიუძღვნა.

ბონდო მჟინარაშვილი

ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲒᲐᲒᲖᲘᲣᲜᲘᲐᲠᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ? ᲓᲐᲒᲖᲘᲠᲔᲙᲔᲗ: 38-41-97, ᲐᲜ ᲛᲝᲒᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ: info@geworld.net

საქართველო

ცნობილი მწერალი და დრამატურგი ოტია იოსელიანი რამდენადაც საინტერესო რესპონდენტია, იმდენად ძნელია მისი დაყოლიება ინტერვიუზე, რომელსაც ჩვეული სიტყვამახვილობით „გადაღეჭილ კითხვა-პასუხს“ უწოდებს. მასთან შეხვედრამ და საუბარმა კიდევ ერთხელ ნათლად გამოაჩინა ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამი და მკითხველიც ნუ გაიოცებს, თუკი საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი ჩვეული პირდაპირობით ამბობს არამარტო თავის, ალბათ, თითოეული ქართველის სათქმელს.

ოტია იოსელიანი: ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲝᲗᲐᲧᲕᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲕᲭᲘᲠᲡ



„ᲬᲛᲘᲓᲐ ᲒᲘᲝᲠ�გᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔ — ᲔᲡ ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐ... ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲘᲐᲠᲐᲚᲡ ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲜ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲬᲔᲡᲠᲘ�გᲔᲑ?!“

— ჩვენი ისტორიის პატრონს დამარცხებაც ბევრი გვინახავს და გამარჯვებაც, მაგრამ ყველაფერს თავის სახელს ვარქმევდით. დამარცხებას თუ გამარჯვება ჰქვია, მაშინ გამარჯვებას რა დავარქვათ? დამარცხდი, თავმოჭრილი თავში ორივე ხელს ირტყამ თუ აღლუმებს მართავ. უნდა გასწორდეს ქართული ანდაზა: „ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა“. იცი, რომ სნებას შეეყრება და უშვებ? არ უშვებ და რომ არ ეყურება? გამოვიდა ხალხი... ხალხი, ათასი კაციც რომ აყვირდეს, ეს უკვე ხმა ღვთისა და ხმა ერისაა. ასიათასობით ადამიანი რომ დღე და ღამე გზაში ეყარა, რა შედეგი მოჰყვა? 7 ნოემბერს რა მოხდა და რა პასუხი მოვთხოვეთ? მაგი ვანო მერაბიშვილს უნდა ვკითხოთ, ხელკეტებს დაგვაჯერებს თუ ტანკებსა და ზარბაზნებს დაუმატებს. ვინ გაიგონა ჩვენში რაიმეს მიმგვანებული არჩევნები, მაგრამ ამდენი ასარჩევიდან მომხრესა და მოწინააღმდეგეს თუ წამოსცდენია, მოვალთ, გავდეპუტატდებით, დავხნავთ, დავთესავთ, მოვიწევთ და პურის ნატეხს მაინც არ გავიხდით სამათხოვროდო?! აქედან უნდა ვიწყებდეთ ჩვენ, რომ ჭკუა გვეკითხებოდეს — პურით. პურს უნდა ვიწევდეთ ოფლითა ჩვენითა, ვიღაც-ვიღაცების ხელს არ უნდა ვიყოთ შეჩერებული.

— ბატონო ოტია...

— მომითმინეთ, ქალბატონო, მომითმინეთ... სანამ ამ გადაღეჭილ კითხვა-პასუხს დავიწყებთ (თქვენ რომ „ინტერვიუს“ ეძახით), ხომ არ ჯობია, უგონიერესსა და უბრძენესს მოვუსმინოთ, რომ დაგვიბარა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“ ან „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგანო“. მე რომ კაცმა მკითხოს, გაცლა და გაქცევა სიმხდალე მგონია, მაგრამ იმ გონებადალოცვილმა — არაო, მამაცობააო. და, რომ არ ვიცი, რა ვქნათ?!

— და ამიტომ, ბატონო ოტია, სულ არაფერი ვთქვათ?

— ალბათ, არც ეს ეგების. ცოტა გაგვეცალა და გაგვექცა? დაიცალა ქვეყანა. ,,ჯერ არ იყო ძმარი, შიგ შევიდა წყალიო.“ ჯერ რა ვიყავით, დღეს რაღა ვართ?

— ალბათ, განახევრებული...

— განახევრებული... როცა ჩვენ ერთ კაცსაც ვერ უნდა ველეოდეთ, მილიონები?! ამაზე კი არ ვკივით და ვწივით და კი არ ვუხმობთ ჩვენს გაგარეულებულ „მამულიშვილებს“, სადაც გაძღებიან, სამშობლო იქ რომ ჰგონიათ. მანდ მუცელს ვერ ვიყორავთ, გაჭირვებას ვერ ვიტანთო. ააწყვეთ ქვეყანა, დაახვავეთ პურ-ღვინო და თქვენთან ვართო. ჩვენ რომ აზროვნებაზე ხელმოკლედა ვართ, თორემ მე რომ შენიანად ვერაფერს გავხდი, უშენოდ ავყვავდები?! (ვერ ვიტან ამ სიტყვას, ყვავია შიგ) და ავღორძინდები (ვერც ამ სიტყვას ვიტან, ღორია შიგ)?! აი, ამიტომაა, რომ ვიძახი, ეროვნული გამოთაყვანება გვჭირს-მეთქი! ამას გამოთაყვანებულიც უნდა ხედავდეს, თუ არ დახნავ და დათესავ, ვერ მოიმკი. მაგრამ ჩვენ გამოთაყვანებაზე უარესიც გვჭირს.

— ბატონო ოტია, თქვენ სოფელი კარგად იცით, ახლა თუ იხვნება და ითესება?

— ვაი, რომ კარგად ვიცი, მაგრამ ნეტავი ჩვენი ქვეყნის მესვეურებივით და, თუ გნებავთ, „ინტელიგენციასავით“ არ ვიცოდე. იმისთანა და იმდენი მოღოზი, მოსავლიანი მიწებია მიტოვებული, რომ ვუყურებ... ტირილი რომ საქმეს შველოდეს და მკვდარს აცოცხლებდეს. გლეხი აღარაა. გლეხის აკადემია იყო მიწა, საკუთარი მიწა. კოლექტივმა რომ მიწა წაართვა, კოლექტივის მიწა, საერთო, სახალხო ვერ შეიყვარა, მითუმეტეს, რომ მოსავალი მისი არ იყო. უსიყვარულოდ არანაირი საქმე არ კეთდება. გაგანია კვირიკობის (ივლისის) თვეში რომ მზის გულზე მდგარიყო და თოხი ებაყუნებია, იმ მიწის სიყვარული თუ შეაძლებინებდა, თორემ ეს მართლა ძნელზე ძნელია. ეს იყო, რომ კოლექტივს ტექნიკა ჰქონდა; ხვნა, თესვა, კულტივაცია ტექნიკით ხდებოდა, რაღაცას მაინც იწევდნენ. **ამ „დამოუკიდებლობამ“ და „თავისუფლებამ“ სადღაც გააქრო და გაყიდა ჩემს სოფელში რომ 18 ტრაქტორი გვქონდა. რაა ეს ქვეყანა, რომ კაცი გამკითხავი არაა? ხუთასსულიანი საქონლის ფერმა იყო, სადაა, ვინ შეჭამა? კოლექტივი ჯგუფური საკუთრებაა. თუ დაშალე და დაანგრიე, რატომ პატრონს არ დაუბრუნე?**

ადამიანო, უფლებებზე რომ გაჰკივი, სადაა ეს უფლებები და ვისი რა დაიცავი?! და საერთოდ, რას იცავ? წმიდა გიორგის დღესასწაული პოლიციის დღედ რომ გამოაცხადე — ეს ვანო მერაბიშვილსაც კი არ ეკადრება და პოლიციის აღლუმზე იმდენი შეიარაღებული ჯარი რომ დაამწკრივე და ტანკები და ზარბაზნები გამოათავმომწონე, ეს რა იყო? პოლიცია ქვეყანაში წესრიგისა და ზნეობის დამცველია და ტანკი და ზარბაზანი ჩემთვის გინდა? სადღაც, ამას წინათ ვკითხულობდი, რომელიღაც ქვეყნის პოლიცია თურმე იარაღს სულ არ ატარებს და შენ ტანკებითა და ზარბაზნებით მაწესრიგებ?!

ტანკი და ზარბაზანი იქ გეხმარა, სადაც საჭირო იყო და ისე სამარცხვინოდ არ დავმარცხებულიყავით. რუსეთთან ომი ჯერ რა სისულელე იყო და მერე მსოფლიო რომ მოგვშველებოდა, რას გავაწყობდით, მაგრამ დღე-ნახევარში რაც უკან სირბილს მოვუნდით, ეს იყო ომი? ჩვენ წინაპრებმა დაგვიბარეს: ,,დათვი რომ მოგერიოს, ბაბა დაუძახეო“ და მე დავამატე: მაგრამ მამად ნუ გაიხდი-მეთქი.

მაგი მიშაიას კი არა, მეც არ მეგონა, თუ მსოფლიო ამ ვეშაპს პირში შეგვატოვებდა და რამენაირად ხელს არ გაანძრევდა. ხალხი რომ ამბობს, სხვისი ცოლის მოიმედე ფართო ლოგინს ნუ დაიდგამო, ჩვენ ლოგინიც გავიშალეთ და ბუმბულიც დავიგეთ. „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

— კი, ბატონო ოტია, რაც გვჭირს, ჩვენით გვჭირს, მაგრამ რა გვეშველება?

— ამნაირად, ამ ჭკუით, ამას თუ ჭკუა ჰქვია, არაფერი.

— ხელისუფლება თავს იწონებს, ბევრს ვაკეთებთო და არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია...

— რა კეთდება? აგერ, შორს რომ არ წავიდეთ, წყალტუბოში რომ შემოდიხართ, ლამპიონებით გაჩახჩახებული ღობურებია და შიგ პლასტმასის წითელ-ყვითელი პალმებია, ისიც გაჩირაღდნებული. წყალტუბო ბუნებით უშველებელ პალმებს აქვს წაღებული, ეს ხელოვნური, საცოდავი წითელ-ყვითელი პალმა ვინ და რატომ აგვიყვანა? აგერ ხიზნები (თქვენ რომ ლტოლვილებს ეძახით) შიმშილითა და ავადმყოფობით მეხოცება, რა მელამპიონმეპლასტმასპალმება?! სოფელში წყალი არ აქვთ და შადრევნებს მიშენებ და მწყურვალს ჰაერში ატყორცნილი ჭავლებით მარწყულებ? მე არ უნდა მკითხო, რა მიჭირს და მომეშველო? თუ შენ ერთობი და კოკობზიკობ?!

ᲐᲒᲔᲠ ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲔᲔᲑᲖᲔ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲒᲕᲔᲬᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ (ᲘᲛ ᲝᲯᲐᲮᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ) ᲛᲦᲕᲘᲛᲔᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲣᲤᲝᲗᲓᲐ:

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲑᲔᲓᲐ, ᲧᲣᲛᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲦᲕᲘᲛᲔ ᲕᲘᲜ ᲓᲐᲐᲠᲥᲕᲐ (ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲛᲦᲕᲘᲛᲔ ᲰᲥᲕᲘᲐ), ᲔᲡ ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔᲡ ᲛᲦᲕᲘᲛᲔᲐᲝ (ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘᲡᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ!) ᲓᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲐᲮᲐ, ᲡᲐᲓ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔ ᲛᲘᲯᲐᲭᲕᲣᲚᲘ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲯᲐᲭᲕᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲭᲔᲠᲝᲓᲔᲡ. ᲓᲐ ᲜᲐᲗᲚᲘᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲜᲐᲗᲚᲘᲛᲐᲛᲐ ᲕᲐᲠᲝ. ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲝᲣᲜᲐᲗᲚᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲛᲮᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲜᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲐᲪᲓᲔᲜᲘᲜᲐ.

ეს არამც და არამც არ შეიძლება. **ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲗᲐᲧᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲮᲕᲔᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲢᲐᲨᲡ ᲒᲘᲙᲠᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲔᲜᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲙᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲢᲝᲠᲢᲚᲝ, ᲠᲐᲪ ᲘᲪᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲘ.** უნდა იფიქრო, დაწერო ან დაგიწერონ და ყოველი სიტყვა უნდა აწონ-დაწონო.

— „ეროვნული კრება“, სადაც გაერთიანებულია ქართული ინტელიგენციის ნაწილი, თავიდან ამ ოპოზიციონერებს ემიჯნებოდა, მაგრამ ახლა ამბობენ, რომ ეს კრებაც გარკვეული პოლიტიკური პარტიებისგან იმართება, რომლებშიც ხელისუფლებიდან წამოსული ადამიანები არიან. ზოგი ამ კრებას გამოეყო და აცხადებს, რომ უკვე შეცდომებს უშვებენ. რამდენად შესაძლებელია, პოლიტიკურმა პარტიებმა „ეროვნული კრება“ ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენონ და მათ გამო ამ კრებამ და მისმა იდეებმა წარუმატებლობა განიცადოს?

— მე ვესწრებოდი ამ „ეროვნული კრების“ შექმნის მცდელობას და ოპოზიციას ვკითხე, — მე არ ვიცი, თქვენ რა გინდათ და რანაირი ქვეყნის აშენებას აპირებთ, მაგრამ ამჯერად ხომ ყველას ერთნაირად არ გინდათ მთავრობა, მოდი ჯერ ამაზა გავჩერდეთ და ყველამ ერთად მოვიშოროთ. ძაღლების ფილოსოფიით, ერთმანეთს რომ უყეფენ და კბენენ, მაგრამ, მგელი რომ გამოჩნდება, ერთიანდებიან. რაკი ჭკუა არ გვყოფნის, ძაღლებისგან ვისწავლოთ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲡᲐᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

«ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲝᲛᲘ ᲯᲔᲠ ᲠᲐ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲒᲕᲨᲕᲔᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲬᲧᲝᲑᲓᲘᲗ, ᲓᲦᲔ-ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲠᲐᲪ ᲣᲙᲐᲜ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲡ ᲛᲝᲕᲣᲜᲓᲘᲗ, ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲝᲛᲘ?»

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მიირთვით ჰალსტუხი, ბატონო პრეზიდენტო!

„თუ სადმე, შავიზღვისპირეთში ბათუმის მსგავსი სილამაზე დევს, შემიძლია ხელმეორედ შევჭამო ჩემი ჰალსტუხი“. ყველამ კარგად იცით, ალბათ, ეს ფრაზა ვის ეკუთვნის — ჩვენს ჰალსტუხიჭამია პრეზიდენტს (ჩვენ კი არ ვაბრალებთ, თვითონ აღიარა). ჰალსტუხებს რომ მიირთმეევს ხანდახან, ამის აღიარება კარგია, მაგრამ გეოგრაფიაში თუ ასე მოიკოჭლებდა, ნამდვილად არ ვიცოდი. ჩვენს პრეზიდენტს, ალბათ, არასდროს უნახავს სოჭი, ბიჭვინთა, ოდესა, იალტა, სამსუნი, ვარნა... მეეჭვება, არ იცოდეს, ეს ქალაქები შავი ზღვის აკვატორიაში რომ შედის.

პრეზიდენტმა ბათუმისადმი განსაკუთრებული ლტოლვა და სიმპატიები არაერთხელ გამოამჟღავნა. ბათუმში ჩასვლისას ყოველ ჯერზე ისეთ განცხადებებს აკეთებს, ნიცასაც შეშურდება.

„თუკი ქართველობის საუკეთესო მოდელს რამე განასახიერებს, ეს, უპირველესად, ბათუმია“;

„დღეს აქ არის ყველაზე კარგი მომსახურება, ყველაზე კარგი „შოპინგი“ და ყველაზე კარგი მაღაზიები“;

„ადრე ძალიან ბევრი ამბობდა ჩემზე: ამ გიუმა ხომ წაგვჭამა ტვინი თავისი ბათუმით. ყოველთვის არსებობს ხალხი, ვისაც არაფრის სჯერა. მაგრამ ვარსებობთ ჩვენ, ვისაც ყველაფრის გვჯერა და მომავლის გვწამს. ამიტომ გირჩევთ, ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ. სხვებმა, რამდენიც უნდათ, გვაკრიტიკონ, მთავარია, ფეხებში არ გაგვებლანდონ მშენებლობის დროს“;

„შეიძლება ყველაზე მეტი საფუძველი მქონდეს, ახლა აქ ვიყო და ვტრაბახობდე, რადგან თქვენ ნახეთ, რა თქვა ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-ის ჟურნალისტმა ბათუმზე: მთელი მსოფლიო მოვიარე და ასეთი სასწაული არსად მინახავსო“;

„ამ პატარა ქალაქში იქნება ყველა მთავარი ბრენდი სასტუმროებისა. აქ იქნება უფრო მეტი მსოფლიო დონის სასტუმრო, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილზე ასე კონცენტრირებულად მთელს აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში და მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირში,“ — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ **„სწორედ ბათუმში იქნება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო არქიტექტურა მსოფლიოში.“**

დამეთანხმებით, ალბათ, მომხიბვლელი წინადადებებია, მაგრამ საინტერესოა, ამ ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ვინ უნდა დაისვენოს? ალბათ, უცხოელებმა, მაგრამ ჩვენს პრეზიდენტს დაავიწყდა, რომ აგვისტოს ომის შემდეგ საქართველო ერთ-ერთ საშიშ ზონადაა გამოცხადებული ტურისტებისთვის და არა მგონია, მხოლოდ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ნახვის სურვილმა ჩამოიყვანოს ისინი ბათუმში; მით უფრო, ასეთი სასტუმროების სიმცირეს არც სხვა საკურორტო ქალაქები განიცდიან, თანაც ბევრად უფრო შეღავათიან ფასებში. **თუ ტურისტებს ვერ მოიზიდავს, ჩვენი პრეზიდენტი ბათუმში სტუმრობისას ყოველ საღამოს ახალ-ახალ სასტუმროებს მაინც ეწვევა.**

აღსანიშნავია ისიც, რომ წლეულს ბათუმში ყველაფერი ისე გაძვირდა, ქართველ კაცს იქ დასვენებაზე მხოლოდ ოცნება შეეძლება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბათუმში და თურქეთის კურორტებზე ტურისტების მიერ დასვენებისას დახარჯული თანხა თითქმის ერთმანეთს უტოლდება. ყოველ შემთხვევაში, როგორც ტურისტულ კომპანიებში აცხადებენ, ფასთა სხვაობა არც ისე დიდია. ანტალიაში, ოთხვარსკვლავიან სასტუმროში ერთი ადამიანისთვის 10-დღიანი დასვენება, 4-ჯერადი კვებით, ხუთას დოლარამდე ჯდება. ადგილობრივი ტურისტი კი ბათუმში უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე ანტალიაში. ამასთან, დამსვენებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველოში სასტუმროების დონე იმ საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება, ამგვარი სტატუსის სასტუმროს რომ უნდა ჰქონდეს.

ტურიზმის დეპარტამენტის კვლევებზე დაყრდნობით, აჭარაში დასვენება ტურისტს საშუალოდ დღეში 100 ლარი უჯდება, წლეულს კი გაძვირებას ელოდებიან. აჭარის ტურიტულ დეპარტამენტში ამ ინფორმაციას გადაჭრით უარყოფენ. რას ამბობთ, პირიქით, გავაიაფეთო. მაგრამ, ბატონმა პრეზიდენტმა მხოლოდ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები თუ აგვიშენა, ღამეში მინიმუმ 200 დოლარის გადახდა გაიაფება იქნება? ერთ-ერთი ტურისტული კომპანია არც თუ შეძლებული გერმანელი მეგობრისთვის, 2 კვირაა, მიძებნის სასტუმროს, სადაც ღამის გათევა 30-40 ლარი ეღირება და, ნურას უკაცრავად, ასეთი სასტუმრო ბათუმში არ აღმოჩნდა.

სასტუმროს გარდა, საგრძნობლად იზრდება კერძო სექტორში დასვენების ღირებულებაც. ასე რომ, ათდღიანი „სიამოვნებისთვის“ დახარჯული თანხა შეიძლება იმდენად დიდი აღმოჩნდეს, მეორედ ბათუმში ჩასვლის სურვილი საერთოდ დაგეკარგოს. **პრეზიდენტს ის კი არ აინტერესებს, შეძლებს თუ არა საქართველოს მოქალაქე ბათუმში დასვენებას, მთავარია დაგვაჯეროს, რომ ბათუმი ევროპის დედაქალაქად იქცევა.**

ისე, რაღაც ზედმეტადაა შეყვარებული ჩვენი პრეზიდენტი ბათუმზე. ჯერ კიდევ 2007 წელს დაგვენაძლევა ჩვენ და რუსეთს, რომ ბათუმი ყველაზე მაგარი ქალაქი იქნებაო: **„მე დღეს ვდებ ნიძლავს იმისას, რომ 2013 წლისთვის, როცა იწურება ჩემი მეორე პრეზიდენტობის ვადა, მე ვდებ ნიძლავს რუსეთთან, ჩვენ მეგობრებთან, ჩვენ კოლეგებთან რუსეთში, ვდებ ნიძლავს და შემიძლია დავიფიცო და შეიძლება მოგცეთ პირობა, რომ შავი ზღვის ყველაზე ლამაზი ქალაქი, ყველაზე წარმატებული, ყველაზე კარგად აშენებული, ყველაზე მდიდარი ხალხით, იქნება არა სოჭი, არამედ იქნება ჩემი ბათუმი და ამას გავაკეთებ თქვენთან ერთად“.**

კი, როგორ არა, ჩვენთან ერთად... კიდევ რამდენიმე მილიარდს დაიდებს ვალს ჩვენს ხარჯზე და ააშენებს, აბა, რა! ხელი უკვე მოაწერა ბათუმის „ჰაიატის“, „ჰილტონის“, „რიქსოსის“ მშენებლობის დაწყებას. მოლაპარაკებები მიმდინარეობს „ბათუმი ბულგარის“ 7-ვარსკვლავიანი ექსკლუზიური სასტუმროსა და „ინტერკონტინენტალის“ აგებაზეც. დიდი წარმოსახვა არ სჭირდება, რა დაუჯდება საქართველოს ეს ფუფუნება.

პრეზიდენტს ჰალსტუხის ხელმეორედ ჭამას რომ ვახსენებ, იმას ვგულისხმობ, რომ ბათუმი მხოლოდ ერთი ქუჩითა და ბულვარით არ შემოიფარგლება. გაისეირნოს ბათუმის გარეუბნებში და ნახავს, როგორი სილამაზე დახვდება. ის ქუჩები ძველებურად გამოიყურება და მათზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, ასეთი სილამაზე შავზღვისპირეთში არ მოიძებნებაო.

არავის ეგონოს, ბათუმის საწინააღმდეგო მაქვს რამე ან მისი გალამაზება მაღიზიანებდეს. არც მშენებლობების წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ქართველებმა თუ ბათუმში დასვენება ვეღარ მოვახერხეთ, ასეთი ბათუმი რად გვინდა?! აქ ყველაფერი, უპირველესად, ქართველებისთვის უნდა კეთდებოდეს და არა უცხოელი ტურისტებისთვის.

სხვისი არ ვიცი და, სავარაუდოდ, მე წელსაც ვერ შევწვდები ბათუმურ ფასებს. მიუხედავად ამისა, მაინც მოუთმენლად დაველოდები პრეზიდენტის ნათქვამის ასრულებას — როდის გადაიქცევა ბათუმი ტურისტულ მექად.

თეო ტაბატაძე

არჩევნების შემდგომი დომხალი ტელევიზიებში

ამ ბოლო დროს, ეტყობა, ხელისუფლებას ძვირი უჯდება არაპროდუქტიული საზოგადოების შენახვა, არჩევნების მერე — მითუმეტეს. ხელისუფლება ტელევიზიებს აკონტროლებს. ბოდიშს ვიხდი, ტელევიზიების მეპატრონეები დამოუკიდებლად აკონტროლებენ ტელევიზიებს და, როცა საჭიროდ თვლიან, გადაცემებსაც ხურავენ.

ქართულ სატელევიზიო სივრცეში მორიგი დომხალი იწყება — „იმედი“ იყიდება, „პირველი არხი“ თითქმის ჩერდება, ხოლო „პირველი კავკასიური“ საერთოდ იხურება. პრინციპში, არჩევნების მერე ასეც იყო მოსალოდნელი. ტელევიზიებმა პარტიის დავალება პირნათლად შეასრულეს და „დამსახურებულ პენსიაზე“ გავიდნენ.

სამსახურდაკარგული და აღშფოთებული ჟურნალისტები 2012 წლამდე საფრთხეს აღარ წარმოადგენენ. მათ თავიანთი საქმე ხუთიანზე შეასრულეს. გიგი უგულავა ისევ თბილისის მერია და „ნაციონალური მოძრაობა“ — ისევ მმართველი პარტია. დღეს უკვე არასაჭირო ჟურნალისტების ხელფასებისთვის ზედმეტი თანხა აღარ ემეტებათ, მით უფრო, როცა საარჩევნოდ გამოცარიელებულ ჯიბეებს ამ თანხით მშვენივრად შეავსებენ.

დიდი გაურკვევლობაა „პირველ არხზე“. საბიუჯეტო მილიონებით აღვსილ ტელევიზიაში 11 ივნისიდან გადაცემები იხურება და ოქტომბრამდე აღარც განახლდება. საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ გარდა, პოლიტიკური თოქშოუები და გასართობი პროგრამები ეთერში აღარ გავა.

არხის ხელმძღვანელობა თავს იმით იმართლებს, რომ ეს პროცესი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატმა დააჩქარა, რომლის ექსკლუზიური ჩვენების უფლება საქართველოში „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ შეიძინა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ივლისის ბოლოს მთავრდება და საინტერესოა, ივლისიდან ოქტომბრამდე მხოლოდ „მოამბით“ აპირებს ტელევიზია საკუთარი მაყურებლის შენარჩუნებას? ამბიციები საკმარისად აქვთ, საქართველოში ნომერ პირველი ტელევიზიის იმიჯის მორგებასაც ცდილობენ და არა მგონია, სატელევიზიო ბადეში ორთვიანი სიცარიელე მომგებიანი აღმოჩნდეს არხის ისედაც არასახარბიელო რეიტინგისთვის.

გადაცემების დახურვის პარალელურად თანამშრომლებსაც ათავისუფლებენ. არხის ხელმძღვანელობის განმარტებით, ნაწილს ისედაც ამოეწურა „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ დადებული კონტრაქტი, რომელიც ახალ სატელევიზიო სეზონამდე აღარ გაგრძელდება. დღეისათვის „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ სულ 1030 ადამიანია დასაქმებული. მთლიანი სახელფასო ბიუჯეტი წელიწადში 14 მილიონი ლარია, რაც მაუწყებლის ბიუჯეტის 64 პროცენტია. არხის ხელმძღვანელობას კი რატომღაც ამ პროცენტის 50-ზე დაბლა დაწევა სურს. თანამშრომლების ნაწილთან კონტრაქტის განახლება კი სექტემბერში, საეთერო ბადის განახლებასთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსის შედეგებით გაირკვევა.

„საზოგადოებრივ მაუწყებელში“ სახელფასო ცვლილებებიც მიმდინარეობს. თანამშრომელთა დიდ ნაწილს, მათ შორის თავად გენერალურ დირექტორს, ხელფასი შეუმცირდა.

კიდევ უფრო დიდი გაურკვევლობაა „პირველი კავკასიურის“ ირგვლივ. მან მაუწყებლობა გაურკვეველი ვადით შეაჩერა.

გადაცემების აქტიური დახურვები მიმდინარეობს ტელეკომპანია „იმედშიც“. საზოგადოებაში ისეთი ცნობაც გავრცელდა, თითქოს ტელეკომპანია „იმედის“ შესყიდვა უკრაინელებს სურთ. ამ ცნობას რუსული სააგენტოები ავრცელებენ. **„იმედის“ გენერალურ დირექტორად მალე, შესაძლოა, უკრაინული ტელეკომპანია „1+1“-ის საინფორმაციო გამოშვების ხელმძღვანელი ოქსანა ზინოვიევა დაინიშნოს, არველაძეს კი თანამდებობის დატოვება მოუწევს.**

გაირკვა, რომ ივნისის ბოლოს დაიხურება „ჟურნალისტის დღიური“, ასევე „სამსონაძეების ოჯახი“; ივლისიდან — „იმედის დილა“.

ყველაზე სასაცილო ისაა, ჯერ არგასული გადაცემები რომ იხურება. კერძოდ, საეთეროდ მომზადებული „ავტობილდინგისა“ და „მანუელის სამზარეულოს“ ბედიც გაურკვეველია. საინტერესოა, თუ ყველაფერი დახურეს, სერიალების იმედად აპირებენ დარჩენას?

„ინტუიცია“, „დღის შოუ“, „ექსტრასენსთა ბრძოლა“ — ამ გადაცემებს მხოლოდ სექტემბრამდე უწერიათ სიცოცხლე, მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე კვირის დაწყებულია.

არ დაიხურება: „ნანუკას შოუ“, „ღამის შოუ“, „შუა ქალაქში“, „გოგონა გარეუბნიდან“. ყველა ამ გადაცემას „ღამის შოუს“ სტუდია აკეთებს. როგორც ჩანს, „ღამის შოუს“ სტუდია კარგად მოერგო „იმედს“. რა გასაკვირია, დათო გოგიჩაიშვილი ბორდის წევრი გახდა და, ბუნებრივია, ეს გადაცემები დარჩებოდა.

„იმედი დილის“ დახურვაზე, ალბათ, არც არავის დაწყდა გული. დილის გადაცემები ყოველთვის ამ არხის მარადიული პრობლემა იყო. ვერ გაიგეს, რომ თავი უნდა დაანებონ ამ უაზრო კონკურსებს (დუეტები, ოჯახები და ათასგვარი უაზრო შეჯიბრებები) და ადეკვატური და ერთმანეთის შესაფერისი წამყვანები შეარჩიონ.

სამსახურიდან განთავისუფლება მარტო ჟურნალისტებს კი არ შეეხო, თურმე „იმედიდან“ მძღოლებიც გაუშვეს და უფულობის გამო მანქანებს ყიდიან. ტირილი და გლოვაა, ყველა გასაშვებ სიებს ელოდება. **შემცირების მეათე ტალღა დაიწყო. უმუშევართა არმიას სამსახურდაკარგული ჟურნალისტები შეუერთდნენ. როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში მარტო „მიშა მაგარიას“ ყვირილიც არ კმარა სამსახურის შესანარჩუნებლად.**

ლილი მიროტაძე

არნო ხიდირბეგიშვილი:

ენა, რომელიც დღეს თბილისამდე ვერ მიგვიყვანს, ანუ «ეტ ინჩეს ასუმ, რუსეცკი-ჯან?!»

2010 წლის 4 ივლისს РИА „Новости“-ს თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში გაიმართა მრგვალი მაგიდა ***„საქართველოში რუსულენოვანი მედიის მდგომარეობის შესახებ“,*** რომელშიც მონაწილეობდნენ გაზეთ *„Свободная Грузия“*-ს მთავარი რედაქტორი **ტატო ლასხიშვილი,** პროექტ *„Новости-Грузия“*-ს დირექტორი **ელენე იმედაშვილი,** ჟურნალ *„Русский клуб“*-ის მთავარი რედაქტორი **ალექსანდრ სვატიკოვი,** რეგიონული უსაფრთხოების სამხრეთ-კავკასიური ინსტიტუტის დირექტორი **ალექსანდრ რუსეცკი** და ამ სტრიქონების ავტორი — პუბლიცისტი და პოლიტოლოგი **არნო ხიდირბეგიშვილი**.

„მრგვალი მაგიდის“ ფორმატმა თითოეულ მონაწილეს საშუალება მისცა მოცემული პრობლემის მისეული ხედვა დაეფიქსირებინა, შემდეგ იგი დისკუსიაში განეხილა და დამსწრეთა — რედაქტორების, ჟურნალისტების, ადგილობრივი და უცხოური პრესის კორესპონდენტების — კითხვებზე ეპასუხა. მე, კერძოდ, ვთქვი:

„აქეთ მომავალმა აი ეს ბროშურა — 2006 წელს საქართველოში რფ-ის საელჩოს მხარდაჭერით ორგანიზებული და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში გამართული „მრგვალი მაგიდის“ მასალები გამოვიყოლე: **„რუსულენოვანი საინფორმაციო სივრცე საქართველოში: მდგომარეობა და პერსპექტივები“.**

ის „მრგვალი მაგიდა“ **2006 წლის 30 აგვისტოს** გაიმართა, თითქმის ერთი წლის შემდეგ კი, **2007 წლის 10 აგვისტოს**, ჩვენი ხელისუფლება ეკონომიკის სამინისტროსა და თბილისის მერიის მაღალჩინოსნების ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ასობით პოლიციელის სახით კოსტავას ქუჩის № 14-ში მდებარე პრესის სახლში შეიჭრა და მოტყუებით, თითქოსდა შენობაში ბომბი იყო, თავიანთი ოფისებიდან სამუდამოდ გამოაძევა გაზეთებისა და ჟურნალების 80 რედაქცია, მათ შორის, საქართველოს მთელი რუსულენოვანი პრესა. ხოლო ერთი წლის შემდეგ, **2008 წლის 10 აგვისტოს** ტრაგედია დატრიალდა სამხრეთ ოსეთში და პრესის სახლის დაცარიელებულ შენობაში ქართველი ლტოლვილები ჩასახლდნენ. ეს თარიღების უბრალო დამთხვევა არაა, ამაში პირდაპირ ლოგიკურ ჯაჭვს ვხედავ.

მაშინდელ „მრგვალ მაგიდაზე“ სიტყვით გამოსვლისას ვთქვი, რომ **რუსულენოვანი საინფორმაციო სივრცის, ისევე, როგორც რუსული ენის, სავალალო მდგომარეობას საქართველოში წმინდა პოლიტიკური მიზეზი აქვს,** მაგრამ მაშინ ამაზე მსჯელობას გაურბოდნენ...

რა შეიცვალა მას მერე — 4 წლის შემდეგ? სრულებით არაფერი, გაუარესდა კიდეც: **რუსისტიკა დღეს საქართველოში გადაშენების პირასაა.** იმ „მრგვალი მაგიდის“ რეზოლუციაში ყველაფერია ნათქვამი (იმის შესახებ, რომ დაუშვებელია სახელმწიფო დოტაციის გარეშე რუსულენოვანი მედიის დატოვება და ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებისადმი მიმართვა; ერთმანეთისთვის რჩევის მიცემა, რომ საჭიროა საკუთარი გამოცემების ხარისხის ამაღლება; სენტენციები ტოლერანტობის ტრადიციების შესანარჩუნებლად რუსულენოვანი მედიის მნიშვნელოვანი როლის შესახებ), მაგრამ არაფერია ნათქვამი **უმთავრესზე: რომ 2003 წელს „ვაშინგტონის საოლქო კომიტეტმა“ „ხუთწლედის დამრტყმელი გეგმა“ დაამტკიცა სახელწოდებით „პროექტი Georgia“, რომლის თანახმადაც საქართველოში უმთავრესი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო რუსულ ენაზე,** რაც კეთილსინდისიერად აღასრულეს მათ, ვისაც ამ რეზოლუციაში მიამიტად ვთხოვეთ დახმარება და მოკრძალებით მივუთითეთ საქართველოში რუსულენოვანი მედიის მიმართ მათი მხრიდან არასაკმარის ყურადღებაზე.

საქართველო სასწრაფოდ უნდა ჩამოგვეშორებინა რუსეთისთვის და ორიენტაცია დასავლეთზე აგვეღო, განსაკუთრებით უნდა გვეზრუნა ჩვენი, სსრკ-ის უნახავი შვილების ერთმანეთისთვის ჩამოშორებაზე, რათა ქართველ, აფხაზ, ოს და რუს ბავშვებს შემთხვევით არ შეეტყოთ, რომ თურმე და-ძმანი არიან. მიზანს მიაღწიეს და, სანამ მავანი მოქმედ ხელისუფლებას ეკეკლუცებოდა და ჯიქურ ვერ ხედავდა, რომ საქართველოში რუსული ენის სავალალო მდგომარეობა წინასწარ ჩაფიქრებული ბინძური პოლიტიკა იყო, გვიანი აღმოჩნდა: ჩვენ უკვე ერთმანეთს ვესროდით...

დღეს რუსული ენა, საბედნიეროდ, კიევამდე ისევ ჩაგვიყვანს, მაგრამ თბილისამდე — ნამდვილად ვერა: თბილისამდე დღეს წარმატებით ჩაგიყვანს ინგლისური. კვლავ იბლოკება რუსული საინფორმაციო ტელეარხები, კინოთეატრებში აკრძალეს რუსული ტიტრები და რუსული ფილმები ქართული თარგმანის გარეშე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში რეისები არ ცხადდება იმ ენაზე, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენას წარმოადგენდა იმ ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელიც ხმელეთის ერთ მეექვსედზეა გადაჭიმული და დღესაც ასეთ ენად რჩება თავად საქართველოს მოახლეობის ერთი მეოთხედის ანუ ნაციონალური უმცირესობებისთვის... აღარაფერს ვამბობ რუსულენოვანი მედიის მდგომარეობაზე: თქვენ უკეთ იცით, რა სასწაულით უდგას სული თქვენს გამოცემებს...

სამაგიეროდ, არცთუ დიდი ხნის წინათ ჩვენთან (ქვეყანაში, რომელიც ოდითგან თავისი მრავალეროვნულობითაა განთქმული) სტუმრად ჩამოსულ პროვოკატორ **ოლეგ პანფილოვს** (სხვათაშორის, რფ-ის მოქალაქეს) უკვე ჰყოფნის თავხედობა, საქართველოში რუსული ენის მაქსიმალურად შეზღუდვის აუცილებლობაზე ილაპარაკოს და ამას აცხადებს კაცი, ვინც აქ **„რუსულენოვანი ჟურნალისტიკის სკოლა“** და რუსულენოვანი ტელეარხი **„Первый Кавказский“** დააარსა, რომლებმაც იდეაში ხელი უნდა შეუწყოს რუსული ენის პროპაგანდას! სინამდვილეში კი ისინი ჩვენი საზოგადოების რუსოფობიით მოწამლვასა და ჩვენი შვილების ანტირუსული სულისკვეთებით აღზრდას ისახავს მიზნად! და ეს პროვოკაციული განცხადებები კეთდება მაშინ, როცა, საქართველოს ტერიტორიასავით, დღითიდღე მცირდება რუსული ენის არეალი....

და რაც ყველაზე შემაშფოთებელია (ბოლომდე გულახდილი ვიყოთ!): დღეს საქართველოში, საზოგადოებრივ ადგილებში – იქნება ეს მაღაზია, ტრანსპორტი თუ კაფე, რუსულად დალაპარაკებისას, შესაძლოა, არა მარტო პასუხი ვერ მიიღოთ, არამედ შეურაცხყოფაც მოგაყენონ. საბედნიეროდ, ეს საყოველთაო პრაქტიკად ჯერ არ ქცეულა და მარტოდენ პრეცენდენტული გამონაკლისებია, რომლებსაც არაერთხელ შევსწრებივარ...

ჩვენი ამჟამინდელი „მრგვალი მაგიდა“, წინამორბედის მსგავსად, მხოლოდ ქაღალდზე რომ არ დარჩეს, ილუზიებს ნუ შევიქმნით: **დღეს რუსულენოვანი მედია საქართველოში თვითანაზღაურებადი ვერ იქნება, რადგან ამჟამინდელი სახით მათზე საკმარისი მოთხოვნა ისედაც არ არსებობს, და — პირიქით. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კი სახელმწიფო დოტაციის იმედზე ვერ იქნებიან ზემოთ დასახელებული პოლიტიკური მიზეზით** (სახელმწიფო დოტაციაზე ფიქრი მხოლოდ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რასაც მოქმედი ხელისუფლება არ აპირებს).

ამიტომ დღეს, 2010 წლის 4 ივლისს, РИА „Новости“-ს საინფორმაციო მოედანზე, გთავაზობთ: **გავერთიანდეთ და შევქმნათ საქართველოს რუსულენოვანი პრესის ცენტრი, რომლის უმთავრესი ამოცანაც საქართველოში რუსულენოვანი ჟურნალისტიკის აღორძინების პროგრამის შემუშავება და განხორციელება იქნება.**

რუსულენოვანი ჟურნალისტიკის აღორძინების პროგრამა საქართველოში მოწოდებულია, ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრების მომზადებას (ორენოვანი ჟურნალისტებისა და მთარგმნელების) საქართველოში გაქრობის პირას მყოფი რუსულენოვანი პრესისთვის და ერთიანი რუსულ-ქართული საინფორმაციო სივრცის შექმნას, რაც თავის მხრივ, რუსულენოვანი მედიანდუსტრიის აღორძინების, საქართველოში რუსული ენის, მთლიანად რუსისტიკის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის დასაყრდენი გახდება“.

გასაოცარია! — რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა „მრგვალი მაგიდა“, მით მეტად ნათელი ხდებოდა, რომ მისი მონაწილეები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ისევე, როგორც 2006 წლის „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეები, **ჯიქურ ვერ ხედავდნენ ანდა არ სურდათ დაენახათ მთავარი** — ის, რის შესახებაც ვლაპარაკობდი ჩემს გამოსვლაში (იხ. ზემოთ), და მსჯელობდნენ მხოლოდ პრობლემის კომერციულ შემადგენელზე: **„ფულიტირაჟი-ფული“ — ამ ფორმულას დისკუსიის მონაწილეები ვერ სცდებოდნენ, თითქოსდა საქართველოში რუსულენოვანი მედია მარტოდენ კერძო ბიზნესი ან ინტერნეტთამაში ყოფილიყოს!..**

შევჩერდები მხოლოდ რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორის — **ალექსანდრ რუსეცკის** გამონათქვამებზე, საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული წარმატებული NGO-შნიკის ტიპური წარმომადგენლის, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს „საგრანტო ხაზი“ და პროექტებსაც ერთი-მეორის მიყოლებით ღვეზელებივით აცხობენ. ღმერთმა ხელი მოუმართოს! — სხვისი ბიზნესი, ამბიციები და კონფორმიზმიც კი ნაკლებად მაინტერესებს, **სანამ ისინი ჩემი სამშობლოს — საქართველოს ინტერესებს სახიფათოდ არ შეეხებიან!** (აქვე მინდა დავძინო: **ბატონ რუსეცკის ვთვლი განათლებულ კაცად, დადებით პიროვნებად და სამაგალითო თბილისელად მივიჩნევ,**

ამიტომ ორმაგად მწყინს არცთუ უხეირო პოტენციალის მქონე ახალგაზრდების გააზრებული თუ უნებლიე შეცდომები — ახალგაზრდებისა, რომლებიც „ჩაძირული ხომალდის“ პირობებში მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათს გვიქმნიან...)

უწინარეს ყოვლისა, ეს ის გავრცელებული მაგალითია, როცა **ფორმა შინაარსს შეესაბამებოდა:** ბატონ რუსეცკის გამოსვლა, რომელიც სამეცნიერო-პოლიტიკური ლიტერატურიდან ნასესხებ მოდურ ტრფარეტულ ფორმულირებებს შეიცავდა, **მკვდარი რუსული ენის** აშკარა მაგალითი იყო, რომელზეც მოსკოვის პოლიტიკური ბომონდიც კი ლაპარაკობს და კედელს ცერცვს აყრის მრავალრიცხოვან კონფერენციებზე.

ფორმას ჩინებულად შეესატყვისებოდა შინაარსიც (მოვიყვან მის რამდენიმე ყველაზე უბრალო ფრაზას): *„გამოცემათა კონცეფციები 15-20 წლით მოძველდა. რუსულენოვანი პრესის საკითხი, როგორც მინიმუმ, სამ განზომილებაში უნდა განვიხილოთ: შიდა, რაც დაკავშირებულია ენის სახელმწიფო პოლიტიკასთან; გარე — დაინტერესებულ პირებსა და დიასპორებზე გათვლით და რეგიონალურ — სამხრეთ კავკასიის დონეზე“.* საკუთარ ჰალსტუხს შევჭამ, თუ იქ დამსწრეთაგან ვინმემ ან თავად რუსეცკიმ მკაფიოდ გაიგო და დაიჯერა ეს ნათქვამი! რა სამ განზომილებაზეა ლაპარაკი, როცა რუსთაველის სამშობლოში ივიწყებენ პუშკინის, ლერმონტოვისა და ტოლსტოის ენას, რომელსაც მსოფლიოს ყველა უდიდეს სამეცნიერო ცენტრში ასწავლიან?! რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას — საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფაქტორის ნიველირებისა და ამა თუ იმ ფორმით „ზაკფედერაციის“ იდეის რეანიმაციის (ერთი მმართველით, არმიით, ვალუტით) სახიფათო ტენდენციას ვხედავ, რაც ბოლო ხანებში აქტიურად მუსირებს სხვადასხვა ახალგამოცხობილ კონცეფციაში — „ერთიანი კავკასია,“ „მშვიდობიანი კავკასია“ და სხვ.

შევახსენებ ბატონ რუსეცკის, რომ საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი — მეზობელი, მაგრამ თავიანთი პრიორიტეტებით ძალზე განსხვავებული ქვეყნებია, რომლებიც მოძმე, მაგრამ თავიანთი კულტურითა და მენტალიტეტით ერთობ განსხვავებული ხალხებითაა დასახლებული. ამიტომ მათი მრავალრიცხოვანი, მათ შორის „ცხელი“ პრობლემების (ყარაბაღი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) უნიფიცირებისა და გაერთიანების ნებისმიერი მცდელობა უნივერსალური მიდგომისა და ფორმულების შემუშავება — კონტრპროდუქტიული, სახიფათო და მარცხისთვის განწირულია. ვის წინაღმდეგ უნდა გავერთიანდეთ, რუსეთისა ხომ არა?!

ხოლო საქართველოში რუსულენოვანი პრესის საკითხი მხოლოდ ერთ ჭრილში — **პოლიტიკურში** უნდა განვიხილოთ, რასაც ჩემს გამოსვლაშიც გავუსვი ხაზი და რამაც ასე ააღელვა რუსეცკი: ბატონო ალექსანდრე, თქვენ საქართველოს ხელისუფლება დაიცავით, როცა თქვით, რომ მათი მისამართით გამოთქმული ჩემი კრიტიკა უსამართლოა და პირადად თქვენ არასდროს წასწყდომიხართ დაბრკოლებებსა და სირთუ-

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ლეებს მასთან თანამშრომლობისას. მირჩიეთ კიდეც, რომ რეინტეგრაციის მინისტრთან, იაკობაშვილთან დიალოგი გამემართა იმის სათხოვნელად, რომ საქართველოში რუსულენოვან მედიას დახმარებოდა...

რაღა გითხრათ?! **ალბათ, ისეთივე ოხუნჯი ხართ, როგორც იაკობაშვილი: საქართველოში ყველას ახსოვს მისი ყოველდღიური სკაბრეზული, რუსეთისა და რუსების შეურაცხმყოფელი ხუმრობები ტელევიზიით — განსაკუთრებით დამამახსოვრდა 2008 წლის აგვისტოში როგორ უწოდა მან შერეულ საკონტროლო კომისიას საქართველო-ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში (სკკ) კაკა, რითაც მოლაპარაკებების ბოლო ძაფიც გაწყვიტა და რამდენიმე დღეში ომის პროვოცირებაც მოახდინა. შედეგად, რეინტეგრაციის მინისტრმა იაკობაშვილმა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის რეინტეგრაცია მოახდინა ამჟამად დამოუკიდებელ რესპუბლიკათა — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში!** (გამოვტყდები, ერთ მომენტში მომეჩვენა, რომ იუმორის საღამოს ვესწრებოდი, მაგრამ საათზე დახედვისას მივხვდი, რომ ჯერ ყველაფერი წინ იყო...)

და მართალაც, თქვენ თვალთმაქცურად გააგრძელეთ „ბრძნული“ აზრების ფრქვევა და განაცხადეთ, რომ თურმე საქართველოში არსებობს რუსული პრესა, ქართული პრესა რუსულ ენაზე, რუსული პრესა აფხაზეთში და აფხაზური პრესა რუსულ ენაზე, რუსული პრესა სამხრეთ ოსეთში და ოსური პრესა რუსულ ენაზე (კლასიფიცირება განაგრძეთ, მაგრამ ჩემმა მწირმა გონებამ მეტი ვერ დაიმახსოვრა), და რომ საჭიროა მკითხველის აუდიტორიის გათვალისწინება — ლტოლვილებისა, რომლებიც მალე საკუთარ სახლებს დაუბრუნდებიან.

თავს ნუ მოიტყუებთ, ლტოლვილები იქ ვერ დაბრუნდებიან, სანამ ხელისუფლების სათავეში თქვენი მეგობარი იაკობაშვილია, ხოლო პრესა, ისევე, როგორც პუბლიცისტები, მხოლოდ ორი სახისაა — ჭკვიანი და სულელი; სულელები თავიანთ სიბრიყვეს ხმამაღალი ფრაზებით ვერ შენიღბავენ, ეფექტური ფასადის მიღმა სიცარიელე და აფერაა...

პუბლიცისტიკასა და პუბლიცისტებს რაც შეეხება, ვინ გითხრათ, რომ პუბლიცისტი ხართ?! ეს იმიტომ გამახსენდა, რომ „მრგვალ მაგიდაზე“ ჩემი გულწრფელი მოქალაქეობრივი პოზიცია პოზად მიიღეთ და განაცხადეთ, რომ თქვენ თურმე სხვა სტილით წერთ, მე — სხვა სტილით...

ჯერ ერთი, რასაც თქვენ წერთ, იმას პუბლიცისტიკა არ ჰქვია, თანაც სტილის მქონე. ხოლო პუბლიცისტ ხიდირბეგიშვილის სტილი ნაკარნახევი არ არის ხელისუფლების მუდმივი კრიტიკის პარანოიდალური სურვილით და ამით ოპოზიციური ძალების შესაბამისი შეკვეთის შესრულებით: მე არ მაქვს სტილი, უბრალოდ, სიმართლეს ვამბობ, ხშირად — არცთუ მაამებლურს (მაგალითად, როგორც ახლა თქვენ გეუბნებით!). თუმცა, თუ სტილზე ლაპარაკისას ქარაგმულად მიმანიშნებთ, რომ მოქმედ ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, მაშინ სტილი თქვენც გქონიათ — ამ ხელისუფლებას მუდმივად რომ იცავთ! (საინტერესოა, რომ მე, **ხიდირბეგიშვილი** რუსეთთან **ხიდის** გადებისთვის ვიღვწი, ხოლო **რუსეცკი** საქართველოს **ანტირუსული** ხელისუფლებისაკენ მიმავალ **ხიდს** წარმოადგენს!)

თქვენ ისიც ბრძანეთ, რომ რუსულენოვანი პრესა, საქართველოსგან განსხვავებით, სომხეთში ყვავის.

გიპასუხებთ: **ეს იმიტომ, რომ იქ არ არის იაკობაშვილისნაირი მინისტრები, არ ებრძვიან საკუთარ მოქალაქეებს და პატივს სცემენ მეზობლებს, იქ ზრუნავენ რუსეთში მცხოვრებ თავიანთ მოქალაქეებზე, ჩვენგან განსხვავებით; რუსეთში იმ მილიონნახევრიანი ქართული დიასპორისთვის რომ მიგვიფურთხებია, საქართველოში 10 მლნ დოლარამდე გამოსაკვებად რომ გვიგზავნის!**

ამასთან, თქვენ, სომეხი დამსვენებლების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით (ძირითადად, აჭარაში) შემოგვთავაზეთ სომხური ენის შესწავლა და სომხურენოვანი გაზეთების გამოცემა... *„რუსულის ნაცვლად, ახლა სომხური ვისწავლოთ?!“* — ყურებს არ დავუჯერე და ჩაგეკითხეთ. ***„რატომაც არა?“*** — მომიგეთ თქვენ...

არ ვიცი, შენიშნეთ თუ არა ჩემს სიტყვებში ირონია, მაგრამ, როცა **საქართველოში რუსულენოვანი პრესის ცენტრს** (რომლის შექმნის წინადადებაც მე წამოვაყენე) — **პროფკავშირი (?!)** უწოდეთ, **თქვენს სიტყვებში არა მარტო ირონია, არამედ ცინიზმიც შევნიშნე...** (სხვათაშორის, ასეთი პროფკავშირი ნამდვილად კარგი იდეაა და მადლობელი ვარ კარნახისთვის, რადგან დღეს საქართველოში იმდენივე ჟურნალისტთა კავშირია, რამდენიც თავად ჟურნალისტი, მაგრამ მათ უფლებებს არავინ იცავს!).

მახსოვს, ამრეზით ლაპარაკობდით იმაზეც, რომ ყველაფერში დამნაშავე ჩვენი უგერგილობა და სიზარმაცეა და მაგალითად დაასახელეთ სკოლა გორელოვკაში, სადაც სასკოლო წიგნებს თაროებზე მტვერი ედება, ხოლო კედლებზე ლენინის პორტრეტები კიდია...

ნება მიბოძეთ, გკითხოთ: **გორელოვკა ჯერ კიდევ საქართველოა თუ იაკობაშვილმა უკვე მოახდინა მისი რეინტეგრაცია სომხეთის შემადგენლობაში?! თუ ეს საქართველოა, რატომ არ ეხმარება სკოლას სახელმწიფო, რატომ არ შეიტანეს იქ საქართველოში ყველა სკოლისთვის განკუთვნილი კომპიუტერები, რომელთა რეკლამირებასაც პრეზიდენტი საკაშვილი მთავრობის სხდომაზე ტელევიზიით ახდენდა?! იქნებ იმიტომ, რომ გორელოვკაში** (საქართველო-სომხეთის საზღვარზე მდებარე მაღალმთიანი სოფელი) **იაკობაშვილის კი არა, არამედ აქ სულ რამდენიმე ოჯახად შემორჩენილი დიდი ხნიდან მცხოვრები დუხობორების შვილები სწავლობენ?!**

სხვათა შორის: **რა ენაზე მეტყველებს იაკობაშვილი, როცა ვიზიტად მიემგზავრება სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, ბელორუსსა და პოსტსაბჭოური სივრცის სხვა ქვეყნებში?! შემთხვევით, რუსულად ხომ არა?! იქნებ იმიტომაც არ სურთ მას და მის ხელისუფალ კოლეგებს, რომ ჩვენმა შვილებმა რუსული ისწავლონ — რათა თავიანთი სავარძლები მემკვიდრეობით თავიანთ შვილებს გადასცენ, რომლებთანაც, დარწმუნებული ვარ, რუსული ენის პედაგოგები კერძოდ დაიარებიან?!**

მათ ამის შესაძლებლობა აქვთ, საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი კი საკუთარ თავს ასეთი ფუფუნების უფლებას ვერ აძლევს...

მაგრამ თქვენ და თქვენს მეგობრებს, ბატონო რუსეცკი, ამის გაგება გიჭირთ. გორელოვკაში მარტო ერთი დღით და ისიც სტუმრად, თანაც ზაფხულში ჩადიხართ. თქვენ ბავშვობიდან უფასოდ გასწავლეს სკოლაში რუსული ენა და ბედმა გაგიღიმათ — „სახვევებიდან“ პირდაპირ „მჭიდში“ მოხვდით, ამ დროს კი მე ხელში ნამდვილი მჭიდი მეკავა...

თუმცა... **ერთ რამეში ნამდვილად დამარწმუნეთ — აუცილებლად შევხვდები იაკობაშვილს, მაგრამ ჩვენ შორის გისოსები იქნება, რომლის ერთ მხარეს ბრალდებულის სკამი დგას: გამოიცანით, ჩვენ ორიდან ვინ იჯდება მასზე? რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ „მავანი“ ისრაელის მოქალაქე არ გაიქცევა, როგორც საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ისრაელის მოქალაქე კეზერაშვილი, რომელიც დღეს ჩვეულებრივი სამხედრო დამნაშავე, საერთაშორისო კონტრაბანდისტი და იარაღით მოვაჭრე აღმოჩნდა...**

P.S. ბატონო ალექსანდრ, ვიმედოვნებ, ჩემს სიტყვებზე არ განაწყენდებით და ამით დაადასტურებთ ჩემს კეთილგანწყობას თქვენდამი, რომლის შესახებაც ჩინებულად იცით და ამგვარად დაამტკიცებთ, რომ არ ხართ იმ სატანისტური მანქანის ნაწილი, უკვე მერამდენე წელია, საქართველოს რომ ანადგურებს. **საქართველოს ინტერესებისთვის მე პირადი ინტერესების შელახვასაც მოვითმენ, მაგრამ ვერ ავიტან საქართველოს ინტერესების შელახვას, სამშობლოსი, რომელიც ერთი მაქვს (ისტორიულიცა და ფაქტობრივიც) და საიდანაც გაქცევას არ ვაპირებ.**

გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ მას შემდეგ, რაც თქვენ პუბლიცისტმა ხიდირბეგიშვილმა გახსენათ, თქვენი ელექტრონული ბიულეტენის მოკრძალებული ტირაჟი (რაც ასე გაღელვებთ) საგრძნობლად გაიზრდება! მაგრამ დივიდენტებს არ გთხოვთ: ფულს, რომელსაც ამ უფასო პიარ-რეკლამის მეშვეობით მიიღებთ, გთხოვთ ფრიდრიხ ებერტის სახელობის ფონდში გადარიცხოთ.

წელში მოხრილთა საზოგადოება

ქართველი კაცი წელში მოხრილია, — ეს ცნობილმა რენტგენოლოგმა დაასკვნა, ფილტვებსა და სხვა შინაგან ორგანოებს რომ აშუქებენ, იმგვარმა. არადა, რა კავშირშია ერთმანეთთან სქოლიოზი (გნებავთ ოპოზიციური სქოლიოზი) და ფილტვების სარკომა (გნებავთ სახელისუფლო სარკომა)?! აღმოჩნდა, რომ ათიდან ცხრა რენტგენოლოგიურ სურათზე, რომელსაც მავანი ნაცნობი რენტგენოლოგი იღებს, ხერხემლის სერიოზული გამრუდება შეინიშნება. რენტგენის სურათზე ხერხემლის გამრუდება ისევე კარგად ჩანს, როგორც ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის დაპირებებში სიმართლის ამპლიტუდიდან სერიოზული გადახრა.

სანამ პოლიტიკურ გადახრებზე გადავალთ, თავად ქართველი საზოგადოების ხერხემალზე ვისაუბროთ პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით.

ქართველთა სიღარიბის ზღვარს **მიღმა მყოფი ფენა წელში რატომ არის მოხრილი, ამის გარკვევას ფილოსოფოსთა კომენტარები სულაც არ სჭირდება. ზოგადად, მოწყალების მომლოდინე ღატაკი ადამიანი წელშია მოკაკვული და სახედაღრეჯილს ხელი საწყალობლად აქვს გაშვერილი (წელში გამართულს, გაღიმებულსა და ბედნიერ კაცს არავინ მისცემს მოწყალებას). რაც უფრო წელშია მოხრილი კაცი, მით უფრო მოხერხებულად მალავს სახესა და თვალებს, მოწყალების მიღების შანსიც უფრო მეტია. ამგვარი კატეგორიის ადამიანები ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილია.**

სულაც არ არის აუცილებელი, ადამიანმა ხელი სამათხოვროდ პირდაპირი მნიშვნელობით გაიშვიროს; წელში მოხრისათვის და გამათხოვრებისათვის ქუჩაში გასვლა სულაც არ არის საჭირო. შესაძლოა, კაცი შინ იყოს, მაგრამ საკუთარ სახლ-კარშიც წელში მოხრილი დადიოდეს და თავს მათხოვრად გრძნობდეს. როცა პენსიას მხოლოდ რამდენიმე ლარით გიმატებენ, საარსებო მინიმუმად კი მარტოოდენ ასრაღაცა ლარს აცხადებენ, საზოგადოების 80 პროცენტი თავს, უნდა თუ არ უნდა, თავისი სურვილის მიუხედავად, მათხოვრად გრძნობს. შესაბამისად, ეს გრძნობა ბოღმას იწვევს, დაბოღმილი კაცი კი, მეტწილად, წელში მოხრილია.

აღნიშნული კატეგორიის ადამიანები ქუჩაში სიარულისას, დაკვირვებული ვარ, ძირს, მიწას ჩასცქერიან. ბუნებრივია, ამას ახსნა არც სჭირდება – ძირს მხოლოდ ის კაცი იცქირება, ვისაც რაიმეს პოვნის იმედი აქვს; თუნდაც ეს მავანის ჯიბიდან გზააბნეული ორმოცდაათთეთრიანი იყოს. ბოლო-ბოლო ერთი ზედმეტი ლავაშია. ძირსმაყურებელი კაცი კი, თქმა არ უნდა, შესაბამისად წელშია მოხრილი.

ეს ღატაკ ფენას რაც შეეხებოდა, მაგრამ პარლამენტთან თუ კანცელარიასთან მდგარი ბოლო მოდელის „ჯიპებიდან“ გადმოსული ჩაკურატებული ჯეელებიც რაღაცნაირად არადამაჯერებელი, შეწუხებული მზერითა და მოხრილი მხრებით გამოირჩევიან. კაცმა რომ თქვას, ამათ არც პურის ფული აქვთ საზრუნავი და არც თვიდან თვემდე უწევთ ხელფასის ხუთიოდე ლარის გაზრდის ლოდინი. საკითხავია, „რამ დააღონა, რამ გაათეთრა, რა აცახცახებს?“

ერთი ზომით პატარა ფეხსაცმელი რაღა შუაშიაო, მეწაღესთან ჯერ არ ნამყოფი მკითხველი გაოცდება. იმ შუაშია, რომ ეს გასუქებულ-გაქსუებული, წელში მოხრილი ხალხი „პიჟონობასთან“ ერთად მატყუარებიც არიან, მატყუარები იმიტომ, რომ, თუ არ მოიტყუე, ვერ მოიპარავ, თუ არ მოიპარე, ვერ გასუქდები! წელში მოხრას რაც შეეხება, ეგ კიდევ უფროსთან მიმართებაში მლიქვნელობისა და, როგორც უკვე ვთქვით, „პიჟონობის“ უტყუარი ნიშანია. უფროსს თუ არ მიემლიქვნელა, თუ არ მოიტყუა, ვერ მოიპარავს, თუ არ მოიპარავს... ერთი ზომით პატარა ფეხსაცმელი კიდევ ფეხზე უჭერს და შესაბამისად შეწუხებული სახე აქვს, შეწუხებული კაცი უფრო წელში მოხრილია, წელში მოხრილი — უფრო იოლად იტყუება, უფრო ადვილად მდიდრდება და ა.შ.

ტელევიზორში მთავრობის სხდომების ცქერისას შემჩნეული მაქვს, ქვეყნის პირველი პირის დარბაზში შესვლისას, როგორი კრძალვით წამოფრინდებიან ხოლმე მინისტრები თუ მთავრობის სხვა წევრები. ყველა ცდილობს, ყველაზე მაღალი გამოჩნდეს, მაგრამ საბოლოო ჯამში სახეშეჭმუხნულები (ერთი ზომით პატარა ფეხსაცმლის გამო) და ვაგლახად წელში მოხრილები თვალებში შესციცინებენ არქიფოს, რომელიც სხვადასხვა იმედებს არ იშურებს არც მათთვის და არც წელში მოხრილი საზოგადოებისათვის.

საბოლოო ჯამში, ქართველი კაცი მაინც წელში მოხრილია, — ასკვნის ნაცნობი რენდგენოლოგი. ერთი ეგა გვყავს გაჯგიმული, ოღონდაც ძალად გაჯგიმული. დაკვირვებულ, მავან წელში მოხრილ რიგით ქართველს, სავარაუდოდ, არასოდეს დაავიწყდება შარშანდელი აგვისტო, როცა, როგორც ამბობენ, ოთხზე დამდგარი, ბუჩქებში ვაგლახად შემძვრალი „გაჯგიმული კაცი“ წელში მოხრილ თითოეულ ქართველზე გაცილებით დაბალი ჩანდა.

ნანა ლაღაძიშვილი

9 — 15 ივნისი, 2010 წელი. №21 (64)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ხელისუფლება თავმისახლელ მაკონტროლებელს «აფარჩაკებს»

კონტროლის პალატის ახალი დასკვნის მიხედვით, ეკონომიკის სამინისტრომ დეკორატიული ყვავილების შეძენა-მონტაჟზე 28 300 ლარი გადაიხადა, მეორე წელს კი ჩამოწერა, როგორც გამოუსადეგარი

საქართველოს კონტროლის პალატამ ფუნქცია შეიცვალა. თუ აქამდე იგი კონტროლის განმახორციელებელი ორგანო იყო, ახლა საჯარო სექტორის აუდიტითა და საჯარო დაწესებულებების ექსპერტული მომსახურებით შემოიფარგლება. წლის ბოლომდე კი შესაძლოა მისი ფუნქციები კიდევ შეიცვალოს, რადგან არსებობს 12 მილიონით დაფინანსებული პროექტი, რომელიც არაძალოვან სამინისტროებში გენერალური ინსპექციების გაუქმებასა და მათ ნაცვლად შიდა აუდიტის შექმნას ითვალისწინებს. შიდა აუდიტი მინისტრს არ დაექვემდებარება. ამ პროექტის დეტალები ჯერ ღიად არ გაცხადებულა, თუმცა საუბარია, რომ კონტროლის პალატა ჩაანაცვლებს გენერალურ ინსპექციებს და მისი მიმართულება არა დანაშაულის აღმოჩენა, არამედ პრევენცია და ანალიზი იქნება.

კიდევ ერთხელ სახეცვლილებამდე კი კონტროლის პალატამ პარლამენტს გასული წლის ანგარიში გაუგზავნა. კონტროლის პალატის ასეთი ლოიალური დასკვნა, ალბათ, ჯერ არავის უნახავს. როგორც ჩანს, დღევანდელ ხელისუფლებას ძლიერი მაკონტროლებელი არ სჭირდება, რადგან მათი ხელმძღვანელი პირების ხელში თავს იყრის ის ინფორმაცია, რომელიც ხშირად ან ვაჭრობის საგანი ხდება, ან თავშისახლელი უხდება ხელისუფლებას.

კონტროლის პალატის ახალ ანგარიშში ძირითად დარღვევებად არაუფლებამოსილი სუბიექტების მიერ ხელშეკრულების არაუფლებამოსილ პირებთან გაფორმება, ხელშეკრულებათა მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსური პირობების შეუსრულებლობა, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობა სახელდება, რაც შეუძლებელს ხდის გაწეული ხარჯებისა და შესყიდვის ობიექტების შესაბამისობის დადგენას. ასეთი დარღვევის ერთ-ერთ მაგალითად კონტროლის პალატას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული 19 ხელშეკრულება (ჯამური ღირებულებით 2 536 800 ლარი) მოჰყავს, აგრეთვე, სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული 130 ათასი ლარის სარემონტო სამუშაოების შემთხვევა. ასევე საუბარია არასწორი მენეჯმენტისა და სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობაზე ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მობილიზებისთვის.

დასკვნაში საუბარია სახელმწიფო სახსრების არაეფექტიანი, არამიზნობრივი ხარჯვის შემთხვევებზეც. მაგალითად, პროგრამის მართვის პროცესების არაჯეროვანი დაგეგმვისა და განხორციელების გამო, **სსიპ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელმა ცენტრმა 600 ათას ლარამდე არარაციონალურად დახარჯა. სამედიცინო უნივერსიტეტმა არასწორად ჩამოწერა 23 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კი დეკორატიული ყვავილების**

შეძენა-მონტაჟზე 28 300 ლარის ხარჯი გასწია, ერთი წლის შემდგომ კი ეს ყვავილები, როგორც გამოუსადეგარი, ჩამოიწერა.

კონტროლის პალატის დასკვნაში მოხვდა სახელმწიფო პროგრამების არასათანადო ადმინისტრირებისა და მეთოდოლოგიური დარღვევები.

სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის მართვის აუდიტით გამოვლინდა სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში არსებული ხარვეზები, რაც გავლენას ახდენდა დახმარების ბენეფიციარი სამიზნე ჯგუფების სწორად განსაზღვრაზე. პროგრამაში არ იყო განსაზღვრული დახმარების გაცემის ვადები, არ ხორციელდებოდა საბანკო დაწესებულებებში ბენეფიციართა ანგარიშების სათანადო მონიტორინგი, რის გამოც ბენეფიციარების პირად ანგარიშზე უმოძრაოდ ირიცხებოდა 400.000 ლარზე მეტი და სხვ. ეს მაშინ, როცა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის თითეულ ლარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად კონტროლის პალატამ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა, რის შედეგადაც საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი ნორმატიული აქტი (2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილება „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობის) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“), რომელიც მიზნად ისახავს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

ასიგნებების გარეშე ვალდებულებების აღებისა და გადასახადების განხორციელების ერთ-ერთი შემთხვევა დაფიქსირდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში. ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციებში დოკუმენტური მონიტორინგის სისტემის არარსებობაც იკვეთება. ამის მაგალითად კონტროლის პალატას სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში გაცემული სესხების მართვისას გამოვლენილი ხარვეზები მოჰყავს.

პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში სახელმწიფომ შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფასა“ და შპს „ურეხს“ სესხის სახით მისცა 17 662 500 და 1 413 000 ლარი. აღნიშნულ სესხებზე დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელება საქართველოს მთავრობის 2008 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა, რაც, როგორც აღმოჩნდა, მას საერთოდაც არ განუხორციელებია. თუმცა ეს სულაც არაა გასაკვირი, თუ სოფლის მეურნეობის მინისტრის, ბაკურ კვეზერელის კომენტარს გავიხსენებთ პროგრამა „იაფი კრედიტთან“ დაკავშირებით კვეზერელმა ბრძანა: იაფი კრედიტის“ პროგრამა ისე კარგად ვერ განხორციელდა, როგორც ვგეგმავდით, არც ერთი სესხი არ გაცემულაო. იმას, რომ პროგრამა საერთოდ ჩავარდა, მინისტრი „არც ისე კარგად“ აფასებს. საინტერესოა, რა მიაჩნია მას ცუდ შედეგად?

კონტროლის პალატის მასალების მიხედვით, აღნიშნულ პროგრამაში ხელშეკრულების პირობებიც დარღვეულია. ერთ-ერთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფქვილის ნაცვლად მსესხებელს ხორბალი შეუძენია, თუმცა ამის გამო მის მიმართ კანონით დადგენილი სანქციები არ გამოუყენებიათ.

აუდიტის შედეგებმა ცხადყო, რომ სამინისტროები და უწყებები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან დავალიანების წარმოშობის, დავალიანებათა ინვენტარიზაციისა და მათი მოცულობების დაზუსტების საქმეს. შედეგად, ზოგიერთი დაწესებულების ბალანსზე ირიცხებოდა ხანდაზმულ დავალიანებათა მნიშვნელოვანი თანხები, რომელთა აღმოსაფხვრელად ქმედითი ღონისძიებები არ გატარდა.

კონტროლის პალატის მიერ ნავთობისა და გაზის ეროვნულ სააგენტოს აუდიტის პროცესში აღმოჩნდა ლიცენზიის მფლობელი 10 ლიცენზიანტის დებიტორული დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ 639 800 ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანების წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი თვით სააგენტოს უმოქმედობა იყო.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აუდიტმა აჩვენა, რომ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა კალენდარული წლის ბოლოს მნიშვნელოვნად იზრდება, რაც, კონტროლის პალატის აზრით, ბიუჯეტის დაგეგმვასა და მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

აუდიტის შედეგად 23 დანაშაულებრივი ნიშნის მქონე ქმედება აღმოაჩინა. 12 შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების მიმართვის საფუძველზე აწარმოა საფინანსო-ეკონომიკური შემოწმება-ექსპერტიზა. ხოლო გამოვლენილი დარღვევების შესასწავლად სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნა ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიერ მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებული შემოწმების მასალები.

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს საავტომობილო გზების პროგრამა „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის“, სატყეო დეპარტამენტის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებისა თუ საწარმოების მასალები, რომელთა აუდიტმაც ბევრი დარღვევა და საეჭვო გარემოება აღმოაჩინა. გამოვლინდა 5 266 406 ლარის არამიზნობრივი თუ არაეფექტური ხარჯვა.

კონტროლის პალატა მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევს, რომ აუდიტის პროცესის დასრულებამდე, აუდიტის ობიექტებს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაუტარებიათ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; მაგალითად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს კონტრაქტორ კომპანიას ბიუჯეტში 11 600 ლარი დაუბრუნებია. „ნაციონალების“ ერთ-ერთ დამფინანსებელ, პანტიკო თორდიას შპს „საქაერონავიგაციას“ კი თანამშრომელთა მივლინებისთვის ზედმეტად გაცემული თანხა — 35 000 ლარი დაუბრუნებია. ლიცენზიის მფლობელ ენერგეტიკულ კომპანიებს 32 000 ლარი გადაუხდიათ. საბოლოო ჯამში კი დაბრუნებულმა თანხამ, რომელიც მათ სტრუქტურაში დარღვევების კონტროლის პალატის აღმოჩენის შემდეგ დააბრუნეს — 639 000 ლარი შეადგინა.

შემოწმების მასალებში, ასევე, მოხვდა ერთი მნიშვნელოვანი დარღვევა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, პერსონალის სამივლინებო ხარჯი — 148 409 ლარი სსიპ „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ გადაახდევინა. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ეს კონტროლის პალატის ყველაზე ლოიალური დასკვნაა, რომელიც ოდესმე გვინახავს. მასში სულ რამდენიმე ფაქტი მოხვდა, რომელსაც საქართველოს პარლამენტი მომავალ კვირას გაეცნობა.

სოფო გელაშვილი

მოკლედ

რატომ წააგო ოპოზიციამ

ბურჯანაძე ჯერ ხომ შორიდან ტკბებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით, ახლა დამარცხებულ ოპოზიციას დასძახის, ეგ იმიტომ დაგემართათ, წინასაარჩევნო კამპანიაში ჩემი ლანძღვის მეტი რომ არაფერი გიკეთებიათო. „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერს ერთი კითხვა აწუხებს და იქნებ უპასუხოს ვინმე ღვთისნიერმა: საპარლამენტო მანდატებზე უარის მთქმელმა პოლიტიკურმა ძალებმა საკრებულოდან როგორ უნდა მოახდინონ პროცესებზე ზემოქმედება?

ჭანტურია ჩვენთან რჩება

არჩევნების შედეგები ჯერ წესიერად დათვლილიც არ იყო, „ქრისტიან-დემოკრაიული მოძრაობის“ მერობის კანდიდატმა გია ჭანტურიამ რომ გამოაცხადა, ხელისუფლებასთან ვითანამშრომლებო.

ახლა ერთი კვირაც მოვითმინოთ და როგორც კი ჭანტურია ხელისუფლებისათვის შესათავაზებელ პროექტებს დაამუშავებს, ზუსტად გვეცოდინება, კონკრეტულად რა სახის თანამშრომლობაზეა საუბარი. ამ ეტაპზე მთავარი უკვე ვიცით — ჭანტურია საქართველოში რჩება.

ბუნდესვერს მინუს 100 ათასი

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ლარლ-თეოდორ ცუ გუტენბერგმა სამხედრო დანახარჯების შესამცირებელი რეფორმის ფარგლებში თავად სამხედროების შემცირება გადაწყვიტა.

ბუნდესვერი 100 ათასით შემცირდება. გარდა ამისა, გუტენბერგი წვევამდელთა გაწვევების გაუქმებას ან დროებით შეჩერებასაც გეგმავდა, მაგრამ კანცლერი მერკელისაგან ამ საკითხზე მტკიცე უარი მიიღო. ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად ბუნდესვერის შემადგენლობაში სულ 254 170 სამხედროა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ზურაბ გაგნიძე:

ბაჩო ახალაია სიხარულით და მარჯვედ ასრულებს დანაშაულებრივ შეკვეთებს

საქართველოში დატრიალებული ყველა საკადრო კარუსელი შიდა ნაციონალური ბრძოლისა და ხელისუფლებაში მყოფ კლანთა ინტრიგების შედეგია. ამიტომ ინიშნებიან ოდიოზური ფიგურები ფრიად საპასუხისმგებლო პოსტებზე. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობდნენ: გელა ბეჟუაშვილი, გიორგი ბარამიძე, ირაკლი ოქრუაშვილი, დავით კეზერაშვილი, დავით სიხარულიძე. ამჟამად თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაიაა. მის ამ პოსტზე დანიშვნისთანავე საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვიანი კითხვა: ბაჩო ახალაია ამ სისტემაში გასატარებელ სიღრმისეულ რეფორმას რა კუთხით შეეჭიდებოდა და რამდენად შეძლებდა ამ ტვირთის აწევას?
თავდაცვის მინისტრის პოლიტპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.

«სადიზმისკენ მიდრეკილი ახალაია თავის ირგვლივ სასაკლაოს ქმნიდა, ახასიათებდა ფსიქოპათიური შეტევები პათოლოგიური გართულებებით, რაც პატიმრების მიმართ აგრესიაში გამოიხატებოდა»

— ბატონო ზურაბ, რა კრიტერიუმებით შეირჩა ბაჩო ახალაია თავდაცვის მინისტრად, ის ხომ მთავრობაში ყველაზე ახალგაზრდა მინისტრია და თანაც განათლებით იურისტი?

— ამ პოსტზე ახალაიას დანიშვნა ადასტურებს, რომ თანამდებობებს იკავებენ არა პროფესიონალები, არამედ „დროის შვილები“; ბაჩო ხომ „ვარდების რევოლუციის“ პირმშოა, რომლის შემდეგაც სახელმწიფო სტრუქტურებიდან ხელაღებით გაყარეს კვალიფიციური კადრები და მათ ადგილზე გამოუცდელი, უვიცი ბიჭ-ბუჭები მოიყვანეს. ახალაიას კარიერის პირველი მახასიათებელი 2003-2004 წლებში მამა სოროსის „თავისუფლების ინსტიტუტში“ მუშაობაა, რომელიც დღესაც ქართული პოლიტიკის უძლიერესი კლანია.

მეორე კი ისაა, რომ **სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობისას მან არნახული სისასტიკე გამოავლინა. ნაცები ამ თვისებას უდიდეს დამსახურებად უთვლიან და აცხადებენ, რომ „ახალაიამ მოახერხა ციხეებში „ბალაჟენიის“ დამყარება“. სადიზმისკენ მიდრეკილი ახალაია თავის ირგვლივ სასაკლაოს ქმნიდა, ახასიათებდა ფსიქოპათიური შეტევები პათოლოგიური გართულებებით, რაც პატიმრების მიმართ აგრესიაში გამოიხატებოდა.**

ყოველივე ამას პრეზიდენტმა „მკაცრი ხელი“ უწოდა და თავდაცვის მინისტრად დანიშნა. ბაჩო ახალაიამ მინისტრობისას პირველად ჩაიცვა სამხედრო ფორმა. მას ქვეყნის წინაშე სამხედრო ვალდებულება არ მოუხდია, ისე გახდა ქვეყნის პირველი სამხედრო.

მესამე და ძალიან სერიოზული კრიტერიუმი კი ისაა, რომ თავდაცვის სამინისტრო ძალიან გემრიელი ლუკმაა, რომელზეც მილიარდები იხარჯება. მთელი რიგი ოპერაციები გასაიდუმლოებულია და ადვილად შეიძლება დიდი თანხების „მოტეხვა“. **თავდაცვის სისტემაში არსებული უდიდესი ფულის დათმობა ვიღაც პროფესიონალისთვის, ვინც მათი კლანის წევრი არ იყო, მადააშლილ „ვარდოსნების“ მხრიდან დიდი ბედოვლათობა იქნებოდა. ახალაიას გამინისტრებით კი თავდაცვის თანხებზე კონტროლს ხელისუფლება აშკარად შეინარჩუნებდა.** წლების მანძილზე ამერიკა ფულს, რომელსაც საქართველოს თავდაცვაში აგზავნიდა, არ აკონტროლებდა როგორ და რისთვის იხარჯებოდა. სააკაშვილის ხელისუფლებას კარტბლანში ჰქონდა მიცემული. არ გახსოვთ რეზერვისტთა მომზადების გაპიარებული პროგრამა?! აგვისტოს ომის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თავდაცვაში დიდძალი ფული უჭამიათ. მექრთამეობაც ყოფილა და, რაც მთავარია, არაპროფესიული მომზადებაც, აღჭურვაზე რომ არაფერი ვთქვათ. გამოგზავნილი მილიონები მხოლოდ ჩინოსანთა სიამოვნებასა და ხელისუფალთა რეჟიმის გამყარებას მოხმარდა.

გასათვალისწინებელი კრიტერიუმია პრეზიდენტის მხრიდან ძალოვან სტრუქტურებში ბალანსის შენარჩუნება. სანოძე-ახალაიას გაძლიერებულ ტანდემს, სააკაშვილის სურვილის შემთხვევაში, შეუძლია მერაბიშვილის დაჯგუფებიდან გამოვიდეს. ბაჩო ახალაია კი სიხარულითა და მარჯვედ ასრულებს დანაშაულებრივ შეკვეთებს. ასე რომ, ახალაიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნით პრეზიდენტმა პირადი უსაფრთხოება უზრუნველყო.

ბოლოს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ახალაიების ოჯახი დიდი გავლენითა და ნდობით სარგებლობს პრეზიდენტის კარზე. მამა სამეგრელო-ზემო სვანეთის „პოლიტიკური მამასახლისია“, ძმა — დათა ახალაია — შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. ასე რომ, გენეტიკურად ოდიოზური გვარი პრეზიდენტის მძლავრი საყრდენია.

— ბატონო ზურაბ, როგორი თავდაცვის მინისტრია ბაჩო ახალაია და როგორი ვითარებაა ამჟამად არმიაში?

— ბაჩო ახალაია ბუნებით ვამპირია. ვამპირიზმი ადამიანში მხეცს აღვიძებს. მას სჭირდება მონები, რათა დათრგუნოს, და ზომბები, რათა მათი წამებით დატკბეს და ახირებებისამებრ ათამაშოს. არმია კი ღირსების საქმეა. **დათრგუნული სამხედრო აღარაა მებრძოლი სულისკვეთების. შეიარაღებულ ძალებში მკაცრად განსაზღვრული ვერტიკალია, რომელსაც მინისტრი არ სცნობს; უხეშად ერევა ყველა რგოლში; მეთაურებთან კონტაქტში საფეხურების მიხედვით არ შედის, რითაც არმიის ერთიან სისტემას მთლიანად არღვევს.** არაპროფესიონალიზმიდან გამომდინარე, არ ცნობს სამხედრო საქმეში მიღებულსა და აპრობირებულ მეთოდებს და მთელ რიგ ოპერაციებს შემოქმედებითად უდგება. ამის მაჩვენებელია აგვისტოს ომის დროს ფრისის ხეობაში სასჯელაღსრულების სპეცრაზმის შეყვანა. მაშინ ახალაია ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო.

მრავალ მიზეზთა გამო არმია აივსო პროფანებით. ახალაიამ მთელ რიგ საკვანძო საკითხებს პროფესიონალები ჩამოაშორა და მათ მაგივრად სამოქალაქო პირები დანიშნა. მის არაკომპეტენტურობას შეეწირა დავით სიხარულიძე, დასავლეთში განათლებამიღებული პროფესიონალი ვლადიმერ ჩაჩიბაია, რომლის ადგილზე ათასჯერ ნაკლები მონაცემების მქონე დევი ჭანკვეტაძე დანიშნა. პროფესიონალების არმიიდან განდევნა მაშინ ხდება, როდესაც ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებულია.

აგვისტოს ომის შემდეგ 1700-ზე მეტი სამხედრო პირის მიმართ დაიწყო გამოძიება. ისე მოხდა, რომ მეთაურებმა თვითონ გაწირეს ხელქვეითნი, ჩინებისა და სკამების შესანარჩუნებლად. **დღეს დეზერტირობის ბრალდებით ათეულობით ოფიცერი ციხეში ზის და სასჯელს იხდის. ზოგიერთმა კი 1500-ლარიანი ჯარიმა გადაიხადა. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ ყველა მათგანი სამხედრო კარიერას დაემშვიდობა. ყოველივე ამაში მინისტრ ახალაიას ხელწერა იკითხება. არმიის მოდერნიზება სამხედროთა ზნეობრივი დეგრადირებით მიმდინარეობს, რადგან სათავეში მიზანთროპი ახალაიაა. ამიტომ არ სურდათ უცხოელებს თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წლიურ ანგარიშში მოხვდა, როგორც „ადამიანთა უფლებათა სასტიკი დამრღვევი, მოძალადე და ბანდიტი“. ახალაია არმიას მართლაც ქურდული კანონებით მართავს.**

დავით სიხარულიძეს, როგორც პროფესიონალს, კარგად ესმოდა არმიის არსი და არასოდეს იყენებდა შეიარაღებულ ძალებს პოლიტიკური პიარისთვის. **ბაჩო კი ველური სისასტიკით ცდილობს მათ ჩაბმას პოლიტიკაში. ამის ნათელი დასტურია გასული წლის მაისში მუხროვანში მომხდარი ინციდენტი, რომელიც ხელისუფლებამ ამბოხებად მონათლა. სინამდვილეში ეს იყო ჯერ კიდევ ღირსებაშენარჩუნებული სამხედროების უკანონო ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობა.** სწორედ ამიტომ თბილისის საქალაქო სასამართლომ კობა კობალაძეს შეიარაღებული ამბოხების ბრალდება მოუხსნა. რაც მოხდა მუხროვანში, ეს იყო თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების გადაფარვის მიზნით ხელისუფლების მიერ ინსპირირებული პროვოკაცია და ბაჩოს ხელით სამხედროების პოლიტიკაში ჩაბმა. ამან საზოგადოებას ისიც გაახსენა, რა როლს ასრულებდა ახალაია 7 ნოემბრის აქციის დარბევაში.

— თუ დასავლეთი ახალაიას თავდაცვის მინისტრობის წინააღმდეგი იყო, რატომ წავიდა პრეზიდენტი რისკზე?

— უპირველესად, დასავლეთს ანგარიში იმიტომ აღარ გაუწია, რომ ობამას გაპრეზიდენტებამ ახალი რეალობა შექმნა. მოვლენები ისე წარიმართა, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შანსი აღარ დარჩა. პრეზიდენტმა იცის, რომ მისი „ტახტის“ რყევის დიდი ალბათობაა. დღეს დღის წესრიგშია მისი ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე. **ნურავის ჰგონია სააკაშვილი „მიშკა დურაჩოკი“. ის საკმაოდ ჭკვიანი მოთამაშეა. მას თავდაცვაში ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელიც, დესტაბილიზაციის შემთხვევაში, წესრიგს ყველანაირი მეთოდით დაამყარებს, თუნდაც ეს ჯარის მოსახლეობასთან დაპირისპირება იყოს.** შარშან ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საგაზაფხულო აქციები იყო და გამოიყენეს მუხროვანის ამბოხი. ნლეულს კი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე რუსთაველის პროსპექტზე სამხედრო აღლუმი გაიმართა, სადაც ახალაია აცხადებდა: „სწორედ რუსული ოკუპაციის პირობებში 26 მაისს აღლუმის ჩატარება აუცილებელია. ქვეყანა ვალდებულია, საკუთარი სახელმწიფო სიმბოლოები დაიცვას“. გაიხსენეთ, **6 მაისს პოლიციის დღე იზეიმეს, 26 მაისს სამხედრო აღლუმი მოაწყვეს, ანუ მოხდა ძალოვანი სტრუქტურების დემონსტრირება ადვილად წასაკითხი ქვეტექსტით — ფრთხილად, რაიმე არ შეგეშალოთ!**

ბაჩო ახალაიას დამსახურებაა, რომ გიგი უგულავას ჯარის ხმები გარანტირებული ჰქონდა. ერთი დღით ადრე შეიარაღებულ ძალებში პირადობის მოწმობები უკლებლივ ყველას ჩამოართვეს. ამ ფაქტს სააგენტო „პირველი“ ადასტურებს რამდენიმე სამხედრო მოხელის ჩვენებაზე დაყრდნობით. სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე ამბობს: **„არჩევნებში შსს-სა და შეიარაღებული ძალების ხმების გამოყენება დამკვიდრებული პრაქტიკაა“,** თუმცა ხალხი და ოპოზიცია მოითხოვდა ამ დახურული უბნების გაუქმებას. კულუარებიდან კი ამბობენ, რომ ამჯერად ჯარში ოფიცრები ფსიქოლოგიური ზეწოლით ახერხებდნენ ხმების მიღებას. ესეც ჯალათადქცეული ახალაიას დამუშავებული მეთოდებია. ხელქვეითებზე ზეწოლის ფაქტები არაერთხელ გახმაურდა. ეს მაშინ, როდესაც თავდაცვის სამინისტროში 18 სამლოცველო და ეკლესია მოქმედებს, ხოლო 12 სამხედრო ნაწილში, საპატრიარქოს ინიციატივით, ეკლესიების მშენებლობა მიმდინარეობს.

«თავისუფლების ინსტიტუტის» გაზრდილი ახალაიასთვის უცხოა ქრისტიანული კაცთმოყვარეობა»

მაგრამ „თავისუფლების ინსტიტუტის“ გამოზრდილ ახალაიასთვის საერთოდ უცხოა ქრისტიანული კაცთმოყვარეობა. მიუხედავად ამისა, წინასაარჩევნო პიარისათვის მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოსაც ეწვია და იქ სიტყვა წარმოთქვა: „ეს არის ერთგვარი სტიმული, რომ ქართველი ჯარისკაცები გაძლიერდნენ და წარმატების მიღწევა შეძლონ“. თანაც, სხვათაშორის, დასძინა, რომ „ცდილობს, გარდაცვლილი ჯარისკაცების ოჯახებს დაეხმაროს“. ის კი სრულიად დაავიწყდა, რომ სწორედ მათ გამოიწვიეს ამ ოჯახების უბედურება თავიანთი არაპროფესიონალიზმით, სიხარბითა და არასწორი პოლიტიკით. **მისმა პიროვნებამ აგვისტოს ომით იმიჯშერყეულ არმიას უდიდესი ზარალი მიაყენა. ახალაიამ არმია გადააქცია სააკაშვილისა და მისი კრიმინალური ბანდის დამცველ ძალად და ამ გზაზე ის მზადაა, ველური სისასტიკით გაუსწორდეს ყველას.**

შემოდგომის სამთავრობო კარუსელი, როგორც ამბობენ, ძალოვან მინისტრებს შეცვლის. სავარაუდოდ, ბაჩო ახალაია უშიშროების საბჭოს მდივნის ადგილს დაიკავებს, ხოლო თავდაცვის სამინისტროში „მოდაში შემოსულ“ პოლიტიკოსს, განათლების მინისტრ შაშკინს გადაიყვანენ.

ბაჩო ახალაიამ თავდაცვაში თავისი ფუნქცია უკვე ამოწურა. არმია არაპროფესიონალი ზომბებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც მზად არიან უკანონო ბრძანებების შესასრულებლად. ამჟამად არმიის სახით წყალშემდგარ ხელისუფლებას ძლიერი დასაყრდენი აქვს. პრეზიდენტს შეუძლია ეს მანქანადქცეული ჯარი სურვილისამებრ აამოქმედოს და დასაჯოს უარყოფითად განწყობილნი, სააკაშვილი და მისი ხროვა ძალოვან სტრუქტურებზე დაყრდნობით აპირებს ძალაუფლების შენარჩუნებას. ძალიან გაუჭირდებათ, ამ მეთოდებით სტაბილურად შეინარჩუნონ ქვეყნის სადავეები, რადგან ძალით დათრგუნულთა ამბოხი ბევრად საშიში და მიუტევებელია.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

«სააკაშვილის უგნურება» და

საქართველოს პრეზიდენტს მერის არჩევნები დაეხმარა

ნათქვამია: ყველა სიმართლეს თავისი დრო აქვს. თავისი დრო აქვს ყველა Pro -ს და ყველა Contea-საც, მაგრამ როცა პოზიციების (ერთის ან მეორის) არგუმენტები გაგიცუდდება, მაშინ დროც კარგავს ალიბის ფუნქციას ისტორიული თუ დღევანდელი თვალსაზიერიდან, რადგან ძალაში შედის სხვა დებულება: „კომენტარები თავისუფალია, ფაქტები წმინდათაწმინდაა“ (სკოტ ჩარლზ პრეტუიჩი, „მანჩესტერ გარდიანის“ გამომცემელი).

ხოლო ფაქტებში ზის ეშმაკი, რომელიც მაინც და მაინც მაშინ გამოხტება, როცა **„ნიუ იორკ ტაიმსის“** მიმომხილველი **ელენ ბარი** ამ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში „საქართველოს პრეზიდენტს მერის არჩევნები დაეხმარა“ მიხეილ სააკაშვილის ამაღლებულ რეპუტაციაზე იწყებს საუბარს:

„სააკაშვილის როგორც დემოკრატის რეპუტაციას 2007 წლის ნოემბერში სერიოზული ზიანი მიადგა, როცა მან ანტისამთავრობო დემონსტრაციების ჩასახშობად ბრძანება გასცა. **პრეზიდენტმა საკუთარი პოზიციები 2008 წლის აგვისტოსთვის დიდწილად აღიდგინა,** როცა ხანგრძლივი დაძაბულობის შემდეგ მოსკოვის მხარდაჭერილ სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთზე შეტევის ბრძანება გასცა (sic!). მაშინ მოსკოვმა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე კონტროლი დაამყარა და ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა“.

მადმუაზელ (თუ მადამ) ბარის მიხედვით, აგვისტოს ომში დამარცხების, ახალ-ახალი ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა აღიდგინა დაკარგული იმიჯი(!).

განსაკუთრებით კი იმით, რომ აფხაზეთი, პლიუს დალის ხეობა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, პლიუს ახალგორის რაიონი ოქროთი მოვარაყებული ლანგრით მიართვა სეპარატისტებს.

ჭეშმარიტად უსაზღვროა ქალაქის ლოგიკა, რომელიც აქ და ამით არ მთავრდება:

„ის ექსპერტები, რომლებიც 2008 წლის ომის შემდეგ სააკაშვილის პოპულარობის ვარდნას ელოდნენ, შეცდნენ (!). გასული წლის განმავლობაში მისმა პარტიამ — „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დიდწილად აღიდგინა ომამდელი პოპულარობა“, — დაწერა ესე და „ფაქტებით“ დაასაბუთა;

„აპრილში ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ნაციონალურმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ 2378 ადამიანი გამოკითხა. **კვლევამ გვიჩვენა, რომ ამომრჩევლების 52 პროცენტი რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკას არ იწონებს, ხოლო 46 პროცენტს ქვეყანა დემოკრატიად არ მიაჩნია“.**

ესე იგი, მადმუაზელ (თუ მადამ) ელენ ბარის მიხედვით, როცა გამოკითხულთა 52 პროცენტი რუსეთის მიმართ განხორციელებულ შენს პოლიტიკას იწუნებს, ხოლო 46 პროცენტს ქვეყანა დემოკრატიად არ მიაჩნია, ეს პოპულარობის „დიდწილად აღდგენას“ ნიშნავს თურმე.

მართლა ასეთი ალოგიკურია ამერიკელი ჟურნალისტი?! ან იქნებ ფაქტებისა და დასკვნების შეუსაბამობით სურს, თავის ამერიკელ მკითხველებს დაანახოს ჭეშმარიტი სურათი: კი ვლაპარაკობ („კომენტარები თავისუფალია“) სააკაშვილისა და მისი პარტიის აღზევებაზე, მაგრამ დააკვირდით ფაქტებს, რომლებიც წმინდათაწმინდაა, და მიხვდებით სიმართლესო.

კი აქვს ყველა სიმართლეს თავისი დრო, მაგრამ დასკვნებია ყავლგასული.

შედეგი და... შედეგის შემქმნელი

The New York Times

ევროპა «აღმოსავლური პარტნიორობის» მიმართ ინტერესს კარგავს

ცნობისთვის: 2009 წლის მაისის პრაღის სამიტზე ევროკავშირმა აღმოსავლეთისთვის შეიმუშავა პროგრამა „აღმოსავლური პარტნიორობა“, რომელიც ექვსი ქვეყნისთვის — უკრაინისთვის, ბელორუსისთვის, მოლდოვისთვის, საქართველოსთვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის იყო გათვალისწინებული. დახმარების პროგრამაზე 2011-1013 წლებში 600 მილიონი ევრო გამოიყო.

2009 წლის მაისი. ევროკავშირის პრაღის სამიტზე

ამ თემას განიხილავს **ნატალი ნუგაირედი** ფრანგული **Le Monde** -ის ფურცლებზე.

ბევრია თუ ცოტა 600-მილიონიანი დახმარება? მიმომხილველი ამ შეკითხვას ელემენტარული არითმეტიკული გათვლით უპასუხებს. შედეგი არა მარტო სასაცილოა, არამედ შეურაცხმყოფელიც. **სამი წლის განმავლობაში ამ დახმარების შედეგად ევროპა ერთ ბელორუსზე 2,74 ევროს გაიღებს, ერთ უკრაინელზე — 3,35 ევროს, ერთ აზერბაიჯანელზე — 4,89 ევროს, ერთ სომეხზე — 13,66 ევროს და ერთ მოლდოველზე — 25,36 ევროს.**

თბილისის ქუჩების სლოგანი — „დამეხმარე, ბიძია!“ გაცილებით მეტი ბარაქის მომცემია.

ნატალი ნუგაირედი მიიჩნევს, რომ „ეს თანხები ვერც კი უახლოვდება იმ სახსრებს, რომლებიც 90-იან წლებში იხარჯებოდა ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებზე იმ დრომდე, ვიდრე ისინი ევროკავშირის წევრები გახდებოდნენ“.

თავისთავად იბადება კითხვა — რატომ? ნუთუ გაღარიბდა ევროპა? ან იქნებ დაკარგა ქველმოქმედების კეთილშობილი სურვილი?

არც ერთი, არც მეორე.

Le Monde პირდაპირ გვეუბნება: **„ასეთი თავშეკავების მიზეზი საკმაოდ ნათელია: ამ შორეულ, რუსეთის საზღვრებთან და კავკასიაში მდებარე რესპუბლიკებს ევროკავშირში გაწევრების არანაირი პერსპექტივა არ აქვთ“.**

თუმცა არც ხელმომჭირნეობაა გამორიცხული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში და არც უსაფრთხოების პრობლემა — გაყინული კონფლიქტები, ენერგორესურსების სატრანზიტო გზები, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა, დევნილების ნაკადი რეალური რისკფაქტორებია, რომლებიც სერიოზულად აშფოთებს ევროკავშირს.

პრაგმატულად მოაზროვნე ევროპას, ჩვენგან განსხვავებით, შესანიშნავად ესმის, რომ **„ნატოს გაფართოების საკითხი (ბალკანეთს მიღმა) საკმაოდ დიდი ხნის წინათ მოიხსნა დღის წესრიგიდან...** 2008 წლის საქართველოს ომმა და უკრაინის გაზის კრიზისმა 2006 და 2009 წლებში ცხადყო, რომ ნებისმიერ, ერთი შეხედვით ლოკალურ კრიზისსაც კი შეიძლება მთელი კონტინენტისთვის გაცილებით სერიოზული და მასშტაბური შედეგები მოჰყვეს“.

უარყოფით შედეგებზეა ლაპარაკი.

მაშასადამე, სულაც არ არის საქმე ისე კარგად, როგორც რუმინეთიდან ამბად ჩამოგვიტანა მიხეილ სააკაშვილმა: რუმინეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველო ნატოს წევრი შეიძლება გახდეს „მაპის“ გარეშეო.

აგერ რამდენი ხანია, ვართ „გარეშე“ და, როგორც ვრწმუნდებით, ჩვენს მიღებაზე ნატოში თავს არავინ იტკიებს.

ან რატომ აიტკიებს, როცა იმავე პუბლიკაციის მიხედვით, ევროკავშირმა **„საქართველოში რუსეთის ინტერვენციის ფაქტზე (რასაც ამ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა მოჰყვა) მკვეთრი გამონათქვამებისგან თავი შეიკავა“.**

თავის შეკავება ამჯობინა! მიამიტობაა იმის დაჯერება, რომ, თუ ამ კავშირს მოქმედება გაბედული ექნება და მაშინ, როცა რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია დასავლეთის გავლენის აღმოსავლეთით გაფართოების, ევროპა (თუნდაც ნატოს წევრობის სახით) მხარში ამოუდგება საქართველოს.

უფრო მეტიც: ევროკავშირ-რუსეთის სამიტზე, „რადიო თავისუფლების“ ცნობით, ევროკავშირმა დააყენა საკითხი ევროპის სპეციალური ელჩების თანამდებობები სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და კიდევ ცხრა ადგილას გაუქმების შესახებ (**EURAZIA**).

ეს, მიაჩნიათ მიმომხილველებს, „მორიგი ტენდენციის სიგნალია“, რომელიც მიგვანიშნებს, რომ **„სამხრეთ კავკასია და მოლდოვა თავიანთი რთული, ხანგრძლივი სეპარატისტული კონფლიქტებით საგრძნობლად ნაკლებ წონას იძენს“** (იქვე).

„ცივი ომის“ შემდეგ შემორჩენილ საკითხებს გაემიჯნა ობამას ადმინისტრაცია და ევროპელებს მოუწოდა, საკუთარ მომავალზე პასუხისმგებლობა თავად აიღონ. ეს საკითხი „საქართველო და მსოფლიოს“ მეოცე ნომერში განვიხილეთ და, **Le Monde** -ივით ჩვენც ერთ დასკვნამდე მივედით: **„ვაშინგტონმა უარი თქვა ევროატლანტიკური ზონის აქტიურ გაფართოებაზე“.**

სამაგიეროდ თავი იჩინა ახალმა მომენტმა, ინტერესმა სომხეთის მიმართ, ისიც იმიტომ, რომ თურქეთთან ამ ქვეყნის ურთიერთობის პრობლემის მოგვარება აშშ-ს თავისი „მშვიდობისმოყვარული“ პოლიტიკის გასაპიარებლად სჭირდება.

ბილ კლინტონმა ისრაელი და პალესტინა შეარიგა. დროებით. ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) კუვეიტი იხსნა, უმცროსმა ბუშმა... გარდა ომებისა და კოვბოური მიხდომის პოლიტიკისა სამშვიდობო არაფერი მახსენდება. ობამასაც თავისი „გამარჯვების სვეტის“ აღმართვა სურს.

თითო „შუქურა“ სამხრეთ კავკასიაში გარანტირებული გვაქვს.

ჰორიზონტზე კი კრემლის ვარსკვლავი ბრწყინავს, წითელ მოედანზე, მოსკოვში, ვისთან დიალოგსაც ობამას ადმინისტრაცია უპირატესობას ანიჭებს.

ქრის სიახლის ქარები, მაგრამ მაინც და მაინც ქართული ხომალდის აფრებს არ ავსებს.

Le Monde

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ობამას «იდიოტური წინადადება»

საქართველო: არასაიმედო დასაყრდენი შეურთებული შტატებისთვის

საქართველოსთვის სიკეთე სურთ. სურთ სიკეთე ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც და გული სწყდებათ, რომ ამ სურვილს იქით საქმე არ წავა. არ წავა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პრეზიდენტ ობამას პოლიტიკა საქართველოს მიმართ უფრო არდანახვის, უგულებელყოფის პოლიტიკაა, ვიდრე ჩვენი პრობლემების გულთან მიტანისა და დახმარების სურვილი.

theGlobalist
The Power of Global Ideas

პრაქტიკულ ნაბიჯებზე ლაპარაკიც არ არის.

ხედავს ამას **The Globalist**-ის მიმომხილველი **მარტინ სიფი** და მოუწოდებს მისტერ პრეზიდენტს, „გადააფასოს დიდი კონტინენტური ქვეყნის მისეული პოლიტიკა საქართველოს მიმართ“.

მაგრამ მოწოდებას იქვე ეცლება ფასი და არგუმენტი, რადგან **„გლობალური სუპერსახელმწიფოსთვის ყოველთვის ცუდია, როცა იგი თავის ბედს პატარა, არასტაბილურ და სახიფათოდ უპასუხისმგებლო ქვეყანას მჭიდროდ უკავშირებს“**. და ესეც მეორე მიზეზი.

არ ვიცი, ეთანხმება თუ არა ამ წერილის ავტორი ფრანგი პოეტის **პოლ ვალერის** დებულებას, რომ **ამქვეყნად არაფერია უფრო მუდმივი, ვიდრე გაუთვალისწინებლობა,** მაგრამ, სწორედ მოულოდნელობის (რაც მუდმივია) ფაქტორი რომ აშფოთებს, ფაქტია.

თუ, **ერთის მხრივ**, იგი არ ერიდება ობამას კრიტიკას და წერს, რომ „ის, რასაც პრეზიდენტი ობამა... დღემდე აკეთებს საქართველოს რესპუბლიკასთან (კავკასია) მიმართებაში, შეცდომაა“, **მეორე მხრივ**, იძულებულია აღიაროს, რომ „დიდი ომები და შემდგომი ნგრევა ძალიან ხშირად ერთი მიზეზით იწყება — თავდაჯერებული გლობალური სუპერსახელმწიფო ჩქარობს ისეთი პატარა კლიენტი სახელმწიფოების დაცვას, რომლებიც არ უნდა დაეცვა“.

ცდება ობამა, თუ მისი პოლიტიკა მაინც სწორია და გამართლებული? ამ პუბლიკაციიდან ერთგვაროვანი დასკვნის გამოტანა რთულია.

> ცდილობს, ძალიან ცდილობს მარტინ სიფი აშშ ადმინისტრაციის პოზიცია საქართველოს მიმართ ბუშისდროინდელისკენ შეაბრუნოს: **„საქართველო, მიუხედავად თავისი ქაოტურობისა, მდებარეობის წყალობით მართლა სტრატეგიული ჯილდოა. იგი აშშ პოლიტიკოსებს კავკასიის გულში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სულ ცოტა, საიმედო დასაყრდენის ილუზიას სთავაზობს. იგი მათ ასევე სთავაზობს ტერიტორიას კასპიის ზღვის აუზიდან და მეზობელი აზერბაიჯანიდან მომავალი ბუნებრივი გაზის იმ მილსადენებისთვის, რომლებმაც რუსეთზე არ უნდა გაიაროს“.**

რუსეთის გვერდის ავლით ენერგოშემცველების ტრანსპორტირება, მით უფრო, ისეთ სიტუაციაში, როცა უკრაინა-რუსეთის ურთიერთობა კონფრონტაციიდან თანამშრომლობისკენ იხრება და რუსეთის ფედერაციამ რეალურად შეიძლება დაიბრუნოს კონტროლი ჩრდილოეთის მარშრუტზე, სამხრეთის მარშრუტის მნიშვნელობა რამდენჯერმე იზრდება, მაგრამ ეს პერსპექტივა მხოლოდ „საიმედო დასაყრდენის ილუზიად“ რჩება — ეს საქართველოზეა ნათქვამი.

გეოპოლიტიკური გათვლები რიტორიკად რჩება, ანუ კეთილ სურვილად, რომლის საქმედ გარდაქმნა **„ორ სასტიკ ფაქტს ეჯახება“.**

პირველი „სასტიკი ფაქტი“, მარტი სიფის აზრით, ისაა, რომ „საქართველო არა მხოლოდ რუსეთის გავლენის სივრცეში იმყოფება, არამედ დაახლოებით 190 წლის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი იყო.

> შესაბამისად, **აშშ-ის მიერ საქართველოს მხარდაჭერა გარანტირებულად აშფოთებს არა მხოლოდ რუს პოლიტიკოსებს, არამედ რიგით მოქალაქეებსაც,** ისევე, როგორც შეიძლება აღაშფოთოს ამერიკელები რუსეთის მხარდაჭერამ ამერიკის ტრადიციული გავლენის სფეროში მყოფი ისეთი ქვეყნისა, როგორიც ვენესუელაა“.

ამ ვრცელი ამონარიდის ქვეტექსტს თუ დააკვირდებით, მიხვდებით, რომ **The Globalist**-ში დაფიქსირებულია რუსეთის პოზიცია, რომლის თანახმად, საქართველო რუსეთის გავლენის სფეროში იყო მოქცეული და იქვე უნდა დარჩეს. არა მხოლოდ დაფიქსირებულია, არამედ ვენესუელის ფაქტის მოხმობით, მხარდაჭერილიც კი.

გაგებით ეკიდებიან და მხარსაც უჭერენ.

გვინდა-არ გვინდა, ასე გამოდის.

მეორე „სასტიკი ფაქტი“ საქართველოს გამო „სუპერძლიერი კონფლიქტის რისკია“, რომელიც აშშ-ს დაემუქრება, იცით რატომ?

იმიტომ, რომ **„პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი მმართველობის განმავლობაში არაერთხელ აჩვენა, რომ არაპროგნოზირებადია. აშშ პოლიტიკოსები ვერ იქნებიან დარწმუნებული, რომ მის შეკავებას შეძლებენ“.**

სულაც არ არის საჭირო იყო პოლიტოლოგი, რომ მიხვდე ამ ციტატის დაფარულ დედააზრს: **მიხეილ სააკაშვილზე დაყრდნობა შეუძლებელია, რადგან „სუპერძლიერი კონფლიქტის“ რისკფაქტორი სწორედ მისი არაადეკვატურობა და არაპროგნოზირებადობა შეიძლება გახდეს.**

ესეც ხომ რუსეთის პოზიციის გამეორებაა?

გინდა-არ გინდა, ასეა.

ბარემ დასკვნამდეც მოვიდეთ:

„თუ პრეზიდენტ ობამასა და სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს თავიანთი პატარა, მარგინალური მოკავშირის — საქართველოს გამო, რომლის მთავრობაზეც მცირედი გავლენა აქვთ, თუ საერთოდ აქვთ რაიმე გავლენა, რუსეთთან სახიფათო დაპირისპირების თავიდან აცილება სურთ, მაშინ ისტორიის საზარელი გამოცდილება უნდა შეისწავლონ და გაითვალისწინონ“ (მარტინ სიფი, The Globalist).

გავლენის სფეროები ყოველთვის იქნება

კოსოვოს დამოუკიდებლობის ზეიმზე

ამ პრობლემით, რომელიც საქართველოს განსაკუთრებით აწუხებს, ამერიკული პრესაც დაინტერესებულია ფრიად. ზოგიერთი პუბლიკაცია, როგორიცაა, მაგალითად, The American Conservative-ის 31 მაისის ეს წერილი, ჩვენი ქვეყნიდან დისტანცირების თვალსაჩინო მაგალითია. ამგვარ პუბლიკაციათა სიმრავლე კერძო აზრის ჩარჩოებს სცილდება და საზოგადოებრივ აზრად ჩამოყალიბების ტენდენციის მატარებელი ხდება. სამწუხაროდ, ასეა.

რუსეთის მიერ განცხადებული ევროპული უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი საკითხი **ახალი შეზღუდული სუვერენიტეტის მცნებაა, რომელიც გავლენის სფეროების პრობლემიდან გამომდინარეობს.** რუსეთი ცდილობს, მოიპოვოს დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერა, მისი განსაკუთრებული ინტერესების სფეროს არსებობის საკითხში.

ერთ-ერთი ასეთი სფერო კავკასიას მოიცავს, მაშასადამე, — საქართველოსაც.

გავშიფროთ: **ევროპის მომავალი უსაფრთხო იქნება, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცევა, როგორც შეზღუდული სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფო.** აშშ-მა თანდათან ხელი უნდა აიღოს ჩვენზე, რითაც შემცირდება საქართველოს გამო რუსეთისა და ამერიკის სამხედრო დაპირისპირების რისკი, შედეგად, ევროპას მშვიდი ძილის შესაძლებლობა მიეცემა.

როგორ მოგწონთ?

ხომ გგონიათ, რომ ასეთი პერსპექტივა ფანტაზიის სფეროდან არის?

გგონიათ.

მაგრამ, აი, რას ამბობს **რონალდ ასმუსი** ამასთან დაკავშირებით **The American Conservative**-ის პუბლიკაციაში:

> **„თუმცა ჯერ არც ერთ დასავლელ ლიდერს ხელი არ მოუწერია ამ იდეისთვის და არ უღიარებია იგი ოფიციალურ პოლიტიკად, დიპლომატიურ დერეფნებში დიდხანს ბორიალი არ დაგჭირდებათ, რათა ისეთ დიპლომატებს გადაეყაროთ, რომლებიც ხმამაღლა განიხილავენ საკითხს — შეიძლება თუ არა, ფინეთიზაციის ახალი და თანამედროვე ვერსიები მისაღებ პოლიტიკად იქცეს ისეთი ქვეყნისთვის, რომლისთვისაც დასავლური ინტეგრაციის პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია“.**

დაეჭვებულია ნატოს გენერალური მდივანი.

„ძალთა ბალანსის, გავლენის სფეროებისა და **შეზღუდული სუვერენიტეტის**“ იდეა ცარიელ ადგილზე არ შექმნილა. ეს კონცეფცია, კარგა ხანია, აშშ საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელსაც იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აქტიურად განახორციელებს.

სანამ ჩვენ ვირტუალურ ცხოვრებას ვეჩვევით, **„შეზღუდული სუვერენიტეტის“** იდეა შავი ჭირივით ვრცელდება:

> **„შეზღუდული სუვერენიტეტის იდეით ამართლებდნენ კოსოვოს მოვლენებში ჩარევას. იგი იყო ფრენისთვის აკრძალული ზონების შექმნის გაუმხელელი წინაპირობა, რომლებიც 12 წლის განმავლობაში ერაყის ჩრდილოეთსა და სამხრეთში არსებობდა. ამ ღონისძიებათაგან არც ერთს, იურიდიული თვალსაზრისით, არ ჰქონია საერთაშორისო სანქცია. ასევე უდავოა, რომ ამით ირღვეოდა სახელმწიფო სუვერენიტეტი, მაგრამ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკური კლასის წევრებიდან პრაქტიკულად არავის ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია“.**

ამას წერს გავლენიანი ამერიკული გამოცემა და იქვე შენიშნავს, რომ ასეთი კონცეფცია სულაც არ ეფუძნებოდა „ერთობლივი უსაფრთხოების ახალ ევროპულ არქიტექტურას“.

უნდა დავეთანხმოთ, რადგან ასეთი პრაქტიკის, ანუ ძლიერის თავგასულობის პოლიტიკის რეალიზაცია არავითარ წინააღმდეგობას არ შეხვედრია ბოლო 20 წლის განმავლობაში, რადგან ტრადიციული შემაკავებელი ფაქტორი — საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა, ხოლო ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, დასუსტებული და გაღატაკებული, მოწყალების მოლოდინში ხელგაწვდილ მათხოვრებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე საკუთარი სიტყვის თქმის უფლების მქონე სუვერენულ სახელმწიფოებს.

ვის უნდა გაეწია წინააღმდეგობა? — რიტორიკულ შეკითხვად რჩება.

ამიტომ იყო „უკანასკნელი სამი პრეზიდენტი დარწმუნებული, ამ კონცეფციების გამოყენების უფლება რომ გვქონდა ჩვენ და ჩვენს მოკავშირეებს“, — შენიშნავს The American Conservative.

ესე იგი, შეზღუდული სუვერენიტეტის უბედურება, რომელიც შეიძლება დაგვემუქროს, აშშ-ის მიერ აპრობირებულ პრაქტიკას ეფუძნება.

ორიოდ სიტყვა **„ფინეთიზაციაზე“.**

The American Conservative-ს მიაჩნია, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც იგი მიესადაგება, საქართველოა.

ჩვენთვის მოიცალეს.

ბოლო ერთი თვის მანძილზე ფინეთის ფენომენის გააქტიურება ქართველი პოლიტოლოგების მიერ, მიგვანიშნებს, რომ საზოგადოებრივი აზრის მოსასინჯად (თუ მოსამზადებლად!) ეს თემა ჩვენს ტელესივრცეში სერიოზულად არის შემოგდებული.

მივყვეთ პუბლიკაციას:

> **„რუსეთს აშკარად არ სურს, საქართველო ნატოს წევრი გახდეს. სააკაშვილის უგნურების წყალობით, მან ალიანსში ამ ქვეყნის შესვლა ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა... რეალიები ისეთია, რომ ნატო თავის რიგებში არ მიიღებს საქართველოს, ხოლო საქართველოს საგარეო პოლიტიკას რუსეთის ნება შეზღუდავს“.**

ილუზიური წარმოდგენებით ცხოვრება ჩვენი პრეზიდენტის პრიორიტეტია, რომელიც გერმანულ **„ბერლინერ ცაიტუნგისთვის“** მიცემულ ინტერვიუში — აცხადებს: „სანერვიულო ნაკლებადაა. გამოკითხვების მიხედვით, ჩემ წინაღმდეგ მოსახლეობის 20 პროცენტია... **აშშ-ის და საქართველოს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა. ჩვენ დღესაც იმაზე მეტი მხარდაჭერა გვესმის, ვიდრე წინა მთავრობის დროს (გაყიდა ყოფილი პატრონი!** — ა.ს.)... **ობამა მკაცრად გააკრიტიკეს** საქართველოს პოლიტიკის გამო“ (უფრო მეტი მხარდაჭერის გამო?! — ა.ს.).

მარტო ეს რომ იყოს უკიდურესობათა კედლებისათვის თავის ხეთქების მაგალითი...

„ბერლინერ ცაიტუნგის“ კორესპონდენტი ეკითხება მიხეილ სააკაშვილს:

> **„— ნუთუ თქვენთვის შოკისმომგვრელი არ იყო ობამას განცხადება, რომ საქართველო აღარ იქნება დაბრკოლება, თუკი აშშ-რუსეთის ურთიერთობა ახლებურად ჩამოყალიბდა“?**

და პასუხად მიიღო:

> **„— არ ვფიქრობ, რომ ობამამ ეს განაცხადა** (აშშ-ის პრეზიდენტს უკან არ წაუღია თავისი სიტყვები. — ა.ს.). **როგორც ჩანს, ეს იდიოტური წინადადება რომელიღაც ქაღალდზე ვიღაც ბიუროკრატების დაწერილია“** (ობამას პრინციპულ პოზიციას „იდიოტური წინადადება“ უწოდა, ხოლო მისი ადმინისტრაცია „ვიღაც ბიუროკრატებად“ მოიხსენია. დაქცეულა ამერიკა! — ა.ს.).

ხოლო პრეზიდენტის თვითდამშვიდება-თვითკმაყოფილების ნიმუში — **„აშშ მთავრობამ დაგვარწმუნა, რომ მათი პოლიტიკა იმის საპირისპიროა, რაც, სავარაუდოდ, ამ ანგარიშის მიხედვით იგულისხმება“,** — არის იმ ილუზიური პოლიტიკის განხორციელების შედეგი, რომელსაც **„მცირე ქვეყნებს თავს ახვევენ და რომლის დაჯერება საკუთარი თავის მოტყუებად მიაჩნიათ“.**

The American Conservative

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ამერიკული მშვიდობის დასასრული

ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ბატონობის პოზიციაზე დამკვიდრდა. ამ უპრეცენდენტო სამხედრო და ეკონომიკურ ძალასთან ერთად მოვიდა ეპოქა „Pax Americana“, რომელიც, უკვე ექვს ათწლეულზე მეტია, გრძელდება; ყველას ეგონა, რომ ამერიკული იმპერიის მზე არასდროს ჩაესვენებოდა. მაგრამ, რაც დრო გადის, ამერიკას უფრო ნაკლები შესაძლებლობა რჩება მსოფლიო ჰეგემონის როლის შესასრულებლად. სამხედრო მიმართულებით ჰეგემონი პასუხისმგებელია საკვანძო რეგიონებში მშვიდობის შენარჩუნებასა და საყოველთაო მონაპოვრის დაცვაზე. ეკონომიკურად ის სხვა სახელმწიფოებისთვის შიდა ბაზრის გახსნის გზით საზოგადოებრივ კეთილდღეობას, მსოფლიო ეკონომიკის ლიკვიდურობას უნდა უზრუნველყოფდეს და სარეზერვო ვალუტას სთავაზობდეს. ჰეგემონმა უნდა მოაგვაროს საერთაშორისო კრიზისები და არ იქცეს მათი შექმნის მიზეზად. ის კრედიტორი და ყველაზე საიმედო მხსნელი უნდა იყოს მთელი მსოფლიოსთვის და არა ყველაზე მსხვილი მევალე მთელ მსოფლიოში. ამერიკა საკუთარ როლს, კარგა ხანია, აღარ შეესაბამება.

მიუხედავად ამისა, ბევრი თვლის, რომ ყველაფერი, რაც ახლა ხდება, დროებითი წარუმატებლობაა და პირველობა კიდევ მრავალ წელს გაგრძელდება. როგორც გაირკვა, ამერიკელი ხალხი გაცილებით ადრე აღიქვამს რეალობას, ვიდრე აკადემიები. 2009 წლის ბოლოს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, შტატების მოსახლეობის 41%-ის აზრით, მათი ქვეყანა მსოფლიო ლიდერის ამპლუაში ნაკლებად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე ეს ათი წლის წინათ იყო.

მბრძანებლობის ეპოქა დასასრულს უახლოვდება და საერთაშორისო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში გადადის: არც ერთპოლარული და ჯერ-ჯერობით არც მთლად მრავალპოლარული. 2009 წლის ნოემბერში ობამას ჩინეთში გამგზავრებამ ცვლილებები შინაარსობრივადაც დაამტკიცა და სიმბოლურადაც. ზემოხსენებული გამოკითხვის შედეგების შესაბამისად, ამერიკის მოსახლეობის 44% მსოფლიო ეკონომიკის წამყვანად ჩინეთს ასახელებს და მხოლოდ 27% თვლის, რომ ამ პოზიციაზე კვლავაც ამერიკა რჩება.

ამერიკის ვარდნა დიდწილად შეიძლება მის ჩავარდნისთვის წინასწარვე განწირულ პოლიტიკას დაბრალდეს, მაგრამ მაშინ, როდესაც აშშ ბორძიკობს, სხვები, განსაკუთრებით ჩინეთი, ინდოეთი და რუსეთი იზრდება. ძალთა გლობალურ გადანაწილებაში ეს ძვრები კარდინალურ ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე: ზესახელმწიფოების მხრიდან უსაფრთხოების მიმართულებით ინტენსიური გაჯიბრებისა და ომების ალბათობა მნიშვნელოვნად მატულობს. გლობალიზაციის ამჟამინდელი ეპოქა დასასრულს უახლოვდება და 1945 წლის შემდეგ გამეფებული „Pax Americana“ იმ საერთაშორისო წესრიგით შეიცვლება, რომელიც მზარდი ძალებისა და სახელმწიფოების ინტერესებს, ღირებულებებსა და ნორმებს ასახავს.

ჩინეთის ეკონომიკა უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე შტატებისა იზრდებოდა და უკანასკნელი 20 წლის მანძილზე და ამავე დროს ღრმა რეცესიის პირობებშიც ამართლებს 8%-იანი ზრდის გაბედულ პროგნოზებს. ეკონომიკის წამყვანი ექსპერტები თვლიან, რომ დაახლოებით 2020 წლისთვის ის მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკად მიჩნეულ აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობითაც გადაასწრებს.

ჯერ კიდევ 2008 წელს ჩინეთმა ამერიკა უკვე უკან ჩამოიტოვა და დამსახურებულად მიიღო მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლის ტიტული, რომელსაც ამერიკა უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე უცვლელად ფლობდა. წლეულს ჩინეთი იაპონიას მსოფლიოს მეორე ეკონომიკის პოზიციიდან ჩამოაქვეითებს. ყველაფერი, რაც ზესახელმწიფოების ზრდის ტრაექტორიაზე ვიცით, იმის მაჩვენებელია, რომ ჩინეთი თავის მზარდ კეთილდღეობას უზარმაზარი სამხედრო ძალის შესაქმნელად გამოიყენებს და აღმოსავლეთ აზიაში დომინირებას მოინდომებს.

ოპტიმისტები ირწმუნებიან, რომ ამერიკა ერთ მშვენიერ დღეს ისევ გამოძვრება სიტუაციიდან, რომელსაც ისტორიკოსი ნიალ ფერგიუსონი „დიდ დეპრესიას“ უწოდებს. ამ ტერმინში მთლად დეპრესია არ იგულისხმება, მაგრამ ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ვარდნა. იგივე ოპტიმისტები ამბობენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უამრავ ქვეყანას ვალისა და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობათა საგანგაშო თანაფარდობა ჰქონდა და ჯერაც ვერ მიუღწევია მდგრადი ზრდისათვის. მათ ავიწყდებათ, რომ ომის შემდგომი პერიოდი ამერიკის სამრეწველო და ფინანსური დომინირებისთვის ოქროს ხანა იყო და ზრდის მაღალი ტემპი არ ნელდებოდა. ოქროს ხანა დამთავრდა. 2010 წლის აშშ და მსოფლიო, რომლებიც ახლაა მის ირგვლივ, მნიშვნელოვნად განსხვავდება მაშინდელისგან.

ამერიკულ ეკონომიკაში სუსტი წერტილები ოცდაათი წლის მანძილზე მრავლდებოდა. 1980-იან წლებში ამ პრობლემებზე რამდენიმე მწერალი — დევიდ კალეო, პოლ კენედი, რობერტ გილპინი, სამუელ ჰანტინგტონი და ჯეიმს ჩეისონი მიანიშნებდნენ. ყველა მათგანი ამბობდა, რომ არსებული სტრუქტურული პრობლემები საბოლოოდ ბოლოს მოუღებდა ამერიკის გლობალური უპირატესობის საფუძველს. ასეც მოხდა. 80-იანი წლების დასასრულის ცხარე დისკუსია მაშინ შეწყდა, როდესაც სწრაფი ტემპით დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლა, იაპონიაში ეკონომიკური ბუშტები დასკდა, აშშ-ის ეკონომიკას კი კლინტონის ადმინისტრაციის წყალობით გამოცოცხლება დაეტყო. მაგრამ ახლა აღსასრული ძალიან ახლოსაა.



საუკეთესო შემთხვევაშიც კი აშშ ამ კრიზისიდან ფუნდამენტური დანაკარგებით გამოვა. ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ და ხაზინამ ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად უდიდესი სახსრები გაიღო. ამას ემატება ბიუჯეტის ტრილიონნიანი დეფიციტი, რომლის პირობებში ცხოვრებაც, კონგრესის საბიუჯეტო სამმართველოს პროგნოზის შესაბამისად, აშშ-ს, სულ მცირე, ათი წლის მანძილზე მოუწევს.

ქვეყნის ამჟამინდელი ანგარიშების დეფიციტისა და პროგნოზირებული ქრონიკული დეფიციტის, დაუფინანსებელი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ჰაერში გამოკიდებული მომავლის, ერაყისა და ავღანეთის დაუსრულებელი ომებისთვის საჭირო ხარჯების პირობებში ამერიკის შეერთებული შტატების მომავალზე შფოთვისთვის საფუძველი საკმარისზე მეტია. კონგრესის საბიუჯეტო სამმართველოს განცხადებით, „აღდგენა პროგნოზირებულის შესაბამისადაც რომ წარიმართოს, ქვეყანას ვალისა და საერთო შიდა პროდუქტის ყველაზე დიდი თანაფარდობა კიდევ 50 წლის მანძილზე ექნება და სულ უფრო მეტ არასტაბილურ და გადაუდებელ ფინანსურ პრობლემებს შეეჯახება“.

დასუსტებული დოლარი აშშ-ის გეოპოლიტიკური აქილევსის ქუსლია. მსოფლიო ეკონომიკაში მისი, როგორც სარეზერვო ვალუტის როლი განაპირობებს ამერიკის უპირატესობას და, თუ ის ამ სტატუსს დაკარგავს, ჰეგემონისთვის სახსრები აღარ იქნება. როგორც კორნელის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონათან კირშნერი აღნიშნავს, დოლარის არამდგრადობა „თანამედროვე ამერიკის პოლიტიკური და სამხედრო უპირატესობის თვალსაზრისით, პოტენციურად მნიშვნელოვან და სათანადოდ შეუფასებელ შეზღუდვებს აწესებს“.

დოლარის მოსალოდნელი არამდგრადობის გამო მღელვარება ჯერ კიდევ ახლანდელი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დადგომამდე დაიწყო. კრიზისმა ყველაფერი მხოლოდ გააუარესა და ყურადღება იმ ორი ახალი ფაქტორისკენ მიმართა, რომლებიც სარეზერვო ვალუტის სტატუსის შესანარჩუნებლად იმედს ფაქტობრივად არ ტოვებს.

პირველ საფრთხეს წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის სხვა მსხვილი ფინანსური მოთამაშეები, სამხედრო კონკურენტები (ჩინეთი) ან არაერთმნიშვნელოვანი მოკავშირეები (ევროპა), რომლებსაც საკუთარი ამბიციები აქვთ და აშშ-ის მხრიდან საბჭოთა საფრთხისგან დაცვა აღარ ესაჭიროებათ. მეორე საფრთხე დოლარის გაურკვეველი მომავალია — ყველა შიშობს, რომ მისი ღირებულება დროთა განმავლობაში შემცირდება. ჩინეთი, რომელსაც 2 ტრილიონ დოლარად შეფასებული მარაგები აქვს, თვლის, რომ ამერიკა მას გაუფასურებული დოლარის გროვების ანაბარა დატოვებს. მსოფლიო სულ უფრო ხშირად ითხოვს ახალი სარეზერვო ვალუტის შექმნას.

უახლოეს მომავალში აშშ-ს მზარდი წნეხის ქვეშ მოუწევს ცხოვრება. დოლარის გადარჩენის მცდელობები ფინანსური თვითკონტროლის დანესებას, ბიუჯეტის დანახარჯების შემცირებას, გადასახადებისა და საპროცენტო განაკვეთების მომატებას მოითხოვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ორი პუნქტი ზრდის განახლებას მოუღებს ბოლოს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფედერალური ბიუჯეტის შეკვეცის მოთხოვნით, უდიდესი ზეწოლაა მოსალოდნელი. ასე რომ, აშშ-ს სახელმწიფო დანახარჯების სტრატეგიული შემცირება და ავღანეთ-ირანის ეგრეთ წოდებულ ამბოხებულებთან გლობალური ბრძოლის გაგრძელებაზე უარის თქმა მოუწევს.

პირველი ნაბიჯის სახით აშშ იძულებული გახდება ნატოსთან, იაპონიასა და სამხრეთ კორეასთან მიმართებაში უსაფრთხოების პასუხისმგებლობა მოიხსნას. ამ რეგიონების საბჭოთა საფრთხისგან დაცვის ვალდებულება მან საკუთარ თავზე 1940-იან წლებში ახლანდელზე გაცილებით უკეთესი პირობებისას აიღო. მაშინ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ არა სამუდამო. დასავლეთ ევროპას, იაპონიასა და სამხრეთ კორეას ამ დაცვის ქვეშ საკუთარი ეკონომიკა და დაცვის სისტემა უნდა შეექმნათ. ახლა პარტნიორებმა საკუთარ უსაფრთხოებაზე თავად უნდა აგონ პასუხი. ამისთვის კი ისინი ამერიკამ უნდა უზრუნველყოს თანამედროვე შეიარაღებითა და სამხედრო ტექნიკით.

რაც შეეხება ისლამურ ტერორიზმს, ის ნაციონალური უსაფრთხოების სფეროში უმთავრეს საშიშროებას არ წარმოადგენს. ზესახელმწიფო შეიძლება მხოლოდ სხვა ზესახელმწიფომ დაამარცხოს და არა რომელიღაც ტერორისტულმა დაჯგუფებამ.

ობამას ადმინისტრაციამ და თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა კი ყველაფერი აურიეს — მთავარი ყურადღება ისლამისტი ტერორისტებისკენაა მიმართული.

ომის „მოგება“ ტერორიზმზე გამარჯვება ვერ იქნება. ტერორიზმის ბუდეებად მიჩნეულ ქვეყნებში შეჭრა და მათი ოკუპაცია ყველაზე არასწორი სტრატეგიაა. ამერიკა მეამბოხეებთან უვარგისი მებრძოლია და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობასაც ვერ ართმევს თავს. ტერორიზმის დამარცხების ნაცვლად იმდენ ხანს ტოვებს თავის სამხედრო ძალებს ერაყსა და ავღანეთში, რომ ერთადერთი, რაშიც წარმატებას აღწევს, ანტიამერიკანიზმის გაღვივებაა.

ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯოზეფ სტიგლიცმა დაითვალა, რომ ერაყის ომის პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები 3 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს. ავღანეთის ომის ხარჯის პროგნოზი ჯერ არ არსებობს, მაგრამ, როდესაც დაითვალეს მხოლოდ ის ხარჯი, რაც ამერიკას თავისი სამხედრო ნაწილების ავღანეთში ყოფნის გამო ექნება, თანხამ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.

ამერიკას პოსტ-Pax Americana პოლიტიკა ესაჭიროება, მაგრამ ამისთვის ამერიკელებს იმპერიის შესახებ იმ მითების დავიწყება მოუწევთ, რომლებიც თავის დროზე აშშ-ის, როგორც მსოფლიო ჰეგემონის, როლის გასამართლებლად შეიქმნა. ამ კატეგორიის ფუძემდებლური მითი იმაში მდგომარეობს, რომ აშშ დანარჩენ მსოფლიოზე უკეთესი და მასზე გაცილებით მორალურია. ამერიკელები დანარჩენ მსოფლიოს ყოველთვის შიშითა და სიფრთხილით უყურებდნენ, როგორც მომწამვლელს — ომების, იმპერიალიზმის, მილიტარიზმის, რელიგიური შეუწყნარებლობის, მმართველობის არადემოკრატიული ფორმების, ტოტალიტარიზმის, გენოციდისა და ტერორიზმის გამავრცელებელს.

ამერიკელები ძალიან დიდხანს თვლიდნენ, რომ ამგვარ მსოფლიოში უსაფრთხო ცხოვრებას ვერ შეძლებდნენ. ამიტომ სენმოდებული მსოფლიოს „განკურნებასა“ და საკუთარი ღირებულებების შესაბამისი მსოფლიო წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ. სწორედ ამ მიდგომით ამართლებდა ჯორჯ ბუში ხიშტებით დემოკრატიის ექსპორტის პოლიტიკას.

ვინაიდან მშვიდობა და თავისუფლება განუყოფელი ღირებულებებია, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში საბრძოლო იდეოლოგიის არსებობა აშშ-ის მხრიდან მის წინააღმდეგ გაჩენილ საფრთხედ აღიქმება. შესაბამისად, საქმეში აქტიური ჩარევა და საფრთხის გაუვნებელყოფა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაა.

საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მკვლევარი კენეტ ვალტცი ამბობს: „როდესაც ხარ დიდი და ძლიერი, შეგიძლია საკუთარ თავს უფლება მისცე, კიდევ და კიდევ დაუშვა ერთი და იგივე უაზრო შეცდომა. მაგრამ, როდესაც სუსტდები, შეცდომების გამეორებისთვის გადახდას იწყებ“. ვინაიდან აშშ სუსტდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მას XXI საუკუნეში დაშვებული შეცდომებისთვის გადახდა მოუწევს და, თუ ამერიკელებს სურთ, რომ „Pax Americana“-ს დასასრული გადაიტანონ, უპირველესად, უნდა ეცადონ, ახალი თვალით შეხედონ მსოფლიოს.

უცხოური პრესის მიხედვით

imperiya.by

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

კარლო კოპალიანი:

არჩევნებზე «მრეწველების» ლუსტრაცია მოხდა, ისინი იგივე «ნაციონალები» არიან!

მართალია, 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნები დადებითად შეფასდა, მაგრამ საზოგადოებამ კარგად იცის, რის ფასად მიიღო მმართველმა პარტიამ ხმები. პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი, ცაგერის რაიონის მაჟორიტარი, კარლო კოპალიანი აცხადებს, რომ „ნაციონალებს“ „მრეწველებიც“ დაეხმარნენ გამარჯვებაში და ზურაბ ტყემალაძეს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგებაში ადანაშაულებს.

— ბატონო კარლო, თქვენ რამდენიმე პარტია ცაგერში საუბნო კომისიის წევრების მანდატების გაყიდვაში დაადანაშაულეთ, რომელ პარტიებს გულისხმობთ?

— გაყიდვა არ მიგულისხმია. არ ვიცი, ეს გარიგება იყო თუ რა, მაგრამ მე საუბარი „მრეწველებზე“ და პოლიტიკურ გაერთიანებაზე „ჩვენ თვითონ“ მაქვს. ამის შესახებ არჩევნების წინ ჯერ კიდევ აპრილში მქონდა შეხვედრა ზურაბ ტყემალაძესთან. არ მინდოდა საუბნო კომისიის წევრების კვოტები მმართველი პარტიის ხელში მოხვედრილიყო. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს რაიონში ფაქტობრივად არ არსებობენ ეს პარტიული ორგანიზაციები, ჩემი სურვილი იყო კოორდინირებულად გვემოქმედა. **ტყემალაძემ დამისახელა პიროვნება, რომელსაც საუბნო კომისიის დაკომპლექტება და სიის საოლქო კომისიაში მიტანა დაავალა. საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ 95% მმართველი პარტიის წარმომადგენლებით ყოფილა დაკომპლექტებული.**

ახლა უფრო ადვილია ამაზე ლაპარაკი, რადგან ჩვენთან არის უბნები, სადაც ოპოზიციამ, მათ შორის „მრეწველებმა“ და „ჩვენ თვითონ“, ვერც ერთი ხმა ვერ მიიღეს, ანუ მათ კომისიის წევრებმაც კი არ მისცეს ხმა. შესაბამისად, ეჭვი, რომელიც მქონდა, გამართალა. ვერ გავარკვიეთ, თუ ვინ დააკომპლექტა ეს საუბნო კომისიები. საოლქო კომისიაში, როცა განაცხადი შეაქვთ, იწერება, ვინ შეიტანა, რომელ საათზე. საოლქო კომისიის შესაბამის ჩანაწერში კი მითითებულია: შემოიტანა პარტიის წარმომადგენელმა, მაგრამ ვინ — არ არის დაფიქსირებული. ამაზე საგაზეთო პოლემიკა მქონდა ბატონ ზურაბ ტყემალაძესთან, მას, ეტყობა, ემწარა ჩემი სიმართლე.

თავიდანვე ყველაფერი ნათელი იყო: კომისიებში ადმინისტრაცია როცა აირჩა, არჩევანი გაკეთდა იმ „მრეწველებზე“, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების გამტარებლები იყვნენ. ვცდილობდი, ეს სურათი შემეცვალა, სანამ შესაძლებელი იყო, მაგრამ არ მომისმინეს. ბატონმა ტყემალაძემ ისიც კი იკადრა, რომ თქვა, თითქოს მე კვოტას ვთხოვდი და ჩემს კონკურენტ პარტიას კვოტას როგორ მივცემდიო, განაცხადა. გამოდის, რომ კონკურენტი მისთვის „ალიანსი საქართველოსთვის“ იყო და არა — „ნაციონალური მოძრაობა“. მან, ფაქტობრივად, აღიარა, რომ მისთვის კონკურენტები ოპოზიციური კანდიდატები იყვნენ და არა — „ნაციონალური მოძრაობა“.

არც „ქრისტიან-დემოკრატებმა“ იცოდნენ, ვინ დააკომპლექტა საუბნო კომისიები. მაშინ დავითაია ვერ ვნახე, საზღვარგარეთ იყო, მაგრამ მითხრა, საქმე სანდო ხალხს აბარიაო, თუმცა აღმოჩნდა პირიქით. არჩევნების პერიოდში, 30 მაისს და მანამდეც, მხოლოდ ორი პარტია, „ქრისტიან დემოკრატები“ და ჩვენ („რესპუბლიკური პარტიიდან“ გვყავდა წარმომადგენელი) ვიბრძოდით ხმალამოღებული. საოცრებები ხდებოდა ცაგერის რაიონში. რომ ეუბნებოდნენ ჩვენი კომისიის წევრები, ამოიღეთ ხმა, რატომ არ ახდენთ რეაგირებასო, „მრეწველები“ თუ სხვა პარტიის წარმომადგენლები პასუხობდნენ: ჩვენ სადაური ოპოზიცია ვართო. შეიძლება ეს შეგნებულად არ გაკეთებულა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემთან იცრუა ტყემალაძემ, რომ საქმე სანდო პიროვნებას ჩააბარა.

— თუ გავითვალისწინებთ ცაგერის სიტუაციას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგივე სიტუაცია იყო მთელ საქართველოში, მითუმეტეს რომ „მრეწველებმა“ ძალიან დაბალი პროცენტი აიღეს?

— ცაგერის რაიონის სინამდვილე შეიძლება არავის აღელვებდეს, ძალიან პატარა რაიონია, 10-11 ათასი ამომრჩეველია სულ, მაგრამ მე იმ რაიონის მაჟორიტარი ვარ და ვიცი, რაც ხდებოდა და რაც ხდება, როგორ ჩატარდა არჩევნები. თუ დააკვირდით, როცა გამოქვეყნდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში არჩეულ იქნა საარჩევნო, საუბნო კომისიის მდივნები, იქ მხოლოდ „მრეწველებსა“ და „ჩვენ თვითონს“ ჰყავდა 2000-მდე მდივანი.

ეჭვი მაქვს, რომ როგორი მდივნებიც ცაგერში ჰყავდათ, ისეთი ეყოლებოდათ მთელ საქართველოში.

ეს იმისთვის გაკეთდა, რომ საზოგადოებას ეფიქრა, საარჩევნო ადმინისტრაციაში მდივნების თანამდებობა ოპოზიციური პარტიის 2000 წარმომადგენელს უჭირავსო. ნეტავ 2000 პარტიის წევრი ჰყავდეს ზოგიერთ მათ პარტიას. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ თავად მქონდა შეხება ამასთან.

ამასთან დაკავშირებით ჩემს განცხადებას არჩევნებამდე დიდი უკმაყოფილება მოჰყვა ტყემალაძის მხრიდან. ძალიან არ სიამოვნებს ვინმეს, კუდზე რომ დააბიჯებ ფეხს და მანაც რაღაც სისულელეები ილაპარაკა. ჩემს განათლებასა და ინტელექტს შეეხო, ბოდიში, მაგრამ მე „მამაძაღლობისგან“ შორს ვდგავარ, მაგრამ არავისზე ნაკლები განათლება არ მაქვს და რაიონშიც ვფლობ სიტუაციას. დიდი ჭკუა და გონება არ სჭირდება იმის გარკვევას, თუ რა ხდებოდა ამ არჩევნებზე.

— თქვენი აზრით, რის ფასად გადასცეს მმართველ პარტიას „მრეწველებმა“ მანდატები?

— ალბათ, აქ საუბარი იყო ზღვარის გადალახვაზე, კვალიფიციური პარტიაა და, ალბათ, შესაბამის დაფინანსებას მიიღებს ბიუჯეტიდან. არჩევნებში ბევრი უცხო პარტიაც მონაწილეობდა და იმედი ჰქონდათ მაგრამ... მათ, ალბათ, მომავალშიც ეყოლებათ საარჩევნო კომისიაში თავიანთი წარმომადგენლები, დაფინანსებას, როგორც კვალიფიციური სუბიექტები, ბიუჯეტიდან მიიღებენ და ა.შ. პირდაპირ ვინმემ ფული აიღო-მეთქი, ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, ამ პარტიებმა 200 კაციდან ვერც ერთი ხმა ვერ მიიღეს. ამით უკვე ყველაფერი ნათელია.

ხუთი სუბიექტიდან, რომლებიც საუბნო კომისიებში უნდა ყოფილიყვნენ, მხოლოდ ორი წევრი აღმოჩნდა ოპოზიციური. ერთი და ორი წევრი იქ ვერაფერს აკეთებს. 6 საათის შემდეგ რომ მოსახლეობის 25% „მივა“ არჩევნებზე, უკვე გასაგებია, რაც ხდება. ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა მუშაობა. თბილისიდან ამის ყურება ადვილია. ცაგერის მოსახლეობა ძალიან გულგატეხილია, ამ არჩევნებზე ლუსტრაცია მოხდა „მრეწველების“, ისინი იგივე „ნაციონალები“ არიან.

— ანუ არჩევნებმა დარღვევებით ჩაიარა ცაგერში?

— საშინელება იყო. მაღალი ჩინის სამართალდამცავები დარბოდნენ ხალხთან სახლებში და აფრთხილებდნენ, ხმა მიეცათ „ნაციონალებისთვის“. არ ვიცი, რა ეშველება ამ ქვეყანას. ზეწოლის რამდენი ფაქტიც წამოვწიეთ, მოგვთხოვეს კონკრეტული სახელები, გვარები და ფაქტები. ხალხს ეშინია და ღიად არაფერს ამბობს. შესაბამისად, ყველა ფაქტი რეაგირების გარეშე დარჩა.

მოკლედ

ირანი ევროს დოლარზე ცვლის

ირანის ცენტრალური ბანკი თავისი ოქროს სავალუტო რეზერვებიდან 45 მილიარდი ევროს ამერიკულ დოლარებსა და ოქროს ზოდებზე გადაცვლას აპირებს.

ამ გადაწყვეტილების მიზეზად ევროპის სახელმწიფოებში ფინანსური მდგომარეობის გაუარესება სახელდება. კონვერტაციის სამი ეტაპიდან პირველი უკვე რეალიზაციის სტადიაშია. ცოტა ხნის წინ მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკის ქვეყნები ირწმუნებოდნენ, რომ მიუხედავად ევროპაში გაჩენილი კრიზისისა, ევროზე უარს არ განაცხადებდნენ.

რუსეთის რეიტინგი მატულობს

მსოფლიო ინვესტორების რეიტინგებში რუსეთის პოზიციები მყარდება. 2009 წელს ქვეყანა მოზიდული ახალი პროექტების მიხედვით მსოფლიო ხუთეულში მოხვდა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, რუსეთი, რომელიც სიდიდის გამო ინვესტირების უმნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, საიმედო სტატუსს ძველებურად ინარჩუნებს. 2009 წლის შემდეგ კი ევროპის მსხვილი და საშუალო კომპანიები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ რუსული ბაზრის მიმართ.

გენო მალაზონიას დაკავების კიდევ ერთი მიზეზი

„ენერჯი ინვესტის“ გენერალური დირექტორის, გენადი მალაზონიას დაკავება არჩევნების წინ საკმაოდ სკანდალური ფაქტი აღმოჩნდა. მის დაკავებასთან დაკავშირებით უამრავი ვერსია გამოითქვა, თუმცა ყურადღების მიღმა დარჩა ერთ-ერთი — მისი გუნდის დაპირისპირება შს სამინისტროს წარმომადგენლებთან.

სახელისუფლო გუნდთან მეტისმეტად დაახლოებული ბიზნესმენი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კონკრეტული წარმომადგენლების ინტერესებისთვის ფულს არასდროს იშურებდა, გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. მალაზონიას განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჰქონდა უმრავლესობის ლიდერ პეტრე ცისკარიშვილთან; მეგობრობდა გიორგი კოდუასთან, მეტიც, გიორგი კოდუას დაოჯახება მისი დამსახურებაც კია, ვინაიდან სწორედ მას გაუცნია გიორგი კოდუასთვის მომავალი საცოლე.

მალაზონიას კავშირი ჰქონდა ასევე ქვემო ქართლის გუბერნატორ დავით კირკიტაძესთან. სწორედ მალაზონიას უკავშირებენ რუსთავის საფეხბურთო გუნდ „ოლიმპისა“ და საკალათბურთო გუნდ „ენერჯი ინვესტის“ წარმატებებს, რადგან ამ უკანასკნელისათვის დაფინანსებას არ იშურებდა. გუნდში არაერთი უცხოელი ძვირადღირებული სპორტსმენი ჩამოიყვანა და ჰონორარებიც საკმაოდ მაღალი დაუნიშნა.

რუსულ-ქართული კომპანია „ენერჯი ინვესტი“ 2004 წელს დაფუძნდა, 2005 წელს კი რუსთავის აზოტი შეისყიდა. ამ კომპანიაში ინტერესები ჰქონდათ ძმებ ბეჟუაშვილებსაც. პრეზიდენტი სააკაშვილიც არაერთხელ სწვევია „ენერჯი ინვესტს“ და მისი წარმატებებით თავიც მოუწონებია. აგვისტოს ომის შემდეგ კი, როცა საქართველოში თითქმის ყველა საწარმო გაკოტრების ზღვარზე იყო, სახელმწიფომ მხოლოდ აზოტის გადარჩენა გადაწყვიტა და მისგან 25 მილიონი ლარის სასუქი შეისყიდა, რათა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გლეხებისთვის დაერიგებინა და ამით საწარმო დახურვას გადაარჩინა.

მალაზონიას დაკავებასთან დაკავშირებით არაერთი ინფორმაცია გავრცელდა. ერთი ინფორმაციით, ამას საქართველოს ყოფილ პრემიერ ზურაბ ნოღაიდელთან საიდუმლო შეხვედრასაც უკავშირებენ, „ენერჯი ინვესტში“ წილების გადანაწილებასაც, თუმცა თავად მალაზონია დუმს და ზუსტი პასუხი კითხვაზე, თუ რატომ დააკავეს იგი მაშინ, როცა შემოსავლების სამსახური ერთი თვის განმავლობაში სწავლობდა „ენერჯი ინვესტის“ მუშაობას, მაგრამ ეს საკმაოდ მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა და ასეთ შედეგს არავინ ელოდა, ჯერ კიდევ იდუმალებითაა მოცული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებით, გენადი მალაზონიას ბრალად ედება კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ერთად ჯგუფურად უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით – 165.828.582 ლარის შემოსავლების მიღება, საამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულ გენადი მალაზონიას აღკვეთის ღონისძიების სახით ორი თვით პატიმრობა შეუფარდა. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა მალაზონიას 20.000 დოლარის სანაცვლოდ გირაოთი გათავისუფლების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა, იგი მაინც პატიმრობაში დატოვეს.

მალაზონია ბრალს არ აღიარებს, პროკურატურა კი 192-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, ანუ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას ედავება, რაც იმაში გამოიხატა, რომ, როცა სემეკმა ელექტროენერგიის წარმოებაზე ლიცენზია გასცა, ამ ლიცენზიით მას იურიდიული პირის შექმნა განუსაზღვრა, სადაც ელექტროენერგიის გამომუშავებასთან დაკავშირებით საბუღალტრო აღრიცხვა უნდა წარმოებულიყო. ბრალდების მხარის მტკიცებით, ეს პუნქტი არ შესრულდა, რაც ლიცენზიის პირობების დარღვევად ჩაეთვალა.

არსებობს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც წინ უსწრებდა მალაზონიას დაკავებას და რომელიც არ გახმაურებულა. 27 აპრილს შს სამინისტროს საკალათბურთო გუნდსა და რუსთავის „ენერჯი ინვესტს“ შორის ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი მიმდინარეობდა რუსთავის „აზოტის“ სპორტკომპლექსში. „ენერჯი ინვესტმა“ შს სამინისტროს გუნდს 20-ქულიანი სხვაობით მოუგო, რამაც შსს-ს წარმომადგენლების აღშფოთება გამოიწვია. თბილისიდან ჩასული შს სამინისტროს მაღალჩინოსნები თამაშის დროსაც ცდილობდნენ სიტუაციის არევასა და თამაშის ჩაშლას, მისი დასრულების შემდეგ კი შეტევაზე გადავიდნენ და, როცა ჟურნალისტები და მაყურებლები გარეთ გამოდიოდნენ, შსს-ს თანამშრომლებმა რამდენიმე ადამიანი ალყაში მოაქციეს და სცემეს.

ჩვენთვის უცნობია, რა პოზიცია ჰქონდა და რა რეაგირება მოახდინა ამაზე გენო მალაზონიამ, ამას, ალბათ, დიდი ხნის მანძილზე ვერც შევიტყობთ, რადგან ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში მალაზონია გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

გვერდი მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

9 — 15 ივნისი, 2010 წელი. №21 (64)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ხორხე რაფაელ ვიდელა და მისი ბინძური ომი

არგენტინის ყოფილ დიქტატორს, ხორხე რაფაელ ვიდელას, რომელსაც სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი, კიდევ 49 დანაშაულში ედება ბრალი: მკვლელობების ორგანიზება, ადამიანთა გატაცება და წამება. ხორხე ვიდელას ახალი ბრალდებები მას შემდეგ წაუყენეს, რაც ბუენოს-აირესის შემოგარენში ადამიანთა გვამები აღმოაჩინეს. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მოკლულები ჩააცემენტეს, დანაშაულის დაფარვის ეს სტილი კი სწორედაც რომ დამახასიათებელი იყო დიქტატორის მმართველობის ხანისთვის (1976-1981). 2010 წლის სექტემბერში 84 წლის ექსდიქტატორი თავისი 33 პოლიტიკური ოპონენტის შვილების გატაცებისთვის სასამართლოს წინაშე წარსდგება.

ხორხე რაფაელ ვიდელა 1925 წლის 2 აგვისტოს ქალაქ მერსედესში, სამხედროს ოჯახში დაიბადა. მამამისი, პოლკოვნიკი რაფაელ ეუხენიო საუკუნეების განმავლობაში ხელისუფლებასთან დაახლოებული გვარის შთამომავალი იყო, ამიტომ მათ ოჯახს სანლუისის პროვინციაში დიდ პატივს სცემდნენ. ხორხეს დედა, ქმარზე 9 წლით უმცროსი მარია ოლგა რედონდო ოხეა დიასახლისი იყო. ხორხე რაფაელი მესამე ვაჟი იყო ოჯახში, თუმცა მისი უფროსი ტყუპი ძმა საყმაწვილო სენისგან დაიღუპნენ ჯერ კიდევ მის დაბადებამდე. მშობლებმა ხორხეს კარგი განათლება მიაღებინეს; 1944 წელს პოდპორუჩიკის ჩინით მან ნაციონალური სამხედრო კოლეჯი დაამთავრა.

1946 წელს ქვეყნის სათავეში ფაშისტი დიქტატორით — ბენიტო მუსოლინით აღფრთოვანებული ხუან პერონი მოვიდა, რამაც არგენტინის პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

1956 წელს ხორხე რაფაელ ვიდელამ აშშ-ში არგენტინის საელჩოს მრჩევლის პრესტიჟული თანამდებობა მიიღო, ხოლო 1958 წელს მაიორის ჩინით არგენტინაში დაბრუნდა და სამსახური თავდაცვის სამინისტროში განაგრძო. მოგვიანებით იგი ელჩად წარგზავნეს ვენეუელასა და ბოლივიაში, ხოლო 1971 წელს გენერლის წოდება მიიღო და სათავეში ჩაუდგა იმ სამხედრო კოლეჯს, სადაც ოდესღაც თვითონ სწავლობდა.

50-იანი წლების შუა ხანებში პერონის პოლიტიკით უკმაყოფილებამ ზენიტს მიაღწია და პრეზიდენტი სამხედრო გადატრიალების გზით ჩამოაგდეს და ესპანეთში გააძევეს. 70-იანი წლების დასაწყისში იგი არგენტინაში დაბრუნდა და 1973 წელს კვლავ პრეზიდენტად აირჩიეს, ერთი წლის შემდეგ კი გარდაიცვალა. ძალაუფლების სადავეები მისი მესამე ცოლის — ისაბელ პერონის ხელში გადავიდა, რადგან იგი ვიცე-პრეზიდენტი იყო. ისაბელ პერონის მთავრობის პოლიტიკის შედეგად არგენტინის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, გახშირდა გაფიცვა-აჯანყებები. ხელისუფლების შესანარჩუნებლად პერონი იძულებული გახდა, სამხედროები გადაებირებინა, რომლებმაც უმალ ნამდვილი ტერორი წამოიწყეს მემარცხენე ოპოზიციონერთა მიმართ. სწორედ ამ დროს, 1975 წელს, ვიდელა არგენტინის არმიის მთავარსარდალი გახდა. მისი დევიზი იყო: „ძალიან ბევრი ხალხი უნდა გაწყდეს არგენტინაში იმისათვის, რომ ქვეყანაში უსაფრთხოებამ დაისადგუროს“. ამასთან, ხორხე ვიდელას ძალიან კარგად ესმოდა, რომ ისაბელ პერონის მთავრობა ძალიან სუსტი იყო, ამიტომ მოკლე ხანში ვიდელამ სამხედრო ხუნტა ჩამოაყალიბა, რომელშიც, მის გარდა, კიდევ ორი კაცი — ადმირალი ემილიო მასერა და გენერალი ორლანდო რამონ აგოსტი — გაერთიანდა. 1976 წლის მარტში ამ სამმა კაცმა სამხედრო გადატრიალება მოაწყო, რის შედეგადაც ისაბელ პერონი დაამხეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს. ასე გახდა ხორხე რაფაელ ვიდელა არგენტინის 43-ე პრეზიდენტი.

ვიდელა-საბატო-ბორხესის შეხვედრა სავახშმოდ

ხელისუფლებაში მისი მოსვლისთანავე ე. წ. ნაციონალური აღორძინება დაიწყო. ხორხე ვიდელას თქმით: „შეიარაღებული ძალები ღრმა ნაციონალური სულისკვეთებით იქნება გამსჭვალული და ნაციისა და ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე წმინდა ინტერესებით იხელმძღვანელებს“. სინამდვილეში ამ ერთი შეხედვით კეთილშობილური ლოზუნგის მიღმა ნამდვილი ტერორი იმალებოდა.

არგენტინა იმ დროს სამოქალაქო ომის მიჯნაზე იმყოფებოდა და რევოლუციის თავიდან ასაცილებლად ვიდელა და ხუნტა არაფერს ერიდებოდნენ. მემარცხენე ოპოზიცია მასობრივად გაანადგურეს, ბევრი სიკვდილის წინ სასტიკად აწამეს. ამისათვის არგენტინაში საგანგებოდ გამოიყო 34 სპეციალური საიდუმლო საპყრობილე. ასე დაიწყო „ბინძური ომი“...

მეამბოხეებს სასტიკად უსწორდებოდნენ, ხუნტამ საგანგებოდ ამისათვის შემოიღო „სიკვდილის ესკადრონები,“ რომლებშიც სხვადასხვა შეფასებით, 15-დან 25 ათასამდე კაცი შედიოდა. მათი ამოცანა „არასასურველი ელემენტების“ განადგურება იყო. იმხანად ბევრი მემარცხენე ოპოზიციონერი იპოვეს მოკლული, ნაწილი კი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა და თანაც, მთელი ოჯახით. დაზარალებულთა უმეტესობას რევოლუციის ორგანიზებასთან არავითარი ხელი არ ჰქონდა, ისინი, უბრალოდ, მემარცხენეთა იდეებს იწონებდნენ. წამების შემდეგ ოპოზიციონერებს კლავდნენ და წვავდნენ ან საერთო სასაფლაოზე მარხავდნენ. იმდორინდელი არგენტინის ყველაზე დახვეწილ წამებად „სასიკვდილო ფრენა“ მიიჩნეოდა — ადამიანებს პირდაპირ ატლანტის ოკეანის თავზე, თვითმფრინავებიდან ყრიდნენ.

ხელისუფლების სათავეში მოსვლისას ხუნტამ პარლამენტი დაითხოვა და სამხედრო მდგომარეობა შემოიღო. მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება სამხედრო კომისიის 9 წევრის ხელში გადავიდა. სამოქალაქო სასამართლოები დაიხურა, პოლიტიკური პარტიები კანონგარეშედ გამოცხადდა, პროფკავშირების მუშობა შეწყდა, გაფიცვები აიკრძალა, პროფკავშირთა ხელმძღვანელები და მათი მომხრეები ტერორისტებად გამოცხადდნენ და შესაბამისად მათზე ნადირობა გამართეს „სიკვდილის ესკადრონებმა.“ „ბინძური ომის“ განმავლობაში 30 ათასი კაცი დაიღუპა, ხოლო 500.000 ემიგრაციაში წავიდა. უკვალოდ გაუჩინარდა ბევრი ცნობილი მხატვარი, მსახიობი, მწერალი, პუბლიცისტი. სიტყვის თავისუფლებაზე ოცნებაც აღარ შეიძლებოდა. დაწვეს მილიონობით წიგნი, მათ შორის, გაბრიელ გარსია მარკესის, ოსვალდო ბაიერისა და პაბლო ნერუდას ნაწარმოებებიც.

1977 წელს ქვეყნის შიდა პრობლემებს საგარეოც დაერთო. არგენტინა და ჩილე ომის მიჯნაზე აღმოჩნდნენ, რადგან სამი პატარა კუნძული ვერ გაიყვეს. 1977 წლის ბოლოს ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ კუნძულები ჩილეს ეკუთვნოდა, თუმცა მოკლე ხანში ვიდელამ გადაიფიქრა და განაცხადა, რომ შეთანხმება გაუქმებულია. 1978 წლის 22 დეკემბერს ხუნტამ დაიწყო კუნძულების დაპყრობის ოპერაციის მზადება, მაგრამ საქმეში რომის პაპი იოანე პავლე II ჩაერია და ვიდელამ, როგორც ჭეშმარიტმა კათოლიკემ, უკან დაიხია.

1979 წელს „ბინძურმა ომმა“ სათანადო შედეგები გამოიღო. ხუნტამ ნელ-ნელა გადაჭრა არგენტინის ეკონომიკური პრობლემები, მაგრამ მისი პოპულარობა მკვეთრად დაეცა, როცა გავრცელდა ხმები ქვეყნის მმართველ ძალებში კორუფციის არსებობის შესახებ. ამავე დროს არგენტინაში თანდათან წარმოებული პროდუქციის დეფიციტი გაჩნდა. მაშინ ხუნტამ საბაჟო შეზღუდვები გააუქმა და ქვეყანაში უცხოურმა პროდუქციამ დაიწყო დენა, რამაც, თავის მხრივ, საგარეო ვალის ზრდა გამოიწვია.

ხუნტისა და ვიდელას პოლიტიკით, უბრალო ხალხთან ერთად, ძალზე შეშფოთებული იყო ინტელიგენციაც. პრეზიდენტს კი ჩინებულად ესმოდა, რომ მეცნიერებსა და მწერლებს დიდი გავლენა ჰქონდათ საზოგადოებაზე. ამიტომ ვიდელამ მათი კეთილგანწყობის მოპოვება გადაწყვიტა და 1976 წლის 19 მარტს ვახშამი გაუმართა ყველაზე ცნობილ არგენტინელ ინტელექტუალებს: ხორხე ლუის ბორხესს, არასიო ესტებან რატის, ერნესტო საბატოსა და მამა ლეონარდო კასტელიანის. მათ შეკითხვებს ვიდელა რბილად და დიპლომატიურად პასუხობდა და საბატო და ბორხესი ხუნტის მხარდაჭერაზეც კი დაითანხმა, თუმცა ინტელიგენციის ნაწილობრივი მხარდაჭერა მსოფლიო თანამეგობრობას ვეღარ გადაარწმუნებდა, რომ არგენტინაში ადამიანთა უფლებები ირღვეოდა. ხუნტას ზურგი აქცია მისმა დიდი ხნის მეგობარმა აშშ-მაც.

კონფლიქტი მთავრობაშიც მწიფდებოდა. ბევრი დაიღალა ვიდელას დიქტატურით. მისი მმართველობის ხანაში ხუნტის წევრები რამდენჯერმე შეიცვალნენ. ამასთან, სამხედრო მთავრობას ესმოდა, რომ „ბინძური ომით“ მუდმივად ვერ დაიმორჩილებდა ხალხს, რომელიც სასოწარკვეთილებამდე იყო მისული დევნით, შეზღუდვებით, არასტაბილური ეკონომიკითა და რთული საგარეო პოლიტიკური ვითარებით. ოპოზიციას ძალა რომ მოეკრიბა, ხუნტისა და სამხედრო მმართველობის ყველა წევრი დაზარალდებოდა. ამიტომ ვიდელას თანამოაზრეებისთვის ხელსაყრელი აღარ იყო დიქტატორის მხარდაჭერა. შედეგად 1981 წლის 29 მარტს ხორხე ვიდელა აიძულეს, არგენტინის პრეზიდენტის პოსტი დაეტოვებინა.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში არგენტინამ ბევრი ლიდერი გამოიცვალა. ვიდელას გადადგომამ ხუნტას მომხიბვლელობა ვერ შეჰმატა და 1983 წლის მარტში ბუენოს-აირესის ქუჩებში სამხედრო მმართველობის წინააღმდეგ მასობრივი დემონსტრაციები მოეწყო. იმავე წლის ბოლოს ხუნტა დაემხო და ქვეყნის სათავეში ახალი პრეზიდენტი რაულ ალფონსინი მოვიდა.

1985 წელს სასამართლომ ყოფილ დიქტატორს, რომელსაც მკვლელობებში, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში, ხელისუფლების უზურპაციაში, ხალხის წამებასა და უამრავ სხვა დანაშაულში ედებოდა ბრალი, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა მისი პატიმრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1990 წელს პრეზიდენტმა კარლოს მენემმა საჯაროდ მიუტევა ხუნტის წევრებს. პროტესტის ნიშნად ქუჩაში 50.000 მოქალაქე გამოვიდა, ხოლო ეპისკოპოსმა ხორხე ნოვაკმა განაცხადა, რომ ამგვარი მიტევება შეურაცხმყოფელია დემოკრატიისათვის. ხორხე რაფაელ ვიდელა და ხუნტის ყველა წევრი საპყრობილიდან მაინც გაათავისუფლეს, მაგრამ შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

ყოფილი დიქტატორი 2003 წელს გაიხსენეს, როცა პრეზიდენტმა ნესტორ კირშნერმა განაცხადა, რომ რაფაელ ვიდელა არგენტინის ექსპრეზიდენტი არაა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიდან მისი პორტრეტების ჩამოხსნა მოითხოვა. 2006 წელს კი გამოცხადდა, რომ გადაწყვეტილება ვიდელას შინაპატიმრობის შესახებ არაკონსტიტუციური იყო და 2008 წლის ოქტომბერში 83 წლის დიქტატორი კვლავ ციხეში გამოამწყვდიეს. ახლახან მის წინააღმდეგ ახალი ბრალდებები გაჩნდა... თავად ხორხე ვიდელას თქმით კი, მისი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ იგი მთელი ძალ-ღონით ნაციის დაცვას ცდილობდა! ასეა თუ ისე, არგენტინა კიდევ დიდხანს ვერ დაივიწყებს ხორხე რაფაელ ვიდელას სახელს.

სიკვდილის ესკადრონები არგენტინაში

ხორხე ვიდელა და ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

თედ კაჩინსკი — ამერიკის ყველაზე ცნობილი ტერორისტი

მას ამერიკის ყველაზე ცნობილ ტერორისტ-მკვლელს, „დოქტორ ბომბს“ უწოდებდნენ, თუმცა თავად კაჩინსკი, რომელიც დარწმუნებული იყო თანამედროვე ცივილიზაციის სიმახინჯეში, მის წარმომადგენლებს შერჩევით ხოცავდა. ამ ახალ რასკოლნიკოვს კაცობრიობის ხსნა ინდუსტრიული სამყაროს ყველაზე თვალსაჩინო და გავლენიანი წარმომადგენლების გაჟუჟვით სურდა. 18 წლის განმავლობაში მისი შიშით მთელი ქვეყანა კანკალებდა, კაჩინსკიმ 16 ტერორისტული აქტი მოაწყო, რომელთა შედეგადაც დაიღუპა 3 და დაიჭრა 23 კაცი. თუმცა მას შემდეგ, რაც ტერორისტის მანიფესტი გამოქვეყნდა და უნაბომბერი გისოსებს მიღმა გაამწესეს, გაირკვა, რომ მის შეხედულებებს სამყაროს შესახებ უამრავი რიგითი ამერიკელი იზიარებდა.





თედ კაჩინსკი დაჭერის შემდეგ

თედ კაჩინსკის სახლი

„... უწინ ხალხს გაცილებით მეტი საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ისინი თავისუფალნი იყვნენ. დღეს ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა, მაგრამ ეს ცხოვრება სუროგატია. თითოეული ჩვენგანი სისტემისთვის, იმისთვის მუშაობს, ვინც მას ხელმძღვანელობს, ამიტომაც გახშირდა დეპრესია: ადამიანები ინტუიციურად აცნობიერებენ თავიანთი არსებობის უაზრობას. მეცნიერები და ინჟინრები კი იშვიათად მუშაობენ ჭეშმარიტი მეცნიერული ცნობისმოყვარეობის გამო. ხშირად ისინი უბრალოდ ჩვენი საზოგადოების უფრო მეტად მექანიზების პრობლემას წყვეტენ. უკვე თავად ადამიანები იქცნენ მეცნიერთა ობიექტებად. ჩვენი აზრები და გრძნობები იმდენად დაუფარავია, რომ ხალხის ბიოლოგიურად მართვის პრობლემა დღეს მარტოდენ დროის საკითხია.“

ეს შიზოფრენიით დაავადებულად მიჩნეული და სამუდამო პატიმრობაში მყოფი კაცის მოსაზრებებია. მაინც ვინ არის უნაბომბერი? ხომ არ შეცდნენ მედიცინის ავტორიტეტები, როცა მას შიზოფრენიის დიაგნოზი დაუსვეს? რით გამოირჩეოდა თედ კაჩინსკი დანარჩენი ფსიქოპათებისგან, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ მანიის ან იდეის სახელით სხვათა ბედ-იღბლის განმკარგვა შეეძლოთ?

ეს ისტორია 1978 წლის 26 მაისს დაიწყო, როცა ქალაქ ევანსთოუნის (ილინოისის შტატი) უნივერსიტეტის მცველმა პოლიციელმა ფოსტით გამოგზავნილი ამანათი გახსნა და... ასაფეთქებელი მექანიზმი ამოქმედდა. მცველი მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ თვითნაკეთი ბომბი მცირე სიმძლავრისა იყო.

1979 წლის 9 მაისს იმავე უნივერსიტეტში ერთმა ზედმიწევნით ცნობისმოყვარე სტუდენტმა გადაწყვიტა, ამანათი — სიგარების ყუთი გაეხსნა და აფეთქებისგან მსუბუქი ჭრილობები მიიღო. იმავე წლის 15 ნოემბერს ჩიკაგოდან ვაშინგტონში მიმავალი „ბოინგის“ სატვირთო განყოფილებაში ამოქმედდა ბომბი, რომელიც წვენის ქილაში დაემალათ. სალონში მყოფი 12 კაცი კვამლით მოიწამლა. დეტექტივებმა დაადგინეს, რომ სამივე შემთხვევაში ერთი კაცის ხელწერა იკვეთებოდა. გამოძიებაში გფბ-ც ჩაერთო.

1980 წლის 10 ივნისს პატარა ქალაქ ლეიქ ფორესთში (ჩიკაგოს გარეუბანი) ავიაკომპანია „იუნაითედ ეარლაინსის“ პრეზიდენტის, პერსი ვუდის სახელზე ამანათი მოვიდა. ადრესატმა მასში წიგნი აღმოაჩინა, რომლის სატიტულო გვერდზეც ეწერა: „გიგზავნით წიგნს, ვგონებ, უნდა დაგაინტერესოთ.“

ვუდმა წიგნი გადაფურცლა და ავარდნილი ალისგან სახე და ხელები დაიწვა... უცნობი ტერორისტი პოლიციამ უნაბომბერად მონათლა. გფბ-მ მის კვალზე გასასვლელად არაფერი დაიშურა, მაგრამ ამაოდ გაისარჯა.

1982 წლის 5 მაისს ვანდერბილთის უნივერსიტეტში (ტენესის შტატი) მდივანმა ქალმა ფოსტით მიღებული ხის ყუთი გახსნა და... მრავალრიცხოვანი ჭრილობა მიიღო. ამჯერად უცნობმა ტერორისტმა პოლიცია აღარ ალოდინა და მეორე აფეთქება 2 ივლისს, ბერკლის უნივერსიტეტში მოაწყო. სამართალდამცავები კვლავ ვერაფერს გახდნენ.

1985 წლამდე სიმშვიდე სუფევდა, გფბ-მ ისიც კი ივარაუდა, რომ უნაბომბერი აღარ გამოჩნდებოდა, მაგრამ 15 მაისს ბერკლის უნივერსიტეტის საკომპიუტერო დარბაზში სტუდენტმა ვიღაცის მიერ დატოვებული ხის ყუთი გახსნა და აფეთქების შედეგად სამუდამოდ დახიბრდა. უნაბომბერმა კი „აიწყვიტა“: 13 ივნისს სამგზავრო თვითმფრინავის ბორტზე ბომბის აფეთქება სცადა. საბედნიეროდ, ბომბი შემთხვევით, მაგრამ დროულად აღმოაჩინეს; 15 ნოემბერს მიჩიგანის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის პროფესორმა და მისმა ასისტენტმა სერიოზული ჭრილობები მიიღეს, როცა ფოსტით მიღებული ამანათი გახსნეს; 11 დეკემბერს კი ბომბის ნამსხვრევმა საკომპიუტერო კორპორაციის მფლობელი, ცნობილი ინჟინერი ჰიუ კემპბელი შეიწირა. ამის შემდეგ უნაბომბერი კვლავ გაყუჩდა...

1987 წლის 20 თებერვალს ქალაქ სოლთ-ლეიქის ორგტექნიკის მაღაზიის მფლობელი მძიმედ დაიჭრა — ხელში აუფეთქდა ვიღაცის მიერ მაღაზიის პარმაღთან დატოვებული პაკეტი. ამჯერად მოუხელთებელმა ტერორისტმა შეცდომა დაუშვა: კართან შეყოვნებული, მაღაზიის თანამშრომელს შეეჩეხა, რომელმაც შემდგომ პოლიციას უცნობის აღწერილობა გადასცა. თურმე სასიკვდილო ტვირთი 25-30 წლის მაღალმა და გამხდარმა, ჟღალთმიანმა მამაკაცმა მოიტანა.

ქალის სიტყვების მიხედვით, შეიქმნა ფოტორობოტი, რომელიც აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე გაავრცელეს, ხოლო ფსიქოანალიტიკოსებმა დამნაშავის მიახლოებითი ფსიქოლოგიური პორტრეტი შეადგინეს. მათი აზრით, უნაბომბერი მაღალინტელექტუალური, ერთობ პედანტური, კორექტული და კარჩაკეტილი პიროვნება და მოწინავე თანამედროვე ტექნოლოგიების აშკარა მოწინააღმდეგე იყო. მართალია, დამნაშავეს ამჯერადაც ვერ მიაგნეს, მაგრამ უნაბომბერმა სიფრთხილე გამოიჩინა და 6 წლით გაყუჩდა...

1993 წლის 22 ივნისს კი ცნობილმა მეცნიერ-გენეტიკოსმა ჩარლზ ეფსთაინმა უნაბომბერის მსხვერპლთა სია შეავსო; ორი დღის შემდეგ საავადმყოფოში აღმოჩნდა კიდევ ერთი მეცნიერი — იელის იუნივერსიტეტის პროფესორი დევიდ ჯელენთერი. გაზეთები კვლავ ალაპარაკდნენ და უნაბომბერის 6 წლისწინანდელი ფოტორობოტიც ისევ დაბეჭდეს. გფბ-მ უნაბომბერის დაჭერისთვის ჯილდოც კი დააწესა: 1 მლნ დოლარი!

1994 წლის 10 დეკემბერს თვითნაკეთი ბომბის აფეთქებისგან დაიღუპა ნავთობკორპორაცია „ექსონზე“ მომუშავე უდიდესი სარეკლამო ფირმის ვიცე-პრეზიდენტი თომას მოსერი; 24 აპრილს კი უნაბომბერმა ამანათი გაუგზავნა საკრამენტოს ერთ-ერთ უდიდეს ხით მოვაჭრე კერძო ფირმას, რომლის შეფიც — ამერიკის მთავარ მეტყევედ მონათლული 47 წლის გილბერტ მურეი — ადგილზე დაიღუპა, ხოლო აფეთქების ტალღამ შენობაში ყველა კარ-ფანჯარა მოგლიჯა.

1995 წლის სექტემბრის დასაწყისში უნაბომბერმა წერილობით მოსთხოვა გაზეთებს: „ნიუ იორკ თაიმსსა“ და ვაშინგტონ პოსტს“ თავისი მანიფესტის — „ინდუსტრიული საზოგადოება და მისი მომავალი“ გამოქვეყნება და ამ შემთხვევაში ტერორისტული აქტების შეწყვეტას შეჰპირდა. აშშ-ის იუსტიციის მინისტრმა და გფბ-ის დირექტორმა მისი მოთხოვნის შესრულება მიზანშეწონილად მიიჩნიეს.

მანიფესტში უნაბომბერი წერდა, რომ სამრეწველო რევოლუცია და მისი შედეგები მთელი კაცობრიობის არსებობას საფრთხეს უქმნიდა, რადგან საზოგადოების დესტაბილიზაციას, ხალხის სულიერად გაღატაკებას, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ტანჯვას იწვევდა, ხოლო გარემოს აუნაზრაურებელ ზარალს აყენებდა. მისი მოსაზრებით, ტექნოლოგიების განვითარება სოციალურ ნგრევას გამოიწვევდა და სწორედ ამიტომ ებრძოდა იგი სამრეწველო სისტემას.

1996 წელს ვანდა კაჩინსკაია ძველი სახლის დალაგებისას შემთხვევით წააწყდა თავისი უფროსი ვაჟის თეოდორ ჯონის ქაღალდებს, რომლებიც თავისი შინაარსით ერთობ წააგავდა უნაბომბერის მანიფესტს. ეს ქაღალდები მოხუცმა ქალმა უმცროს ვაჟს — დევიდს უჩვენა, რადგან თეოდორს მშობლებთან ურთიერთობა დიდი ხნის გაწყვეტილი ჰქონდა. დევიდმა საკუთარი გამოძიება ჩაატარა და დარწმუნდა, რომ უცნობი ტერორისტი და მისი ძმა თეოდორი ერთი და იგივე ადამიანი იყო. მაშინ ახალგამომცხვარმა შერლოკ ჰოლმსმა გფბ-ს მიმართა და განუმარტა, რომ 18 წლის განმავლობაში სწორედ მისი ძმის ციხეში გამწესებაზე ოცნებობდა მთელი ამერიკა!

უნაბომბერი 3x3.65 მ-ის ფართის ხის ქოხში, წყალგაყვანილობის, ელექტროენერგიის, გაზისა და კანალიზაციის გარეშე ცხოვრობდა მონტანაში. სახლზე მეთვალყურეობა დააწესეს და 3 აპრილს ტერორისტი დააკავეს. აღმოაჩინეს სამხილებიც: ქიმიური ნივთიერებები, სამი ბომბი, ორი საბეჭდი მანქანა და ნაშრომები. მართალია, დაკავებული უნაბომბერობას უარყოფდა, მაგრამ იგი „ლუისისა და კლარკის“ საპყრობილეში გაამწესეს და სადღეღამისო მეთვალყურეობა დაუწესეს. ქოხი კი შესასწავლად მალმსტრომის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე გადაიტანეს.

აღმოჩნდა, რომ ფსიქოანალიტიკოსები არ ცდებოდნენ. თუმცა 1942 წლის 22 მაისს ჩიკაგოში დაბადებული თეოდორ კაჩინსკი (კაზინეკი) უბრალოდ ინტელექტუალი კი არა, თითქმის გენიოსი იყო. საშუალო სკოლა მან სამ წელიწადში დაამთავრა და ჰარვარდის უნივერსიტეტშიც ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მოეწყო. 1962 წელს, 20 წლის ასაკში, იგი ჰარვარდის ყველაზე ნორჩი კურსდამთავრებული გახდა. 2 წლის შემდეგ მათემატიკის მაგისტრის ხარისხი მიიღო, ხოლო 1967 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიანიჭეს. შემდეგ კაჩინსკი ბერკლის უნივერსიტეტში მუშაობდა და თანამშრომლები მას გენიოსად მიიჩნევდნენ. 1969 წელს კი თეოდორმა მოულოდნელად უნივერსიტეტი დატოვა და იუტას შტატში გადასახლდა. მას შემდეგ კაჩინსკის შესახებ არავის არაფერი სმენოდა. 1984 წელს მან პატარა მიწის ნაკვეთი შეიძინა მონტანაში და სრულ მარტოობაში ველურივით ცხოვრობდა, ლუკმაპურს კი ბოცვერების მოშენებით, თევზაობითა და ნადირობით მოიპოვებდა.

1998 წლის იანვარში მას შიზოფრენიის დიაგნოზი დაუსვეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს საკრამენტოს ციხეში. 1996 წელს ჟურნალმა „People“-მა იგი პლანეტის ყველაზე საინტერესო 25 კაცის ნუსხაში დაასახელა.

დევიდ კაჩინსკიმ კი დაპირებული მილიონი მიიღო, რის შემდეგაც ძმაზე წიგნი დაწერა, რომელმაც კიდევ რამდენიმე მილიონი დოლარი მოუტანა. ახლა ცნობილი ტერორისტის უმცროსი ძმა უნაბომბერის შესახებ ფილმის გადაღებას, ხოლო თეოდორის ქოხში მუზეუმის გახსნას აპირებს...

გვერდები მოამზადა ნანა ჩარკვიანმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

აზერბაიჯანელები მაინც გაფრინდებიან



აზერბაიჯანი უპილოტო თვითმფრინავების წარმოებას აპირებს. ქვეყნის სამხედრო მრეწველობის მინისტრმა იავერ ჯამალოვმა სააგენტო „APA“-ს განუცხადა, რომ ხელშეკრულებას უპილოტო თვითმფრინავების ერთობლივ წარმოებაზე ისრაელის ერთ-ერთ კომპანიასთან ხელი მალე მოეწერება. აზერბაიჯანული მხარის წილი პროექტში 51% იქნება. იგეგმება როგორც სადაზვერვო, ისე საბრძოლო საფრენი აპარატების წარმოება.

არცთუ ჰიპერბგერითი

შტატებში ახალი ჰიპერბგერითი რაკეტა „X-51A Waverider“ გამოსცადეს. ძრავამ დაგეგმილი 300 წამის ნაცვლად 200 წამი იმუშავა. აჩქარებამ კი ნავარაუდევი 0,22g-ს ნაცვლად 0,15g შეადგინა. „ AFRL“-ის ინფორმაციით, რაკეტა ,,ყველა მიმართულებით აბსოლუტურად არასტაბილური აღმოჩნდა“. კომპანია ,,ბოინგის“ მიერ შექმნილი რაკეტის შემდეგი გამოცდა სექტემბრისთვის იგეგმება.

წავიდა ჰეე, ის ცხოვრება აღარ არის...

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა კარლ-თეოდორ ცუ გუტენბერგი ბუნდესვერის შემცირებას 150 ათას სამხედრო მოსამსახურემდე აპირებს. „Spiegel“-ის ცნობით იგეგმება წვევამდელთა გაწვევის დროებითი შეჩერება ან შეზღუდვა და რიგი პროექტების გაუქმება. სულ ეკონომიკური კრიზისით გათანგული გერმანიის თავდაცვის სამინისტრო ხარჯების შემცირებას 1 მილიარდი ევროთი გეგმავს.

საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს

„შეერთებული შტატების ჯარისკაცები ავღანეთში მალე შეიძლება უნიკალური მედლით „მამაცური თავშეკავებისთვის“ დააჯილდოონ“, — იტყობინება „Air Force Times“-ი. იგი იმ სამხედროებს გადაეცემათ, რომლებმაც კრიტიკულ სიტუაციაში თავი შეიკავეს და ბრძოლაში არ ჩაებნენ ან სიტუაციას გაეცალნენ, რათა სამოქალაქო პირებისთვის ზიანი არ მიეყენებინათ. მსოფლიო სამხედრო ისტორიაში მსგავსი ჯილდოს დაწესება მართლაც უპრეცენდენტოა.

ჯართის გამყიდველო, მიწადასაყრელო

„ინდოეთის სახმელეთო ჯარების სარდალმა ვიჯაი კუმარ სინგხმა მოუწოდა თავდაცვის სამინისტროს, აშშ-სგან შეიარაღების შესყიდვისას სიფრთხილე გამოიჩინოს“, — წერს „Times of India“. მისი თქმით, 2002 წელს შეძენილი საარტილერიო დაზვერვის რადიოსალოკაციო კომპლექსებ „AN-TPQ-37“-ის ორი მესამედი გაფუჭებულია. ამერიკელებმა კი კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას თავი ვერა და ვერ მოაბეს. გამოცემა ვარაუდობს, ეს განცხადება აშშ-ინდოეთის სამხედრო თანამშრომლობაზე უარყოფითად აისახება.

«Club-K» — სიკვდილის კონტეინერები

„თავიდან თქვენს ნაპირებთან ჩნდება უწყინარი სატვირთო გემი. მომდევნო წამს კი თქვენი ობიექტები უკვე განადგურებულია“, — პენტაგონის კონსულტანტი რუბენ ჯონსონი, ისევე როგორც ბევრი სხვა ამერიკელი ექსპერტი, მიიჩნევს, რომ ახალმა რუსულმა სარაკეტო კომპლექსმა „Club-K“-მ შეიძლება ომის წარმოების ჩვეული წესები შეცვალოს, მეტიც — ძალთა გლობალურ ბალანსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს. ეს განცხადებები, ერთი შეხედვით, შეიძლება პანიკურად მოგვეჩვენოს, საუბარი ხომ არც ახალი კონტინენტთაშორისი რაკეტის შექმნასა და არც მეხუთე თაობის ბომბდამშენებს ეხება; თუმცა ახალი კომპლექსის დაკვირვება ცხადყოფს, რომ ამერიკელების შეფასებები „Club-K“-სთან დაკავშირებით ჭეშმარიტებისგან არცთუ შორსაა.

კომპლექსის „მუღამი“ იმაშია, რომ მისი მოდულები შეიძლება სტანდარტულ 40-ფუტიან საზღვაო კონტეინერებში განთავსდეს. ასეთი მოდული სულ სამია: უნივერსალური სასტარტო მოდული ოთხი რაკეტისათვის, საბრძოლო მართვის მოდული და ენერგოკვებისა და უზრუნველყოფის მოდული. კონტეინერების გამოყენება აიოლებს გადაზიდვას და, რაც მთავარია, სარაკეტო კომპლექსის აღმოჩენა მოწინააღმდეგისათვის უაღრესად რთული ხდება, რადგან საშიში კონტეინერის იდენტიფიცირება უამრავ სხვა კონტეინერს შორის პორტში ან რკინიგზის სადგურში პრაქტიკულად შეუძლებელია.

წარმოვიდგინოთ ინტენსიური ნაოსნობის ზონა, ათასობით გემი, ზოგს ჩინური ბოტასები მიაქვს გასაყიდად, ზოგს იაპონური ავტომობილები, მაგრამ, „Club-K“-ს ფართო გავრცელების შემთხვევაში, ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, ხომ არ უახლოვდება რომელიმე მათგანი ხელსაყრელ პოზიციას მოულოდნელი სარაკეტო იერიშისთვის ამერიკულ სამხედრო ხომალდებზე. ცხადია, აშშ-ის ფლოტი ვერ დაუწყებს შემოწმებას და ეჭვის შემთხვევაში სროლას მილიონობით კონტეინერს, რომელიც გზად ხვდება. ეს ნაოსნობისა და ვაჭრობის ფაქტობრივ პარალიზებას ნიშნავს, რაც, უპირველესად, ისევ შტატებისა და მისი მთავარი მოკავშირეების ეკონომიკას დაარტყამს, მათი დამოკიდებულება სწრაფ და შეუფერხებელ საზღვაო გადაზიდვებზე ხომ ძალზე დიდია. აგრეთვე, რთულდება ზღვიდან დესანტის გადმოსხმის ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება; ზოგადად, მიახლოება ნაპირებთან უფრო პრობლემური ხდება.

„Club-K“ მთელ თამაშს ცვლის. ეს უზარმაზარი საფრთხეა, რადგან ვერავინ დაადგენს, რამდენად შორსაა განთავსებული რაკეტები“, — ამბობს „Jane's Defence Weekly“-ს ერთ-ერთი რედაქტორი რობერტ ჰიუსონი. მისი შეშფოთება გასაგებია, ზღვის ან სანაპირო ზოლის პრაქტიკულად ნებისმიერი წერტილიდან მოულოდნელი დარტყმის შესაძლებლობა სახუმარო თემა ნამდვილად არ არის.

კომპლექსი „ Club-K“ შეიქმნა ეკატერინბურგის საკონსტრუქტორო ბიურო „Новатор“-ის მიერ, როგორც სარაკეტო სისტემა „Club“-ის ერთ-ერთი მოდიფიკაცია. არსებობს, აგრეთვე, „Club-N“, რომელსაც ხომალდებზე აყენებენ, „Club-S“ წყალქვეშა ნავებისთვის, მოდიფიკაცია ავიაციისთვის და ა.შ. „Club-K“ შეიძლება აღიჭურვოს ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტებით „ზს-540Უ“ (სიშორე 220 კილომეტრამდე), „ზს-540ᲣᲗ1“ (სიშორე 275 კილომეტრამდე), ხოლო სახმელეთო ობიექტების წინააღმდეგ შეიძლება



კრეიგ ჰარისონი — აღამიანი თუ ლეგენდა?

ბრიტანელმა სნაიპერმა კრეიგ ჰარისონმა ორი თალიბი მებრძოლი 2475 მეტრის მანძილიდან მოკლა. „რეკორდი“ შარშან ნოემბერში, ავღანეთის პროვინცია გილმენდში დამყარდა, თუმცა ბრიტანულმა პრესამ მის შესახებ სულ ახლახან გვამცნო.

კაპრალი ჰარისონი შეიარაღებული იყო შაშხანით „L115A3 Long Range Rifle“, კალიბრი (.388). აქამდე რეკორდულ მიღწევად კანადელი სნაიპერის, რობ ფარლონგის გასროლა ითვლებოდა, 2002 წელს ასევე ავღანეთში მან მოწინააღმდეგე (მესამე გასროლიდან) 2340 მეტრის მანძილიდან „მოხსნა“. იგი ისროდა McMillan TAC-50-იდან (კალიბრი .50). ფარლონგმა ოდნავ აჯობა მისი თანამემამულე არონ პერის (ასევე 2002 წელი; იგივე შაშხანა, მანძილი 2310 მეტრი). მართალია, ლეგენდარული ამერიკელი სნაიპერის, „ვიეტკონგის №1 მტრის“, კარლოს ჰესკოკის 2500 მეტრი თითქოს დაუპყრობელ მწვერვალად დარჩა, თუმცა იმ გასროლის ზუსტი მანძილის დადგენა დღეს შეუძლებელია და გამორიცხული არაა, იგი დამრგვალებული იყოს.

კრეიგ ჰარისონის შემთხვევაში, გაკვირვებას სხვა რამ იწვევს. ყველა ჩამოთვლილმა სნაიპერმა ერთი მოწინააღმდეგე მოკლა. თანაც კანადელებმა ეს იმ შაშხანებით გააკეთეს, რომლებიც, სპეციალისტთა აზრით, ამ მიზნებისთვის უფრო გამოსადეგია. კაპრალმა ჰარისონმა კი, „Daily Mail“-ს თუ დავუჯერებთ, რამდენიმე წამში ერთი მეორის მიყოლებით სიცოცხლეს ორი თალიბი გამოასალმა.

საინტერესოა, რომ იგი არ არის საგანგებოდ მომზადებული „სნაიპერი-მონადირე“, რომლებიც განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს ფლობენ და ჩასაფრებისას გათვლებისთვის, როგორც წესი, საკმაო დრო აქვთ; კაპრალი ჰარისონი ქვეითთა ჩვეულებრივი ქვედანაყოფის შემადგენლობაში იბრძვის და ასეთ ფუფუნებას ხშირად მოკლებულია; განსახილველი ეპიზოდიც გამონაკლისი არ აღმოჩნდა და ძალზე დინამიური გამოდგა.

რეალურად, ომის პირობებში მუშაობა ასეთ სნაიპერებს ჩვეულებრივ 600-800 მეტრიდან უწევთ; ქალაქში ეს მანძილი კიდევ უფრო მცირდება. 1500 მეტრს ზევით კი ქვეითთა ქვედანაყოფთან ერთად მოქმედი, მათ შორის „L115A3“- ით შეიარაღებული ბრიტანელი სნაიპერები მხოლოდ „შემაწუხებელ სროლას“ თუ მიმართავენ. სიტუაციები, როდესაც მათ უფრო დიდ მანძილზე დამიზნებით სროლა უწევთ, ბრძოლის ველზე საკმაოდ იშვიათად იქმნება.

კრეიგ ჰარისონის ვერსიით, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: იგი მძღოლთან, კლიფ ო'ფარელთან ერთად (სპოტერად სწორედ მან წაიმუშავა) ძირითადი ძალებისგან 2,5 კილომეტრის მოშორებით მანქანაში იჯდა, უცებ მან შეამჩნია, რომ ერთ-ერთი ეზოდან ორი თალიბი გამოვარდა და მეთაურის მანქანას ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნა. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, კრეიგმა, რამდენიმე წამში, მოახდინა იდეალური მათემატიკური გათვლა, ზედიზედ ორჯერ ზუსტად დაუმიზნა (საუბარია გრადუსის მეათასედებზე) და ისროლა ისე, რომ არც ქარმა, არც მტვერ-

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

გამოყენებულ იქნას „ზს-14ᲘᲫ“ (სიშორე 275 კილომეტრამდე). რაკეტების ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები და მართვის სისტემები სავსებით სერიოზულია იმისთვის, რომ სასიკვდილო საფრთხე შეუქმნას შეერთებული შტატების ფლოტის შენაერთებსა და ცალკეულ ხომალდებს. ციფრებში შემდგომ ჩაღრმავებას ნუ დავიწყებთ, რადგან ეს რაკეტები ხვალ და ზეგ შეიძლება კიდევ უფრო მძლავრი მოდიფიკაციებით შეიცვალოს, მთავარი ამ შემთხვევაში ახალი იდეაა, რომელიც ამერიკელმა ექსპერტებმა რევოლუციურად ჩათვალეს. იგი აშშ-ის ფლოტის ძლიერებაზე ასიმეტრიულ პასუხს წარმოადგენს და მის წინაშე ახალ გამოწვევებს აყენებს.

იარაღის საერთაშორისო ბაზარზე „სიკვდილის კონტეინერების“ გამოჩენა, მისი შეძენა ირანის, ვენესუელის, სხვა მსგავსი ქვეყნების მიერ ამ პერსპექტივის აცილებისთვის, შტატებმა შეიძლება რუსეთს „Club-K“-ს გაყიდვებისგან თავის შეკავება სთხოვოს და, თავის მხრივ, მისთვის მომგებიან დათმობებზე წავიდეს.

რასაკვირველია, „Club-K“ არ არის სასწაულმოქმედი იარაღი, „Wunderwaffe“, რომელიც ამერიკულ ფლოტს ერთი ხელის მოსმით ბოლოს მოუღებს. ამერიკელებს შეუძლია, შექმნან და გააძლიერონ ამ საფრთხესთან ბრძოლაზე ორიენტირებული სისტემები, თუმცა სარაკეტო კომპლექსიც შეიძლება განვითარდეს, ხოლო მისი გამოყენების მეთოდები დაიხვეწოს. საბოლოო ჯამში, სქემატურად ეს დაემსგავსება შეჯიბრს ტანკებსა და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს შორის. იმ მხარისთვის, რომელიც პირობითი „ტანკების“, მითუმეტეს კი ხომალდების დაცვაზე ზრუნავს, იგი გაცილებით ხარჯიანი იქნება.

„Club-K“-ს ღირებულება დაახლოებით 15 მილიონი დოლარია, რაც ძალიან ცოტაა იმ ზარალთან შედარებით, რომლის მიყენება მას შეუძლია.

საინტერესოა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ბრიტანელები იყენებდნენ „სატყუარა გემებს“ ე.წ. „Q-Ships“. ეს ჩვეულებრივი სავაჭრო გემები იყო; მათზე საარტილერიო დანადგარს ამონტაჟებდნენ, რომელსაც საგანგებოდ ნიღბავდნენ. გერმანული წყალქვეშა ნავის პერისკოპის დანახვაზე ეკიპაჟი კარგად გათამაშებულ პანიკას იწყებდა. გერმანელი მეთაური ხშირად ტორპედოების დაზოგვას ამჯობინებდა და სუბმარინა წყლის ზედაპირზე ამოდიოდა, რათა გემი არტილერიის მეშვეობით ჩაეძირა. ამ დროს ბრიტანელი მეზღვაურები ცეცხლს უხსნიდნენ. ამ ხერხის გამოყენება გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ კაიზერმა „შეუზრუდავი წყალქვეშა ომის“ (Uneingeschrlnkter U-Boot-Krieg) დაწყება და ბრიტანეთის სიახლოვეს გამოჩენილი ნებისმიერი გემის მყისიერი, გაუფრთხილებელი ჩაძირვა ბრძანა; ადრე „საკრეისერო წესების“ თანახმად, ეკიპაჟს ევაკუაციის შესაძლებლობა ეძლეოდა. სხვათაშორის, გერმანელთა ეს „შეუზღუდავი“ მოქმედებები აშშ-ის ომში ჩართვის ერთ-ერთი მთავარი საბაბი გახდა.

მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა წინააღმდეგ „სატყუარა გემების“ გამოყენება თავად ამერიკელებმა სცადეს. ამგვარად, იმაში, რომ ხვალ, „Club-K“-ის ფართოდ გავრცელების შემთხვევაში, ნებისმიერი, თითქოსდა უიარაღო გემი ამერიკელებისთვის და ბრიტანელებისთვის შეიძლება სატყუარად და ხაფანგად იქცეს, გარკვეული, თანაც სასტიკი ისტორიული ლოგიკა, ალბათ, იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, სერიოზული თავსატეხი მათ უკვე გაუჩნდათ.

მა, არც არანაირმა ვიბრაციამ და ა.შ. არც მას და არც ტყვიებს ხელი არ შეუშალეს. „Sunday Times“-ის თანახმად, იგი ამით არ დაკმაყოფილებულა, კიდევ ისროლა და ტყვიამფრქვევიც (PKM) დააზიანა. მოკლედ, ყოველივე ეს ან არნახული გამართლებაა, ან კიდევ ფაქტების დამახინჯება. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს საკმარისი ადგილი მათემატიკური ფორმულების ჩამოწერისთვის, მაგრამ სნაიპინგით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია აიღოს ცხრილები და თავად გამოთვალოს შესაბამისი კოეფიციენტები, თუმცა იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დამაჯერებელ პასუხს იგი ვერ მიიღებს.

რა ვქნათ? შევთანხმდეთ, რომ კაპრალი ჰარისონი სუპერ-ჯარისკაცი და თანამედროვე ჩინგაჩგუკია. სულ მის ანგარიშზე 12 მოკლული და 7 დაჭრილი თალიბია. „Daily Mail“-ში გამოქვეყნებულმა ჰარისონის ფოტომ გარკვეული კითხვები გააჩინა.

მსოფლიოში, მათ შორის ბრიტანეთში, არცთუ ცოტა ექსტრემისტი და თალიბების იდეური თანამოაზრე ცხოვრობს, რომელმაც ამ ფოტოს და პუბლიკაციაში მითითებული მონაცემების მეშვეობით შეიძლება კრეიგ ჰარისონის იდენტიფიცირება მოახდინოს და შურისძიების აქცია ჩაატაროს. სნაიპერი კინოვარსკვლავი არაა და საკუთარი სახის ასეთი საჯარო გამოფენა შეიძლება საკმაოდ ძვირი დაუჯდეს. მეორე: კაპრალის ხელები დაფარულია სვირინგებით, რაც სნაიპერებისთვის არც თუ ისე დამახასიათებელია. როგორც წესი, ისინი ხელებს პიანისტებივით უფრთხილდებიან. ნებისმიერ ანთებას, რომელიც ასეთ სვირინგებს ხშირად თან სდევს, შეუძლია იგი რამდენიმე დღით მწყობრიდან გამოიყვანოს. ჰარისონის ხელებზე გარკვევით ჩანს საათიც, ბრასლეტიც და ბეჭედიც, სნაიპერისთვის, ამდენი აქსესუარის ერთდროული ტარება ასევე ერთობ უჩვეულოა.

თუმცა, როგორც ჩანს, კაპრალს საკმაოდ გამძლე ხელები აქვს. რეკორდული გასროლებიდან რამდენიმე კვირაში მანქანა, რომელშიც იგი იმყოფებოდა, ნაღმზე აფეთქდა. ის მსუბუქად დაიჭრა და ორივე ხელიც მოიტეხა. თუმცა მის პროფესიულ მონაცემებზე ამას, როგორც ჩანს, დიდად არ უმოქმედია, რადგან მწყობრში დაბრუნების შემდეგ კვლავ სნაიპერული შაშხანით შეიარაღდა.

მიუხედავად იმისა, მისი რეკორდის ისტორია სიმართლე იყო თუ სარეკლამო მიზნებისთვის შეალამაზეს, ეპილოგის ნაცვლად, ალბათ, კრეიგ ჰარისონს მშობილიურ გლოსტერშირში, რომელიც ასე შორია ავღანეთისგან, ცოლ-შვილთან მშვიდობიანი დაბრუნება უნდა ვუსურვოთ.

რუდოლფ აბელის გათავისუფლება

1948 წელს აშშ-ში გამოჩნდა თავისუფალი მხატვარი და ფოტოგრაფი ემილ რობერტ გოლდფუსი, რომელსაც კიდევ ერთი სახელი მარტინ კოლინზი ერქვა. სინამდვილეში იგი საბჭოთა მზვერავი „მარკი“ — უილიამ ფიშერი იყო. მის 9-წლიან არალეგალურ მუშაობაზე აშშ-ში ბევრი დაიწერა და მისი დამსახურებებიც უდავოა: საკმარისია გავიხსენოთ მისი თანამშრომლობა ჯგუფ „ვოლონტერებთან,“ რომელიც ატომური საიდუმლოს მოპოვებაზე მუშაობდა. ამჯერად საბჭოთა დაზვერვის იმ ოპერაციაზე მოგითხრობთ, რომელიც ფიშერის ამერიკული ციხიდან დასახსნელად ჩატარდა. ციხეში კი იგი მოღალატე რადისტ-მეკავშირის ვიკ ჰეიჰანენის წყალობით მოხვდა.

შპიონაჟში ბრალდებით დაკავებული აბელი

1957 წლის 21 ივნისს უილიამ ფიშერი გფბ-ს აგენტებმა ნიუ იორკის სასტუმრო „ლეიტამში“ დააპატიმრეს. დაკავებისას მან ბოლო რადიოგრამის ჩანაწერისა და შიფრის განადგურება მოასწრო, მაგრამ გფბ-ს საკმარისად აღმოაჩნდა სხვა სამხილები ციხეში მის გასამწესებლად შპიონაჟისა და აშშ-ის ტერიტორიაზე უკანონოდ ცხოვრების ბრალდებით. დაკავებულს სიკვდილით დასჯა ელოდა.

ფიშერს თავისი ნამდვილი ვინაობა არ გაუმხელია, მაგრამ იმისათვის, რომ საბჭოთა დაზვერვისთვის თავისი ჩავარდნის შესახებ შეეტყობინებინა, **თავი იმ დროისთვის გარდაცვლილ რუდოლფ აბელად (მისი ძველი მეგობარი, დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი) გაასაღა.** ამ გვარით წარდგა იგი სასამართლოს წინაშე.

1957 წლის 15 ნოემბერს მისმა ადვოკატმა დონოვანმა სასამართლოს სთხოვა, თავი შეეკავებინა სასიკვდილო განაჩენის გამოტანისგან, რადგან სხვა მიზეზთა გარდა, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ უახლოეს მომავალში ამავე რანგის ამერიკელი დაეკავებინა სსრკ-ს ან მის მოკავშირე ქვეყანას; ამ შემთხვევაში კი დიპლომატიური არხებით პატიმართა ორგანიზებული გაცვლა აშშ-ის ნაციონალური ინტერესების შესაბამისი იქნებოდა.

დონოვანიც და მოსამართლეც, რომელმაც აბელს 30-წლიანი ციხე მიუსაჯა, შორსმჭვრეტელი ადამიანები აღმოჩნდნენ.

განაჩენის გამოტანისთანავე საბჭოთა დაზვერვა თავისი ერთგული თანამშრომლის გათავისუფლებისთვის ამოქმედდა.

თავდაპირველად საჭირო იყო მასთან ლეგალური ხასიათის პირდაპირი წერილობითი კავშირის დამყარება, რომელსაც შემდგომ ოპერატიული მიზნებისთვის გამოიყენებდნენ. აბელთან მიწერ-მოწერა გამართეს მისმა (ფიშერის) ცოლმა და ქალიშვილმა ეველინმა. ამ მიმოწერას ზოგადი ხასიათი ჰქონდა და იგი წვრილმან საოჯახო საქმეებს ეხებოდა. მიმოწერის ორგანიზება იოლი არ იყო. თავიდან აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო ამაზე დათანხმდა, თუმცა 1959 წლის 28 ივნისს დონოვანმა იმავე სამინისტროდან მიიღო წერილი იმის შესახებ, რომ აბელს „ჩამოერთვა მიმოწერის პრივილეგია აშშ-ის საზღვრებს მიღმა, მათ შორის, ცოლსა და ქალიშვილთანაც... ჩვენი გადაწყვეტილება დაფუძნებულია იმ თვალსაზრისზე, რომ მსჯავრდებული საბჭოთა ჯაშუშის — აბელისთვის საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში მცხოვრებ ადამინებთან მიმოწერაზე ნების დართვა ჩვენს ნაციონალურ ინტერესებს ეწინააღმდეგება.“

აბელმა და დონოვანმა შეუპოვარი ბრძოლით დაამტკიცეს ამ გადაწყვეტილების არაკონსტიტუციურობა და შედეგად ამერიკული მხარე იძულებული შეიქნა, მიწერ-მოწერის ნებართვა გაეცა.

პირველივე წერილში აბელმა ცოლს მისწერა: „ძალიან ნუ იღელვებ მომხდარის გამო და მალე შეხვედრის იმედი იქონიე...“ ბარათი სრულდებოდა სიტყვებით: „სიყვარულით, თქვენი ქმარი და მამა რუდოლფი,“ რითაც მიანიშნა, როგორ უნდა მიემართათ მისთვის.

მალე ამ მიმოწერაში ჩაერთო მისი „დეიდაშვილი“ ი. დრივსიც, რომელიც გდრ-ში ცხოვრობდა. ნათესავის როლს არალეგალი-მზვერავი იური დროზდოვი ასრულებდა, რომელიც გამოგონილი დრივსის რეალური ცხოვრებით ცხოვრობდა, რადგან ჩინებულად ესმოდა, რომ ამერიკელები თავიანთი აგენტურის მეშვეობით მის შემოწმებას დაიწყებდნენ. დრივსი თავის როლს ჩინებულად ასრულებდა. დაიქირავა გერმანელი ადვოკატი ვ. ფოგელი, რომელიც ოფიციალურად დაუკავშირდა დ. დონოვანს. ამერიკელები კი მაინც ფრთხილობდნენ და ბოლომდე არ ენდობოდნენ არც დონოვანსა და არც დრივსს.

მოვლენები უფრო სწრაფად განვითარდა მას შემდეგ, რაც 1960 წლის 1 მაისს სვერდლოვსკის რაიონში ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი Y-2 ჩამოაგდეს, მისი პილოტი ფრენსის გ. პაუერსი დააპატიმრეს.

ვაშინგტონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტმა დუაით ეიზენჰაუერმა საბჭოთა კავშირის ბრალდებების პასუხად, რომ აშშ ჯაშუშურ ქმედებებს ახორციელებს, რუსებს ურჩია, რომ აბელის საქმე გაეხსენებინათ.

ამ შეხსენებამ ამერიკელ ჟურნალისტთა გააქტიურება გამოიწვია. პრესა აბელის საქმის მასალებითა და ფოტოებით აჭრელდა. გაზეთმა „ნიუ იორკ დეილი ნიუსმა“ პირველმა განაცხადა, რომ უპრიანი იქნებოდა, აბელი პაუერსში გაეცვალათ. **გაზეთი წერდა: „დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი მთავრობისათვის აბელი, როგორც ინფორმაციის წყარო, ღირებულებას აღარ წარმოადგენს (არც არასდროს ყოფილა ინფორმაციის წყარო!). ამის შემდეგ, რაც კრემლი პაუერსს მთელ ინფორმაციას გამოწურავს, ასეთი გაცვლა სავსებით ბუნებრივი იქნება...“** ამ ინიციატივას მხარი სხვა ამერიკულმა გაზეთებმაც დაუჭირეს. მფრინავ-ჯაშუშის დედამ და ცოლმა აშშ-ის პრეზიდენტს ანალოგიური თხოვნით მიმართეს.

გააქტიურდა საბჭოთა დაზვერვაც. მას შემდეგ, რაც გაცვლაზე ნ. ხრუშჩოვის ოფიციალური თანხმობა მიიღეს, ი. დრივსმა და ადვოკატმა ფოგელმა დ. დონოვანის მეშვეობით პირდაპირი მოლაპარაკებები გამართეს ამერიკელებთან. დაიწყო ვაჭრობა. **ამერიკელებს ჩინებულად ესმოდათ, რომ უმაღლესი კლასის საკადრო მზვერავი რ. აბელი გაცილებით „ძვირი“ ღირდა, ვიდრე უბრალო, თუმცა გამოცდილი მფრინავი პაუერსი** და მათთვის მომგებიანი გარიგებას დადებას ცდილობდნენ, რაც ნაწილობრივ გამოუვიდათ კიდეც.

რ. აბელის სანაცვლოდ პაუერსის გარდა, საბჭოთა მხარე 1961 წელს აღმოსავლეთ ბერლინში შპიონაჟისთვის დაკავებული ამერიკელი სტუდენტის — ფრედერიკ პრაიერისა და კიევის ციხეში მჯდომი ასევე ჯაშუშობისათვის დაკავებული მარვინ მაკინენის გათავისუფლებასაც დათანხმდა. „ვაჭრობა“ ორ წელიწადს გაჭიანურდა.

1962 წლის 10 თებერვალს გდრ-სა და დასავლეთ ბერლინის საზღვარზე, ალტგლინიკეს ხიდს ერთი მხრიდან სამი ამერიკული ავტომანქანა მიუახლოვდა, რომელთაგან ერთში რუდოლფ აბელი იჯდა; ხოლო მეორე მხრიდან საბჭოთა მანქანები გამოჩნდა, დახურული ფურგონის თანხლებით, რომელშიც რადიოსადგური იყო დამონტაჟებული. ყოველი შემთხვევისთვის ამ ფურგონში გდრ-ელი მესაზღვრეები იმყოფებოდნენ.

როგორც კი რაციით სიგნალი მიიღეს, რომ „ჩარლის“ საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან ამერიკელებს პრაიერი გადასცეს (მაკინენი ერთი თვის შემდეგ გაათავისუფლეს), მთავარი ოპერაციაც დაიწყო.

ორივე მხარის ოფიციალური წარმომადგენლები ერთმანეთს შუა ხიდზე შეხვდნენ და წინასწარ შეთანხმებული პროცედურა დაასრულეს. ოფიცრებმა დაადასტურეს, რომ აბელი და პაუერსი სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებსაც ისინი ელოდებოდნენ, რის შემდეგაც მზვერავმა და მფრინავმა ერთმანეთს ხანგრძლივი მზერა შეაგებეს და ამხანაგებით გარშემორტყმულნი სხვადასხვა მხარეს გაეშურნენ.

სიცოცხლის ბოლო წლები უილიამ ფიშერმა, იმავე რუდოლფ აბელმა მოსკოვში გაატარა, სადაც 1971 წელს 68 წლისა გარდაიცვალა.

რადიოდილერი, ვისთანაც აბელი ნაწილებს ყიდულობდა

მოამზადა
ნანა ჩარკვიანმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ევროპა მხარს უჭერს კრიზისს

„Lehman Brothers“-ის კრახის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკის სტაბილიზებისათვის 5 ტრილიონი დოლარი და „დიდი ოცეულის“ ქვეყნების მანამდე არნახული თანამშრომლობა გახდა საჭირო. მაშინ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ხელისუფლებებმა არაერთი მსხვილი ბანკი აიყვანეს საკუთარ ბალანსზე, მრავალი კომპანია კი იძულებული გახდა, საკუთარი აქტივების ნაწილი სახელმწიფო დახმარების მიღებისათვის გაეწირა. სულ ცოტა ხნის წინათ ყველას ეგონა, რომ მსოფლიო ეკონომიკამ აღდგენა დაიწყო და მსოფლიო საფონდო და სავალუტო ბაზრებზე მკვეთრ ვარდნას კიდევ დიდხანს ვერ ვნახავდით. მაგრამ ეს სიმშვიდე მოჩვენებითი აღმოჩნდა — ექსპერტების უმეტესობა უკვე ერთხმად აღიარებს, რომ ევროპაში შექმნილი მდგომარეობა სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიო ფინანსური კრიზისის მეორე ტალღა. მისგან თავის დაღწევა კი უკიდურესად რთული იქნება.

საბერძნეთის კრიზისთან დაკავშირებით, ევროპული ხელისუფლებების ტლანქმა პასუხმა კიდევ ერთხელ ცხადყო მსოფლიო ფინანსური სისტემის ნაკლოვანებები და ერთიან ევროპაში შიდაპოლიტიკური უთანხმოებების არსებობა, რაც მას ძალზე ძვირად დაუჯდება. ახლა ევროპის უმსხვილესი სახელმწიფოების ლიდერებმა ინვესტორები უნდა დაარწმუნონ, რომ კრიზისიდან გამოსასვლელი ზუსტი გეგმა აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში რთულ მდგომარეობაში მთელი მსოფლიო აღმოჩნდება. „ევროპა ვალების პრობლემის გადაჭრას ახალი ვალების საშუალებით ცდილობს“, — ამბობს ოქსფორდის ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი დომენიკო ლომბარდი.

იმისათვის, რომ ვალების კრიზისს გაუმკლავდეს, ევროპას ფული და ძლიერი პოლიტიკოსები სჭირდება. ამ ეტაპზე კი არც ერთი აქვს და არც — მეორე. ამერიკული გიგანტის — „Lehman Brothers“-ის კოლაფსის შემდეგ მსოფლიო ბაზრების დამშვიდება მხოლოდ „დიდი ოცეულის“ ქვეყნების ერთობლივი მცდელობისა და მათ მიერ სახელმწიფო გარანტიებისა და კრედიტების სახით გაღებული 5 ტრილიონი დოლარის შედეგად მოხერხდა. ევროპა შეეცადა, საკუთარი კრიზისი ანალოგიური გზით მოეგვარებინა და ტრილიონიანი საერთოევროპული ანტიკრიზისული ფონდის შექმნაც გადაწყვიტა, მაგრამ ამ გეგმამ მსოფლიო ბაზრები ვერ მოხიბლა.

რაგხურამ რაჯამი, რომელიც ადრე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარი ეკონომისტი გახლდათ, აცხადებს, რომ ევროპას „პოლიტიკური ნება“ არ გააჩნია.

მსოფლიო ინვესტორებს ჯერჯერობით არ სჯერათ, რომ ევროპის სახელმწიფოები შეძლებენ თავიანთი ამბიციური გეგმების განხორციელებასა და ბიუჯეტებში „ხვრელების“ ამოვსებას. ასეთ ვითარებაში ქვეყნებს, რომლებმაც ვერა და ვერ შეძლეს, შეემცირებინათ დანახარჯები და გაეზარდათ გადასახადები, ორი გამოსავალი რჩებათ — ინფლაცია ან დეფოლტი. მაგრამ ევროპაში ამჟამინდელი სამომხმარებლო ფასების გათვალისწინებით, ინფლაციის ვარიანტის სერიოზულად განხილვა შეუძლებელია. ერთადერთ გამოსავლად დეფოლტი რჩება.

„ვიღაცას მაინც მოუწევს ამ ყველაფრის ანაზღაურება. კრიზისის ტვირთი ან გადასახადების გადამხდელებს დააწვება, ან კრედიტორებს. მაგრამ ამათგან არც ერთი არ გამოიყურება დამაკმაყოფილებლად,“ — ამბობს რაჯამი.

ამჟამად ევროპის ვალების წილი მსოფლიო ეკონომიკის 4%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, საბერძნეთის, ირლანდიის, პორტუგალიისა და ესპანეთის პრობლემები შესაძლოა ძალზე ძვირად დაუჯდეს მსოფლიო ფინანსურ სისტემას. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნებიდან თუნდაც ერთის დეფოლტს ახალი საკრედიტო კრიზისის პროვოცირება შეუძლია.

ამერიკის ფინანსთა სამინისტროს ყოფილი ჩინოვნიკის — ედვინ ტრუმენის შეფასებით, ამერიკული ბანკების მიმართ ევროკავშირის დავალიანება დაახლოებით 1,5 ტრილიონ დოლარად ფასდება. ეს არც ისე ბევრია, მაგრამ უარესის საფრთხე იმდენად დიდია, რომ აშშ-ის ფინანსთა მინისტრი ტიმოთი გაიტნერმა გადაწყვიტა, ევროკავშირის ვალების პრობლემები ბრიტანეთისა და გერმანიის სახელმწიფო მეთაურებთან ერთად განეხილა.

ტრუმენი ვარაუდობს, რომ ამერიკელი ფინანსთა მინისტრი ევროპისაგან ანტიკრიზისული ფონდის დაუყოვნებლივ ამუშავებას და საკუთარი ეკონომიკისათვის ზარალის მიუყენებლად საბიუჯეტო დეფიციტების შემცირებას მოითხოვს. „მსოფლიო ეკონომიკა ევროპული ეკონომიკის თუნდაც ნაწილობრივი აღდგენის გარეშე ბოლომდე უბრალოდ ვერ აღდგება“, — აღნიშნავს ედვინ ტრუმენი.

გარდა ამისა, მართალია, წლის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში საბერძნეთი მოექცა, მაგრამ დიდია ალბათობა იმისა, რომ მეორე ნახევარში ინვესტორებს ბიუჯეტისა და ვალების პრობლემების მხრივ არანაკლებ მდგომარეობაში მყოფი შტატებიც გაახსენდებათ. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ევროპის ქვეყნების მიერ გატარებული ზომები როდესაც სასურველ შედეგს მოიტანს, ამერიკა ჯერ კიდევ საამისო პროგრამების დამუშავების ეტაპზე იქნება.

აპრილში ამერიკის ხელისუფლებამ რეკორდულ დეფიციტს გადააჭარბა. ერთი თვის განმავლობაში 86,2-მილიარდიანი გარღვევა წელიწადში ტრილიონ დოლარს აჭარბებს. არადა, აპრილი, როგორც წესი, ამერიკის ხელისუფლებისათვის ყველაზე შემოსავლიან თვედ ითვლება. წელს კი დანახარჯებმა შარშანდელი 287,11 მილიარდის ნაცვლად 327,96 მილიარდს მიაღწია; მეორეს მხრივ, შემცირდა შემოსავლები და შარშანდელი აპრილის 266,21 მილიარდიდან 245,27 მილიარდამდე დაეცა. ამერიკის სახელმწიფო ფინანსებს უსერიოზულესი პრობლემები აქვს. ხელისუფლებამ არა მხოლოდ ზედიზედ მეცხრამეტე თვეში დააფიქსირა დეფიციტი, არამედ, განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე მოკლევადიან სავალე ვალდებულებებსაც ინარჩუნებს.

ევროპაში ეკონომიის ზომებითა და დოლარის ზრდით განპირობებული ბაზრების არასტაბილურობა და დეფლაციური წნეხი ეჭვქვეშ აყენებს ამერიკული საერთო შიდა პროდუქტის ზრდის შესაძლებლობას. მისი შემცირების შემთხვევაში კი, რაც ადვილად მოსალოდნელია, ვალისა და საერთო შიდა პროდუქტის მოცულობათა თანაფარდობა გაუარესდება. ბოლოს და ბოლოს ბაზრები აშშ-ს ეჭვქვეშ დააყენებს და ინვესტიციები, რომლებიც უსაფრთხოდ მიიჩნეოდა, სარისკოს სტატუსს მიიღებს.

ამერიკული აღდგენის პროცესს ისიც შეანელებს, რომ დეფლაციურ ტენდენციებთან მებრძოლ ევროპასა და იაპონიაში მოთხოვნილებები იკლებს. მკაცრი სახელმწიფო ეკონომიის პირობებში, როგორც სახელმწიფო, ასევე კორპორატიულ დონეზე და, თავის მხრივ, ამერიკის სამომხმარებლო სექტორშიც დანახარჯების შემცირების პოლიტიკის გამო კომპანიებს თავიანთი პროდუქციის მომხმარებელთა დეფიციტი შეექმნებათ.

მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტი და კოლუმბიის ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ სტიგლიცი ამბობს: „ჩვენ სუსტ დოლარსა და ძლიერ ევროპულ ეკონომიკას ველოდით. ამის ნაცვლად კი ძლიერი დოლარი და სუსტი ევროპა მივიღეთ, რაც აბსოლუტურად არაფრით არ წაადგება ჩვენს ეკონომიკას. ეს აშკარად ზრდის აშშ-ში რეცესიის მეორე ტალღის ალბათობას“.

მაგრამ ექსპერტთა შორის ისეთებიც მოიძებნებიან, ვინც ევროპის კრიზისს მსოფლიო სტაბილურობის საფრთხედ არ მიიჩნევს. სენტ-ლუისის ფედერალური სარეზერვო ბანკის ხელმძღვანელი ჯეიმს ბალარდი თვლის, რომ ევროპის დასუსტება ამერიკის გაძლიერების შესაძლებლობაა.

„აშშ შესაძლოა უნებლიეთ აღმოჩნდეს ევროპული კრიზისისაგან სარგებლის მიმღები. რა თქმა უნდა, აშშ-ს აქვს საკუთარი საბიუჯეტო პრობლემები, რომელთა დროულად აღმოფხვრაა საჭირო, თუ ქვეყანას საერთაშორისო ფინანსური ბაზრების მხრიდან ნდობის შენარჩუნება სურს“.

ევროზონაში ვალებისა და ბიუჯეტების კრიზისის ფონზე გაჩენილი ვარაუდი, რომ ეს ყველაფერი სრულმასშტაბიან ფინანსურ კრიზისში გადაიზრდება, განაპირობებს ინვესტორების სიფრთხილეს, მოერიდონ სარისკო ფინანსურ გარიგებებს ფინანსურ ბაზარზე და უსაფრთხო აქტივებზე შეაჩერონ არჩევანი. ეს ტენდენციები ბოლო პერიოდში მხოლოდ აქციების კი არა, საკრედიტო ბაზრებზეც გამოიკვეთა.

საკრედიტო ბაზრებისთვის, რომლებიც ამერიკული ფინანსური კრიზისის წყაროს წარმოადგენდნენ, ახლა კი ევროპული პრობლემების ეპიცენტრია, კვლავ რთული პერიოდი დგება. ბანკთაშორისი კრედიტირების ბაზარზე სახსრების მოზიდვის ღირებულება უკვე გაიზარდა და კვლავაც განაგრძობს ზრდას.

საკრედიტო ბაზრები 2008 წლის შემოდგომის მსგავსად პარალიზებული ჯერ არაა, მაგრამ კომპანიებისა და ქვეყნების სარისკოებად და შედარებით საიმედოებად დაყოფის ტენდენცია განახლდა.

ამასობაში ევროზონაში მდგომარეობა რთულდება და ყურადღების ცენტრში საბერძნეთის ნაცვლად მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ეკონომიკა (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, საერთო შიდა პროდუქტის მოცულობით მსოფლიოში მე-9 ადგილი) ესპანეთი ექცევა. ამ ქვეყნის საბანკო სისტემის გაკოტრება გაცილებით რთულ შედეგებს მოუტანს მსოფლიო ეკონომიკას, ვიდრე საბერძნეთისა. ესპანურ ბანკებს ამერიკელებისა 200 მილიარდი მართებთ. საერთო ჯამში ესპანეთის საგარეო ვალი 1,1 ტრილიონ დოლარს უტოლდება, საბერძნეთისა კი — 236 მილიარდს.

ბაზრები სერიოზულად შეაშფოთა გერმანულ პრესაში გამოქვეყნებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ საბერძნეთისთვის დახმარების პაკეტი ორ საიდუმლო პუნქტს შეიცავს.

პირველი პუნქტის თანახმად, პაკეტი „დაუყოვნებლივ და შეუქცევადად იქნება გამოხმობილი“, თუ ის წინააღმდეგობაში მოვა ევროკავშირის ხელშეკრულების „გამოუსყიდველობის“ პუნქტთან, რაც ევროსასამართლოს ან ევროზონის წევრი ნებისმიერი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების საფუძველზე დადგინდება. მოვლენების ამგვარი განვითარება ნაკლებმოსალოდნელია. მთავარი მეორე პუნქტია.

მეორე საიდუმლო პუნქტში წერია, რომ, თუ რომელიმე მხარე აღმოაჩენს, რომ არ შეუძლია საბერძნეთისათვის დათქმულ 5%-ზე ნაკლები განაკვეთის დახმარებისთვის დაფინანსების მიღება, მას უფლება აქვს, გავიდეს დახმარების პროგრამიდან. თუ აღნიშნულ მდგომარეობაში ესპანეთი აღმოჩნდება, ვინაიდან დანარჩენი ქვეყნები მზარდი ტვირთის ზიდვას უბრალოდ ვერ შეძლებენ, ეს შეთანხმება სისტემურ კრიზისად იქცევა.

მეორე პუნქტი უდიდეს მღელვარებას იწვევს იმის გამოც, რომ ევროპული ქვეყნების უმეტესობა ძალიან მალე საკუთარ საერთო შიდა პროდუქტზე ძლიერ დარტყმას იგრძნობს, რაც კრედიტებზე ფასების ავარდნას განაპირობებს. **ეს თამაშის თეორიის გამოყენების კიდევ ერთი მეთოდია, როდესაც პირველი დეზერტირისთვის მოგება დანაკარგზე ბევრად მეტია, უკანასკნელს კი მთელი ევროპა შერჩება გადასარჩენი.** მრავალი კომენტატორი გაოცებული იყო იმით, რომ ერთი შეხედვით გონიერმა ადამიანებმა მოიგონეს საბერძნეთისთვის ისეთი გადარჩენის პაკეტი, რომლის პირობების თანახმადაც მან საკუთარი დახმარების საქმეში თავადვე უნდა დააბანდოს ფული. ახლა უკვე ცხადია, რომ ეს დასაწყისიდანვე იგეგმებოდა.

როგორც კი პორტუგალია, ესპანეთი და იტალია ჩაძირვას დაიწყებენ, დახმარების პროგრამაში მათი მონაწილეობა შეწყდება. და როდესაც ეს მოხდება, პროგრამის მთელი ღირებულება მსოფლიო სავალუტო ფონდის ყველაზე „მდიდარ“ წევრს — აშშ-ს დააწვება მხრებზე. ცხადია, ამგვარ მდგომარეობაში პროცესის ყველა მონაწილე მოტივირებულია კრედიტების ღირებულების გაზრდისათვის, ვინაიდან გერმანიასა და ამერიკას არ დარჩებათ გამოსავალი იმის გარდა, რომ დომინოს ყველა დავარდნილი ქვა წამოაყენონ. სწორედ ამიტომ, ძალიან მალე საბერძნეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, იტალიისა და ირლანდიის საკრედიტო ხლართები კვლავ ავარდება.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ევროპას ახლა ყველაზე მეტად აწყობს, რომ ბუშტები დასკდეს და კრიზისი გამძაფრდეს, საამისოდ კი მას დიდი ძალისხმევა არ დასჭირდება.

ევროპული კრიზისის ტალღები უკვე დაიძრა მთელი მსოფლიოსაკენ, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩა ორიოდე ოპტიმისტი ექსპერტი, რომლებიც თვლიან, რომ ეს ვერ დაანგრევს მსოფლიო ეკონომიკას.

ახლა გადამწყვეტი საკითხი ისაა, შეძლებენ თუ არა განვითარებადი ბაზრები უზრუნველყონ პროგნოზირებული სწრაფი ზრდა მხოლოდ საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით, განვითარებული ქვეყნებიდან მოთხოვნილების არარსებობის პირობებში. ექსპერტების უმეტესობა თვლის, რომ განვითარებული ქვეყნების ხანგრძლივი დროით დასუსტება განვითარებადი ბაზრების მდგომარეობასაც გააუარესებს.

„BMO Capital Markets“-ის სტრატეგი ენდრიუ ბუში მიიჩნევს, რომ ევროპელმა კანონმდებლებმა კრიზისიდან გამოსასვლელად ყველა შესაძლებლობა არ გამოიყენეს. მაგალითად, ევროპის ცენტრალური ბანკი, სხვა დასავლელი რეგულატორებისაგან განსხვავებით, სააღრიცხვო განაკვეთის სახით 1%-ს ინარჩუნებს, აშშ-ში, იაპონიასა და ბრიტანეთში კი რეფინანსირების განაკვეთი ნულს უახლოვდება.

გარდა ამისა, ევროპის ცენტრალურ ბანკს შეეძლო, აქტიურად შეეძინა ევროპული ქვეყნების სახელმწიფო ობლიგაციები. მოცემულ მომენტში ევროპული რეგულატორი მათ საერთოდ არ გამოისყიდის, უბრალოდ, ცვლის მათ უფრო მაღალი რეიტინგის ქაღალდებზე. ე. ბუში ამბობს, რომ „ევროპის ცენტრალური ბანკის ლიდერები ინფლაციის დონეზე ჩაიციკლნენ და ყურადღებას არ აქცევენ ევროპის ეკონომიკას, რომელიც ფსკერისკენ მიექანება“.

საბოლოო ჯამში ევროპის ხელისუფლებები აღიარებენ, რომ ახლა ყველაფერი მათ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა პრობლემების გაცნობიერება და აღიარება არ კმარა, საჭიროა სამოქმედო გეგმა, რომელიც, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ არსებობს.

finance.rambler.ru
rbc.ru
bankir.ru

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მამა გიორგი სხირტლაძე:

შური ადამიანებსა და ერს ერთმანეთის განადგურებისკენ უბიძგებს

„ადამიანთა ცნობიერება მხოლოდ და მხოლოდ მაღაზიისა და ვაჭრობის დონეზე დავიდა. ვაჭრობის ბოლო საფეხური უკვე სულის გაყიდვაა... გავიხსენოთ გოგოლის „მკვდარი სულები“. ეს შესანიშნავი იგავი შეიძლება დღევანდელ დროს მივუსადაგოთ,“ — აღნიშნა წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზმა მამა გიორგი სხირტლაძემ. მამა გიორგის შურის მომაკვდინებელ ვნებაზე ვესაუბრეთ. ვთხოვეთ, განემარტა, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სხვის ბედნიერებასა და სიკეთეზე წუხილმა, შურითა და ავმეხსიერებით დაავადებულმა ცნობიერებამ.

— შური ადამიანის მიერ სხვის ბედნიერებაზე წუხილია, ეგოიზმის უკიდურესი გამოვლინება. შურის ფსიქოლოგიაა: განკითხვა, ბოღმა, მიუტევებლობა, ვერ ატანა სხვათა წინსვლისა, სულიერი განვითარებისა, ბედნიერებისა, სილამაზისა და ა.შ. შურის მდგომარეობა ნიშნავს, რომ ადამიანი პერმანენტულ, მომაკვდინებელ ცოდვაში იმყოფება, მისი სული დაზიანებულია და არ აქვს სიყვარული (შური თავისთავად გულისხმობს სიყვარულის ნაკლებობას, რადგან შურის წამალი სიყვარულია).

თუ ერთი ადამიანია სულით ავად, ეს კიდევ ადვილი მოსავლელია, მაგრამ, თუ საქმე მასებს ეხება, ადამიანთა გარკვეული ჯგუფია დაავადებული: ბოღმით, უპატიებლობით, ავმეხსიერებით, მაშინ ეს შეიძლება გადაულახავ დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცეს და არა ერთი ადამიანის, არამედ მთელი ერის უბედურების მიზეზი გახდეს.

ნილოს მირონმდინარეს თქმით, **ავმეხსიერება ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია სულიერ წინსვლაში.** ავმეხსიერება, გაბოროტება შეიძლება არაქრისტიანული ფსიქოლოგიის საწყისად იქცეს, რომელიც როგორც შავი ბადე, როგორც ობობას ქსელი გადაეფარება მთელ ორგანიზმს, იქნება ეს კონკრეტული ინდივიდი, ხალხის მასა თუ ერი და მათ ერთმანეთის განადგურებისკენ უბიძგებს.

შურის შთაგონება, შურის დემონური მდგომარეობა, ანუ შურის ეშმაკი, როგორც წესი, არ რჩება განყენებული, ის ყოველთვის ხსნის არხებს იმ ბრძანებების მისაღებად, იმ ინსპირაციებისთვის, რომელთა დროსაც ადამიანში ავი ზრახვები შემოდის და ბოროტი ძალების მიერ იმართება. ეს ბოროტი ძალების პირდაპირი ბრალი არაა. ეს ადამიანთა არასწორი, ავმეხსიერებითი, ბოღმითი, ბოროტი არჩევანია. ადამიანი არის გამგებელი იმისა, ან შეუნდოს სხვას, ან დაიბოღმოს და დაიჟანგოს საკუთარი თავი სხვის სიკეთეზე წუხილით.

— თქვენ ახსენეთ, რომ შეიძლება ადამიანთა მასებიც დასნებოვდნენ ამ მომაკვდინებელი ცოდვით, რა შემთხვევაში ხდება ეს?

— შური და ავმეხსიერება ქრისტიანული ცოდნის, სულიერობისა და სიყვარულის ნაკლებობის ბრალია. **როდესაც ადამიანებზე შეგონება, ქრისტიანული სიყვარული, პატიება და შენდობა აღარ მოქმედებს, იმარჯვებს შიში და შიშითა და მამონას მექანიზმებით ხდება ერის მანიპულირება, (ხაზს ვუსვამ) არა — მეგობრობა, მართვა და თანაარსებობა, არამედ მანიპულირება და გავლენის მოხდენა. სნეულდება ერი.** ეს უკვე მეტყველებს იმაზე, რომ, დიდი ხანია, ქრისტიანული, მართლმადიდებლური შემეცნების გზა დაკარგულია. იმ გაგებით კი არა, რომ მართლმადიდებლობა არ არის მოცემული ჩვენთვის, არამედ სიყვარულის გასაღებია დაკარგული. **სიყვარულის გასაღები ჯვარია, ანუ ჯვარი აქვთ დაკარგული და ამის გამო ვერ აღებენ იმ კარიბჭეს, რომლის გახსნაც მათ სულიერ წინსვლას განაპირობებს.**

რა არის შური? სიზარმაცე, სულიერი გაყინვა, მშრალი ურთიერთობები, ანალიზისა და სინთეზის უუნარობა; ღმერთი, მოყვასი, ადამიანი — ამ სამკუთხედის ვერ გარჩევა, საკუთარი მისიის, ჯვრის ვერ და არ მტვირთველობა — ეს ყველაფერი იწვევს სხვათა გამტყუნებას, საკუთარი თავის ცრუ გამართლებას და შედეგად ვიღებთ შურით დაავადებულ ცნობიერებას, რომელიც უნდობელია, ყოველთვის სხვისგან ელის პატივისცემას, მადლიერებას, არათუ ელის, ითხოვს კიდეც, ცივი და დაუნდობელია.

ბოლო დროს ფსიქიური დაავადებები მომრავლდა, რისი ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზიც ავმეხსიერებაა, ანუ წარსულის გაქვავებული ფრაგმენტების ვერ გაანალიზება და სულიერი ცხოვრების აღმშენებლობის პროცესში მათთვის იმ ადგილის მიკუთვნება, სადაც ეს ფრაგმენტები უნდა იყოს. **ადამიანთა ცნობიერება დავიდა მხოლოდ და მხოლოდ მაღაზიისა და ვაჭრობის დონეზე. ვაჭრობის ბოლო საფეხური უკვე სულის გაყიდვაა.** მართალია, სხეულსაც ყიდიან, მაგრამ სულის გაყიდვა ყველაზე უკიდურესი ფორმაა.

— მიწიერი კეთილდღეობისთვის ყიდიან სულს?

— იმის გამო, რომ სხვის ჯიბრზე კარგად იყვნენ, სხვის ფონზე დაიწერონ ქუდები, სხვის ფონზე კარგნი და უკეთესნი გამოჩნდნენ, ამისათვის იმდენად იწამლებიან, რომ ნებისმიერ პიროვნებას სულს მიჰყიდიან, იქნება ეს ადამიანი თუ დემონი. **ქრისტიანული ცნობიერებიდან ამოდიან. მასობრივად შედიან ხალხში შეპყრობილობის, არეულობების, აგრესიის, სისხლისღვრის, ნარკომანიის, ლოთობის, კრიმინალის, პროსტიტუციისა თუ სულიერი კანიბალიზმის სახით.**

ადამიანმა შეიძლება ცოცხლად ხორცი არ ჭამოს, მაგრამ ღვთის ქმნილება სულიერად შთანთქას. ეს კიდევ ერთხელ გააშიშვლა პოსტსაბჭოთა სივრცემ და მართლმადიდებელი სარწმუნოების უცოდინარობამ. ადამიანებს ერთმანეთის პატიება ჯერ კიდევ უჭირთ. ამას კიდევ ფონად მისდევს ეკონომიკური მხარე, რომელიც, სამწუხაროდ, მრავალთათვის ცნობიერების განმაპირობებელია. **როდესაც ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ და მხოლოდ ჩაცმულობით, მანქანების მარკებით, აგარაკების სიდიდითა და ჯიბის სისქით აფასებენ, რაც უკვე ცხოვრების ნორმადაა ქცეული, უკულტურობის, აგრესიისა და ავმეხსიერების ფონზე, ხდება მწვავე განცდა იმისა, რომ სხვას აქვს და მე არ მაქვს. ამის ავადმყოფური განცდა ადამიანებში იწვევს განუხორციელებელი ოცნების გრძნობას და კონფლიქტს ბადებს ისედაც არასრულყოფილების ან მეორე უკიდურესობის — მეგალომანიის კომპლექსის მქონე პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში.**

ყველას სულიერობის ერთნაირ სტანდარტს ვერ მოსთხოვ და ამიტომ იბადება აგრესია, განცდა იმისა, რომ სხვას წაართვა, გამოჰგლიჯო ან ნებისმიერი ხერხით არაკანონიერად ჩაუთვალო და სახლში წაიღო. **თუ ადამიანმა საკუთარი თავი არ მოთოკა, ქრისტიანულ გზას არ დაადგა და შურის ჭაში ჩავიდა, შეიძლება ისეთი ორმო გათხაროს, რომ არა მარტო თვითონ ჩავარდეს, არამედ — სხვებიც ჩაიყოლოს და დაღუპოს.** ამიტომ ფინანსურ-ოლიგარქიულ ფენას დიდი სულიერება მართებს, რომ საკუთარი ქონებით არავინ შეაწუხოს, პირიქით სიკეთე და გავიხსენოთ გოგოლის „მკვდარ სულები“. ეს შესანიშნავი იგავი შეიძლება დღევანდელ დროს მივუსადაგოთ. სულზე უკეთესს ადამიანი ვერაფერს გაყიდის. ერთი ადამიანის სულს ფასეულობათა სამყაროს, მთელ შესაქმეს ადარებს ქრისტე.

— საზოგადოებას შორის არსებული სოციალური უთანასწორობა რამდენად უწყობს ხელს შურის გაღვივებას?

— ე. წ. კომუნისტური ალქიმიის დიდი საქმის გაცრუებამ, ფიასკომ, კრახმა, რომელმაც წითელი ატლანტიდის ჩაძირვა გამოიწვია, გამოააშკარავა, გააშიშვლა და გამოათარეშა ის ძალები, რომლებიც ადამიანებს შორის აშკარა დაპირისპირებას, სიძულვილსა და დიფერენციაციას იწვევენ; **როგორც წესი, იმპერიების ნგრევას კრიმინალური ცნობიერებისა და იმ შავ-ბნელი ძალების თარეში მოჰყვება ხოლმე, რომლებიც პირდაპირ ჯოჯოხეთის გახსნილი სარქველებიდან ამოდიან. მასობრივად შედიან ხალხში შეპყრობილობის, არეულობების, აგრესიის, სისხლისღვრის, ნარკომანიის, ლოთობის, კრიმინალის, პროსტიტუციისა თუ სულიერი კანიბალიზმის სახით.**

ადამიანმა შეიძლება ცოცხლად ხორცი არ ჭამოს, მაგრამ ღვთის ქმნილება სულიერად შთანთქას. ეს კიდევ ერთხელ გააშიშვლა პოსტსაბჭოთა სივრცემ და მართლმადიდებელი სარწმუნოების უცოდინარობამ. ადამიანებს ერთმანეთის პატიება ჯერ კიდევ უჭირთ. ამას კიდევ ფონად მისდევს ეკონომიკური მხარე, რომელიც, სამწუხაროდ, მრავალთათვის ცნობიერების განმაპირობებელია. **როდესაც ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ და მხოლოდ ჩაცმულობით, მანქანების მარკებით, აგარაკების სიდიდითა და ჯიბის სისქით აფასებენ, რაც უკვე ცხოვრების ნორმადაა ქცეული, უკულტურობის, აგრესიისა და ავმეხსიერების ფონზე, ხდება მწვავე განცდა იმისა, რომ სხვას აქვს და მე არ მაქვს. ამის ავადმყოფური განცდა ადამიანებში იწვევს განუხორციელებელი ოცნების გრძნობას და კონფლიქტს ბადებს ისედაც არასრულყოფილების ან მეორე უკიდურესობის — მეგალომანიის კომპლექსის მქონე პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში.**

ყველას სულიერობის ერთნაირ სტანდარტს ვერ მოსთხოვ და ამიტომ იბადება აგრესია, განცდა იმისა, რომ სხვას წაართვა, გამოჰგლიჯო ან ნებისმიერი ხერხით არაკანონიერად ჩაუთვალო და სახლში წაიღო. **თუ ადამიანმა საკუთარი თავი არ მოთოკა, ქრისტიანულ გზას არ დაადგა და შურის ჭაში ჩავიდა, შეიძლება ისეთი ორმო გათხაროს, რომ არა მარტო თვითონ ჩავარდეს, არამედ — სხვებიც ჩაიყოლოს და დაღუპოს.** ამიტომ ფინანსურ-ოლიგარქიულ ფენას დიდი სულიერება მართებს, რომ საკუთარი ქონებით არავინ შეაწუხოს, პირიქით სიკეთე და მეტი მოწყალება გაიღოს.

მდიდარი და თან ხელისუფლებაში მყოფი ხალხი უნდა იყოს ის ღერო, ის ღერძი, რომელზეც მათი მოწყალებით ფეხს იკიდებს, იზრდება და საყრდენს იძენს ის, ვისაც უჭირს. მდიდრი უნდა იყოს ის ნოე, რომელიც მათ კიდობანს მისცემს, რომ ამ ცხოვრების ქარტეხილებსა და ოკეანეში გზა გაიკვლიონ, წარღვნის მსხვერპლნი არ გახდნენ. ნოე მაგალითი უნდა იყოს როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე მდიდარი ხალხისთვის ნებისმიერ ქვეყანაში. მდიდარს, სოლომონ ბრძენის მსგავსად, უნდა შეეძლოს, ტაძარი ააშენოს და იმ ტაძარში ღვთის საკურთხეველი დადგას. **მინდა ყველას მოვუწოდო, მივემსგავსოთ არა სხვა კულტურიდან შემოსულ ცრუ რაინდებს, არამედ ჭეშმარიტ სულიერ გმირებს, რომლებიც წმინდანების სახით მართლმადიდებელ ეკლესიას მრავლად ჰყავს.**

— მამაო, კაენის მიერ აბელის მკვლელობა რომ გავაანალიზოთ, რამდენად დამღუპველია შური ადამიანის სულისთვის?

— აბელი ქრისტეს განასახიერებს. კაენსა და აბელს შორის დაპირისპირება მხოლოდ და მხოლოდ ძველი აღთქმის დაპირისპირება არაა, ის ახალი აღთქმის დრამაში, მისტერიაშიც ვლინდება, რომელშიც უკვე კაენი მარცხდება. ახალ აბელს იგივე ახალ ადამს, როგორც სრულ კაცს, კლავს, ჯვარს აცვამს, მაგრამ როგორც სრული ღმერთი აღდგება და თავის დანიშნულებას გამოხსნის განგებულების სახით, სრულყოფილად, სრულად ასრულებს. ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ მოქმედებს კაენისტური ბნელი ინსტიქტები, რომლებიც ჩვენში შემოდის და ხშირად ჩვენი არაკონტროლირებადი წარმოსახვის, ოცნებებისა და ველური მხეცისადმი 666 მეთოდით მიმსგავსების გამოვლინებას წარმოადგენს.

როდესაც ადამიანის ცნობიერება მოწამლულია აგრესიით, შურით, ბოღმითა და ავმეხსიერებით, შობს ურჩხულებს, მონსტრებსა და მერე მის ცხოვრებას ეს მონსტრები განაგებენ. ეს მონსტრები არა მარტო უფორმო ქიმერები ან მულტფილმების ვირტუალური პერსონაჟები არიან, არამედ ისეთ საშინელ ძალებად წარმოგვიდგებიან, რომლებიც ერებს ყლაპავენ დაწყებული ჩინგიზ ყაენიდან, ჰიტლერით დამთავრებული და საფრანგეთის რევოლუციიდან დაწყებული ლენინისა და სხვათა მიერ ინსპირირებული რევოლუციებით დამთავრებული. მათი გამოწვევა ადამიანთა ცნობიერებაში დაბადებული ცხოველური ინსტიქტების ბრალია. ეს ინსტიქტები ამ სულიერმა მონსტრებმა იმდენად შეიძლება გაზარდოს და ამ დემონურმა რეალობამ იმდენად დიდი ხახა დააღოს, რომ, როგორც წარღვნამ შთანთქა მთელი მეტი მოწყალება გაიღოს.

მდიდარი და თან ხელისუფლებაში მყოფი ხალხი უნდა იყოს ის ღერო, ის ღერძი, რომელზეც მათი მოწყალებით ფეხს იკიდებს, იზრდება და საყრდენს იძენს ის, ვისაც უჭირს. მდიდრი უნდა იყოს ის ნოე, რომელიც მათ კიდობანს მისცემს, რომ ამ ცხოვრების ქარტეხილებსა და ოკეანეში გზა გაიკვლიონ, წარღვნის მსხვერპლნი არ გახდნენ. ნოე მაგალითი უნდა იყოს როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე მდიდარი ხალხისთვის ნებისმიერ ქვეყანაში. მდიდარს, სოლომონ ბრძენის მსგავსად, უნდა შეეძლოს, ტაძარი ააშენოს და იმ ტაძარში ღვთის საკურთხეველი დადგას. **მინდა ყველას მოვუწოდო, მივემსგავსოთ არა სხვა კულტურიდან შემოსულ ცრუ რაინდებს, არამედ ჭეშმარიტ სულიერ გმირებს, რომლებიც წმინდანების სახით მართლმადიდებელ ეკლესიას მრავლად ჰყავს.**

— მამაო, კაენის მიერ აბელის მკვლელობა რომ გავაანალიზოთ, რამდენად დამღუპველია შური ადამიანის სულისთვის?

— აბელი ქრისტეს განასახიერებს. კაენსა და აბელს შორის დაპირისპირება მხოლოდ და მხოლოდ ძველი აღთქმის დაპირისპირება არაა, ის ახალი აღთქმის დრამაში, მისტერიაშიც ვლინდება, რომელშიც უკვე კაენი მარცხდება. ახალ აბელს იგივე ახალ ადამს, როგორც სრულ კაცს, კლავს, ჯვარს აცვამს, მაგრამ როგორც სრული ღმერთი აღდგება და თავის დანიშნულებას გამოხსნის განგებულების სახით, სრულყოფილად, სრულად ასრულებს. ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ მოქმედებს კაენისტური ბნელი ინსტიქტები, რომლებიც ჩვენში შემოდის და ხშირად ჩვენი არაკონტროლირებადი წარმოსახვის, ოცნებებისა და ველური მხეცისადმი 666 მეთოდით მიმსგავსების გამოვლინებას წარმოადგენს.

როდესაც ადამიანის ცნობიერება მოწამლულია აგრესიით, შურით, ბოღმითა და ავმეხსიერებით, შობს ურჩხულებს, მონსტრებსა და მერე მის ცხოვრებას ეს მონსტრები განაგებენ. ეს მონსტრები არა მარტო უფორმო ქიმერები ან მულტფილმების ვირტუალური პერსონაჟები არიან, არამედ ისეთ საშინელ ძალებად წარმოგვიდგებიან, რომლებიც ერებს ყლაპავენ დაწყებული ჩინგიზ ყაენიდან, ჰიტლერით დამთავრებული და საფრანგეთის რევოლუციიდან დაწყებული ლენინისა და სხვათა მიერ ინსპირირებული რევოლუციებით დამთავრებული. მათი გამოწვევა ადამიანთა ცნობიერებაში დაბადებული ცხოველური ინსტიქტების ბრალია. ეს ინსტიქტები ამ სულიერმა მონსტრებმა იმდენად შეიძლება გაზარდოს და ამ დემონურმა რეალობამ იმდენად დიდი ხახა დააღოს, რომ, როგორც წარღვნამ შთანთქა მთელი კაცობრიობა, დღესაც ანალოგიური შედეგი მივიღოთ. ამის უამრავი მაგალითი გვქონდა საშინელი მიწისძვრებისა და სხვა გლობალური კატასტროფების სახით. თუ იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსს გავიხსენებთ, მე ხშირად ვამბობ, რომ აპოკალიფსურ დროში ვცხოვრობთ, ზუსტად ავმეხსიერება ბოღმა და შურია ნაწინასწარმეტყველები.

— ხშირად იციან თქმა: „კეთილი შურით მშურს“. შეიძლება მართლაც განვასხვავოთ თეთრი და შავი შური?

— სხვადასხვა გრძნობის გამოსახატად თეთრი და შავი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული ფორმა იყოს. მკვეთრი ზღვარი თეთრსა და შავ შურს შორის არ გადის. თეთრი შური ისევ სწრაფად შეიძლება შავად გარდაიქმნას, როგორც შავი — ე. წ. თეთრად. **შური ადამიანებში იწვევს კაენის ინსტიქტების გაღვიძებას, ამიტომ რა ფერისაც არ უნდა იყოს ის, მაგიის მსგავსად, მაინც ადამიანის სულიერ ორგანიზმზე ძალადობაა და გვამის რენიმაციას ჰგავს.** ეს გრძნობა არ იმსახურებს ლიტერატურულ გაფერადებას. არსებობს კიდევ საღვთო შური. საღვთო შური მოღვაწეობა, ღვთის შიში, სიწმიდისა და უფალთან მიმსგავსების სურვილია.

— მამაო, სიყვარული შურის მომაკვდინებელი ცოდვის წამალია. როგორია ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული?

— ის ჯვარი, რომელიც ნათლობის დროს გვენიჭება ჩვენში იმ დავალებებს ბადებს, რომლებიც შვიდი ნიჭის სახით მოგვეცა, მაგრამ ცხრა ნაყოფად უნდა გამოვიღოთ. ამ ცხრა ნაყოფს სამი საღვთისმეტყველო ნიჭი ემატება: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. როგორც პავლე მოციქული ამბობს, სიყვარული ამათ შორის უმაღლესია. **სიყვარული არის ის ქვითკირი, კატალიზატორი, ცემენტი, რომლითაც მყარდება და იკვრება ღვთის ტაძარი და რომლის მშენებლობაშიც ყველა ადამიანი უნდა ვმონაწილეობდეთ. ჩვენ ამ ტაძრის მასალა გაუცნობიერებლად კი არ უნდა ვატაროთ ხელფასის ან შიშის გამო, არამედ უნდა ვიცოდეთ, რას და რისთვის ვაშენებთ. თუ ადამიანმა იცის, რას, რისთვის აკეთებს, უფრო ხარისხიანად გამოუვა.** თუ ადამიანს მუსიკის არაფერი გაეგება, რაც არ უნდა კარგი დურგალი იყოს, ის ჰარმონიულ მუსიკალურ ინსტრუმენტს ვერ გააკეთებს.

ადამიანი სხვა ქმნილებებისაგან იმით განსხვავდება, რომ მასში უანგარო სიყვარულის გრძნობა ღვთის ხატად და მსგავსადაა ჩადებული. ამას გვეუბნება უფალი, გიყვარდეთ ერთმანეთი. სიყვარული არის ის გრძნობა, რომელიც დღეს ჩვენს ერს ჰაერივით სჭირდება.

უმაღლესი, ზე ფასეულობა უფალია, ამიტომ, უპირველესად, ღმერთი უნდა გვიყვარდეს, როგორც ჩვენი შემოქმედი. ფასეულობების სწორი რიგი, იერარქია ეს არის — ღმერთი, მოყვასი და საკუთარი თავი. **შეიძლება ყველაფერი არ გქონდეს, რაც გიყვარს, მაგრამ ყველაფერი უნდა გიყვარდეს, რაც გაქვს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგს ფული უფრო უყვარს, ვიდრე საკუთარი თავი და შვილი. თუ ჯერ ღმერთი არ გიყვარს, მაშინ არასწორად გიყვარს, პირმოთნე ხარ და პირველ-მეორე მცნებას არღვევ, რისი მაგალითებიც მრავლადაა ყოფილი საბჭოთა იმპერიის ხალხებში, რომლებიც ბელადომანიისკენ და კერპთაყვანისმცემლობისკენ არიან მიდრეკილნი.**

— შური, ბოღმა გულში იბადება. ადამიანმა როგორ უნდა შეძლოს სწორად მართოს საკუთარი გრძნობები?

— შურის, როგორც ერთ-ერთი მომაკვდინებელი ვნების მართვა, მოთოკვა-კონტროლი ადვილი არაა. **უპირველესად, უნდა ვეცადოთ, რომ გავთავისუფლდეთ ყოვლისგან ბოროტისა, მათ შორის შურისგანაც და მივყვეთ ქრისტეს მიერ დიდი ხნის წინათ მისი სისხლით მორწყულ და მისი წმიდა ფეხებით გატკეპნილ და გარანდულ გზას ვიწროს, თუმცა ცხონებისკენ მიმავალს, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრების წესი — მართალი აზროვნება, მართალი მეტყველება და მართალი ქმედება — ჰქვია.**

თუკი ღვთის ნებას მივყვებით, მეტ-ნაკლებად ცოდვებისგან გავთავისუფლდებით, წაბორძიკებულნი კვლავ ავდგებით და არ დავუწვებით ცოდვას; მერწმუნეთ, რომ **აუცილებლად გავთავისუფლდებით ყოველგვარი უარყოფითისგან და, მათ შორის, ყველაზე დამანგრეველი ცოდვისგან — შურისა და ავმეხსიერებისგან, თუ ხშირად მოვიცლით იმისთვის, რომ სულიერ ცას შევხედოთ და საკუთარი თავის შეცვლაზე ვიფიქრებთ,** არ დავემსგავსებით ბაყაყებს, რომლებიც მხოლოდ იმ ჭაობს ცნობენ, სადაც ცხოვრობენ; არ იციან, რა არის ზღვა, დიდი მდინარე, ოკეანე და პატარა, მცირე, ჭაობი ჰგონიათ ყველაზე უკეთესი, წმინდა და სუფთა. **უნდა ვეცადოთ, რომ უფრო მასშტაბურად ვიაზროვნოთ, მართლმადიდებლური ცნობიერებას ვგულისხმობ.**

ესაუბრა
ნათია ჟაღაგიშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ნაქალაქარის გამოცანები

დმანის ხევი

200-მეტრიანი გვირაბი, რომლითაც ადრე ქალაქს საიდუმლო ჩასასვლელი ჰქონდა მდინარე მაშავერაზე, ნაქალაქარის დასავლეთ მონაკვეთში ამოდის, მთავარი შესასვლელი კი დმანისს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰქონია და დღესაც ასეა. აქ, კლდოვან ქანებზე, სათანადო პლატფორმებად დაყოფილი გზა ადიოდა, რომელიც ერთგან 8 მეტრის სიგანისა ყოფილა. ჩვენ ორივე შესასვლელ-გამოსავლელი მოვსინჯეთ... ქალაქი დმანისი, ისევე როგორც ანტიკური თუ ადრეშუასაუკუნეების საქართველოს ყველა დიდი ქალაქი, ორი მდინარის (ამ შემთხვევაში მაშავერის და ფინეზაურის) შესართავში არსებულ მაღალ, კლდოვან პლატოზე მდებარეობს, მაგრამ, სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, მას მეტად მცირე ფართობი, 13 ჰექტარი უკავია. გალავნის სომაღლე, რელიეფისდამიხედვით, 1-დან 10 მეტრამდე მერყეობდა და, როგორც ირკვევა, უქონგურო ყოფილა. 332 მეტრის საერთო სიგრძის გალავანს მრავალი ბურჯი და 3 დიდი კოშკი ჰქონია.



დმანისის ნაქალაქარის ციტადელი და დმანისის „სიონი“

დბანისხევის პოლიტიკური მიკროქვეყნის ცენტრი თავდაპირველად ქვეშის პატარა ციხე-ქალაქი ყოფილა, მაგრამ შემდეგ, ნელნელა დმანისს უჯობნია, რომლის ციხე-სოფლად არსებობა V საუკუნიდან დასტურდება. IX-X საუკუნეთა მიჯნაზე ახალი დმანის-ქალაქი არაბებს, კერძოდ თბილისის ამირას ხელისუფლებას უნდა აეგო, რადგან მაშინ არათუ დმანისი, არამედ მთელი ქვემო ქართლი და მისი ცენტრი სამშვილდეც მას ემორჩილებოდა.

ეს რაც შეეხება ქალაქური ტიპის დასახლებას, თორემ ნაქალაქარის ტერიტორია მთლად უძველეს კულტურულ შრეებს მოიცავს. უფრო მეტიც — აქ არა მარტო ქვის ხანის არქეოლოგიური პლასტებია, არამედ ადამიანის წინარე მოდგმის არსების თავის ქალებიცაა ნაპოვნი. გასაკვირია, მაგრამ როცა ადამიანის მსგავს ამ სულგდმულებს ჰომინიდებს არქმევდნენ, რატომღაც არავის გახსენებია შუმერული, აქადური და ბაბილონური „შესაქმეთა წიგნების“ ის ნახევარღვთაებანი, ველური და „მეს“ არმქონე არსებები, რომელთაც ქინგუ, დაცემული ანუნაქები და გიგიები ერქვათ.

ეს ისე, რაკი დმანისის ნაქალაქარში ვიმყოფებით და ამ თემას გვერდს ვერ ავუვლიდით, თორემ ჩვენ აქ სხვა მისია გვაქვს: დმანისის ნაქალაქარი, მისი საყდარი და ადრექრისტიანული ცხოვრების ზოგიერთი დეტალი გვაინტერესებს.

დმანისი უცხოელი დამპყრობებისა თუ კარის მეზობლებისგან 3-საუკუნოვანი „პაუზის“ შემდეგ, საბოლოოდ დავით აღმაშენებელმა და მისმა ძემ — დემეტრე პირველმა დაიბრუნეს. საფიქრალია, რომ საიდუმლო გვირაბიც ამის შემდეგ აიგო და ციხესიმაგრეც მაშინ განმტკიცდა განსაკუთრებით. ბასტიონების გაფართოება კიდევ უფრო შეიძლებოდა, მაგრამ ჩრდილოეთით მას დიდი და უძველესი ეკლესია ეღობებოდა.

შესაძლებელია, რომ ახალი, 1702 წელს აგებული, წმინდა მარინეს სახელობის საყდრის ადგილზეც იდგა ძველი ეკლესია. ნაქალაქარის მთავარი ტაძარი, 3-ეკლესიანი ბაზილიკა VI საუკუნის ძეგლია, ანუ დმანისის ძველი ციხე-დასახლების დროინდელია. უფრო მეტიც — შეიძლება ძველი ციხეგალავანი ამ ეკლესიის — „სიონის“ დამცავი ზღუდეც კი იყო.

დმანისის „სიონი“ სამშენებლო მასალითა და გეგმარებით ქვემო ბოლნისის სამეკლესიან ტაძარს წააგავს, მაგრამ უცვლელად მხოლოდ ცენტრალური ეკლესია-ნავია შემორჩენილი თავისი შვერილი აფსიდით. გვერდითი ნაწილები გადასხვაფერებულია.

ტაძრის მშვენებაა მისი დასავლეთის კარიბჭე, რომელიც საყდრისათვის 1213-1222 წლებში მიუდგამს დმანელ ეპისკოპოს თევდოსი კალნაპეტის ძეს. დმანელი ეპისკოპოსის ქტიტორული წარწერა გვეუბნება: **„ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფეთ-მეფობაი გიორგისი, რომელთა მიერ ღირს ვიქმენ აღშენებად კარიბჭისა ამის სადიდებლად ღმრთივდაცულის მეფობისა მათისა“.** გარდა ამისა კალნაპეტის ძე ამბობს: **„კარიბჭე ესე ავაგე მოსახსენებლად ცოდვილისა სულისა ჩემისა, ბიძის ჩემისა ანტონისა, მშობელთა და ნათესავთა ჩემთათვის“.** თევდოსი დმანელი ეპისკოპოსის დაკვეთით აგებული სამრეკლო ხელოვნების ნიმუშია. საქართველოში ბევრი ჩინებული ეკლესიის კარიბჭე გვაქვს, მაგრამ დმანისურს ვერცერთი ვერ შეედრება. იგი, თითქოს, ცალკე ეკლესიაა ჯვრებით, თაღებით, კამარებით, ნიშებით, ჩუქურთმებით. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კულტურული აყვავების ხანაში რატომღაც მიმქრალია ლაშა-გიორგის უდიდესი ღვაწლი,არადა XIII საუკუნის თითქმის ყველა უნიკალური ძეგლი მისი მეფობის პერიოდში და თავად მისი მზრუნველობითაა აგებული. ასეა დმანისის სიონის ეს უნიკალური კარიბჭეც, რომლის მშენებლობაში, ჩანს, ყველა რაღაც წვლილს იღებდა. ასე მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთის ლამაზ სვეტზე გაკეთებულ წარწერაში, რომელიც შესაძლებელია ყოფილ სახლთუხუცეს აფრიდონს ეკუთვნოდეს, ნათქვამია: რომ **ვინმე აფრიდონმა კარიბჭის მშენებლობს 30 დრაჰკანი შესწირა და სანაცვლოდ საადღაპოდ დაიდგინა „დღე ღმრთისმშობლობის შობაი“.**

სოფელ განთიადის სტელის ფრაგმენტები

...და მაინც დმანისის კარიბჭის წარწერებიდან ყველაზე ვრცელი და ისტორიული ანალიზისათვის საინტერესო წარწერა დასავლეთ ფასადის მარცხენა მხარესაა. იგი ეკუთვნის კიდევ ერთ დმანელ ეპისკოპოსს, რომლის სახელი სამწუხაროდ აღარ იკითხება ტექსტში:

„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაითა, ესე დაწერილი და ნიშანი მე დმანისის მამამთავარმან... დავწერე ეკლესიისა კარიბჭესა შინა ჩემსა შემოსულასა.

უსამართლო სამართალი იქმნებოდა — უმეყვსოთა და უქონოთა ქალ-ყმათა და მამადედათა ქორწინებად არ მოუშვებდეს ვიდრე ოქროსა არ აიღებდეს. ვითა მართალი სამართალი იყო, ეგრე ჩემსა დმანისისა მამამთავრობასა შინა არაივისათუის ამიღია დავითის დღეგრძელობისათვის. და ვინცა შემდგომად ჩემსა აიღოს წყევასამცა ქუეშე არს, ვითა ნესტორ და ორიგინე. ამენ!“

აღსანიშნავია, რომ ამავე ეპოქაში ქართულ სახელმწიფოში შემავალი ანისის ტაძრის კედელზეც მსგავსი შინაარსის ტექსტია ამოჭრილი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ XIII საუკუნის ხსენებულ პერიოდში ზოგიერთი ეპარქიაში ისეთი მავნე წესი ყოფილა დანერგილი როგორიც ოქროსმოყვარეობაა...

უნიკალური დასავლეთ კარიბჭის შემდეგ, სამხრეთ კარიბჭესაც ვათვალიერებთ, რომელიც გაცილებით უსახურია. იგი იმავდროულად სანათლავიც არის. ტაძრის მთავარ დარბაზში სწორედ აქედან შევდივართ. თავში კი ვთქვით, რომ დმანისის სიონი ზოგადი გეგმარებით ქვემო ბოლნისის საყდარს ჰგავს-თქო, მაგრამ მოცულობაში აშკარა განსხვავებაა — დმანისის ტაძარი გაცილებით დიდია. იგივე ითქმის მის შიდა სივრცეზე, რომლის კედელ-სვეტები ძალიან მძლავრი და შთამბეჭდავია.

ტაძარი განვითარებულ შუასაუკუნეებში მთლიანად შეულესავთ და მოუხატავთ, ახლა კი ფრესკების აბრისებიც არ იკითხება, საკურთხევლის აფსიდის გარდა. სამწუხაროდ ეს მხატვრობაც ერთთავად გაფერმკრთალებული და ჩაშვებულია, თუმცა ზოგად შტრიხებში ეპოქის სუნთქვა მაინც ეტყობა. აქვე, აფსიდის სამხრეთ მონაკვეთში აღმოჩნდა სტელის კაპიტელი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გაცილებით ძველია, ვიდრე თვით VI საუკუნის „სიონი“.

სიტყვამ მოიტანა და უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიათა მასობრივი მშენებლობების დაწყებამდე, ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად, საქართველო, ჯვრებთან ერთად, სწორედ ამ სტელებით მოიფინა. მათი აღმართვა ხომ უფრო ოპერატიულად, სწრაფად შეიძლებოდა. დმანისის ტაძრის საკურთხევლის აფსიდში ჩაშენებული სტელის კაპიტელის (ზომები 0,32X0,25) ერთ მხარეს ორი საერო პირია გამოქანდაკებული, მეორე მხარეს კი, რომელიც კედლის დუღაბში ჩაკირვის გამო დაზიანებულია, შეკაზმული ცხენის წინა მხარე და ვარსკვლავი მოჩანს მხოლოდ. მაგრამ ჩვენთვის პირველი გამოსახულება უფრო საყურადღებოა. ორ მამაკაცს შორის მცირე პოსტამენტზე აღმართული მოზრდილი ბუნის თავზე ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. ორივე მამაკაცს მარჯვენა ხელით ზევით რაღაც აქვს შემართული. მარცხენა მამაკაცის ხელში, ასე თუ ისე, ჩანს სამღერა ყვავილის ცალი ფრთა. ეს იმის მანიშნებელია, რომ მას ან ბროწეულის ყვავილი უკავია ან შროშანი, რომელიც განახლების, ახალი სიცოცხლის და, ამასთანავე, ქრისტეს აღდგომის ერთ-ერთი სიმბოლოა. საფიქრალია, რომ იგივე ყვავილი ეკავა მეორე მამაკაცსაც. აღსანიშნავია ამ საერო პირთა ჩაცმულობაც — ლაჯებთან ამოჭრილი კაბები და გრძელყელიანი ფეხსაცმლები. სტელის კაპიტელი ქრისტეს აღდგომას და ქრისტიანობის გამარჯვებას უნდა აღნიშნავდეს. ეს რომ ასეა, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ კიდევ ერთი სტელის აღმოჩენამ დაადასტურა და თანაც როგორ!..

დმანისის რაიონში, სოფელ განთიადის მიდამოებში, შემთხვევით აღმოჩნდა მიწაში ძალიან კარგად შენახული სტელა. მის ზოგიერთ წახნაგზე პალმეტებია, ზოგიერთზე სახარებისეული სიუჟეტი, რომელთაგან ყველაზე აღსანიშნავი ქრისტეს ნათლისღებაა. სტელის კაპიტელზე გამოსახულია: ერთ მხარეს — ღმრთისმშობელი ყრმა იესოთი, მეორე მხარეს — ლომი, როგორც მზისა და სიფხიზლის მეუფე, მესამეზე — ფარშავანგი, როგორც უკვდავებისა და გაზაფხულის სიმბოლო, მეოთხეზე — ორი პიროვნება.

ყველაზე საინტერესო სწორედ ეს უკანასკნელი წახნაგია. ორი მამაკაციდან მარცხენა ღვთისმსახურია, რომელსაც ჯერ კიდევ ქურუმის სამოსი აცვია, მაგრამ მარჯვენა ხელით ჯვარი აქვს აღმართული. მარჯვნივ მდგარი მამაკაცი საერო პირია და კიდეებზე ჩამოწეული კაბა მოსავს, ხოლო ფერხთ ყელიანი და ქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია. მას მარჯვენათი აღმართული აქვს შროშანი. მთავარი კი ის არის, რომ იქვე არის ერთი შეხედვით გაუგებარი ასომთავრული წარწერა **„დღეა“.** ქართული ანბანის მესაიდუმლე, მკვლევარი **რამაზ პატარაიძე** კატეგორიულად აცხადებს, რომ სიტყვა „დღეა“. გარდა იმისა, რომ კვირის პირველ დღეს ანუ კვირას და მასთან ერთად აღდგომას გულისხმობს (დღე=დღეს, ა=პირველს, როგორც ანბანის პირველი ასო), თარიღსაც გვეუბნება. ეს არის მზის (დ) კალენდრით 25-ე (ღ) და მთვარის (ა) კ:ალენდარი მე-5 (ე) წლები. ორივე კალენდრით ამ წლების დამთხვევა მოხდა ახ.წ-ის 329-ე წელს. ე.ი. სტელა ამ დროს, ქართლის გაქრისტიანებიდან მე-3 წელსაა აღმართული. ძალიან ძნელია, არ დაეთანხმო რამაზ პატარაიძეს, რადგან სხვა შემთხვევაში ეს ერთი სიტყვა „დღეა“ სრული უაზრობაა. V ს-ის წინარე ეპოქაზე მეტყველებს პერსონაჟთა ტანსაცმლის სახე, რომელთაგან უკანასკნელ ორს ასეთი სახეც კი არა აქვს და სრულიად სადაა.

ერთი სიტყვით, დმანისის სიონის ტაძრისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სტელები დიდ საიდუმლოებას ინახავენ და მე თუ მკითხავს ვინმე, მათ გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ქართველებისათვის, ვიდრე „ზეზვასა“ და „მზიას“ ვითომ პირველევროპელობას.

გელა ქოქიაშვილი

ავტორის ფოტოები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

გენერალი პეტრე ბაგრატიონი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19-20

ნაპოლეონს თავზარი დასცა ბარკლაის ვიტებსკიდან წასვლის ამბავმა. მან იგრძნო, რომ ორი არმიის შეერთებას უკვე ვეღარაფერი აღუდგებოდა წინ. ჩაიფუშა მისი არცთუ უსაფუძვლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა პირველი და მეორე არმიის ცალ-ცალკე განადგურებას. უფრო მეტიც, ჩანს, მას საერთოდ შეეცვალა აზრი რუსეთთან ომის ხასიათსა და ხანგრძლივობაზე. მან თავდაპირველი ვარაუდის საწინააღმდეგოდ რუსეთთან ომი სამწლიან კამპანიად გამოაცხადა. „მიურატ, — ეუბნებოდა იგი მარშალს, — პირველი რუსული კამპანია დასრულდა... 1813 წელს ჩვენ მოსკოვში ვიქნებით, 1814 წელს — პეტერბურგში. რუსეთთან ომი სამწლიანი ომია“.

პეტრე ბაგრატიონის ძეგლი მოსკოვში

მიურატი არ დაეთანხმა იმპერატორს. იგი დაჟინებით ურჩევდა მას, დაუყოვნებლივ წასულიყო სმოლენსკისაკენ, შებრძოლებოდა ბარკლაი-ბაგრატიონის გაერთიანებულ ძალებს, დაემარცხებინა ისინი და იმავე წელს წერტილი დაესვა დაწყებული ომისათვის.

დიდი ყოყმანის შემდეგ ნაპოლეონმა ყურად იღო მიურატის რჩევა. მიატოვა ვიტებსკი, სმოლენსკისკენ გაემართა და მთელი ძალებით შეუტია მის მისადგომებთან მდებარე ქალაქ კრასნის. აქ მას დახვდა გენერალ ნეველროვსკის დივიზია, რომელმაც ნეის და მიურატის კორპუსებს არნახული წინააღმდეგობა გაუწია. თანამედროვეების მოწმობით, დივიზიამ მტერს არ დაუთმო არც ერთი ქვემეხი, ტყვედ არ ჩაბარდა არც ერთი კაცი. ნეველროვსკი მედგრად იბრძოდა და მხოლოდ მაშინ დაიხია სმოლენსკისაკენ, როდესაც დივიზია განახევრდა. ფრანგმა თანამედროვემ სეგიურმა ნეველროვსკის დახევას „ლომების უკან დახევა“ უწოდა.

3 აგვისტოს ფრანგებმა კრასნი დაიკავეს და სმოლენსკისკენ განაგრძეს სვლა. ქალაქში მყოფი ნეველროვსკი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქალაქსა და მის დამცველებს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდათ. გენერალი ნეველროვსკი კარგად გრძნობდა ამას და მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ბაგრატიონს სთხოვა დახმარება. ბაგრატიონმა, რომელიც ქალაქს სხვა მხრიდან იცავდა, უბრძანა გენერალ ნიკოლოზ რევსკის სასწრაფოდ მიშველებოდა სისხლისაგან დაცლილ ნეველროვსკის რაზმს. რამდენიმე საათის შემდეგ რაევსკი ქალაქის დამცველთა ნაწილებს შეუერთდა. მალე ორივე არმია გაემართა ქალაქისაკენ, მაგრამ მათ საკმაო მანძილი ჰქონდათ გასავლელი. ამრიგად, რაევსკის წინაშე თითქმის გადაუჭრელი ამოცანა იდგა, ბარკლაის და ბაგრატიონის მოსვლამდე თავისი ერთი კორპუსით და 27-ე დივიზიის ნაშთებით დაეცვა სმოლენსკი მრავალრიცხოვანი მტრის იერიშისაგან. ნაპოლეონის გეგმით, დავუს, ნეის და პონიატოვსკის კორპუსებს იერიშით უნდა აეღოთ სმოლენსკი, რაც, იმპერატორის აზრით, არ იყო რთული, რადგანაც რუსების ძირითად ძალებს ქალაქისაგან დიდი მანძილი აშორებდა. ჟიუნოს კორპუსს ევალებოდა სკოლენსკის შემოვლით მოსკოვის დიდ გზაზე გასვლა, მისი ბლოკირება და ამით ბარკლაისათვის უკანდასახევი გზის მოჭრა, თუკი იგი ამჯერადაც აარიდებდა თავს გენერალურ ბრძოლას.

ნაპოლეონის გეგმების განხორციელებას წინ აღუდგა ქალაქის დამცველთა შეუპოვრობა. მათ სიკვდილის ფასად მტრის შეჩერება გადაწყვიტეს. 4 აგვისტოს, განთიადისას მტერმა სმოლენსკს არტილერიის ცეცხლი დაუშინა. ბრძოლა ქალაქისათვის მთელ დღეს გრძელდებოდა. „მეგობარო, განა მოვდივარ, მოვრბივარ; მინდა ფრთები მქონდეს, რომ ჩქარა შეგიერთდე. გაუძელ, ღმერთი გიშველის“, — სწერდა ბაგრატიონი დასაღუპად განწირულ რაევსკის. გენერალმა რაევსკიმ ჩინებულად გაართვა თავი დაკისრებულ მისიას და თავისი შედარებით მცირე რაზმებით (სულ 15 ათას კაცამდე) მტრის 182-ათასიან არმიას არ მისცა სმოლენსკის აღების საშუალება. რუსების შეუპოვრობა ყველას აცვიფრებდა, მათ შორის, ნაპოლეონსაც, რომელიც არაერთხელ იგონებდა რაევსკის კორპუსის თავგანწირვასა და სიმამაცეს წმ. ელენეს კუნძულზე.

4 აგვისტოს დილის 10 საათზე სმოლენსკში ბაგრატიონის არმიის გრენადერთა დივიზია შევიდა, რამაც საგრძნობლად გააძლიერა ქალაქის გარნიზონი. იმავე დღეს ქალაქს პირველი არმიის ნაწილები მიუახლოვდნენ, ხოლო ღამით რაევსკის კორპუსის გადარჩენილი ნაწილები ინფანტერიის გენერლის დოხტუროვის კორპუსმა შესცვალა.

მეორე დღეს მოსალოდნელი იყო სისხლისმღვრელი ბრძოლა და ორივე მხარე სერიოზულად ემზადებოდა მისთვის. ბონაპარტე გახარებული იყო იმით, რომ ბოლოს და ბოლოს აიძულა რუები, მიეღოთ გენერალური ბრძოლა.

ამასობაში ბარკლაი დე ტოლიმ შეიტყო, რომ ნაპოლეონი აპირებდა სმოლენსკის შემოვლით მოსკოვის დიდ გზაზე გასვლას და რუსებისათვის უკანდასახევი გზის მოჭრას. აუცილებელი გახდა ამ საფრთხის თავიდან აცილება. ეს ამოცანა დაევალა მეორე არმიას, ხოლო სმოლენსკის დაცვა ბარკლაიმ ითავა. ბაგრატიონმა ქალაქი დატოვა დარწმუნებულმა, რომ პირველი არმია უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას. „...როგორც კი გაირკვა მტრის განზრახვა, — სწერდა იგი იმპერატორს, — სმოლენსკის იერიშების პარალელურად თავისი ძალების ნაწილი მოსკოვის გზაზე გადაესროლა, მე, სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით, სმოლენსკი დასაცავად დავუტოვე პირველ არმიას, თავად კი 12 ვერსით დავიხიე დოროგობუჟის გზით, რომელიც მოსკოვისკენ მიდის, რათა ეს უკანასკნელი დამეცვა... ვიმედოვნებ, რომ სამხედრო მინისტრი, რომლის განკარგულებაშია სრულ მზადყოფნაში მყოფი პირველი არმია, სმოლენსკს არ დათმობს“.

5 აგვისტოს, მთელი დღის განმავლობაში, ქალაქის კედლებთან არ დამცხრალა სისხლისმღვრელი ომი. ფრანგებმა რამდენჯერმე შეუტიეს რუსებს, მაგრამ წარუმატებლად. ჯარისკაცები, ოფიცრები, გენერლები, მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, მზად იყვნენ, განეგრძოთ ქალაქის დაცვა. მაგრამ მათი სურვილი განუხორციელებელი დარჩა. ბარკლაი დე ტოლიმ, რომელსაც სმოლენსკის დაცვა დამღუპველად მიაჩნდა, 6 აგვისტოს ბრძანება გასცა აეფეთქებინათ დენთის საწყობები და დაეტოვებინათ ქალაქი, ცეცხლმოდებულ ქალაქს მტერი დაეპატრონა.

მთავარსარდლის ამ გადაწყვეტილებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. „ჯარისკაცები, ოფიცრები და გენერლები საჯაროდ უწოდებდნენ ბარკლაის მოღალატეს“, — წერს ამ ამბების მონაწილე ნ. მურავიოვი. რაც შეეხება ბაგრატიონს, იგი ამ უკანდახევას დანაშაულად თვლიდა. „არ დავიკვეხნი, — სწერდა იგი გრაფ როსტოპჩინს, — ვიბრძოდი სახელოვნად და ყოჩაღად, ბატონი ნაპოლეონი არათუ შემოვუშვი, არამედ კარგადაც ვაგორავე. დიდად დავალებული ვარ გენერალ რაევსკისაგან.

იგი კორპუსს მეთაურობდა, იბრძოდა ვაჟკაცურად და ყველაფერი ჩინებულად მოაგვარა. ნეველროვსკის ახალი, 27-ე დივიზია შეუდრეკლად იდგა, მაგრამ... ბარკლაიმ ტყუილად ჩააბარა სახელგანთქმული პოზიცია. პირადად ვთხოვე და სერიოზულად ვწერდი კიდევაც უკან არ დაეხია, მაგრამ როგორც კი დოროგობუჟისაკენ გავემართე, ისიც წამოეთრა... გეფიცებით, ნაპოლეონი ხაფანგში იყო, მაგრამ იგი (ბარკლაი — ი.ა.) არ ეთანხმება ჩემს წინადადებებს და აკეთებს იმას, რაც მტრისთვის ხელსაყრელია... ბარკლაის არ ვენდობი. იგი ფრანგებს მოგითრევთ“. აღშფოთებითაა აღსავსე მისი 7 აგვისტოს წერილი არაკჩეევისადმი: „ღვთის გულისათვის, მითხარით, რას იტყვის დედა-რუსეთი თავს რომ ასე ვირცხვენთ. რაღად ვაძლევთ ეგზომ კეთილ ქვეყანას არამზადებს, რად ვუნერგავთ ქვეშევრდომებს სიძულვილსა და ზიზღს? რად შეგვიპყრო შიშმა, ვისი გვეშინია? განა ჩემი ბრალია, რომ მინისტრი მერყევი, მშიშარა, უნიჭო, ზანტი და სხვა ცუდი თვისების მატარებელია... მთელი ჯარი ტირის და წყევლის მას... ღმერთმანი, უბედურებაა ჩვენს თავს...“.

ბაგრატიონი დარწმუნებული იყო, რომ დაღლილობის გამო ნაპოლეონი არ დააჩქარებდა მოსკოვისკენ სვლას, და მაინც იგი ურჩევდა დედაქალაქის თავკაცებს, დაუყოვნებლივ „მოემზადებინათ ასი ათასი კაცი მაინც, რათა მტრის მოახლოების შემთხვევაში, ან გაეწყვიტათ იგი, ან მამულის კედლებთან დაცემულიყვნენ“. ბაგრატიონი მოითხოვდა ბრძოლას ფრანგების სრულ განადგურებამდე. არაკჩეევის მეშვეობით იგი აფრთხილებდა ალექსანდრე I-ის მთავრობას, რომ მოწინააღმდეგესთან დაზავების ყოველგვარმა ცდამ შეიძლება გამოიწვიოს რუსი ხალხის საყოველთაო აღშფოთება და აჯანყება. „რადგან ასე მოხდა, — ნათქვამია იმავე წერილში, — უნდა ვიბრძოლოთ, ვიდრე რუსეთს შეუძლია და ხალხი ფეხზე დგას. ეს ომი ჩვეულებრივი როდია, იგი ეროვნულია და ჩვენ ჩვენი ღირსება უნდა დავიცვათ“. პეტრე ბაგრატიონი ამ წერილში აღნიშნავდა, რომ ბარკლაი, როგორც გენერალი, არათუ ცუდია, არამედ — უვარგისი.

ამავე სულისკვეთებითაა დაწერილი 15 აგვისტოს წერილი ადმირალ ჩიჩაგოვისადმი. „ჩვენი უკანდახევები არაფრად ვარგა. ვერ გამიგია, ვინ არის ამის მიზეზი... მე ვიძახი წინ, ის კი (ბარკლაი — ი.ა.) — უკანო. აგრერიგად სულ მალე მოსკოვსაც მივუახლოვდებით“.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეექვსე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.

არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ყველაზე საზარელი ადგილები

გთავაზობთ მსოფლიოში ათი ყველაზე საზარელი ადგილის ნუსხას, საიდანაც ნორმალური ტურისტები კისრისტეხით გარბიან...

მიუტერის მედიცინის ისტორიის მუზეუმი ფილადელფიაში. ესაა პათოლოგიების, უძველესი სამედიცინო აღჭურვილობისა და ბიოლოგიური ექსპონატების მუზეუმი, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის ექიმთა დახელოვნების უძველეს კომპლექსში მდებარეობს. ის ცნობილია თავის ქალების უზარმაზარი კოლექციითა და უნიკალური ექსპონატებით. მაგალითად, აქ ნახავთ ქალის გვამს, რომელიც მიწაში საპნად იქცა, ერთი ღვიძლით დაკავშირებულ სიამის ტყუპებს, ორთავიანი ბავშვის ჩონჩხს და სხვა თავზარდამცემ ექსპონატებს.

ტრუკის ლაგუნა მიკრონეზიაში. ჰავაის კუნძულების სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მიკრონეზიაში, არცთუ ღრმა ტრუკის ლაგუნის ფსკერზე განისვენებს იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი. აქაურობა მოფენილია 1944 წელს ჩაძირული სამხედრო ხომალდებისა და ავიამზიდების ნამსხვრევებით. ზოგიერთ დაივერს დღემდე აფრთხობს საბრძოლო პოსტებს შერჩენილი ეკიპაჟები, რადგან მარჯნის რიფებს შეზრდილ ხომალდებსა და თვითმფრინავებს არაერთი ცნობისმოყვარე ტურისტის სიცოცხლე შეუწირავთ.

სონორას ჯადოქრების ბაზარი მეხიკოში. ვიწრო ფარდულებში მსხდარი მეხიკოელი ჯადოქრები ტურისტებს 10 დოლარად სთავაზობენ სიღარიბისა და ცოლქმრული ღალატისგან დაცვას, ხოლო ფარდულთა კედლებზე გასაყიდად გამოუფენიათ გაწამებული ეგზოტიკური იგუანები, ველური ფრინველები და ბაყაყები.

ენთუზიასტ ტურისტებს აქ უძველესი აცტეკური რეცეპტებით მომზადებული წამლების, მახრჩობელა გველის სისხლისა და გამხმარი კოლიბრის შეძენა შეუძლიათ. საგულისხმოა, რომ ჯადოქრობა მექსიკაში სერიოზულ საქმედ მიიჩნევა.

ჯადოქართა ნაციონალური ასოციაცია საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისასაც კი მიიწვიეს, რათა შელოცვების წყალობით არჩევნები თავისუფალი და ობიექტური ყოფილიყო...

პასექის კუნძული ჩილეში. მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ ადგილად პასექის კუნძული მიიჩნევა, სადაც უზარმაზარი, ათასწლეულების სიმძიმით მიწას შეზრდილი, ქვით ნაკვეთი გიგანტების ფიგურები დგას და ცას აჰყურებს. გიგანტები 90 ტონას იწონიან და სიმაღლით 21 მ-ს აღწევენ. არადა, უძველეს დროში ისინი 20 კმ-ის მანძილზეც კი გადაუადგილებიათ იმ კარიერებიდან, სადაც მოქანდაკეები მუშაობდნენ. კუნძულზე, სადაც ოდესღაც მძლავრი ცივილიზაცია ჰყვაოდა, ახლა სიცოცხლის ნიშანწყალს ძლივს შენიშნავთ.

პარიზის კატაკომბები. დერეფნის ორივე მხარეს ძვლები და თავის ქალებია ჩამწკრივებული. ჰაერი აქ მმრალია და გახრწნილი გვამის სუნი იგრძნობა. კედლებზე საფრანგეთის დიდი რევოლუციისდროინდელი წარწერებია. მხოლოდ პარიზის კატაკომბებში მოხვედრისას მიხვდები, რატომ წერდნენ ვიქტორ ჰიუგო და ენ რაისი თავის ცნობილ ისტორიებს ამ მიწისქვეშეთზე. კატაკომბები ქალაქის ქვეშ 187 კმ-ზეა გადაჭიმული და მხოლოდ მათი უმნიშვნელო ნაწილია საზოგადოებისთვის ღია. ამბობენ, რომ დანარჩენ ნაწილში ლეგენდარული მიწისქვეშა პოლიცია პატრულირებს, თუმცა იმის უფრო სჯერათ, რომ ამას მიცვალებულთა ანდა ვამპირთა ლეგიონები აკეთებენ.

მერი კინგის ჩიხი ედინბურგში. რამდენიმე ქუჩას, რომლებიც ედინბურგში შუასაუკუნეების ქალაქის ქვეშ მიმალულა, შავბნელი წარსული აქვს. ადგილი, სადაც XVII საუკუნეში შავი ჭირით დასნეულებულებს კეტავდნენ, პოლტერგეისტით არის განთქმული. რაღაც უხილავი არსება ხელ-ფეხში წვდება მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ ტურისტებს. ამბობენ, რომ ეს ენის აჩრდილია, გოგონასი, რომელიც მშობლებმა აქ 1645 წელს დატოვეს. ასი წლის შემდეგ მერი კინგის ჩიხის ადგილზე დიდი ახალი შენობა ააგეს. 2003 წელს ჩიხი ტურისტებისთვის გახსნეს.

მანჩაკის ჭაობი ლუიზიანაში. ტურისტებით სავსე ნავებს, ჭაობებში ჩირაღდნების შუქზე რომ მიცურავენ, უძველესი კვიპაროსები და მათი ტოტებიდან გადმოკიდებული ხავსის გრძელი ძაფები ედება. შორიდან თითქოს ვერვოლფის ყმუილი ისმის. მანჩაკის ჭაობებს „მოჩვენებათა ჭაობებს“ უწოდებენ. ისინი ნიუ ორლეანის მახლობლად მდებარეობს. ამბობენ, რომ ჭაობები ვუდუს დედოფალმა დაწყევლა და 1915 წელს აქ სამი სოფელი ჩაინთქა. ამ ფრინველების სასაფლაოს სიმშვიდეს მხოლოდ დროდადრო ამოტივტივებული 100 წლის გვამები არღვევს, გარშემო კი ალიგატორები დაცურავენ, რომლებსაც ძალიან მოსწონთ ტურისტების ხორცი...

ტელემის ოკულტური სააბატო სიცილიაში. ალისტერ კროული ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი ოკულტისტი იყო მსოფლიოში, ხოლო ეს ფერმერული ქვის სახლი, რომელიც კერპთაყვანისმცემლური რუხი ფრეკებითაა სავსე, ოდესღაც სატანური ორგიების მსოფლიო დედაქალაქს წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნდათ 1920-იან წლებში. ტელემის სააბატო კროულიმ დაარსა და მისი დევიზი იყო: „აკეთე, რაც მოგესურვება“. სააბატო თავისუფალი სიყვარულის კომუნად იქცა. ახალბედებს ღამის გათევას „კოშმარების ოთახში“ აიძულებდნენ, სადაც ჰეროინითა და მარიხუანით გაჟღენთილები დედამიწის, ცისა და ჯოჯოხეთის ფრესკებს მიშტერებოდნენ. მას შემდეგ, რაც სააბატოში პოპულარული ინგლისელი დენდი გარდაიცვალა, პრესამ სკანდალი მოაწყო და მუსოლინი აიძულა, სააბატო დაეხურა. ახლა ის ნახევრად დანგრეულია, მაგრამ შიგნით შენარჩუნებულია რამდენიმე ფრესკა, რომლითაც კროული თავის მიმდევრებს აშინებდა.

ვინჩესტერების სახლი სან-ხოსეში. ვინჩესტერების „ჯადოსნური“ სახლი კოლოსალური კონსტრუქციაა, რომელსაც ბევრი ცრურწმენა უკავშირდება. იარაღის კომპანიის მემკვიდრეს, სარა ვინჩესტერს მჩხიბავმა უწინასწარმეტყველა, რომ მოკლულ ვინჩესტერთა აჩრდილები არ მოეშვებოდნენ, თუ კონექტიკუტიდან დასავლეთში არ გადასახლდებოდა და ისეთ სახლს არ ააგებდა, რომლის მშენებლობაც მისი სიცოცხლის ბოლომდე არ დასრულდებოდა. მშენებლობა კალიფორნიაში, სან-ხოზეში დაიწყო 1884 წელს და 38 წელი არ შეწყვეტილა, სანამ სარა არ აღესრულა. ახლა სახლის 160 ოთახში მისი შეშლილობის თვალსაჩინო ნიშნებია: ჭერში ამავალი კიბეები; კარი, რომელიც შუა კედელში იღება; კანდელაბრები; კაუჭები... აქ გამუდმებით ისმის კარის მიჯახუნებისა და ნაბიჯების ხმა, ჩნდება მოძრავი ცეცხლი, კარის სახელურები თავისით ტრიალებს...

ჩერნობილი უკრაინაში. მიტოვებულ ქალაქ პრიპიატში ჩასვლისას ტურისტები გაუცხოების ზონაში ხვდებიან. აქ ყველაფერი ნაჩქარევადაა დატოვებული და მიყრილ-მოყრილი იმ საზარელი 1986 წლიდან, როცა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ ათობით ათასი კაცი აიძულა, სამუდამოდ დამშვიდობებოდა მშობლიურ სახლებს. ღიაა თითქმის ყველა ბინის კარი, საბავშვო ბაღებში კედლებს ხავსი მოსდებია, სათამაშოები აქეთ-იქით ყრია, სამზარეულოს მაგიდებზე წაუკითხავი გაზეთები აწყვია, ეზოში კი საქანელები ქარის შემობერვაზე ქანაობს. ახლა, როცა რადიაციის დონე უსაფრთხო ნიშნულს მიუახლოვდა, ჩერნობილის ზონა ტურისტებისთვის გახსნეს. ექსკურსიები ჩერნობილში პრაქტიკულად ერთნაირია, რადგან გადაადგილება გაუცხოების ზონაში შეზღუდულია. როგორც წესი, ტურისტები კიევიდან ავტობუსებით მგზავრობენ, შემდეგ კი ფეხით მიუყვებიან გზას ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურისკენ, ათვალიერებენ ქალაქ-მოჩვენება პრიპიატს და ზოგჯერ ადგილობრივ მკვიდრებსაც აწყდებიან...



საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ყველაზე თავხედური ძარცვა

ყველაზე დიდი დანაშაულები თითქმის ყოველთვის დიდ ფულს უკავშირდება. ისეთი აფერის დაუსჯელად დატრიალების უნარი, როგორიც ბანკის გაძარცვაა, ფულის შოვნის ნიჭის ბადალია.

იზაბელ ჰარდნერის მუზეუმი ძარცვის შემდეგ

1987 წლის 12 ივლისს ლონდონში **Knightsbridge**-ს ბანკის გაძარცვა ერთ-ერთ ყველაზე თავხედურ დანაშაულად მიიჩნევა. ბოროტმოქმედები დეპოზიტარიუმში ვითომდა თავიანთი სეიფების შესამოწმებლად მივიდნენ, თან იარაღიც გაიყოლეს. მცველები გაანეიტრალეს და 112.9 მლნ დოლარი გაიტაცეს. მძარცველებს არ დაეზარათ და დეპოზიტარიუმის შესასვლელში დაკიდეს აბრა წარწერით: „დეპოზიტარიუმი დროებით დაკეტილია“.

2006 წელს დიდ ბრიტანეთში, კენტის საგრაფოში Bank of England-ი გაძარცვეს. პოლიციელებად გადაცმულმა მძარცველებმა დეპოზიტარული ცენტრის მენეჯერის მანქანა გააჩერეს, სამართალდამცავებად წარუდგნენ, მძევლად დაიტოვეს მისი ცოლ-შვილი, გაკოჭეს ბანკის 15 თანამშრომელი და 26.4 მლნ გირვანქა სტერლინგი წაიღეს.

2005 წლის 6 აგვისტოს ბრაზილიის ქალაქ ფორტალეზეში ბოროტმოქმედებმა ბანკის შორიახლო სახლი დაიქირავეს, გათხარეს 80-მიანი გვირაბი ბანკის საცავამდე და 76.8 მლნ დოლარი წაიღეს. გვირაბში მათ ელექტრობა და ვენტილაციაც კი გაიყვანეს.

შიკრიკის ძარცვა ჰიტროუს აეროპორტში

2004 წლის 20 დეკემბერს ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ბელფასტში სამი კაცი ბანკის მოხელის სახლში შევიდა, ათქმევინა ბანკის დირექტორის ბინის მისამართი და მას შინ ეწვია. მეორე დღეს კი აიძულა ბანკირი, დეპოზიტარიუმი გაეღო. მძარცველებმა 50 მლნ დოლარი წაიღეს.

1990 წლის 18 მარტს აშშ-ში, იზაბელ სტიუარტ ჰარდნერის მუზეუმში XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ძარცვა მოხდა. ამ დღეს პოლიციელებად გადაცმულმა ბოროტმოქმედებმა მუზეუმიდან 13 ექსპონატი, მათ შორის, ვერმეერის „კონცერტი,“ რემბრანდტის სამი ტილო, მანეს, დეგასა და ჰოვარდ ფლინკის ნამუშევრები გაიტანეს.

მაკედონიაში პრო-კრედიტ ბანკის ძარცვისას ბოროტმოქმედებმა 5 კაცი დაჭრეს. ინციდენტი სკოპიეს ცენტრში მოხდა. ექვსი შეიარაღებული და ნიღბიანი ბანდიტი ბანკში შეიჭრა, სროლა აუტეხა პოლიციას და 50 ათასი ევრო წაიღო.

მაკედონიაში პრო კრედიტ ბანკის ძარცვს შემდეგ

1997 წლის 1 სექტემბერს ციურიხში ფოსტის თანამშრომლებად გადაცმულმა ხუთმა შეიარაღებულმა მძარცველმა საფოსტო განყოფილებაში საკასო აპარატები გატეხა და 42.9 მლნ დოლარი გაიტაცა. რაკი ფულის წვრილი კუპიურები მანქანაში ვერ ჩაატიეს, გზად მანქანიდან 11 მლნ დოლარი გადმოყარეს...

2003 წელს შოტლანდიაში, დრუმლანრიგის ციხესიმაგრიდან გაიტაცეს ლეონარდო და ვინჩის ტილო „მადონა თითისტარით“, რომლის საადაზღვევო ფასი 60 მლნ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ტილო 2007 წელს დააბრუნეს.

2003 წელს ანტვერპენში ალმასის საცავის ძარცვა ყველაზე დიდ დანაშაულად მოინათლა. ბოროტმოქმედებმა გვირაბი გათხარეს კერძო მფლობელთა სეიფებამდე და, ზოგიერთი მონაცემით, მილიარდობით დოლარი გაიტაცეს.

2002 წელს ბოროტმოქმედთა ჯგუფმა გაძარცვა შიკრიკი, რომელსაც 12 მლნ დოლარი მიჰქონდა ბაჰრეინელ მილიონერთან. მძარცველებმა შიკრიკს მაჯიდან საათიც კი მოხსნეს.

1982 წელს ესპანეთში ბოროტმოქმედებმა იმ ოტელის ნომერი დაიქირავეს, რომელსაც ბანკთან მომიჯნავე კედელი ჰქონდა. კედელი დაანგრიეს და დეპოზიტარიუმიდან 15 მლნ დოლარი გაიტანეს.

1976 წლის 16 ივლისს ქურდები, ალბერტ სპაჯიერის ხელმძღვანელობით, ბანკ „სოსიეტე ჟენერალის“ საცავში შეიჭრნენ და იქ სამარკო ღვინოებით ბანკეტი მოაწყვეს. მძარცველებმა 400 სეიფი გახსნეს და 60 მლნ ფრანკის ღირებულების ძვირფასეულობა და ფული გაიტანეს.

ყველაზე ცნობილი უკანასკნელი სიტყვები

რომაელი ლეგიონერი მუქარით იქნევდა მოკლე ხმალს მიწაზე მჯდარი მოხუცის თავზე. ძველი საბერძნეთის ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერ არქიმედს **კი თავიც არ აუწევია. ლეგიონერმა უბრძანა, — ადექი და გამომყევიო; მან კი მიუგო: „არა, სანამ ამ ამოცანას არ ამოვხსნი, ვერ წამოვალ!“ მაშინ ჯარისკაცის ხელში აელვარებულმა ხმალმა ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის სიცოცხლე შეიწირა.**

ჰენრი უორდ ბიჩერმა, XIX საუკუნის შუა ხანების დაუცხრომელმა მოქადაგემ მთელი ცხოვრების განმავლობაში მილიონობით ადამიანს წაუკითხა ქადაგება. იგი ხალხს სამუდამო სასუფეველში გადასასვლელად ამზადებდა და იმქვეყნიური ცხოვრების სურათებს უხატავდა. როცა მისი ჯერი დადგა, ექიმს მოუხმო და წასჩურჩულა: **„ახლა საიდუმლოს ვეზიარები.“**

ანა ბოლეინი, ჰენრი VIII-ს ცოლი სიკვდილით უნდა დაესაჯათ. განაჩენს იგი მშვიდად შეხვდა და მის ბედქვეშ მყოფი ქალიც კი ანუგეშა: **„გამხნევდი. ჯალათს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, მე კი — ძალიან წვრილი კისერი...“**

დედოფალ **ელისაბედის** საძინებლის კართან მუხლმოყრილი დიდგვაროვნები მისი სიცოცხლისთვის ლოცულობდნენ. თავად დედოფალი ბოლო წუთამდე იბრძოდა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ სიკვდილი გარდაუვალი იყო, მუშტები შეკრა და წამოიძახა: **„მთელ ჩემს ქონებას სიცოცხლის ერთ წამში ვაძლევ!“**

კარდინალი **უოლსი**, სხვა ბევრის მსგავსად, თავისი ეპოქის პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი შეიქნა და ჯალათის წინაშე წარმდგარმა წარმოთქვა: **„მე რომ ღმერთისთვის იმის ნახევარი ძალისხმევით მემსახურა, რაც ჩემს მეფეს ვემსახურე, მაშინ იგი მოხუცებულობაში არ მიმატოვებდა!“**

უილიამ პორტერი, მილიონობით მკითხველისთვის ო'ჰენრის ფსევდონიმით ცნობილი მწერალი, დიდხანს მძიმედ ავადმყოფობდა. სიკვდილის წინ კი სასთუმალთან მჯდომი მეგობრის ხელი ჩაბღუჯა და შესჩივლა: **„ჩარლი, სიბნელეში შინ დაბრუნების მეშინია!“**

სერ ტომას მური ეშაფოტზე თვალახვეული ავიდა, სახვევის მოხსნა ითხოვა და თავის ჯალათს უთხრა: **„კუნძთან საღ-სალამათი მიმიყვანე, შორეულ მოგზაურობაში კი სხვის დაუხმარებლადაც გავეშურები.“**

იუმორის გრძნობა ბოლომდე შეინარჩუნა ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა **ჯონ ბერიმორმაც.** რამდენიმე საათის განმავლობაში იგი სიკვდილის პირას იყო, შემდეგ კი მოულოდნელად გონს მოვიდა, ეშმაკურად ჩაიღიმა და თავის მეგობარ ჯინ ფაულერს წასჩურჩულა: **„მითხარი, ჯინ, მართლა ბუფალო ბილის უკანონო ვაჟი ხარ?“**



აღორძინების ეპოქის სახელგანთქმულმა ექიმმა **სემუელ ჰარტმა** ქონება სამეფო ოჯახის წევრებისთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენით დააგროვა. სიკვდილის წინ მან სასთუმალთან მდგარ კოლეგებს მიმართა: **„ბატონებო, გთხოვთ, განზე გადგეთ და საკუთარი სიკვდილით აღსრულება დამანებოთ!“**

თომას ედისონის ბოლო რეპლიკამ მისი ოჯახი საგონებელში ჩააგდო. მართალია, დიდი გამომგონებელი ათეისტი არ ყოფილა, მაგრამ არც არასდროს ლაპარაკობდა თავის მრწამსზე. სიკვდილის პირას მყოფს ცოლი სასთუმალთან ეჯდა და მისი ხელი ეკავა. უცებ ედისონი საწოლზე წამოჯდა და განაცხადა: **„გასაოცარია, რა ლამაზი ყოფილა იქაურობა!“**

ყველაზე პატარა გაზეთი

კომპანია Newsbridge-მა გამოუშვა ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი First News 7-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. ეს ყველაზე პატარა გაზეთია მსოფლიოში. მისი ზომაა 32X22 მმ.

უდიდესი აუზი

მსოფლიოში ყველაზე დიდი ღია აუზის სიგრძე ზუსტად 1 კმ-ია და ის კურორტ სან-ალფონსო დელ მაში მდებარეობს. ლაგუნის წყნარი ოკეანის წყლით ასავსებად, გასაწმენდად და გასაფილტრად უახლეს ტექნოლოგიებს იყენებენ. გიგანტური აუზის პროექტის ავტორი კომპანია Crystal lagoons Corporation-ია.

ყველაზე პატარა როიალი

იაპონურმა სათამაშოების მწარმოებელმა კომპანიამ მსოფლიოში ყველაზე პატარა როიალი წარმოადგინა. მისი სიმაღლე 18 სმ, ხოლო სიგანე — 25 სმ. ინსტრუმენტს 88 კლავიში აქვს და ჩვეულებრივი როიალივით ჟღერს. მასზე დაკვრა ძნელია, რადგან კლავიშების სიგანე სულ 5 მმ-ია. სამაგიეროდ, პაწაწინა როიალი ჩაიკოვსკისა და ბილი ჯოელის მელოდიებით თავად დაგატკბობთ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ჩინეთის კედლის საიდუმლო

ჩინელმა მეცნიერებმა ჩინეთის კედლის სიმტკიცისა და გამძლეობის საიდუმლო ამოხსნეს. როგორც ქიმიკოსთა კვლევის შედეგებმა ცხადყო, სამშენებლო ქვების ერთმანეთთან დამაკავშირებელ ნაზავში ბრინჯის ფაფაც შედიოდა.

დაახლოებით 600 წლის წინათ, მინის დინასტიის მმართველობისას, ჩინეთის კედლის მშენებლობის მუშები ჩვეულებრივი სამშენებლო ნაზავის შემადგენლობაში მოხარშულ ბრინჯს ურევდნენ, ეს კი იმ დროისათვის პროგრესული და ნოვატორული გადაწყვეტილება იყო. ორგანული და არაორგანული ნივთიერებების შერწყმით კი მიიღებოდა უდიდესი მექანიკური მდგრადობის ნივთიერება, რომლის წყალობითაც კაცობრიობა დღემდე ინარჩუნებს ამ უნიკალურ ნაგებობას. საძირკვლის მახლობლად, სადაც მშენებლობისას ნაზავის წვეთები ეცემოდა, ბალახი დღემდე არ იზრდება. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბრინჯისფაფიანი სამშენებლო ნაზავი გამოყენებულია ტაძრებისა და სამარხების მშენებლობებშიც.

ტკბილეულის გადასახადი

ამერიკაში ვაშინგტონის შტატის მოსახლეობამ 1 ივნისიდან ახალი ცხოვრება დაიწყო — მთავრობამ მათ ტკბილეულის, ლუდის, საღეჭი რეზინისა და ბოთლებში ჩამოსხმული წყლის გადასახადები დაუწესა.

ამ გადასახადებით შტატის მთავრობა ბიუჯეტის დეფიციტის შევსებას იმედოვნებს. დეფიციტი 2,8 მილიარდია, აღნიშნული ზომების გატარების შემდეგ კი ხაზინაში წელიწადში 128 მილიონი შევა.

საღეჭი რეზინისა და ტკბილეულის გადასახადი მათი ღირებულების 9,2 პროცენტია, ოღონდ ეს არ ეხება ცომისგან გამომცხვარ შიგთავსიან ტკბილეულს, ვინაიდან ფუნთუშები და მისთანანი საკვების კატეგორიას განეკუთვნება და საკვებზე გადასახადი ჯერ არ დაწესებულა.

მაისიდან უკვე დაწესდა გადასახადი სიგარეტზე და ის კოლოფზე 1 დოლარს შეადგენს, ივლისიდან კი გაზიანი სასმელებიც დაიბეგრება.

მეცნიერს კომპიუტერული ვირუსი გადაედო

ბრიტანეთის რედინგის უნივერსიტეტის მეცნიერი მარკ გესონი დედამიწაზე პირველი ადამიანია, რომელსაც კომპიუტერული ვირუსი გადაედო. დაავადებული ირწმუნება, რომ ხელში კანქვეშ ჩაინერგა სპეციალურად შექმნილი ვირუსით ინფიცირებული ჩიპი, რომელსაც ლაბორატორიაში შესასვლელი საშვის დანიშნულებით იყენებდა. შედეგად ვირუსი გადაედო მთელს საშვთა სისტემას და ბაზებს.

გესონი ირწმუნება, რომ მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი პრინციპული შესაძლებლობების დემონსტრირებაა და რომ მომავალში ამგვარი სცენარით შესაძლოა მწყობრიდან გამოვიდეს ისეთი გადანერგილი პრეპარატების მუშაობა, როგორიც ელექტროკარდიოსტიმულატორები ან სმენის აღსადგენი იმპლანტანტებია.

მეცნიერის თქმით, ამგვარი გადანერგვები დროთა განმავლობაში მხოლოდ გავრცელდება. თუ მეცნიერება მეხსიერების ან IQ-ის გაზრდის გზებს მიაკვლევენ, ამ მიგნებას უამრავი კლიენტი გამოუჩნდება.

ახლო აღმოსავლეთი ომის ზღვარზე

თურქეთის პრემიერ-მინისტრის — რეჯეპ ტაიპ ერდოგანის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ „ისრაელს მხოლოდ ძლიერი და გავლენიანი მეგობრების, იგულისხმება აშშ, პროტექციის წყალობით შეუძლია, საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვიოს და ამისათვის არ დაისაჯოს“, ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში ფსონები აწია. არადა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი აზუსტებს, რომ აშშ, ისევე, როგორც გაეროს უსაფრთხოების საბჭოს სხვა წევრი ქვეყნები, განიხილავს ყველა ქმედებას, „რომელმაც ჰუმანიტარული ბადრაგის წევრთა მიმართ ძალადობა და მათი მკვლელობები გამოიწვია“.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ აშშ ამჯერად ისრაელს მხარს არ უჭერს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მთლიანად ახლო აღმოსავლეთზე აშშ-ის გავლენა სუსტდება. საუბარია აღნიშნულ რეგიონში აშშ-ის პოლიტიკური ვექტორის მიმართულების მკვეთრ ცვლილებაზე. „თურქულმა ჯინმა“ არაბული ქვეყნების უმეტესობის მხრიდან ამერიკაზე ზეწოლის გაძლიერება დაიწყო. ეს ვაშინგტონისთვის არაბულ სამყაროში პოლიტიკურ-დიპლომატიური მანევრირების ყველაზე ფართო ასპარეზს იძლევა.

ისრაელის დაზვერვის ხელმძღვანელმა მეირ დაგანმა შემთხვევით როდი მოინდომა ხელისუფლების გაფრთხილება, რომ „ისრაელი აშშ-სათვის სტრატეგიული პარტნიორიდან უძლეველ ტვირთად იქცა“. მაგრამ ეს სტრატეგიაში. ტაქტიკაში კი ისრაელს ყველაზე მეტად ის ადარდებს, რომ „მწყობრიდან“ პირველს გაიყვანენ ეგვიპტეს, რომელიც შუამავალთა დახმარებით, პალესტინელებთან მოლაპარაკებებს უჭერდა მხარს.

ბოლო დღეების კიდევ ერთი აღსანიშნავი მოვლენა ახლოაღმოსავლეთის დიდი პოლიტიკის არენაზე ორგანიზაცია ჰამასის გამოჩენა გახდა. მისმა ლიდერმა ჰამიდ მაშალმა, ისევე, როგორც თურქეთის მთავრობის მეთაურმა ერდოგანმა, ისრაელის მთავრობის წევრების გასამართლება მოითხოვა „Free Gaza“-სთან დაკავშირებული ოპერაციის გამო. ჰამასის ლიდერმა განაცხადა, რომ მზადაა, შერიგების ხელი გაუწოდოს პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარეს — მაჰმუდ აბასს. პარალელურად ის აბსოლუტურად უსარგებლოდ მიიჩნევს ნებისმიერ მშვიდობიან მოლაპარაკებებს ისრაელთან. აბასმა, რომელიც მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროს აკონტროლებს, გაეროს გენერალურ მდივანთან — პან გი მუნთან საუბრისას განაცხადა, რომ მზადაა, ისრაელთან მოლაპარაკებები განაგრძოს. მაგრამ ვინ უნდა წარმოადგინოს პალესტინური მხარე მოლაპარაკებების მაგიდასთან — ჰამასმა, მაჰმუდ აბასმა თუ მათმა კოალიციამ?

ამჟამად გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მთავარი ყურადღება სწორედ ისრაელ-თურქეთის კონფლიქტისკენაა მიმართული, თურქეთი კი უკვე ძალზე აქტიურად იყენებს დიდ პოლიტიკაში იმ ფაქტს, რომ ისრაელი ბირთვული იარაღის არსენალს ფლობს. ამ მდგომარეობის კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ახალი ახლოაღმოსავლური რყევები პირდაპირ ამიერკავკასიას გადასწვდება.

თურქეთმა განაცხადა, რომ ისრაელთან ურთიერთობებს ენერგეტიკის სფეროშიც გადახედავს. საუბარია ანკარის უარზე, მონაწილეობა მიიღოს თურქულ ჯეიჰანსა და ისრაელის აშკელონომს შორის ნავთობისა და გაზსადენების პროექტში მონაწილეობაზე. მილსადენები ნედლეულით აზერბაიჯანს უნდა მოემარაგებინა. **ისრაელი წელიწადში 12 მილიონ ტონა ნავთობს მოიხმარს და აქედან 2 მილიონი ტონა აზერბაიჯანულია. ახლა ანკარას შეუძლია არა მხოლოდ დაბლოკოს თავისი ტერიტორიით ისრაელისათვის აზერბაიჯანული ნავთობის მიწოდება, არამედ დაიწყოს აზერბაიჯანის იძულება, შეასრულოს „მოკავშირეთა მოლაპარაკებები“. როგორც ჩანს, ახლო მომავალში აზერბაიჯანს სერიოზული სტრატეგიული არჩევანის გაკეთება მოუწევს. მაგრამ თუ ის აქტიურად დაუჭერს მხარს თურქეთს, ისრაელი 1915 წლის სომეხთა გენოციდის შესახებ რეზოლუციის მიღების პროცედურას დაიწყებს.**

ამრიგად, ახლო აღმოსავლეთში კრიტიკული სიტუაცია მწიფდება და სავსებით შესაძლებელია, ის შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდოს. **როგორც ზოგიერთი ქვეყნის ლიდერმა უკვე განაცხადა, ჰუმანიტარული დახმარების ბადრაგის წინააღმდეგ ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქმედებები, შესაძლოა, ისეთი ომის საბაბი გახდეს, რომელიც მხოლოდ ერთი რეგიონით არ შემოიფარგლება.**

regnum.ru

ამერიკული ოცნებიდან ამერიკულ კოშმარამდე

ამერიკის ისტორიაში აქამდე არასდროს ყოფილა ამდენი სიმდიდრე ასე ცოტა ადამიანის ხელში. ოდესღაც, აშშ-ში ბავშვებს ასწავლიდნენ, რომ მათი ქვეყანა შესაძლებლობების ქვეყანაა და აქ ყველას შეუძლია, წარმატებას მიაღწიოს, თუ საამისოდ საკმარისად გაირჯება. ახლა სისტემა სხვაგვარად მუშაობს: ფული მდიდრების ჯიბეში მიდის, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი მხოლოდ იმისთვის ფართხალებს, რომ არ ჩაიძიროს. უამრავი მუშა ან რობოტმა და კომპიუტერმა ჩაანაცვლა, ან მათი სამუშაო ადგილი გაუმაძღარმა ბოსებმა საზღვარგარეთ გაიტანეს.

ამერიკელები სულ უფრო ბევრს შრომობენ და ამისათვის სულ უფრო ნაკლებს უხდიან. თუ ვინმე თვლის, რომ ამერიკის ეკონომიკა ახლა კაპიტალისტური სისტემის თავისუფალ მეწარმეობას ეყრდნობა, მწარედ ცდება. ამ ქვეყნის სამწუხარო სინამდვილე ისა, რომ მდიდრები მდიდრდებიან, ღარიბები კი ღარიბდებიან; აი ფაქტებიც:

1950 წელს საშუალო ხელმძღვანელისა და საშუალო მუშის ხელფასების თანაფარდობა იყო 30/1, 2000 წლიდან ამ თანაფარდობამ 500/1 ზღვარს მიაღწია.

„USA Today“-ს ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ამერიკის ისტორიაში მინიმალურ ზღვრამდე კერძო სექტორების ხელფასები 2010 წლის პირველ ნახევარში დაეცა. იმავე პერიოდში რეკორდულად გაიზარდა სახელმწიფო შეღავათები.

გაეროს მონაცემებით, აშშ ამჟამად განვითარებულ ქვეყნებს შორის შემოსავალთა უთანასწორობის მხრივ პირველ ადგილზეა.

2010 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში ამერიკის 4 უმსხვილეს ბანკს არც ერთ დღეს არ განუცდია სავაჭრო დანაკარგები.

39,7 მილიონი ამერიკელი დახმარების ტალონებით იკვებება, რაც ამერიკის ისტორიაში რეკორდია. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ირწმუნება, რომ გაისად ეს მაჩვენებელი 43 მილიონს მიაღწევს.

აშშ-ის ისტორიაში პირველად, ღირებულების მიხედით ბანკები უძრავი ქონების უფრო დიდ ნაწილს ფლობენ, ვიდრე მთელი ამერიკის მოსახლეობა ერთად აღებული.

სამ დღეში კენტუკში სარეცხი მანქანების შემგროვებელთათვის გამოცხადებულ 90 ვაკანსიას წელიწადში 27 ათასი დოლარის ანაზღაურებით 10 ათასზე მეტი ადამიანი გამოეხმაურა.

სახელმწიფოს მხრიდან ანტიკრიზისული ზომების ფარგლებში უდიდესი თანხებით დაფინანსებული ბანკები თანამშრომლებისათვის რეკორდული ბონუსების გაცემას განაგრძობენ.

ფინანსური კრიზისის მიუხედავად, მილიონერთა რაოდენობა შარშან 16%-ით გაიზარდა და 7,8 მილიონ ადამიანს მიაღწია.

მხოლოდ 2009 წელს 1,4 მილიონზე მეტმა ამერიკელმა პერსონალური გაკოტრების შესახებ განცხადა.

ამერიკელთა 43%-ზე მეტს 10 ათას დოლარზე ნაკლები საპენსიო დანაზოგი აქვს.

ამერიკის უდიდესი საწარმოო ქალაქები ნაომარს ემსგავსება, კორპორაციული ბოსები კი წარმოების მესამე მსოფლიოს ქვეყნებში გატანით რეკორდულ ბონუსებს იჯიბავენ.

ერთ დროს უდიდესი საშუალო ფენა, რომელმაც ამდენი გააკეთა იმისთვის, რომ ამერიკა სახელმწიფოდ ქცეულიყო, სრული გაქრობის ზღვარზეა. ათობით მილიონი უბრალო ამერიკელისათვის ამერიკული ოცნება ამერიკულ კოშმარად იქცა.

perevodika.ru

მსოფლიო მთავრობა და პოლ პოტი

მრავალ პოლიტიკურ მოღვაწესა და ანალიტიკოსს უჩნდებოდა და უჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ არსებობენ გავლენიანი ტრანსნაციონალური სტრუქტურები, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით განვითარების ტენდენციებს განსაზღვრავენ. შესაბამისად, ისინი აკონტროლებენ არა მხოლოდ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ მიმდინარეობებს, არამედ სახელმწიფოებს, ხელისუფლებებსა და ხალხებს. პროპაგანდისტული გარსი ხომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია იმისა, რაც მსოფლიოში ხდებოდა და ხდება. ის, რასაც ექსპერტები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ლამის ყოველწამიერად ნერგავენ მასების ცნობიერებაში, უმეტეს შემთხვევაში, აბსოლუტურად არ ასახავს სინამდვილეს.

სწორედ ამგვარ კონცეპციას ეყრდნობა ესპანელი პოლიტოლოგისა და ისტორიკოსის, დენიელ ესტულინის წიგნი „ვინ მართავს მსოფლიოს? ანუ მთელი სიმართლე ბილდერბერგის კლუბის შესახებ“. წიგნი 2005 წელს ესპანეთში გამოიცა, შემდეგ კი — სხვა ქვეყნებშიც.

რაც ყველაზე საინტერესოა, ესტულინის მიერ მოყვანილი დოკუმენტების არანაირი საწინააღმდეგო მტკიცებულება ამ დრომდე არავის გამოუქვეყნებია.

> წიგნის ავტორის მტკიცებით, 1954 წელს ფაქტობრივად შეიქმნა მსოფლიო მთავრობა. მის შემადგენლობაში პოლიტიკური და ფინანსური კუთხით ყველაზე ძლევამოსილი და გავლენიანი კორპორაციების, კლანებისა და სტრუქტურების წარმომადგენლები გაერთიანდნენ. ეს ბილდერბერგის კლუბია. მისი სახელწოდება ჰოლანდიის ქალაქ ოსტერბეკში მდებარე სასტუმრო „ბილდერბერგიდან“ მოდის. სწორედ იქ შეიკრიბა მსოფლიო ელიტა პირველად 1954 წლის მაისში.

იმ დროიდან მონაწილეთა შემადგენლობა და კლუბის გავლენის სფეროები მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ახლა ლამის მთელ მსოფლიოს მოიცავს. სწორედ ეს სტრუქტურა იძლევა დირექტივებს არა მხოლოდ იმის თაობაზე, თუ რისი პროპაგანდა უნდა განხორციელდეს და რა უნდა ჩაიჭედოს მასების ცნობიერებაში, არამედ სხვა ყველაფრისაც. დირექტივებს ექვემდებარება ყველა სფერო და მიმართულება.

წიგნში შეკრებილია უამრავი დოკუმენტი, ფაქტი და პუბლიკაცია, რომლებიც ბილდერბერგის კლუბისა და მისი მსგავსი ორგანიზაციების მიერ მსოფლიოს მმართველობას ადასტურებს. მის მსგავსებში კი, ესტულინის მტკიცებით, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებიც შედის, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის ცსს.

საოცარია, რომ იდეოლოგიურად დასავლეთისა და ბილდერბერგისაგან თითქოსდა განზე მდგარი უამრავი მოღვაწე კლუბის გეგმებისა და ბრძანებების შესაბამისად მოქმედებდა და მოქმედებს. მათ შორისაა „ტეხასის ნავთობის მეფეებთან დაკავშირებული“ უსამა ბენ ლადენზე არანაკლებ ცნობილი კამბოჯელი ჯალათი პოლ პოტიც.

> ესტულინი იმასაც აღნიშნავს, რომ ბილდერბერგელების გეგმების ნაწილს წარმოადგენს დიდ ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, მათ შორის კამბოჯაში პოლ პოტის მიერ დამუშავებული სცენარის შესაბამისადაც. **საინტერესოა ის ფაქტი, რომ პოლ პოტისათვის გენოციდის გეგმები დაამუშავა აშშ-ში რომაული კლუბის ერთ-ერთმა კვლევითმა ორგანიზაციამ, რომელიც ბილდერბერგის კლუბის მონათესავეა.**
>
> **ასე რომ, ჩინეთი არაფერ შუაშია, პოლ პოტი ტრანსნაციონალური ძალებისა და აშშ-ის პროდუქტია.**

ამავე ვერსიას ადასტურებს სხვა კვლევებიც. ამერიკელი ისტორიკოსი და ჟურნალისტი ჯ. ანდერსონი ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისის მონაცემებზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ „ცსს მხარს უჭერს პოლ პოტის ბანდების ნარჩენებს“. სხვა უცხოელი ისტორიკოსები ასევე იტყობინებიან, რომ **„საერთაშორისო ორგანიზაციამ „World Food Program“ 1990-იანი წლების შუა ხანებში 12 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქტი ტაილანდს სწორედ „წითელი ჰმერებისთვის“ გადასცა“. ამ წითლებმა კი 1975-78 წლებში 2,5 მილიონი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. გარდა ამისა, „ამერიკა, გერმანია და შვედეთი ტაილანდისა და სინგაპურის გავლით პოლ პოტის მიმდევრებს იარაღით ამარაგებენ“. სამწუხაროდ, ამ მონაცემებსაც არავინ გამოუჩნდა გამპროტესტებელი.**

> **არადა, პოლ პოტი 1979-98 წლებში, სიცოცხლის დასრულებამდე სადღაც კი არა, კამბოჯა-ტაილანდის ძნელად მისადგომ საზღვარზე მდებარე აშშ-ის ცსს-ს ყოფილ ბაზაზე იმყოფებოდა.**
>
> **უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კამბოჯის ახალი ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია არც ერთ მცდელობას, ხელში ჩაეგდო არამც თუ ეს რაიონი, არამედ თავად პოლ პოტი მაინც. თავის მხრივ, დასავლეთს ოდნავი სურვილიც არ გამოუხატავს, ეს ადამიანი თუნდაც ჰააგის ტრიბუნალისათვის გადაეცა.**

პოლ პოტი

მისეული რაზმები, რომლებიც 1980-იანი წლებიდან ტაილანდის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, კამბოჯას ისე ატერორებდნენ, რომ არც კანონი ადარდებდათ და არც ტაილანდის ჯარი.

> **ეს რაზმები, თავის მხრივ, შედგებოდა მრავალი ათასი კაციჭამიისაგან, რომელსაც ხელში ამერიკული იარაღი ეჭირა. უფრო მეტიც: აშშ-მა, ტაილანდმა და ჩინეთმა 1980-1890-იან წლებში ერთობლივად დაუჭირეს მხარი პოლპოტისეულ „დემოკრატიულ კამპუჩიას“ გაეროში, რითაც ამ სტრუქტურაში გზა მოუჭრეს პოლპოტის შემდგომ კამბოჯას.**

ამიტომ, ესტულინის მიხედვით, პოლ პოტი ჩინეთის კი არა, აშშ-ის ფიგურაა და ამ ვერსიას ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარიც ემხრობა. ბეკტემიროვის, დემენტიევისა და კობელევის ერთობლივ ნაშრომში „კამბოჯას უახლესი ისტორია“ წერია: „1976 წელს ჩინეთში მიმდინარე შიდა მოვლენებმა ზეგავლენა მოახდინა კამბოჯის ხელმძღვანელობაში მიმდინარე ბრძოლაზე. 1976 წლის 7 აპრილს, მაო ძედუნის წინადადებით, „რევიზიონისტ-შემგუებელი“ დენ სიაოპინი ყველა თანამდებობიდან მოიხსნა. ძალაუფლების სათავეში კი ცზიან ცინის (მაო ძედუნის ცოლი, ჩინეთში „წითელ იმპერატორად“ წოდებული) ჯგუფი მოექცა, რომელიც მართავდა კიდეც ჩინეთს 1976 წლის ოქტომბრიდან. მაოს გარდაცვალების შემდეგ (1976 წლის 9 სექტემბერი) პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან პოლ პოტის გადადგომის შესახებ გამოცხადდა. მოსალოდნელი იყო მისი წასვლა კომპარტიის ხელმძღვანელის პოსტიდანაც“.

ამავე კვლევაში აღნიშნულია, რომ პოლ პოტს მაოზე მეტად დენ ციაოპინი მფარველობდა, მის გადადგომას კი მაოს სიცოცხლეშივე უნდა მოჰყოლოდა პოლ პოტის ლიკვიდაცია.

მაგრამ, როგორც იმავე წიგნშია აღნიშნული, ცზიანცის დაჯგუფების დაცემისა და ხელისუფლებაში დენ ციაოპინის დაბრუნების შემდეგ პოლ პოტი პრემიერის თანამდებობას დაუბრუნდა. და მაღე, 1976 წლის ნოემბრიდან კამბოჯაში მისი მოწინააღმდეგეების ახალი ჟლეტა დაიწყო. 1976 წლის დეკემბრიდან პოლ პოტის რეჟიმისათვის ამერიკიდან ტაილანდის, სინგაპურისა და მალაიზიის გავლით იარაღის მოწოდება გაძლიერდა.

ვიეტნამის საგარეო საქმეთა სამინისტროს წიგნში ვიეტნამელი, ლაოსელი და კამბოჯელი მეცნიერები წერენ, რომ მაო ძედუნი და ჩინეთის პრემიერი 1949-1975 წლებში ჩუო ენილაი 1975 წლის შემოდგომიდან ცდილობდნენ, პოლ პოტი კამბოჯის ხელისუფლებისთვის ჩამოეშორებინათ და ჩინეთში გაეყვანათ. მაგრამ მათ არა მხოლოდ დენ სიაოპინი, მაშინდელ ჩინეთში გავლენითა და იერარქიით მესამე პირი, არამედ ტაილანდისა და აშშ-ის გავლენიანი სტრუქტურებიც ეწინააღმდეგებოდნენ.

ამერიკული მასმედია 1980-იან წლებში ენამწარობდა, რომ პოლპოტისეულ „თავისუფლებისთვის მებრძოლთა რაზმებს მთელი კამბოჯა თანაუგრძნობდა“.

> **სამწუხაროდ, თუ პოლ პოტი მსოფლიო მთავრობის — ბილდერბერგის კლუბის აგენტი იყო, აღარაფერია სათქმელი თანამედროვე დასავლური ქვეყნების უამრავ მოღვაწეზე, რომელთაც დენიელ ესტულინი თავის წიგნში მოიხსენიებს.**
>
> **ამასობაში კი, როგორც მასმედიის ზოგიერთი საშუალება იუწყება, დღედღეზე ბილდერბერგის კლუბის მორიგი სხდომა გაიმართება.**

stoletie.ru

ვულკანური ფერფლის სუვენირები



ისლანდიის მოსახლეობამ გადაწყვიტა, ბობოქარი ვულკანისაგან რაიმე ხეირი მაინც გამოედნო და ინტერნეტმაღაზიაში სუვენირის სახით ვულკანის ფერფლის გაყიდვა დაიწყეს. სარეკლამო განცხადებაში წერია: ნებისმიერ მსურველს ვთავაზობთ, შეიძინონ თანამედროვე ისტორიის ნაწილი.

„ვულკანური ლოტი“ 32 დოლარი ღირს. მსურველები მას 160-გრამიან მინის ჭურჭელში ჩაყრილსა და მუყაოს კოლოფში შეფუთულს მიიღებენ. გაყიდვებიდან შემოსული მთელი თანხა კი ვულკანის ამოფრქვევის შედეგად დაზარალებული რაიონების მოსახლეობის დასახმარებლად გადაირიცხება. ამ სუვენირის შეძენის რამდენიმე ასეული მსურველი უკვე სახეზეა. შეკვეთები მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდის.

თუთიყუშების გამოსაფხიზლებელი

ავსტრალიაში უცნაური შემთხვევა დაფიქსირდა: პატარა, მკვეთრი შეფერილობის თუთიყუშები ხის ტოტებიდან პანტაპუნტით ცვივიან და მთვრალებივით იქცევიან. მიწაზე დანარცხებულ ჩიტებს ვეტერინარები აგროვებენ და ცდილობენ, რამენაირად გონებაზე მოიყვანონ. ადგილობრივი ვეტერინარული კლინიკა თუთიყუშების გამოსაფხიზლებელს დაემსგავსა.

სპეციალისტების თქმით, გონებაზე მოსვლის შემდეგ თუთიყუშები ზუსტად ისევე იქცევიან, როგორც ეს ადამიანებს სჩვევიათ ნაბახუსევზე — გალიებში კუთხეში იკუნჭებიან, თავზე იფარებენ ყველაფერს, რასაც იპოვიან და შემდეგ გაუნძრევლად წვანან. მდგომარეობიდან გამოსასვლელად ფრინველებს ხილითა და ტკბილი ფაფებით კვებავენ — ეს ჩიტებისთვის იგივე ყოფილა, რაც ადამიანებისთვის წვნიანი ან მინერალური წყალი ნაბახუსევზე. ჯერ ვერავინ გაარკვია, რა ათრობთ თუთიყუშებს, ვეტერინარები ვარაუდობენ, რომ ეს შესაძლოა ვირუსი იყოს.

მოცარტი ბაქტერიებს დაეხმარება

გერმანიაში დასუფთავებისთვის განკუთვნილ აღჭურვილობებზე მოცარტის ნაწარმოებებს ჩართავენ. გამდინარე წყლის გაწმენდის სამსახურის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ავსტრიელი კომპოზიტორის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მტკიცე ორგანული ნაერთების დაშლის პროცესს დააჩქარებს.

ნარჩენების დაშლის პროცესზე მოცარტის მუსიკის დადებითი ზეგავლენა დასუფთავების ერთ-ერთმა კომპანიამ ექსპერიმენტის საფუძველზე დაამტკიცა. თურმე ჰარმონიისა და რიტმის უნიკალური შერწყმის გამო ამ მუსიკის თანხლებით მიკროორგანიზმები და ბაქტერიები გაცილებით ნაყოფიერად „შრომობენ“, ვიდრე უიმისოდ.

მოცარტის დახმარებით, თითეული კომპანია ელექტროენერგიის დაზოგვის ხარჯზე თვეში ათასი ევროს ეკონომიას გააკეთებს. მაქსიმალური ეფექტის მისაღებად ბაქტერიებისათვის მოცარტის მუსიკა განუწყვეტლივ უნდა ისმოდეს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲛᲔᲠᲙᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ

ანგელა მერკელის მთავრობა არსებული გადასახადების გაზრდასა და ახალი გადასახადების დაწესებას გეგმავს. ცხადია, მიზანი ბიუჯეტის დეფიციტისგან თავის დაღწევაა, მაგრამ კაბინეტს მშვენივრად ესმის, რომ ბიუჯეტის დეფიციტის წელინადში 10 მილარდი ევროთი შემცირებისათვის ეს საკმარისი არ იქნება და დანახარჯებიც უნდა შეიკვეცოს. ყველაზე მეტი ეკონომია უმუშევართა დახმარების შემცირების ხარჯზე იგეგმება. სახელმწიფო ამის მიღწევას დასაქმების პროცენტის გაზრდით გეგმავს.

ᲔᲭᲕᲘᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲒᲐᲠᲧᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ

ფრეიბურგის პროკურატურამ არასრულწლოვანთა გარყვნისათვის ხელის შეწყობის ბრალდებით გერმანიის კათოლიკე ეპისკოპოსების კონფერენციის თავმჯდომარის არქიეპისკოპოს რობერტ ზოლიჩის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. ბრალდების მოწმის მტკიცებით, მან 1987 წელს უფლებამოსილება მიანიჭა მღვდელს, რომელიც არასრულწლოვანების მიმართ ძალადობაში იყო მხილებული. გერმანიაში ბოლო დროს გამჟღავნებული უამრავი ამგვარი დანაშაული ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო განხილვას აღარ ექვემდებარება.

ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲡ ᲐᲜᲒᲠᲔᲕᲡ

მას შემდეგ, რაც უნგრეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ქვეყანაში შესაძლოა საბერძნეთის მსგავსმა ვალების კრიზისმა იფეთქოს, ევროპის საფონდო ინდექსები 2,5%-ით დაეცა.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი აცხადებს, რომ წინა (სოციალისტური) ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის თაობაზე მონაცემებს აყალბებდა და საბერძნეთის მსგავსი მდგომარეობა უნგრეთს დღედღეზე ელის. აღნიშნულ განცხადებას დოლართან მიმართებაში ევროს კურსის 1,2-მდე დაცემა მოჰყვა.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ „ᲘᲡᲘᲓᲐ“

ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

სუფრის წყალი „ᲘᲡᲘᲓᲐ“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ᲘᲡᲘᲓᲐ“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ᲝᲤᲘᲡᲘ); ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ: 890-11-50-99; 895-91-24-14.

ᲬᲛᲘᲓᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲙᲚᲝ

ს.ს „ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲘ“	602602
შპს „ᲐᲮᲢᲔᲚᲘ“	700818
შპს „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲘ“	200320
შპს „ᲯᲔᲝᲡᲔᲚᲘ“	700305
შპს „ᲑᲘᲚᲐᲘᲜᲘ“	200333

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 636360801000001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ.



ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐᲡ:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ — Ი. ᲭᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ



ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ Ქ. 43. ᲢᲔᲚ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77

საქართველო ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲘᲢᲡ
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲓᲣᲐ
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
ᲐᲠᲛᲐᲖ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ, ᲑᲝᲜᲓᲝ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲚᲔᲕᲐᲜ ᲖᲐᲜᲒᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ვებრედაქტორი ᲑᲝᲩᲐ ᲮᲐᲕᲗᲐᲡᲘ
რეალიზაციის მენეჯერი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲣᲐᲫᲔ, ოფისმენეჯერი ᲗᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,
რეკლამის მენეჯერი ᲔᲗᲘᲠ ᲙᲐᲡᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (899 110 200)
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net